

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ეკონომიკისა და სოფლის ინსტიტუტი

ო. გამყრელიძე

დანაშაულის შუალოებითი ამსრულებლობა
და თანაამსრულებლობა

ნაშრომში გამოკვლეულია დანაშაულში თანამონაწი-
ლეობის ბუნება, დაწვრილებითაა განხილული ამსრუ-
ლებლობის სახეები, გაანალიზებულია საქართველოსა და
რუსეთის სასამართლო პრაქტიკა, მოცემულია ბურჟუა-
ზიული თეორიების კრიტიკა ამ საკითხზე.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი . თ. წერეთელი



ამსრულეგლოზა და თანამონაწილეობა

§ 1. თანამონაწილეობის ბუნება

ყოველი დანაშაულის შემადგენლობა აუცილებლად გულისხმობს სუბიექტს, რომელიც ამ შემადგენლობას განახორციელებს. სუბიექტი თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად მრავალგვარ ზერხს მიმართავს. ზოგჯერ ადამიანი საკუთარი ხელით სჩადის დანაშაულს — მსხვერპლს მოაშობს, დანას ჩასცემს, წყალში დაახრჩობს, კლდიდან გადააგდებს და ა. შ. ზოგჯერ კი ამას აკეთებს სხვისი ხელით — აქეზებს, რჩევა-დარიგებას აძლევს, იარაღს აწვდის, დანაშაულებრივ დაჯგუფებას ქმნის ან ხელმძღვანელობს სხვებს დანაშაულის ჩადენის დროს და სხვა. ერთი სიტყვით, ყოველგვარი დანაშაულებრივი გამოვლინება გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ ან სხვისი მეშვეობით. იმის მიხედვით, უშუალოდ განახორციელა დანაშავემ შემადგენლობა თუ სხვისი მეშვეობით, განასხვავებენ დანაშაულის ამსრულებლობას და დანაშაულში თანამონაწილეობას. ჩვენი კვლევის საგანს ამჟამად მხოლოდ ამსრულებლობა შეადგენს. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამსრულებლობაზე გადავიდოდეთ, საჭიროა წინასწარ თანამონაწილეობის ბუნების გარკვევა. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ამსრულებლის ცნების მოცულობა და ფარგლები დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გვესმის ჩვენ თანამონაწილეობა.

თანამონაწილეობის ბუნების საკითხი როგორც თეორიაში, ისე კანონმდებლობაში ერთნაირად არ წყდება. ერთნი ფიქრობენ, რომ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია. სიტყვა „აქცესორული“ (accessio) ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს მიერთებობას, დამატებობას, დამოკიდებულებას. აქცესორობის პრინციპის თანახმად თანამონაწილის მოქმედებას არა აქვს დამოუკიდებელი

იურიდიული მნიშვნელობა და მის კვალიფიკაციას განსაზღვრავს ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაცია.

არსებობს კიდევ მეორე მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენლები არ ეთანხმებიან თანამონაწილეობის ბუნების ამგვარ გაგებას. ამ თვალსაზრისის მიხედვით, თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია არ არის დამოკიდებული ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციაზე.

საბჭოური სისხლის სამართალი თანამონაწილეობის აქცესორულ ხასიათს აღიარებს. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას იძლევა თანამონაწილეობის განსაზღვრება, რომელიც მოცემულია 1958 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლით. ამ მუხლის თანახმად, „თანამონაწილეობად ჩაითვლება ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“. ამ განსაზღვრებიდან ირკვევა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ცნობს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას. კანონი მოითხოვს, რომ როგორც თანამონაწილენი, ისე ამსრულებელი განზრახ მოქმედებდნენ. ამიტომ თუ დანაშაულის უშუალო ამსრულებელი მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, წამქეზებელი ან დამხმარე, რომელიც განზრახ მოქმედებდა, პასუხს აგებს როგორც შუალობითი ამსრულებელი და არა როგორც თანამონაწილე. ამრიგად, კანონმა წამქეზებლის და დამხმარის მოქმედება პირდაპირ დაუკავშირა ამსრულებლის განზრახ მოქმედებას და ამით აღიარა, რომ წამქეზებელი და დამხმარე (ან ორგანიზატორი) მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებიან თანამონაწილეებად, თუ ამსრულებელი ჩაიდენს განზრახ დანაშაულს. თუ არ გვყავს ამსრულებელი, რომელაც განზრახ მოქმედებს, არა გვაქვს არც თანამონაწილეობა. ამიტომ არის, რომ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, ე. ი. დამოკიდებულია ამსრულებლის მოქმედებაზე. მხოლოდ ამსრულებლის მოქმედებას აქვს დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა. ასეთია ის დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს მოქმედი კანონიდან თანამონაწილეობის ბუნების შესახებ.

აქცესორობის პრინციპს აღიარებს აგრეთვე ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსიც. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის § 22-ით დანაშაულის ამსრულებლად ითვლება ისიც, ვინც დასჯადი ქმედობა ჩაიდინა იმის მეშვეობით, ვისაც თვითონ პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. ცხადია, აქ ლაპარაკია შუალობით ამსრულებლობაზე, რადგან ის, ვისაც პასუხისმგებლობა

ზა არ დაეკისრება, შეიძლება იყოს სულით ავადმყოფი, ბავშვი და სხვ. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ დასახელებული კოდექსი აქცესორობის პოზიციასზე დგას.

თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას უარყოფდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის 1950 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის § 7-ში ნათქვამია, რომ „წამქეზებლის ან დამხმარის დასჯადობა არ არის დამოკიდებული ამსრულებლის დასჯადობაზე“. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ეს მითითება აღარ გვხვდება. ამჟამად აქცესორობას უარყოფს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მე-19 მუხლის § 1-ის თანახმად წამქეზებლის და დამხმარის პასუხისმგებლობა არ არის დამოკიდებული ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე¹.

კაპიტალისტური ქვეყნების კოდექსებიდან აქცესორობას უარყოფდა ნორვეგიის 1902 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც სოციოლოგიური სკოლის პრინციპებზე იყო აგებული. ამ კოდექსის ზოგად ნაწილში თანამონაწილეობის ცნება საერთოდ არ იყო მოცემული. ამიტომ ყოველგვარი დანაშაულებრივი გამოვლინება კერძო ნაწილის სათანადო მუხლებში იყო გათვალისწინებული. მაგალითად, § 233 ასეა ფორმულირებული: „ის, ვინც მოჰკლავს სხვას ან დაეხმარება ამაში სხვას, დაისჯება სიცოცხლის მოსპობისათვის...“ და ა. შ. თანამედროვე კოდექსებიდან აქცესორობას უარყოფს საბერძნეთის 1950 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (იხ. მუხ. 48).

როგორც უკვე ითქვა, თანამონაწილეობის ბუნების საკითხზე სისხლის სამართლის თეორიაში ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებია გამოთქმული. დასავლეთ გერმანიის სისხლის სამართლის თეორიაში ძირითადად თანამონაწილეობის აქცესორული თეორიაა გაბატონებული. მაგრამ ამ ბოლო დროს ზოგიერთი ავტორი არ უთანხმება მას². მაგალითად, კ. ლუდერსენის აზრით, აქცესორული

¹ ი. ანდრეევი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, „საბჭოთა სამართალი“, 1971, № 2, გვ. 60.

² აქცესორული თეორიის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში პირველად გამოვიდა ცნობილი რუსი რევოლუციამდელი კრიმინალისტი ი. ფოინიცი, რომლის შრომა «Уголовно-правовая доктрина о соучастии» («Юридический вестник», кн. 7, 1891, с. 8) გერმანულ ენაზეც გამოქვეყნდა. აქცესორულ თეორიას არ ეთანხმებოდნენ აგრეთვე ნორვეგიის 1902 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ავტორი გეცი, პოლონელი კრიმინალისტი ი. მაკარევიჩი (იხ. მისი Einführung in die Philosophie Strafrechts, Stuttgart, 1906, S. 377), გერმანელი ე. ზაუერი (Allgemeine Strafrechtslehre, Berlin, S.S. 200—228) და სხვ.

თეორია შეუთავსებელია პრინციპთან, რომლის მიხედვით თანამონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი უმართლობისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემადგენლობის შესაბამისად მოქმედებს არა მარტო ამსრულებელი, არამედ თანამონაწილეც, და რომ ამსრულებლის მოქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობის დადგენას არა აქვს მნიშვნელობა თანამონაწილის მოქმედების იურიდიული შეფასებისათვის³. კ. ლუდერსენი ამ დებულების დასაბუთებას, უპირველეს ყოვლისა, აგენტი-პროვოკატორის მაგალითით ცდილობს. მისი აზრით, თანამონაწილეობა რომ აქცესორული ბუნების იყოს, მაშინ აგენტი-პროვოკატორს პასუხი უნდა ეგოდ ქურდობაში თანამონაწილეობისათვის, თუ იგი წააქეზებდა სხვას თავისი საკუთარი ქონების მოსაპარავად. აქედან დასკვნა, რომ ქურდობის დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი „სხვისი“, რომელიც არსებობს ამსრულებლის პიროვნებისათვის, ავტომატურად არ გადადის თანამონაწილის პიროვნებაზე. ამიტომ თანამონაწილის მოქმედების მართლწინააღმდეგობას არ განსაზღვრავს ამსრულებლის მოქმედების მართლწინააღმდეგობა⁴. ერთი სიტყვით, „თანამონაწილე პასუხს აგებს საკუთარი უმართლობისა და საკუთარი ბრალისათვის და მისი დასჯადობის დამოკიდებულება „მთავარ მოქმედებასთან წმინდა ფაქტიური ბუნების არის“⁵.

როგორც ვხედავთ, კ. ლუდერსენი თანამონაწილის მოქმედებასა და ამსრულებლის მოქმედებას შორის მხოლოდ ფაქტიურ კავშირს ხედავს. მაგრამ მას ავიწყდება, რომ თანამონაწილეობა გარკვეული იურიდიული შინაარსის შემცველი ცნებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა ინდივიდი ფაქტიურად მონაწილეობდეს სხვის დანაშაულში, მაგრამ იურიდიულად იგი ამ დანაშაულის თანამონაწილე არ იყოს. ამის საილუსტრაციოდ მივმართოთ ისევ აგენტი-პროვოკატორის მოქმედების ანალიზს. აგენტი-პროვოკატორი რომ სხვა ადამიანს თავისი (აგენტი-პროვოკატორის) ქონების მოსაპარავად აქეზებს, ამით იგი იურიდიული თვალსაზრისით ქურდობის თანამონაწილე არ ხდება. აქ საქმე გვაქვს ფაქტიურ თანამონაწილეობასთან. ასეთსავე ფაქტიურ მონაწილეობასთან გვექნება საქმე, მცირეწლოვანმა ან შერაცხვის უნარმოკლებულმა პირმა რომ სრულწლოვანი და შერაცხვის უნარის მქონე პირი წააქეზოს დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ საქმე ისაა, რომ ფაქტიური მონა-

³ K. Lüderssen, Zum Strafgrund der Teilnahme, Baden-Baden, 1967, S. 25.

⁴ იქვე, გვ. 26.

⁵ იქვე, გვ. 119.

წილეობა უკვე აღარაა თანამონაწილეობა ამ ცნების ნამდვილი გაგებით. კ. ლუდერსენის შეცდომა სწორედ ის არის, რომ მან დანაშაულის ფაქტიური მონაწილე თავიდანვე ჩათვალა თანამონაწილედ და მყისვე გამოიტანა დასკვნა, თითქოს ამსრულებლის უმართლობა არ განსაზღვრავდეს თანამონაწილის უმართლობას. აქ უცილობლად ადგილი აქვს წამქეზებლისა და თანამონაწილის ცნებათა აღრევას. სინამდვილეში ეს ცნებები მხოლოდ ნაწილობრივ თუ ემთხვევიან ერთმანეთს. წამქეზებლის ფიგურა სწორედ იმის გამოა რთული და საინტერესო, რომ ზოგჯერ იგი შეიძლება თანამონაწილე იყოს, ზოგჯერ შუალობითი ამსრულებელი და, ასე გასინჯეთ, უშუალო ამსრულებელიც კი (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლი, რომლითაც ისჯება არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად). არის შემთხვევები, როცა წამქეზებელს საერთოდ არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (მაგალითად, მცირეწლოვანობის გამო და სხვ.). აქცესორული თეორიის მომხრეები იმას როდი ამტკიცებენ, რომ დანაშაულის წამქეზებელი ყველა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს თანამონაწილედ... როცა აგენტი-პროვოკატორი სხვას ოთავისი საკუთარი ქონების მოსაპარავად ქეზებს, ეს, რა თქმა უნდა, არ არის თანამონაწილეობა ქურდობაში. წამქეზებელი ამ შემთხვევაში დაისჯება ან როგორც აგენტი-პროვოკატორი, თუ რასაკვირველია, დანაშაულის პროვოკაცია ისჯება როგორც დანაშაული *sui generis* (ასეთ შემთხვევაში ის იქნება ამსრულებელი), ხოლო თუ ასეთი შემადგენლობა არ არსებობს — იგი დაუსჯელი დარჩება. ამრიგად, აქ ლაპარაკია არა იმაზე, განსაზღვრავს თუ არა ამსრულებლის უმართლობა თანამონაწილის (ამ ცნების იურიდიული გაგებით) უმართლობას, არამედ საქმე ეხება წამქეზებლის მოქმედების შეფასებას. კ. ლუდერსენი სწორი იქნებოდა, თუ იტყოდა, რომ წამქეზებლის მოქმედების იურიდიული შეფასება ყოველთვის არ არის დამოკიდებული ამსრულებლის მოქმედების შეფასებაზე, ვინაიდან წამქეზებელი, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში იქნება თანამონაწილე. სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც დადგინდება, რომ წამქეზებელი უნდა დაისაჯოს როგორც თანამონაწილე, დაიწყება მსჯელობა მისი მოქმედების იურიდიული შეფასებისათვის. აქცესორული თეორიის დედააზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წამქეზებლის, როგორც თანამონაწილის მოქმედების შინაარსი, მისი უმართლობა სათავეს იღებს და გამომდინარეობს ამსრულებლის უმართლობიდან. ნათქვამიდან ცხადად ჩანს,

რომ კ. ლუდერსენმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ თავიდანვე შეცვალა დავის საგანი.

საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაში უკანასკნელ დრომდე საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა თანამონაწილეობის ეგრეთ წოდებული „დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია“, ხოლო აქცესორობის პრინციპი დაწუნებული და უარყოფილი იყო. წლების განმავლობაში გამეფებული იყო აზრი, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს საკუთარი მოქმედებისა და საკუთარი ბრალისათვის, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მოიმოქმედა ამსრულებელმა. თეორეტიკოსთა დიდი უმრავლესობა ამჟამადაც უარყოფს აქცესორობის პრინციპს როგორც ბურჟუაზიულს და შეუთავსებელს საბჭოური სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებთან⁶. მაგრამ ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები აქცესორული თეორიის სასარგებლოდ. მ. კოვალიოვი პირველი იყო, რომელიც წინააღმდეგა გაბატონებულ თვალსაზრისს და გამოთქვა აზრი, რომ საბჭოური სისხლის სამართალი გარკვეული ზომით იზიარებს აქცესორობის პრინციპს, სახელდობრ, იგი აღიარებს „ლოგიკურ აქცესორობას“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თანამონაწილეს სასჯელი განესაზღვრება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დადგენილია ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის⁷. აქცესორულ თეორიას მხარს უჭერს აგრეთვე თ. წერეთელი⁸. სულ ახლახან პრინციპულად ასეთივე პოზიცია დაიკავა ა. პიონტოვსკიმაც⁹.

⁶ აქცესორული თეორიის წინააღმდეგ იხ. А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, с. 124—125; М. Д. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, изд. ЛГУ, 1955, с. 135—136; М. И. Гришасьев, Г. А. Кривоп, Соучастие по Советскому уголовному праву, М., с. 172—174; М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, с. 66; Курс Советского уголовного права, ч. общая, т. I, изд. ЛГУ, 1968, с. 588—589; Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 71—72; У. Л. Кошницашвили, К вопросу о приготовлении к преступлению и покушении на преступление при соучастии, «Правоведение», 1963, № 3; მისივე, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3 და სხვ.

⁷ М. И. Ковалев, К вопросу о понятии соучастия в советском уголовном праве, «Правоведение», 1959, № 4; е го ж е, Соучастие в преступлении, ч. I, «Ученые труды Свердловского юридического института», Свердловск, 1960, с. 102.

⁸ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 71—84.

⁹ ა. პიონტოვსკი აღნიშნავს, რომ თანამონაწილენი პასუხისმგებლობაში მიეცემიან იმავე მუხლით, რა მუხლითაც პასუხს აგებს ამსრულებელი. ამ აზრით, განაგრძობს იგი, რასაკვირველია, შეიძლება ველაპარაკოთ თანამონაწილის პასუხისმგებლობის დამოკიდებულებაზე ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისაგან, თანამონაწილეობის

აღსანიშნავია, რომ აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეთა მსჯელობა ყოველთვის ვერ არის თანმიმდევრული და დამაჯერებლად დასაბუთებული. მაგალითად, მ. შნეიდერი წერს, რომ „საბჭოური სისხლის სამართალი უარყოფს თანამონაწილეობის აქცესორობას, რომლითაც ამა თუ იმ ზომით ხელმძღვანელობს ბურჟუაზიული სისხლის სამართალი“¹⁰. მაგრამ იმავე გვერდზე დაასკვნის: „თანამონაწილეობის აქცესორობის პრინციპის უარყოფა საბჭოურ სისხლის სამართალში მაინც არ ნიშნავს, რომ ამსრულებლის მოქმედებას არ ეძლევა მნიშვნელობა სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის წესისა და ფარგლების განსაზღვრისათვის“¹¹. უფრო მეტიც, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხის განხილვისას აქცესორობის მოწინააღმდეგე კრიმინალისტთა უმრავლესობა ისეთ დასკვნებს აკეთებს, რასაც ზოგჯერ თვით აქცესორობის მომხრეებიც კი არ მოითხოვენ, რაც, ყოველ შემთხვევაში, ამ პრინციპის თანამედროვე გაგებიდან სრულიად არ გამომდინარეობს. ამ ავტორებს დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ისეთი წმინდა პერსონალური მომენტი, როგორცაა, მაგალითად, განმეორება, რომელიც მხოლოდ ამსრულებელს ახასიათებს, შეერაცხოს აგრეთვე თანამონაწილესაც, თუ მას ეს მომენტი გათვალისწინებული ჰქონდა. ასეთი დასკვნა შეუძლია გააკეთოს მხოლოდ იმან, ვინც უკიდურესი აქცესორობის პრინციპის მომხრეა. მით უმეტეს გასაკვირია, რომ ამ აზრს იზიარებს თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეთა დიდი უმრავლესობა.¹²

თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეთა არათანმიმდევრობა განსაკუთრებით ნათლად გამოსჭვივის იმაში, რომ ეს კრიმინალისტები, ერთი მხრივ, უარყოფენ აქცესორობის

აქცესორულ ხასიათზე. ამ აზრის დასადასტურებლად ა. პონტკოვსკი მიუთითებს მ. კოვალიოვის შრომაზე (იხ. Курс советского уголовного права, т. 2, М., 1970, с. 470, прим. 38); აქცესორობის პრინციპს იზიარებს აგრეთვე ი. ჟორდანი (იხ. Понятие, классификация и правовое значение способов совершения преступлений. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Тбилиси, 1971, с. 13).

¹⁰ М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, с. 66.

¹¹ მ. შნეიდერი, იქვე.

¹² А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, с. 286; М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, с. 76; Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 212.

პრინციპს, მეორე მხრივ კი აღიარებენ შუალობით ამსრულებლობას, როცა დანაშაულის უშუალო ამსრულებელი სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო პასუხს არ აგებს ჩადენილი ქმედობისათვის. მაგრამ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის აღიარება, თუ ამ პრინციპს თანმიმდევრულად გავატარებთ და ვიტყვი, რომ უშუალო ამსრულებლის მოქმედება მხოლოდ ფაქტიური წანამძღვარია თანამონაწილის მოქმედებისა, თავისთავად უკვე შუალობითი ამსრულებლობის ცნების უარყოფას ნიშნავს. საგულისხმოა, რომ საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში აქცესორობის პრინციპის მოწინააღმდეგეთაგან დღემდე არავინ ცდილა იმის ახსნას, თუ რით არის გამართლებული ასეთი ურთიერთგამომრიცხველი ცნებების არსებობა. რატომღაც ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ყოველთვის დუმილით უვლიან ხოლმე გვერდს და დავის სიმძიმის ცენტრი ნაკლებმნიშვნელოვან და არაპრინციპულ საკითხებზე გადააქვთ.

ჩეხოსლოვაკელი კრიმინალისტი ვ. სოლნარეი თუმცა არ უარყოფს შუალობითი ამსრულებლობის ცნების დამოკიდებულებას და წარმომავლობას აქცესორობის პრინციპიდან, მაგრამ ამავე დროს დასძენს, რომ თანამონაწილეობის დამოუკიდებლობის პრინციპის დროსაც საჭირო იქნებოდა შუალობითი ამსრულებლობის ინსტიტუტი, რამდენადაც ის ხელს შეუწყობდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სწორ ინდივიდუალიზაციას იმ შემთხვევებში, რომლებიც თავისი არსით თანამონაწილეობას კი არა, ამსრულებლობას წარმოადგენენ, თუნდაც მოგვეჩვენოს, რომ ასეთი მოქმედებანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს თანამონაწილეობად¹³. ჩანს, ავტორი კარგად გრძნობს შუალობითი ამსრულებლის ფიგურის პრაქტიკულ საჭიროებას, მაგრამ ნუ დაგვაფიწყდება, რომ ეს ჯერ კიდევ არაა საკმარისი საბუთი საკითხის გადასაწყვეტად. ვ. სოლნარეის პოზიცია ამ საკითხში ისევე წინააღმდეგობრივია და არათანმიმდევრული, როგორც იმ საბჭოელი კრიმინალისტებისა, რომლებიც თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას უარყოფენ. საბოლოოდ მათ ან უნდა უარყონ ის აზრი, რომ თანამონაწილეობა დამოუკიდებელი ბუნებისაა, ანდა ხელი აიღონ შუალობითი ამსრულებლობის ცნებაზე.

ზემონათქვამი იმას მოწმობს, რომ ავტორთა უმეტესობა მარტო სიტყვით უარყოფს აქცესორობის პრინციპს, საქმით კი კონკ-

¹³ В. Солнарж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической республики, М., 1962, с. 83.

რეტული საკითხების გადაჭრისას ისინი ამ პრინციპის ერთგულნი რჩებიან.

თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრენი ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს აქცესორობის აღიარება საბჭოური სისხლის სამართლის იმ ფუნდამენტური პრინციპის უგულვებელყოფას ნიშნავდეს, რომლის თანახმად ინდივიდმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი მოქმედებისა და საკუთარი ბრალისათვის. მათი აზრით, აქცესორობა ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს და გზას უხსნის ობიექტურ შერაცხვას.¹⁴ რამდენად საფუძვლიანია ეს საყვედური? იმ დებულების აღიარება, რომ თანამონაწილის მოქმედების იურიდიული კვალიფიკაცია და მისი პასუხისმგებლობის ფარგლები დამოკიდებულია ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციაზე, განა სხვისი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას ნიშნავს? სრულიადაც არა. ხომ ცნობილია, რომ მსგავსად ერთპიროვნული დამნაშავეისა, თანამონაწილეს პასუხს აგებს მხოლოდ იმ დანაშაულებრივი შედეგისათვის, რომელიც მისმა მოქმედებამ გამოიწვია და რომელიც მისი განზრახვით იყო მოცული. „ის, ვინც იარაღი შეიძინა და ის, ვინც ტყეში მანქანით ელოდება, — ამბობს თ. წერეთელი, — ისჯებიან არა იმიტომ, რომ ამსრულებელმა ჩაიდინა მკვლელობა და ამსრულებელია ამაში დამნაშავე, არამედ იმიტომ, რომ მათი საკუთარი მოქმედება იყო მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან და რომ ისინი თუმცა ითვალისწინებდნენ თავიანთ ქმედობათა მიზეზობრივ ხასიათს, მაგრამ მაინც შეგნებულად უწყობდნენ ხელს დანაშაულის ჩადენას“¹⁵. მ. კოვალიოვიც ასევე შენიშნავს, რომ „ყველა თანამონაწილე ნამდვილად პასუხს აგებს იმ დანაშაულებრივი შედეგისათვის, რომელიც უშუალოდ ამსრულებლის მიერაა მიყენებული, მაგრამ ისინი ამსრულებლის მეშვეობით თვითონაც მონაწილეობდნენ მის განხორციელებაში, განზრახული ჰქონდათ დანაშაულებრივი გზით მიეღწიათ ამ შედეგისათვის. ამსრულებლის მოქმედებაში მათი ფიზიკური და სულიერი ენერჯიის ნაწილიცაა ჩაქსოვილი, ამიტომაც დანაშაული მათი ერთობლივი შეცდომების ნაყოფია, რომელმაც საბოლოო ანგარიშით თავი მოიყარა ამსრუ-

¹⁴ П. И. Гришаев, Г. А. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, М., 1959, с. 17; М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, № 1, с. 89; უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 27.

¹⁵ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 12.

ლებლის მოქმედებაში¹⁶. ასეთი დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან. „საფუძვლების“ მე-17 მუხლში ლაპარაკია ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობაზე დანაშაულის ჩადენაში. იბადება კითხვა: განა შეიძლება სხვისი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეწოდოს სხვასთან ერთობლივ მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში? ამის შემდეგ ადვილია იმის დამტკიცებაც, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს საკუთარი ბრალისათვის; თუ სხვისი მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეს ობიექტური წვლილი შეაქვს, მისი ბრალიც სწორედ ამ ობიექტური წვლილის მიხედვით განისაზღვრება. „...ყველა თანამონაწილე არის მონაწილე საერთო ბრალისა, — ამბობს ა. კოვალისკი.— მაგრამ ისინი პასუხს აგებენ არა სხვისი, არამედ ერთობლივი მოქმედებისათვის და თავისი საკუთარი ბრალის ფარგლებში“¹⁷.

აქცესორული თეორიის ძირითადი დებულება — არ არის თანამონაწილეობა ამსრულებლის გარეშე — ლიტერატურაში ზოგჯერ არასწორი ინტერპრეტაციის საგნად იქცევა ხოლმე. სახელდობრ, მიუთითებენ, თითქოს ეს ნიშნავდეს თანამონაწილის პასუხისმგებლობის სრულ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე, თითქოს თანამონაწილის სასჯელის ზომის განსაზღვრა ხდებოდეს ამსრულებლის სასჯელის მიხედვით. აქედან დასკვნა: თანამონაწილემ პასუხი უნდა აგოს ამსრულებლის ექსცესისთვისაც. მაშასადამე, აქცესორობის პრინციპს ობიექტურ შერაცხვამდე მიეყვართ.¹⁸ მაგრამ ეს პრინციპი სრულიადაც არ გულისხმობს თანამონაწილის სასჯელის განსაზღვრას ამსრულებლის სასჯელის მიხედვით. ამსრულებლის ექსცესის შერაცხვას თანამონაწილისათვის აქცესორობის ყველაზე უკიდურესი სახის ჰიპერაქცესორული თეორიის წარმომადგენელსაც კი ვერ ვუსაყვედურებთ. ვერ ვუსაყვედურებთ იმიტომ, რომ ექსცესის საკითხი, უპირველეს ყოვლისა, ბრალის საკითხია და ამიტომაც ის ბრალის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს. თანამონაწილეს შეერაცხება მხოლოდ ის გარემოებები, რაც მას გათვალისწინებული ჰქონდა. თუ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს საზოგადოდ, ის თანაბრად შეეხება როგორც ამსრულებელს, ისე თანამონაწილეს და ამ პრინციპის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს ამსრულებლის ექსცესის

¹⁶ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть вторая, Свердловск, 1962, с. 148.

¹⁷ მ. კოვალისკი, იქვე.

¹⁸ П. И. Гришаев, Г. А. Кригер, Соучастие по уголовному праву, М., 1959, с. 172.

საკითხი თანამონაწილეობის დროს როგორც აქცესორული თეორიის მომხრემ, ისე მისმა მოწინააღმდეგემ. თანამონაწილის სასჯელის ზომა არა თუ დამოკიდებული არ არის ამსრულებლის სასჯელის ზომაზე, პირიქით, თანამონაწილის დასჯადობისათვის მნიშვნელობა არა აქვს ამსრულებლის დასჯადობის ფაქტს. თანამონაწილის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას ვერ დაედება საფუძვლად ის გარემოება, რომ დანაშაულის ამსრულებელი ვერ დადგინდა, ან დადგენილი კი იქნა, მაგრამ ვერ შეიპყრეს, გარდაიცვალა, ეპატია სასჯელი და სხვ. და მაინც თანამონაწილეობა აქცესორულია თავისი ბუნებით, რაც გულისხმობს ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას და არა იმას, დაისაჯა თუ არა იგი სინამდვილეში!¹⁹

აქცესორული თეორიის თანმიმდევრული მოწინააღმდეგეების აზრით, თანამონაწილის მოქმედებას ამსრულებლის მოქმედებისაგან სრულიად დამოუკიდებელი იურიდიული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. თანამონაწილის პასუხისმგებლობის შესაძლებლობაზე არ უნდა იმოქმედოს იმ გარემოებამ, თუ რას აკეთებს ან რას ფიქრობს ამსრულებელი, — წერს მ. შარგოროდსკი.²⁰ განსაკუთრებით დაწვრილებით ამ საკითხზე ჩერდება უ. კობიაშვილი. იგი თანამონაწილის მოქმედებას ამსრულებლის მოქმედებისაგან მოწყვეტილად განიხილავს და დასძენს, რომ მას შემდეგ, რაც თანამონაწილემ დაასრულა თავისი წინასწარგანზრახული (преднамеренный) მოქმედება, ცვლილებანი, რომელიც მოვლენათა შემდგომ განვითარებაში მოხდა და მასზე დამოკიდებული არ იყო, ვერ იმოქმედებს თანამონაწილის პასუხისმგებლობაზე. თუ, მაგალითად, ა-მა წააქეზა ბ-ნი მკვლელობისათვის, ბ-მა ესროლა, მაგრამ დააცილა, ა-მა პასუხი უნდა აგოს არა მკვლელობის მცდელობაში მონაწილეობისათვის, არამედ როგორც მკვლელობის თანამონაწილემ და მისი ქმედობა დაკვალიფიცირდება რსფსრ სსკ 17—102 (103) მ.მ.) საქართველოს სსრ სსკ 19—104 (105) მ. მ.), ე. ი. მცდელობის მუხლზე მიუთითებლად. ეს იმიტომ, რომ თანამონაწილემ, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთა, მოვლენათა შემდგომი მსვლელობა კი მასზე დამოკიდებული არ იყო.²¹ მაგრამ თუ წამქეზებელზე აღარ იყო და-

¹⁹ М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, часть вторая, Свердловск, 1962, с. 144.

²⁰ М. Д. Ш а р г о р д с к и й, Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, № 1, с. 89.

²¹ У. Л. К о б и а ш в и л и, К вопросу о приготовления к преступлению и покушении на преступление при соучастии, «Правоведение», 1963, № 3, с. 149; მ ი ს ი ვ ე, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 27.

მოკიდებული ის, რაც წაქეზების შემდეგ მოხდა, კერძოდ, ის გარემოება, რომ ამსრულებელმა დააცილა მსხვერპლს, ვერ გაამართლებს წამქეზებელს, მაშინ უნდა ვიყოთ თანმიმდევარი და ასევე ვიმსჯელოთ ამსრულებლის მიმართაც. განა ამსრულებელზე კი იყო დამოკიდებული ის, რაც გასროლის შემდეგ მოხდა? ამსრულებლის მოქმედებაც ხომ მაშინ დამთავრდა, როცა მან ჩახმახს თითი გამოჰკრა. მოვლენათა შემდგომი მსვლელობა, სახელდობრ ის, რომ ტყვია სხვადასხვა მიზნების გამო გადაიხარა ან მსხვერპლმა სრულიად შემთხვევით გვერდზე გადაინაცვლა და სხვ., ხომ აღარ იყო დამოკიდებული ამსრულებელზე. ამ ლოგიკით ამსრულებელიც დამთავრებული მკვლელობისათვის უნდა დავსაჯოთ (?).

თანამონაწილის პასუხისმგებლობა მკვლელობის მუხლზე მიუთითებლად იმას ნიშნავს, რომ მან პასუხი უნდა აგოს დამთავრებულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. მაგრამ როგორ შეიძლება ინდივიდმა პასუხი აგოს დამთავრებული დანაშაულისათვის, როცა დანაშაული ფაქტიურად არ დამთავრებულა?²² ამ დებულებას ვერ აბათილებს ის აზრი, თითქოს ამსრულებლის ექცევის დროსაც თანამონაწილე ამსრულებლის მიერ ფაქტიურად ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის კი არ აგებს პასუხს, არამედ იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც მას თავდაპირველად განზრახული ჰქონდა. თუ ა-მა წააქეზა ბ-ი ქურდობისათვის, ბ-მა კი ყაჩაღობა ჩაიდინა, წამქეზებელი პასუხს აგებს ქურდობაში თანამონაწილეობისათვის, თუმცა ამ შემთხვევაში დამთავრებული ქურდობა კი არა, საერთოდ არ ყოფილა ჩადენილი ასეთი დანაშაული²³. ეს შემთხვევა სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილია რაოდენობრივი ექსცეისის სახელწოდებით. ქურდობა და ყაჩაღობა ერთგვაროვანი დანაშაულებია. თუ ამსრულებელმა ქურდობის ნაცვლად ყაჩაღობა ჩაიდინა, წამქეზებელი მარტო იმიტომ კი არ აგებს პასუხს დამთავრებული ქურდობისათვის, რომ მას ქურდობა ჰქონდა განზრახული, არამედ იმიტომაც, რომ ყაჩაღობა თავისთავად უკვე შეიცავს ქურდობის ნიშნებს. „...რამდენადაც ერთგვაროვან უფრო მძიმე დანაშაულში, — წერს თ. წერეთელი, — მოცემულია ამავე გვარის უფრო მსუბუქი დანაშაულის ნიშნები, რომელიც თანამონაწილის მიერ გათვალისწინებული იყო, იგი

²² თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 78.

²³ У. Л. К о б н а ш в и л и, Вопросу о приготовлении к преступлению и покушении на преступление при соучастии, «Правоведение», 1963, № 3, с. 149.

პასუხს აგებს ამ უფრო მსუბუქ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის²⁴. ამიტომ თქმა იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში თანამონაწილე პასუხს აგებს ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც „საერთოდ არ იყო ჩადენილი“, არ შეესაბამება სინამდვილეს.

სხვაგვარად გადაწყდებოდა საკითხი, ამსრულებელს რომ ქურდობის ნაცვლად ყაჩაღობა კი არა, მკვლელობა ჩადენა (ე. წ. „თვისობრივი ექსცესი“). გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქურდობა ჩადენილი არ ყოფილა, თანამონაწილენი „...პასუხს აგებენ ამ დანაშაულის მომზადებისათვის“²⁵ ირკვევა, რომ თანამონაწილის პასუხისმგებლობის საკითხის სწორად გადაწყვეტა შეუძლებელია ფაქტიურად მომხდარის გათვალისწინების გარეშე.

აქამდე საუბარი გვქონდა ისეთ შემთხვევებზე, როცა თანამონაწილემ დაასრულა თავისი მოქმედება და ამსრულებლის მეშვეობით დასაბამი მისცა მიზეზობრივი ჯაჭვის შემდგომ განვითარებას. როგორც დავინახეთ, თანამონაწილეობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიას არ შეუძლია მოგვეცეს მსგავსი შემთხვევების სწორი იურიდიული კვალიფიკაცია. ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა თანამონაწილემ ვერ შესძლო თავისი მოქმედების ბოლომდე მიყვანა ან დაასრულა ეს მოქმედება, მაგრამ ამსრულებელზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა და ამიტომ მიზეზობრივი ჯაჭვი მისთვის სასურველი მიმართულებით არ განვითარებულა. სისხლის სამართლის თეორიაში ეს შემთხვევები ცნობილია უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების სახელწოდებით. წამქეზებელმა ვერ შესძლო მომავალი ამსრულებლის დაყოლიება, ვერ აღუძრა მას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება ანდა ამსრულებელს უკვე წაქეზებამდე ჰქონდა მიღებული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. დამხმარემ ვერ შექმნა დანაშაულის ჩადენის ხელსაყრელი პირობები და სხვ. სისხლის სამართლის თეორიაში და სასამართლო პრაქტიკაში მსგავსი ქმედებები კვალიფიცირდება დანაშაულის მომზადებად. აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეებს არ მიაჩნიათ სწორად ეს კვალიფიკაცია და მოითხოვენ, რომ უშედეგო წაქეზება და უშედეგო დახმარება დაკვალიფიცირდეს არა როგორც იმ დანაშაულის ჩადენის მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც თანამონაწილე-

²⁴ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 201—202.

²⁵ თ. წერეთელი, იქვე, გვ. 201.

ებს განზრახული ჰქონდათ, არამედ როგორც თანამონაწილეობის მცდელობა (?)²⁶. ამისათვის მათ შემოიღეს ხელოვნური ცნება თანამონაწილეობის კონკრეტული შემადგენლობისა, რომელიც თითქოს თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში გაითვალისწინა.²⁷ ცნობილია, რომ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობები (მკვლელობა, ქურდობა, გაუპატიურება და სხვა) მოცემულია კოდექსის კერძო ნაწილში. რაც შეეხება ზოგადი ნაწილის მუხლებს, მათ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებისაგან დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვთ და ამ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაც (და მით უმეტეს მცდელობა) შეუძლებელია. მაინც საინტერესოა, რა განსაკუთრებული თვისებების გამო გადაიტანა კანონმდებელმა თანამონაწილეობა კოდექსის ზოგად ნაწილში? თანამონაწილეობა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობა კი არ არის, არამედ იგი დანაშაულის გამოვლინების განსაკუთრებული ფორმაა. მკვლელობა შეიძლება ჩაიდინოს როგორც ერთმა პირმა ერთპიროვნულად, ისე რამდენიმე პირმა თანამონაწილეობით, მაგრამ წარმოუდგენელია თვითონ თანამონაწილეობის ჩადენა. „...თანამონაწილეობა და მცდელობა, — წერს ვ. სოლნარეი, — არ წარმოადგენენ სპეციალურ დანაშაულებს, დანაშაულებრივია თანამონაწილეობა დანაშაულში ან დანაშაულის ჩადენის მცდელობა“²⁸.

ა. სანტალოვის აზრით, უშედეგო წაქეზების და უშედეგო დაზარების მოსამზადებელ მოქმედებად დაკვალიფიცირებას ერთი გარემოება უშლის ხელს. საქმე ისაა, რომ დანაშაულის მომზადების სუბიექტს უნდა ჰქონდეს ყველა ის ნიშანი, რომელიც კოდექსის კერძო ნაწილში დანაშაულის ამსრულებლისათვის არის დადგენილი. მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ დროს, — განაგრძობს იგი, — როცა არასამხედრო აქეზებდა სამხედრო პირს დანაშაულის ჩასადენად, უცხოელი — სამშობლოს ლალატის ჩასადენად და სხვ. ასეთ

²⁶ А. И. С а н т а л о в, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, «Правоведение», 1960, № 1, с. 104; У. Л. К о б и а ш в и л и, К вопросу о приготовлении к преступлению и покушении на преступление при соучастии, «Правоведение», 1963, № 3, с. 151.

²⁷ У. Л. К о б и а ш в и л и, К вопросу о приготовлении к преступлению и покушении на преступление при соучастии, «Правоведение», 1963, № 3, с. 152.

²⁸ В. С о л н а р ж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической республики, М., 1962, с. 40; თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 69.

წამქეზებელს პასუხისგებაში ვერ მიეცემთ იმიტომ, რომ მას არ გააჩნია სპეციალური სუბიექტის ნიშნები, რაც სამხედრო დანაშაულის ან სამშობლოს დასაცემის ამსრულებელს უნდა ჰქონდეს კანონის ძალით. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით ასეთ აბსურდულ დებულებას: არასამხედრო პირი ემზადებოდა დეზერტირობის ჩასადენად, არათანამდებობის პირი — სამსახურებრივი სიყალბის ჩასადენად და სხვ. ამიტომ იგი გამოსავალს იმაში ხედავს, რომ წინადადებას იძლევა ეწოდოს ასეთ შემთხვევას თანამონაწილეობის მცდელობა (?) და დაკვალიფიციირდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19—17 მუხლებით²⁹ და განსაკუთრებული ნაწილის შესატყვისი მუხლით³⁰.

როგორც ვხედავთ, ა. სანტალოვის უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების იურიდიულ კვალიფიკაციაში არსებითად ცვლილება არ შეაქვს. ძირითადი აქცენტი მას საკითხის ტერმინოლოგიურ მხარეზე გადააქვს. ზემოთ უკვე ითქვა, რომ თანამონაწილეობა დანაშაული არ არის, ამიტომ მისი მცდელობაც არ შეიძლება. ა. სანტალოვი უდავოდ სწორია, როცა ამტკიცებს, რომ დანაშაულის მომზადების სუბიექტს უნდა გააჩნდეს ყველა ის ნიშანი, რაც კოდექსის კერძო ნაწილში დანაშაულის ამსრულებლისათვის არის დადგენილი. მაგრამ ეს ვრცელდება მხოლოდ დანაშაულის უშუალო ამსრულებელზე და არა თანამონაწილეზე. დანაშაულის მომზადების სუბიექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოეთხოვება აღქურვილი იყოს ამსრულებლისათვის კანონით დადგენილი ნიშნებით, თუ იგი თვითონ უშუალოდ (ან ყოველ შემთხვევაში „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით) აპირებს ამ შემადგენლობის განხორციელებას. რასაკვირველია, არ იქნებოდა მართებული დაგვეშვა, თითქოს არასამხედრო პირს შეუძლია მოემზადოს დეზერტირობის უშუალოდ ჩასადენად, არათანამდებობის პირს — სამსახურებრივი სიყალბის უშუალოდ ჩასადენად და სხვ. მაგრამ სრულიადაც არ იქნება აბსურდი, თუ ვიტყვით, რომ არასამხედრო პირი ემზადებოდა სამხედრო პირის მეშვეობით დეზერტირობის შემადგენლობის განსახორციელებლად და სხვა. კოდექსის ზოგად ნაწილში თანამონაწილეობის მუხლზე მითითებაც სწორედ ამას ემსახურება. კვალიფიკაცია — მე-17—19 და კერძო ნაწილის შესატყვისი მუხლი, რომელსაც ა. სანტალოვი გვთავაზობს, ნიშნავს, რომ ადგილი

²⁹ იგულისხმება რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19—17 მმ.

³⁰ А. И. С а н т а л о в, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, «Правоведение», 1960, № 1, с. 104.

აქვს მომზადებას (მ. 17) თანამონაწილის მიერ (მ. 19) კოდექსის კერძო ნაწილში მოცემული დანაშაულის ჩასადენად. კანონის თანახმად მოსამზადებელ მოქმედებად ჩაითვლება „...პირობების... განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად“ (საფუძვლების მე-15 მ.). თუ ეს ასეა, მაშინ სულაც არ არის გამორიცხული, რომ არასპეციალურმა სუბიექტმაც შექმნას განზრახ რაიმე პირობა, რომელიც საშუალებას მისცემს მომავალ ამსრულებელს განახორციელოს სპეციალური შემადგენლობა (კერძო პირმა აღუთქვა სამხედრო მსახურს თავშესაფარი დეზერტირობის შემთხვევაში და სხვ.). თავისთავად აღებული, უშედეგო წაქეზება თავისუფლად შეგვიძლია განვიხილოთ ისეთ პირობად, რომელიც დანაშაულის მომზადების სტადიას შეადგენს, თუმცა ასეთი მომზადება საბოლოო შედეგს მეტად დაცილებულია. ა. სანტალოვის მოსაზრება იმიტომაცაა უსაფუძვლო, რომ უშედეგო წაქეზება მოსალოდნელია არა მარტო არასპეციალური, არამედ სპეციალური სუბიექტის მხრივაც. თუ ერთი სამხედრო მსახური უშედეგოდ აქეზებს მეორეს დეზერტირობისათვის, აქ, მისი აზრით, არავითარი უხერხულობა არ იქმნება, რადგან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხედრო მსახური ემზადებოდა დეზერტირობის ჩასადენად. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ აქეზებდა. თვითონ ხომ არც ერთი არ აპირებდა ამ დანაშაულის ჩადენას. პირიქით, ისინი სხვას აქეზებდნენ. დანაშაულის მომზადებელი მოქმედება ჯერ კიდევ არ არის შემადგენლობის ბირთვი, ჯერ კიდევ არ არის შემადგენლობის განხორციელება. ამიტომ ამ მოქმედების ჩადენა შეუძლია ყოველ სუბიექტს — როგორც სპეციალურს, ისე არასპეციალურს.

სხვაგვარად წყვეტს ამ საკითხს მ. კოვალიოვი. იგი ეთანხმება ა. სანტალოვის დებულებას, რომლის თანახმად დანაშაულის მომზადების სუბიექტს უნდა ახასიათებდეს ყველა ის ნიშანი, რომელიც ამ დანაშაულის ამსრულებლობისათვის კანონით არის დადგენილი: მაგრამ, მისი აზრით, ასეთი მოქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს თანამონაწილეობის მცდელობად და პირი უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო. თუ ამსრულებელი თანახმა არ არის ჩაიდინოს დანაშაული, მაშინ არც არასპეციალურ სუბიექტს შეუძლია ამ დანაშაულის უშუალოდ ჩადენა. ამიტომ მისი მოქმედება მოკლებულია საზოგადოებრივ საშიშროებას³¹.

მაგრამ უშედეგო წაქეზების საზოგადოებრივი საშიშროება არ

³¹ М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. II, с. 184—185.

უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, შეუძლია თუ არა წამქეზებელს თვითონ განახორციელოს შემადგენლობა ამსრულებლის უარის შემთხვევაში. უშედეგო დახმარების საზოგადოებრივ საშიშროებას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ამსრულებელს, თუნდაც სპეციალურ სუბიექტს, შეეძლო უარი არ ეთქვა წამქეზებლის წინადადებაზე და ჩაედინა დანაშაული.

ერთ-ერთი ძირითადი საბუთი, რომლითაც ცდილობენ შეარყიონ აქცესორობის პრინციპი, მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილე ყოველთვის არ ასრულებს იმავე შემადგენლობას, რასაც ამსრულებელი ასრულებს და ამიტომაც ადგილი აქვს მათი ქმედობების სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციას. ამით თითქოს მტკიცდება თანამონაწილეობის დამოუკიდებელი, არააქცესორული ბუნება. თანამონაწილეობა რომ აქცესორული ბუნების იყოს, მაშინ თანამონაწილეებსაც ყოველთვის იმავე მუხლით უნდა ეგოთ პასუხი, რომლითაც პასუხს აგებს ამსრულებელი.³² აქცესორული თეორიის მომხრენი მართლაც უკავშირებენ თანამონაწილის ქმედობის კვალიფიკაციას ამსრულებლის ქმედობის კვალიფიკაციას. მაგრამ ამავე დროს უშვებენ გამონაკლისს საერთო წესიდან და ამბობენ, რომ ზოგჯერ გვხვდება სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციის შემთხვევა. თუმცა ეს გარემოება აქცესორობას არ ეწინააღმდეგება.

სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაცია რომ ზოგჯერ აუცილებელი ხდება, ამაზე თვალის დახუჭვა, რასაკვირველია, უაზრობა იქნებოდა. სხვა საკითხია, რამდენად არყევს იგი აქცესორობის პრინციპს და იძლევა თუ არა მყარ საფუძველს საწინააღმდეგო თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ვთქვათ, მკვლელობის ამსრულებელი რეციდივისტია, წამქეზებელი კი არა. ამსრულებლის მოქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლის 9 პუნქტით, წამქეზებლისა კი ამავე კოდექსის 105 მუხლით. რას აძლევს ეს ფაქტი აქცესორობის მოწინააღმდეგეებს? არაფერს. აქ მთავარი ის კი არ არის, რომ მათი ქმედობების კვალიფიკაცია სხვადასხვა მუხლებით ხდება. არსებითი და გადამწყვეტია ის, რომ ადგილი ჰქონდა მკვლელობაში თანამონაწილეობას: როგორც 104, ისე 105 მუხლში უმართლობის ერთი და იგივე ტიპი — მკვლელობაა მოცემული. ორივე მუხლის შინაარსი

³² М. Д. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, изд. Ленинградского университета, 1955, с. 135—136; უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 30—31.

სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობაში გამოიხატება. მათ შორის სხვაობა შეეხება არა შინაარსობრივ მხარეს, არა მკვლევლობის ზემართლობის დამაფუძნებელ გარემოებებს, არამედ ზოგიერთ ისეთ გარემოებას (ორი ან მეტი პირის მკვლევლობა, განზრახ მკვლევლობა, ჩადენილი რეციდივისტის მიერ და სხვა), რომელსაც კანონმდებელი გაძლიერებულ სასჯელს უკავშირებს. თანამონაწილეობისათვის არსებითია ერთი უმართლობის განხორციელება ყველა თანამონაწილის მიერ. სადაც ეს კანონზომიერება დარღვეულია, იქ თანამონაწილეობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ვერ დავასახელებთ თანამონაწილეობის ვერც ერთ შემთხვევას, რომ წამქეზებლის მიერ ჩადენილი ქმედობა სხვა იურიდიული შინაარსისა იყოს, ამსრულებლისა კი სხვა შინაარსის. ეს ობიექტური კანონზომიერებაა, რომელსაც ერთი ტიპის დელიქტის სხვადასხვა მუხლებში ჩამოყალიბების ფაქტი ვერ შეცვლის. ამიტომ არის, რომ ცალკეულ მონაწილეთა მიერ ჩადენილი ქმედობების სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციის დროს თანამონაწილეობასთან გვექნება საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მონაწილის მიერ ჩადენილია ერთი დანაშაული, ე. ი. ერთი და იგივე ტიპის უმართლობა. აქცესორობაც სწორედ ამ ერთ დანაშაულში მონაწილეობით გამოიხატება.

რომ სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციის დროს თანამონაწილეობის ბუნება არ იცვლება, ვინაიდან ყველა მონაწილე მატერიალურად ერთსა და იმავე შინაარსის ქმედობას ახორციელებს, ეს მომენტი განსაკუთრებული სიმკვეთრით აქვს ხაზგასმული აქცესორული თეორიის ისეთ მოწინააღმდეგეს, როგორც იყო ა. ტრაინინი. „თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა ერთი და იგივე დანაშაულისათვის, — ამბობს ა. ტრაინინი, — არ გამოიხატება დამსჯელი ნორმის ერთიანობის ფორმალური ნიშნით. ეს პასუხისმგებლობა გამოიხატება იმ დანაშაულის მატერიალური ერთგვაროვნობით, რომლისთვისაც პასუხი უნდა აგოს ყოველმა თანამონაწილემ—მატერიალური ერთგვაროვნობით და არა შემადგენლობათა იგივეობით“³³. როგორც ვხედავთ, ა. ტრაინინმაც კი, რომელიც აქცესორულ თეორიას არ იზიარებდა, ვერ შესძლო გვერდის ავლა იმ უდავო ფაქტისათვის, რომ მთავარია მატერიალურად ერთგვაროვანი დელიქტის ტიპი, რომელსაც თანამონაწილენი უნდა ახორციელებდნენ, თუნდაც იგი კოდექსის რამდენიმე მუხლში იყოს მოცემული.

³³ А. Н. Т р а и н и н, Общее учение о составе преступления, М., 1957. с. 288.

თანამონაწილეობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპის თანმიმდევრულად გატარება ბევრ შემთხვევაში დაუძლეველი სიძნელეების წინაშე დააყენებდა ჩვენს სასამართლო პრაქტიკას. ჯერ ერთი, თანამონაწილეობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის აღიარება ფაქტიურად ამ ინსტიტუტის გაუქმებას უდრის. თანამონაწილის მოქმედებას რომ დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ ინდივიდი თანამონაწილე კი არა, ამ დამოუკიდებელი დელიქტის ამსრულებელი იქნება. ამით კი წაიშლებოდა ზღვარი თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის.

მეორეც ის, რომ ამ პრინციპზე დაყრდნობით ბევრი დამნაშავე დაიძვრენდა თავს პასუხისმგებლობიდან. მაგალითად, როგორ უნდა დავაკვალიფიციროთ დამხმარის მოქმედება, თუ მას არა აქვს სხვისი ნივთის მითვისების მიზანი,—ეს კონსტიტუციური ელემენტი ქურდობის და ზოგიერთი სხვა ქონებრივი დანაშაულის შემადგენლობისა,—მაგრამ იცის, რომ ამ მიზნით მოქმედებს უშუალო ამსრულებელი, რომელსაც იგი ეხმარება? როგორ შეიძლება ჩიოთვალოს ის ქურდობის თანამონაწილედ, თუ ამსრულებლის მოქმედებას, მის მიზანს არა აქვს მისთვის იურიდიული მნიშვნელობა? მაგრამ თუ ქურდობის თანამონაწილედ არ ჩავთვლით, მაშინ როგორღა ვაგებინოთ მას პასუხი! ცხადია, მოქმედი კანონმდებლობით იგი არ უნდა დაგვესაჯა, ვინაიდან ასეთი დამხმარის მოქმედება ამსრულებლის ქმედობის გარეშე იურიდიულად უშინაარსო ცნებაა. რჩება მხოლოდ ერთი გზა პასუხისმგებლობის დასაბუთებისა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პასუხისმგებლობის საფუძველი ინდივიდის მიერ დანაშაულებრივი ნების გამოვლინებაში უნდა ვეძიოთ. ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ აქცესორობის პრინციპის უარყოფა არსებითად სოციოლოგიური სკოლის პოზიციაზე დადგომას ნიშნავს.

როგორც ცნობილია, აქცესორული თეორიის მომხრეებს ამ თეორიის მოწინააღმდეგე კრიმინალისტები პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის უგულვებელყოფას უსაყვედურებენ. სინამდვილეში ეს საყვედური უსაფუძვლოა. აქცესორობის მოთხოვნა პროგრესული მოთხოვნაა და, პირიქით, სწორედ მისი უგულვებელყოფა მოასწავებს პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის დარღვევას. ეს რომ ასეა, ამას უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების იურიდიული ანალიზიც ნათლად მოწმობს. გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად უშედეგო წაქეზება და უშედეგო დახმარება დანაშაულის მომზადებად უნდა დაკვალიფი-

ცირდეს. ეს დასკვნა თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარეობს და იგი სრულ შესატყვისობაშია პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპთან, ვინაიდან წამქეზებლისა და დამხმარის პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმის მიხედვით, რაც მათ ფაქტიურად გააკეთეს. მაგრამ თუ ვიტყვით, რომ თანამონაწილის „...მოქმედების იურიდიული შინაარსი არ იცვლება იმით, შესძლო ამსრულებელმა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოახერხა ეს“³⁴, მაშინ უმედეგო თანამონაწილეობაც ისევე უნდა დავაკვალიფიციროთ, როგორც შედეგიანი, ე. ვ. გავუთანაბროთ იმ შემთხვევას, როდესაც ამსრულებელმა მიაღწია იმ მიზანს, რომლისკენაც თანამონაწილე ისწრაფვოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინდივიდს პასუხისმგებლობა დავაკისროთ იმისათვის, რაც მას ფაქტიურად არ გაუკეთებია. აი ნათელი მაგალითი პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის უგულვებელყოფისა! განა შეიძლება ისევე დავსაჯოთ ის წამქეზებელი, რომელმაც ვერასგზით ვერ მოახერხა სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად, როგორც დავსჯით იმას, ვინც დასახული მიზანი ამსრულებლის მეშვეობით ბოლომდე განახორციელა? რით შეიძლება გავამართლოთ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ასეთი ნიველირება? ფაქტიურად აქ უგულვებელყოფილია ქმედობის, როგორც გარეგანი მომენტის, მნიშვნელობა პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის და ძირითადი აქცენტი გადატანილია მოქმედის შინაგან, სუბიექტურ მხარეზე, ნების წარმართვაზე განსაზღვრული მიმართულებით, რაც უცხოა და შეუთავსებელი მოქმედი საბჭოური სისხლის სამართლისათვის. ამიტომ არის, რომ აქცესორული თეორიის უარყოფიდან ერთი ნაბიჯია სოციოლოგიური სკოლის პრინციპების აღიარებამდე.

აქცესორული თეორიის უარყოფა გამოუვალი სირთულის წინაშე დაგვადგინებდა სპეციალურ დელიქტებში არასპეციალური სუბიექტის თანამონაწილეობის კვალიფიკაციის დროს. როგორ დავასაბუთოთ სამოქალაქო პირის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა სამხედრო დანაშაულში თანამონაწილეობის დროს? რა შემადგენლობას ახორციელებს, მაგალითად, მაროდერობის წამქეზებელი სამოქალაქო პირი? გადაჭრით უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია დავასაბუთოთ არასპეციალური სუბიექტის პასუხისმგებლობა სპეციალურ დელიქტებში თანამონაწილეობისათვის, თუ ამსრულებ-

³⁴ უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 27.

ლის მოქმედებას არ მიეცემთ მნიშვნელობას თანამონაწილის მოქმედების იურიდიული შეფასებისათვის, ე. ი. თუ არ გავიზიარებთ აქცესორობის პრინციპს. საქართველოს სსრ-ის სსკ 284 მუხლით ისჯება მაროდერობა, ე. ი. ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ნივთების გატაცება. ამ დანაშაულის ამსრულებელი აუცილებლად სამხედრო მსახური უნდა იყოს. თუ ამსრულებელი სამოქალაქო პირია, ე. ი. თუ ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ნივთებს გაიტაცებს არასპეციალური სუბიექტი, მაშინ მაროდერობა კი არა, ქურდობა ან ძარცვა გვექნება და ქმედობაც შესაბამისად დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ-ის სსკ 150 ან 151 მუხლით. ამიტომ თანამონაწილის ქმედობის კვალიფიკაციაც დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედობის კვალიფიკაციაზე. თუ სამოქალაქო პირი აქეზებდა სამხედრო პირს ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ნივთების გასატაცებლად, იგი პასუხს აგებს მაროდერობაში თანამონაწილეობისათვის, ვინაიდან ამსრულებელმა მაროდერობა ჩაიდინა, ხოლო თუ ამსრულებელიც სამოქალაქო პირი იყო, ჩადენილია ქურდობა ან ძარცვა და წამქეზებელიც პასუხს აგებს ამ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

ყოველივე ზემოთქმულს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, დანაშაულის თანამონაწილე ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მონაწილეა. მაშასადამე ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც ამსრულებლობის, ისე თანამონაწილეობის ფორმით. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ დანაშაულის სუბიექტის ორი სახე: ამსრულებელი და თანამონაწილე. ამსრულებელი და თანამონაწილე სახეობრივი ცნებებია, რომლებიც დანაშაულის სუბიექტის გვაროვნულ ცნებაში ერთიანდებიან. რადგან დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც ამსრულებლობის, ისე თანამონაწილეობის ფორმით, აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა კრიტერიუმით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის დროს.

§ 2. თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის ბუნებრივი თეორიები

ამსრულებლობის საკითხს ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ა. ფოიერბახის დროიდან მოყოლებული, მის გარშემო ძალზე ბევრი ითქვა და დაიწერა. განსაკუთრებით ვრცელი ლიტერატურა შეიქმნა გერმანულ ენაზე.

მაგრამ ამ საკითხზე დღემდე არ არის შემუშავებული ერთიანი თვალსაზრისი და იგი კვლავინდებურად დიდ დავასა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. არსებობს ორი ძირითადი მიმდინარეობა, რომელთა ირგვლივაც ჩგუფდებიან ცალკეული შეხედულებანი. ავტორთა ერთი ნაწილი მომხრეა ამსრულებლობის ეგრეთ წოდებული ექსტენსიური ცნებისა, ხოლო მეორე ნაწილი ამსრულებლის რესტრიქციულ ცნებას აღიარებს³⁵. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კამათი მიმდინარეობს იმის გამო, ობიექტურ სფეროში, ე. ი. მოქმედების ხასიათში უნდა ვეძიოთ განსხვავება ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის, თუ მოქმედის ფსიქიკაში, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაში დანაშაულებრივ შედეგთან.

1. ამსრულებლის ექსტენსიური ცნება, დასავლეთგერმანელი კრიმინალისტიკის ი. ბაუმანის მოსწრებული გამოთქმა რომ ვინმე-როთ, მიზეზობრიობის ექვივალენტური თეორიის პირმშოა³⁶. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის მეორე ნახევარში გერმანელმა კრიმინალისტმა ბურიმ შეიმუშავა მიზეზობრიობის ექვივალენტური, ანუ როგორც ამბობენ, პირობათა თანასწორფასოვნების თეორია, რომლის თანახმად, ყველა პირობა, რომლებმაც განსაზღვრული შედეგი გამოიწვია, თანასწორფასოვანია³⁷. შეუძლებელია რომელიმე მათგანის გამოყოფა და მისთვის რაიმე უპირატესობის მინიჭება. თუ გვინდა, რომ დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი ორ მოვლენას შორის, უნდა გამოვავლინოთ ის ძალები, რომლებმაც მოცემული მოვლენის წარმოშობას შეუწყო ხელი. მაგრამ ასევე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ყოველი ცალკეული პირობა შეიძლება ჭანხილული იქნეს როგორც მიზეზი მოვლენისა, რადგან ერთ-ერთი მათგანიც რომ არ ყოფილიყო, ეს მოვლენა მთლიანად არ დადგებოდა. ყველა პირობა რომ თანაბარი კაუზალური მნიშვნელობისაა, ეს დასკვნა ამ თეორიის დამცველთა აზრით, შედეგის გაუყოფადობის იდეას ემყარება. ვინაიდან შედეგი გაუყოფადია, დასძენენ ისინი, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთმა პირობამ შედეგის დი-

³⁵ გამოთქმა ამსრულებლის „ექსტენსიური“ და „რესტრიქციული“ ცნება ვუთენის გერმანელ იურისტს ციბერლს (იხ. I. B a u m a n n: Strafrecht, Allg. Teil, 2. Auf., Bielefeld, 1961, S. 431).

³⁶ I. B a u m a n n, Strafrecht, Allg. Teil, 2. Auf., Bielefeld, 1961, S. 442.

³⁷ დაწვრილებით ამ თეორიის შესახებ იხ. Т. В. Ц е р е т е л и, Причинная связь в уголовном праве, 2-ое изд., М., 1963, гл. II, § 2; თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, გ. ტ ყ ე შ ე ლ ი ა ძ ე, მოძღვრება დანაშაულზე, „მეცნიერება“, 1969, გვ. 202—221.

დი ნაწილი გამოიწვია, მეორემ კი უფრო მცირე ნაწილი, ან ერთმა პირობამ მეტად შეუწყო ხელი შედეგის დადგომას, მეორემ კი ნაკლებად. ბურის აზრით, „უარი უნდა ვთქვათ შედეგის გაყოფადობის პრინციპზე და ვაღიაროთ, რომ თითოეული ძალა იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იყო მისი ზემოქმედება, იწვევს მთელ შედეგს მთლიანად“³⁸.

მიზეზობრივი კავშირის ამგვარი გაგებიდან გერმანელმა კრიმინალისტებმა ის უცილობელი ლოგიკური დასკვნა გამოიტანეს, რომ შეუძლებელია თანამონაწილეთა ცალკეული სახეების გამიჯვნა ობიექტური ნიშნის მიხედვით მოხდეს.³⁹

მართლაც, თუ შედეგის გამომწვევი ყველა პირობა თანასწორფასოვანია (ექვივალენტურია), მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლება რაიმე ზღვარის გავლებაზე თანამონაწილესა და ამსრულებელს შორის მათ მიერ ჩადენილი მოქმედებების ხასიათის მიხედვით. ის, ვინც წააქეზა ან ვინც რჩევა-დარიგება მისცა დამნაშავეს, არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული. ყოველი მათგანის მოქმედება არის *conditio sine qua non* შედეგისა და არცერთი ამ მოქმედებათაგანი არ შეიძლება გამოირჩეოდეს სხვებისაგან რაიმე ინტენსიობით. ამ მსჯელობიდან ცხადია, რომ ყოველი პირი, რომლის მოქმედება იყო აუცილებელი პირობა შედეგისა, თანაბრად შეიძლება ჩაითვალოს ამსრულებლად.

ის გარემოება, რომ ობიექტურ სფეროში ვერ მოხერხდა განმასხვავებელი ნიშნის გამოძებნა, გახდა მიზეზი თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის წარმოშობისა. სუბიექტური თეორიის მომხრეები განმასხვავებელ ნიშანს მოქმედის ნების ინტენსიობაში, დანაშაულებრივი შედეგისადმი მის სუბიექტურ დამოკიდებულებაში ეძებენ. ამსრულებელია ის, ვისაც სურს ქმედობა, „როგორც საკუთარი“ (*animus auctoris*), ხოლო თანამონაწილეს სურს ხელი შეუწყოს (დამხმარე) ან გამოიწვიოს სხვისი ქმედობა (წამქეზებელი) (*animus socii*). ამსრულებელს აქვს სურვილი—ამბობს ი. ბაუმანი—იყოს ქმედობის ავტორი (*Urheber*), განსაზღვროს და წარმართოს ქმედობის აღსრულება. თანამსრულებელია ის, ვინც მონაწილეობდა ქმედობის აღსრულებაში საკუთარი დასჯადი ქმედობის ჩადე-

³⁸ ციტატა ამოღებულია თ. წერეთლის და გ. ტყეშელაძის წიგნიდან „მოძღვრება დანაშაულზე“, „მეცნიერება“, თბ., 1969, გვ. 214.

³⁹ ამ საკითხზე დაწერილებით იხ. Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, М., 1963, изд. 2-ое, с. 89; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 93.

ნის სურვილით მაშინაც კი, როცა მისი მოქმედება ობიექტურად მეორეხარისხოვანი იყო. დამხმარედ ჩაითვლება ის, ვინც მოქმედებდა სხვისი დასჯადი ქმედობის მხარდაჭერის სურვილით იმ შემთხვევაშიც, როცა პირმა მნიშვნელოვანი სააღსრულებო მოქმედება ჩაიღინა. ამ დებულების საილუსტრაციოდ ი. ბაუმანს ასეთი მაგალითი მოაქვს: ა-მ გატეხა ბინა, ბ-მ გამოძებნა იარაღი ბინის გასატეხად, გ. იდგა გარეთ მეთვალყურედ. იმ საკითხის გადასაწყვეტად, ჩაითვლებიან ბ. და გ. თანამსრულებლებად თუ დამხმარეებად, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა ჩადენილი მოქმედებების ხასიათი, არამედ მოქმედთა ნების მიმართულება. თუ ბ-სა და გ-ს ჰქონდათ სურვილი საკუთარი დასჯადი ქმედობის ჩადენისა (*animus auctoris*), მაშინ ისინი თანამსრულებლები იქნებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლებიან დამხმარეებად. სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მეთვალყურედ დგომა ბინის გატეხვას უთანაბრდება⁴⁰. უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისის მართო თეორეტიკოსები როდი იზიარებდნენ და იზიარებენ ამჟამადაც დასავლეთ გერმანიაში, არამედ მან დიდი გამოყენება. ჰპოვა აგრეთვე სასამართლო პრაქტიკაში. კერძოდ, ამ გზით მიდიოდა გერმანიის საიმპერიო სასამართლოს პრაქტიკა და ამავე გზას ადგას ახლა დასავლეთ გერმანიის ფედერაციული ტრიბუნალი.

სუბიექტური თეორია ვერ გვაძლევს რაიმე მყარ კრიტერიუმს, რომლითაც შეიძლებოდა ზღვარის გავლება თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის. საკუთარი და სხვისი დასჯადი ქმედობის ბუნდოვანი ცნებების შემოტანით ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო აბუნდოვანებს და გაურკვეველს ხდის ამ საკითხს. ამსრულებელია ის, ვისაც სურს ქმედობა, როგორც საკუთარი, ამბობენ ამ თვალსაზრისის დამცველები. მაგრამ რა იგულისხმება სურვილში? ვის სურს ქმედობა, როგორც საკუთარი? გერმანიის საიმპერიო სასამართლო *animus*-ის ფორმულას შემდეგნაირად განმარტავდა: ამსრულებელია ის, ვინც დაინტერესებულია შედეგით, ხოლო თანამონაწილეს ასეთი რამ არ ახასიათებს. იგი მოქმედებს სხვისი ინტერესისათვის. ინტერესის თეორია განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული საიმპერიო სასამართლოს ერთ-ერთ განაჩენში (74, 85). სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოც ეს განაჩენია გამოტანილი, ფართო განხილვის საგნად იქცა და ლიტე-

⁴⁰ I. Baumann, Strafrecht, Allg. Teil, 2. Auf., Bielefeld, S. 429. იხ. აგრეთვე Kohlrusch-Lange, Strafgesetzbuch, 43, Auf., Berlin, 1961, S. 173.

რატურაში შევიდა სააბაზანოს შემთხვევის (Badewannefall) სახელწოდებით. დედას სურდა ახალშობილის აბაზანაში დახრჩობა. იმის გამო, რომ თვითონ ამის გაკეთება არ შეეძლო, მან დახმარება სთხოვა თავის დას, რომელმაც ბავშვი საკუთარი ხელით დააბრჩო. საიმპერიო სასამართლომ ბავშვის დეიდა, ვინც საკუთარი ხელით ჩაიდინა მკვლელობა, ჩასთვალა დამხმარედ, ხოლო დედა—მკვლელობის ამსრულებლად, ვინაიდან მხოლოდ ის იყო დაინტერესებული საბოლოო შედეგით, დეიდა კი მოქმედებდა მისი ინტერესისათვის⁴¹.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინტერესის ცნება მეტად შედარებითი ცნებაა, ნათელი გახდება ამ თვალსაზრისის უსუსურობა. მოტანილ მაგალითში საბოლოო შედეგით; ე. ი. ბავშვის დახრჩობით დაინტერესებული იყო არა მარტო დედა, არამედ დეიდაც. სხვა საკითხია, რომ დეიდის დაინტერესება დაფუძნებული იყო და გამომდინარეობდა დედის ინტერესებიდან. მაგრამ ამით ხომ ინტერესის ცნება არ იცვლება! სამართლიანად შენიშნავდა ამის გამო ნ. ტაგანცევი, რომ დაქირავებული მკვლელი ისევე ანბორციელებს პირად ინტერესს, როგორც ის პირი, ვინც პირადი შურისძიებით ან ექვიანობით მოქმედებდა⁴².

სუბიექტური თეორიის აქილევსის ქუსლია აგრეთვე სპეციალური შემადგენლობები და ე. წ. საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტები (პატიმრობიდან გაქცევა, დეზერტირობა, საზღვარგარეთ უკანონოდ წასვლა და სხვა). როგორც ცნობილია, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი აუცილებლად თანამდებობის პირი უნდა იყოს. საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტების არსებითი ნიშანია ის, რომ სუბიექტი შემადგენლობას უშუალოდ თვითონ აბორციელებს — თვითონ გარბის პატიმრობიდან, პირადად ეს განსაზღვრული პირი ტოვებს ნაწილს (დეზერტირობა) და სხვა; მაგრამ სუბიექტური თეორიის მიხედვით ყველაფერი თავდაყირა დგება. თუ ამსრულებლობისათვის, როგორც ამ თეორიის დამცველები ამტკიცებენ, არსებითია ნების წარმართვა გარკვეული მიმართულებით, მაშინ კერძო პირი, რომელიც ხელს უწყობს თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენას, თუ იგი დაინტერესებული იყო ამ დანაშაულის შედეგით, უნდა ჩაითვალოს მის ამსრულებლად⁴³. ასევე დეზერტი-

⁴¹ მაგალითი ამოღებულია ი. ბუჟანის დასახელებული სახელმძღვანელოდან, (იხ. გვ. 443).

⁴² Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, С. Петербург, 1902, с. 762.

⁴³ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 96.

რობის წამქეზებელი ან ხელის შემწყობი კერძო პირი უნდა ჩაითვალოს დეზერტირობის შემადგენლობის ამსრულებლად, ხოლო ის სამხედრო მსახური, ვინც წამქეზებლის დაინტერესებით დატოვა სამხედრო ნაწილი, განიხილება დამხმარედ.

სუბიექტური თეორიის უსუსურობა კიდევ უფრო ნათლად მჟღავნდება იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება მკვლელობას მსხვერპლის თხოვნით. გამოდის, რომ პირი მკვლელობის ამსრულებლად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან იგი ახორციელებდა სხვის (მსხვერპლის) ინტერესს⁴⁴.

მაგრამ სუბიექტური თეორიის ნაკლი მართო ზემოთქმულით როდი ამოიწურება. როგორც ცნობილია, დანაშაულის შემადგენლობა ობიექტური კატეგორიაა. შემადგენლობის ბირთვი ადამიანის გარეგანი ქცევაა. ამსრულებლობა — იქნება ეს ერთპიროვნული ამსრულებლობა, თუ ამსრულებლობა თანამონაწილეობის დროს, ყოველთვის გულისხმობს იმ გარეგანი ქცევის ჩადენას, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება. ეს არის პრინციპი *nullum crimen sine lege*, რომლის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე პროგრესული სისხლის სამართალი. ამსრულებლობის ობიექტური ცნების უარყოფა და საკითხის გადაწყვეტის სუბიექტურ სფეროში გადატანა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს სისხლის სამართლის ამ კონსტიტუციური პრინციპის უარყოფას. აქ ყველაფერი სუბიექტურ სფეროში ტრიალებს. მთავარი და გადამწყვეტია ნების წარმართვა გარკვეული მიმართულებით, შედეგით დაინტერესება (ამსრულებელი) ან სხვისი ქმედობის მხარდაჭერის სურვილი (დამხმარე). ეს ნიშნავს აღიარებას რეაქციული სოციოლოგიური სკოლის იმ ძირითადი პრინციპისა, რომლის თანახმად ისჯება პიროვნება და არა ქმედობა.

2. თანამონაწილეობის სუბიექტურ თეორიას ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში უპირისპირდება მეორე დიდი მიმდინარეობა, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ამსრულებლობის რესტრიქციულ ცნებას აღიარებს. ამსრულებლის რესტრიქციული ცნების მომხრეები განსხვავებას ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის ობიექტურ სფეროში ეძებენ. ობიექტური თეორია სუბიექტურ თეორიაზე უფრო ძველი წარმოშობისაა. იგი სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის შემქმნელის ა. ფოიერბახის სახელთან არის

⁴⁴ R. M a u r a c h, Deutsches Strafrecht, Allg. Teil, 3. Auf., Karlsruhe, 1965, S. 555.

დაკავშირებული. ა. ფოიერბახი განასხვავებდა შედეგის წარმოშობის მთავარ და მეორეხარისხოვან მიზეზებს. ამ თეორიის თანახმად ამსრულებელია ის, ვისი მოქმედებაც წარმოადგენს საკმარის მიზეზს დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობისათვის, სულერთია უშუალოდ ამ პირის მოქმედებამ გამოიწვია ეს შედეგი, თუ იგი გაშუალებული იყო სხვისი მოქმედებით. უშუალო მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან იმ პირის მოქმედებაა, რომელმაც თვითონ ფიზიკურად ჩაიდინა დანაშაული (ამსრულებელი ვიწრო აზრით). შუალობით მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან შეიძლება იყოს 1. წამქეზებელი (პირდაპირ — შუალობითი ანუ ინტელექტუალური ამსრულებელი) და 2. დამხმარე, რომელმაც წინასწარი განზრახვით მოახდინა დაბრკოლებათა თავიდან აცილება, რომლის გარეშე ან საერთოდ შეუძლებელია დანაშაულის ბოლომდე მიყვანა ანდა შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით (არაპირდაპირ — უშუალო ამსრულებელი, მთავარი დამხმარე).

რაც შეეხება დამხმარის მოქმედებას, იგი თუმცა თავისთავად არ წარმოშობს შედეგს, მაგრამ ქმნის მხოლოდ მისი განხორციელების პირობას⁴⁵.

თანამონაწილეობის ფოიერბახისეული თეორია, რომელსაც გერმანულ ლიტერატურაში ფორმალურ-ობიექტურ თეორიას უწოდებენ, შემდგომში მიზეზობრივი კავშირის სხვაგვარი გაგების კვალობაზე, დაწუნებული და უარყოფილი იქნა. მას შემდეგ, რაც გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა მიზეზობრიობის ექვივალენტურმა თეორიამ, ზემოხსენებულ თვალსაზრისსაც საფუძველი გამოეცალა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ექვივალენტური თეორია არ ანსხვავებს ერთმანეთისაგან მიზეზსა და პირობას. მისთვის შედეგის წარმოშობის მიზეზია ყველა ის პირობა ერთად აღებული, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთიც რომ არ ყოფილიყო, შედეგი მთლიანად არ დადგებოდა. აქედან დასკვნა, რომ ობიექტურ სფეროში შეუძლებელია განმასხვავებელი ნიშნის მოძებნა.

მაგრამ ფორმალურ-ობიექტური თვალსაზრისი საბოლოოდ უარყოფილი მაინც არ ყოფილა. შემდეგში ამ თვალსაზრისს ავითარებდნენ ე. ბელინგი, მ. მაიერი, ე. მეცგერი და სხვ., თუმცა მათი არგუმენტაცია განსხვავდება ა. ფოიერბახის არგუმენტაციისაგან. მაგალითად, ფორმალურ-ობიექტური თეორიის ერთ-ერთი

⁴⁵ А. Фейербах, Уголовное право, С. Петербург, 1810, с. 42—43.

წარმომადგენელი — გერმანელი ბურჟუაზიული კრიმინალისტი ე. მეცგერი, რომელიც ფილოსოფიური თვალსაზრისით სწორად ცნობს მიზეზობრიობის ექვივალენტურ თეორიას, აღნიშნავს, რომ: „...კაუზალური თანასწორფასოვნება არ ნიშნავს ამავე დროს ღირებულებათა იურიდიულ გათანაბრებას“⁴⁶. იქ, სადაც კაუზალობის იდეა, — განაგრძობს მსჯელობას ე. მეცგერი, — ყველაფერს ერთ-სიბრტყეზე ათავსებს და, მაშასადამე, ერთგვაროვნად აფასებს, ემოციურ-შეფასებითი იდეა განსხვავებას აკეთებს. მართალია კაუზალობის ექვივალენტურ თეორიაზე დაყრდნობით ვერ გავაკეთებთ დასკვნას, თუ ვინ ჩაითვლება ამსრულებლად და ვინ თანაონაწილედ, მაგრამ ასეთი რამ საეხებით შესაძლებელია ცალკეულ მონაწილეთა მიერ ჩადენილი მოქმედებების იურიდიული შეფასებით და რადგანაც ცალკეულ მოქმედებათა განსხვავების დროს წმინდა იურიდიულ შეფასებასთან გვაქვს საქმე, ამიტომ ასეთი განსხვავება მხოლოდ პოზიტიური სამართლის თვალსაზრისით შეიძლება გაკეთდეს. ამრიგად, თანამონაწილეთა ცალკეული სახეების განსხვავება არ ემყარება არც საგანთა ბუნებას (wesen der Sache) და არც კაუზალობის იდეას⁴⁷. თანამონაწილეობის ცნება „თავიდან ბოლომდე კანონის პროდუქტიაო“ — ამბობდა ამ თეორიის მეორე წარმომადგენელი მ. ე. მაიერი⁴⁸.

ფორმალურ-ობიექტური თეორიის ის ნაირსახეობა, რომელიც აქ იყო გადმოცემული, კიდევ უფრო ნაკლებ დამაკმაყოფილებელია. ე. მეცგერი არ არის თანმიმდევარი, როცა, ერთი მხრივ, პირობათა თანასწორფასოვნების იდეაზე დაყრდნობით აღიარებს, რომ ობიექტურ სფეროში შეუძლებელია განმასხვავებელი ნიშნის მოძებნა, ხოლო, მეორე მხრივ, არ ეთანხმება სუბიექტური თვალსაზრისის მომხრეებს და თანამონაწილეობის ცნების აგებას ობიექტურ საფუძველზე ცდილობს. თუმცა საბოლოოდ ამას მაინც ვერ ახერხებს, რადგან ყველაფერი ფორმალურ მომენტამდე დაჰყავს. ე. მეცგერი ამ საკითხში ტიპიური ნეოკანტიანელია. როგორც ცნობილია, ნეოკანტიანობისათვის დამახასიათებელია ფაქტიურისა და ნორმატიულის აბსოლუტური დაპირისპირება. მიზეზობრიობა, მისი წარმოდგენით, წმინდა ფაქტიურის სფეროს განეკუთვნება და

⁴⁶ E. Mezger, Strafrecht, 3. Auf., Berlin und München, 1949, S. 414.

⁴⁷ ე. მეცგერი, იქვე.

⁴⁸ M. E. Mayer, Der Allgemeine Teil des deutschen Strafrechts, Berlin, 1915, S. 388. ფორმალურ-ობიექტურ თეორიას ავითარებდა აგრეთვე ცნობილი რუსი კრიმინალისტი ნ. სერგეევსკი, იხ. მისი, Русское уголовное право. Пособие к лекциям, ч. общая, С. Петербург, 1908, с. 306, 308.

ამიტომ მის ყველა რგოლს (პირობას) ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. შედეგის წარმოქმნისათვის. მაგრამ ფაქტიურს (ე. ი. მიზეზობრივ კავშირს) უპირისპირდება კანონმდებლის შეფასება, რომელსაც შეაქვს გარკვეული წესრიგი შიშველი ფაქტების გროვაში და ზოგიერთ პირობას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს შედეგის წარმოქმნაში, ზოგიერთს კი ნაკლებს. ამრიგად, საკითხი, თუ ვინ ჩაითვლება ამსრულებლად და ვინ თანამონაწილედ, წმინდა საკანონმდებლო საკითხია, თანამონაწილეობის ცნება მხოლოდ და მხოლოდ „კანონის პროდუქტია“ და სხვა არაფერი. ეს მაგალითი არის ნათელი დადასტურება იმისა, თუ რა აბსურდულ დასკვნებამდე შეიძლება მიგვიყვანოს სინამდვილისადმი მიდგომის ნეოკანტიანურმა მეთოდმა. ე. მეცვერის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ თანამონაწილეობის ცნება არ არის ყოველგვარი მატერიალური შინაარსისაგან დაცლილი კატეგორია, იგი არ არის მხოლოდ „კანონის პროდუქტი“. „ჩვენ არ ვედავებით მეცვერს იმაში, — აღნიშნავს თ. წერეთელი, — რომ თანამონაწილეთა მოქმედება ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით ზუსტად უნდა იქნეს გამოიყნული. მაგრამ ამ ფორმალურ-იურიდიულ განსხვავებას სინამდვილეში საფუძვლად უდევს თანამონაწილეთა მოქმედების კაუზალური არათანასწორობა, რომლის წინააღმდეგ გამოდის მეცვერი, ვინაიდან იდეალისტურ კაუზალურ თეორიას ემყარება“⁴⁹.

4. აქამდე ვიხილავდი ამსრულებლის ექსტენსიურ და რესტრიქციულ ცნებას ანუ თანამონაწილეობის სუბიექტურ და ობიექტურ თეორიებს. მაგრამ ამ ტრადიციულ ცნებებს ბოლო დროს ერთგვარ კონკურენციას უწევს ე. წ. მატერიალურ-ობიექტური ცნება ამსრულებლობისა, რომელსაც ზოგჯერ ამსრულებლის ფინალურ-ობიექტურ ცნებასაც უწოდებენ⁵⁰. ფინალურ-ობიექტური თეორია, როგორც ამ სახელწოდებიდანაც ჩანს, ემყარება დასავლეთ გერმანიაში და მის ფარგლებს გარეთაც ფართოდ გავრცელებული ფინალური მოქმედების მოძღვრებას, რომლის მამამთავარია ბონის უნივერსიტეტის პროფესორი ჰ. ველცელი. ჰ. ველცელი და მისი მიმდევრები (ნიზე, ბუში, მაურახი და სხვ.), გამოდიან რა სისხლის სამართლის ძირითადი ცნებების ტრადიციული გაგების წინააღმდეგ, ფინალური მოქმედების ცნებაზე დაყრდნობით სისხლის სამართლის რადიკალურად განსხვავებულ სისტემას აგებენ. ჰ. ველცელი, უპირველეს ყოვლისა, ილაშქრებს კაუზალური

⁴⁹ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 101, ⁵⁰ R. M a u r a c h, Deutsches Strafrecht, Allg. Teil, 3. Auf., 1965, S. 557;

მოქმედების მოძღვრების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ამ მოძღვრების თანახმად, მოქმედების არსებითი ნიშანია წმინდა გარეგანი, კაუზალური მომენტი. ადამიანური მოქმედება ნებელობითი ქცევაა, რომელიც არის მიზეზი განსაზღვრული შედეგისა. რაც შეეხება ნების შინაარსს, ე. ი. იმას, ითვალისწინებდა თუ არა ინდივიდი იმ შედეგს, რომლის მიზეზი მისი მოქმედება იყო, ეს მოქმედების ცნებაში არ შედის. მოქმედებისათვის მთავარია, რომ რაღაც იყოს ნასურვები, მაგრამ ის საკითხი, თუ სახელდობრ, რა იყო ნასურვები, განიხილება უმართლობის მოძღვრებაში უმართლობის სუბიექტური ელემენტების ანალიზისას და ბრალის მოძღვრებაში ბრალის ფორმების — განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ანალიზის დროს⁵¹. ამის საწინააღმდეგოდ ჰ. ველცელი ამტკიცებს, რომ ადამიანური მოქმედების არსებითი ნიშანია არა კაუზალობა, არამედ ფინალობა. ადამიანური მოქმედება მიზანდასახული ქცევაა. „ფინალობა“ ანუ მიზანსწრაფულობა (Zweckhaftigkeit) მოქმედებისა ემყარება იმას, რომ ადამიანი თავისი კაუზალური ცოდნის საფუძველზე გარკვეული ზომით ითვალისწინებს საკუთარი მოქმედების შესაძლებელ შედეგებს, ისახავს სხვადასხვა მიზნებს და შეუძლია გეგმაზომიერად წარმართოს თავისი მოქმედება ამ მიზნების მისაღწევად. ფინალური მოქმედება არის მიზნით წარმართული მოღვაწეობა, მაშინ როდესაც წმინდა კაუზალური ხდომილება მიზნით წარმართული კი არ არის, არამედ მიზეზობრივი კომპონენტების შემთხვევითი დამთხვევის შედეგია. ამიტომაც ფინალობა, ხატოვანად რომ ვთქვათ, „თვალხილულია“, კაუზალობა კი „ბრმა“⁵².

ფინალური წარმართვა მოქმედებისა ორ საფეხურად ხორციელდება. პირველი საფეხური მთლიანად გონებრივ სფეროში მიმდინარეობს და მოიცავს შემდეგ მომენტებს: 1. მიზნის დასახვა; 2. საშუალებების შერჩევა ამ მიზნის მისაღწევად და 3. თანამდევი შედეგების (Nebenfolgen) გათვალისწინება. მიზნის დასახვისა და საშუალებების შერჩევის შემდეგ ადამიანი ითვალისწინებს იმ მოსალოდნელ შედეგებს, რომელთა მიღწევა მის მიზანს არ შეადგენს, მაგრამ რომლებიც შესაძლებელია მოჰყვეს მოქმედებას მოქმედის სურვილისაგან დამოუკიდებლად. ამიტომ თანამდევი შედე-

⁵¹ ასეთ შეხედულებას იზიარებს, მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტი მ. ე. ე. რ. ი. ი. მისი, *Moderne Wege der Strafrechtsdogmatik*, Berlin-München 1949, S. 12—13.

⁵² H. Welzel, *Das deutsche Strafrecht*, 9. Auf., Berlin, 1965, S. 29.

გების გათვალისწინების კვალობაზე ადამიანს შეუძლია ერთგვარად შეზღუდოს მანამდე შერჩეული საშუალებები ან დამატებით შეარჩიოს თანამდევნი შედეგების დადგომის შემაფერხებელი საწინააღმდეგო ფაქტორები ან მოქმედება სულაც ამ შედეგების საწინააღმდეგო მიმართულებით წარმართოს. მეორე მხრივ, შესაძლოა ადამიანმა თანამდევნი შედეგები სულაც მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში ჩართოს და ხელი არ შეუშალოს მათ დადგომას, ვინაიდან ეს შედეგები მის მიერ შერჩეულ საშუალებებს ან აუცილებლობით მოსდევს, ანდა არსებობს მათი დადგომის შესაძლებლობა⁵³.

მოქმედების ფინალური წარმართვის მეორე საფეხური უკვე რეალურ სამყაროში მიმდინარეობს. თუ ფინალური დეტერმინირება რეალურ სამყაროში სასურველ მიზანს ვერ მიაღწევს, მაგალითად, უკეთეს შედეგი რაიმე მიზეზის გამო არ დადგება, მაშინ შესაბამისი ფინალური ქცევა განიხილება როგორც მცდელობა⁵⁴.

ამრიგად, თუ კაუზალობა ბრმა პროცესია, თუ იგი მიზეზობრივი კომპონენტების შემთხვევითი დამთხვევის შედეგია, ფინალობა, პირიქით, ბრმა კაუზალობის შეცნობილი, გეგმაზომიერი წარმართვაა. ფინალისტების აზრით, ადამიანური მოქმედება გარეგანი, ბრმა კაუზალური ფაქტორების მიზნით დეტერმინირებაა. ამიტომ თუ კაუზალური მოქმედების მოძღვრების თანახმად არსებობს მოქმედება საზოგადოდ, როგორც ნებელობითი ქცევა, ფინალისტები ამბობენ, რომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ ნებით მოქმედებაზე საზოგადოდ, არამედ ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს კონკრეტულ მოქმედებასთან, მაგალითად, მკვლელობის მოქმედება, ჩუქება, ნივთის გატაცება და სხვ.

ამ დებულებაზე დაყრდნობით ფინალისტები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ განზრახვა არ არის ბრალის ფორმა, როგორც ეს ტრადიციულად დამკვიდრდა სისხლის სამართლის თეორიაში, არამედ იგი მოქმედების აუცილებელი კომპონენტია. განზრახვა მათ ესმით არა როგორც ბოროტი განზრახვა *dolus malus*, როგორც უარყოფითი ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი, არამედ გვთავაზობენ ბუნებრივი განზრახვის ცნებას, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი შეფასებისაგან. განზრახ მოქმედება, მათი აზრით, შეუძლია როგორც დამნაშავეს, ე. ი. შერაცხად პირს, ისე შერაცხვის უნარს მოკლებულსაც, რომელსაც ბრალი არ შეიძლება მიუქ-

⁵³ H. Welzel, მითითებული ნაშრომი, გვ. 30.

⁵⁴ იქვე, გვ. 31.

ლოდეს⁵⁵. უნდა აღინიშნოს, რომ ფინალური მოქმედების ცნება საფუძვლად ედება არა მარტო განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით დელიქტებსაც. ჰ. ველცელის აზრით, მოქმედება ყველა შემთხვევაში ფინალურია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თუ განზრახი დელიქტების შემადგენლობებში საქმე გვაქვს ისეთ მოქმედებებთან, რომელთა ფინალობა მიმართულია სოციალურად არასასურველ და, მაშასადამე, შემადგენლობის შესაბამის შედეგისაკენ, გაუფრთხილებლობით დელიქტების შემადგენლობებში, პირიქით, ფინალობა მიმართულია შემადგენლობისათვის ირელევანტური შედეგისაკენ.⁵⁶

ამრიგად, ყოველგვარი სუბიექტური მომენტი, სახელდობრ, განზრახვა და გაუფრთხილებლობა, რომლებიც ტრადიციული გაგებით ბრალის ფორმებად იყო მიჩნეული, ფინალისტებმა მოქმედების ცნებაში გადმოიტანეს, ხოლო აქედან ისინი მართლწინააღმდეგობის ძირითად კომპონენტებად აქციეს. თუმცა ფინალური თეორიის წარმომადგენლებს მართლწინააღმდეგობა ესმით, როგორც ობიექტური უარყოფითი მსჯელობა, როგორც შეფასება საერთო მასშტაბის, მთლიანად მართლწესრიგის თვალსაზრისით, მაგრამ ამ შეფასების საგანში ობიექტურ მომენტებთან ერთად სუბიექტური მომენტებიც შეაქვთ. ამდენად მართლწინააღმდეგობა ფინალური თეორიის მიხედვით არის პერსონალური უმართლობა.

რაც შეეხება ბრალს, იგი ყოველგვარი ფსიქოლოგიური მომენტებისაგან დაკლილ, წმინდა შეფასებით, ნორმატიულ ცნებად რჩება.

ასეთია მოკლედ არსი ფინალური თეორიისა, რომელიც საფუძვლად უდევს თანამონაწილეობის მატერიალურ-ობიექტურ ცნებას. როგორც უკვე ითქვა, ფინალისტები უპირისპირდებიან თანამონაწილეობის ტრადიციულ ობიექტურ და სუბიექტურ თეორიებს და ისევე, როგორც სხვა პრობლემატურ საკითხებში, ამ საკითხშიც ახალი გზის გაკაფვას ცდილობენ. მათი აზრით, აქამდე

⁵⁵ R. M a u r a c h, Deutsches Strafrecht, Allg. Teil, 3. Auf., Karlsruhe, 1965, S. 218—219.

⁵⁶ H. W e l z e l, Das deutsche Strafrecht, 9. Auf., Berlin, 1965, S. 116—117; R. M a u r a c h, Deutsche Strafrecht, Allg. Teil, 3. Auf. Karlsruhe, 1965, S. 157. თავის ადრინდელ ნაშრომებში ჰ. ველცელი გაუფრთხილებლობითი მოქმედების ფინალობას სხვაგვარად ასახულებდა. მისი წარმოდგენით, თუ განზრახი დელიქტებისათვის დამახასიათებელია აქტიური ფინალობა, გაუფრთხილებლობის დროს საქმე გვაქვს პოტენციურ ფინალობასთან. იხ. R. M a u r a c h, მითითებული ნაშრომი, გვ. 154.

არსებული ყველა თვალსაზრისი ან წმინდა ფორმალური მომენტებით იფარგლება, ან სუბიექტურ საფუძველზეა აგებული. ფინალური თეორია კი თანამონაწილეობას ამსრულებლობისაგან ობიექტურ-მატერიალური მომენტით მიჯნავს.

3. ველცელი კატეგორიულად უარყოფს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას და ამტკიცებს, რომ თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის ნათელი და ზუსტი ზღვარის გავლება მხოლოდ განზრახ დელიქტებშია შესაძლებელი⁵⁷. როგორც ვიცით, ფინალური მოქმედების მოძღვრების მიხედვით, მოქმედების არსებითი ნიშანია ბრმა კაუზალური ხდომილების მიზნით დეტერმინირება. ადამიანური მოქმედებისათვის დამახასიათებელია ბატონობა ბრმა კაუზალობაზე. აქედან გამომდინარე, 3. ველცელი აღნიშნავს, რომ ამსრულებლად ჩაითვლება ის, ვინც შემადგენლობის შესაბამისი შედეგისაკენ კაუზალური ხდომილების მიზანსწრაფული წარმართვის მეშვეობით ბატონობს შედეგის გამოწვევაზე („Herr über die Erfolgsherrbeiführung ist“). გარეგან ხდომილებაზე ფინალური ბატონობის ნიშნის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ამსრულებლის გამოყოფა თანამონაწილისაგან, რომელიც ან მხოლოდ ხელს უწყობს მოქმედებაზე ამსრულებლის ფინალურ ბატონობას, ანდა აღუძრავს მას ასეთი ბატონობის გადაწყვეტილებას⁵⁸.

3. ველცელის აზრით, ამსრულებლის ცნებას შემდეგი მომენტები განსაზღვრავენ:

1. ამსრულებლის გენერალური ნიშანი: ფინალური ბატონობა მოქმედებაზე (die Finale Tatherrschaft). მოქმედების ბატონ-პატრონია ის, ვინც მას თავისი კაუზალური ცოდნის საფუძველზე მიზანსწრაფულად ახორციელებს. ქმედობის ჩადენა გეგმაზომიერად წარმართული ნების მეშვეობით ხდის მოქმედს ქმედობის ბატონად. ამიტომ არის ნების ფინალური წარმართვა გენერალური მომენტი ამსრულებლობისა.

2. ამსრულებლის სპეციალური ნიშნები:

ა) ამსრულებლის სუბიექტურ-პერსონალური ნიშნები: სპეციალური მიზანი, სხვადასხვა მისწრაფებისა და განწყობის ფორმები, მაგალითად, მისაკუთრების მიზანი (§ 242) და სხვ.

ბ) ამსრულებლის ობიექტურ-პერსონალური ნიშნები: სპეციალური მოვალეობა, მაგალითად, თანამდებობის პირისა და სხვ.⁵⁹

⁵⁷ H. W e l z e l, Das deutsche Strafrecht, S. 90;

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე. S. 91;

ფინალური ბატონობა მოქმედებაზე ჰ. ველცელს მიაჩნია ამსრულებლობის ზოგად ნიშნად. რაც შეეხება პერსონალურ მომენტებს, მათ მხოლოდ მაშინ აქვთ მნიშვნელობა, როცა სპეციალურად არიან გათვალისწინებული შემადგენლობაში, მაგალითად, სპეციალური მოვალეობა თანამდებობრივ დანაშაულში და ა. შ.⁶⁰

მეორე ცნობილი ფინალისტის რ. მაურახის სიტყვით, მატერიალურ-ობიექტურ თეორიას ფორმალურ-ობიექტურ თეორიასთან საერთო ისა აქვს, რომ ეს უკანასკნელი პრინციპულად უარყოფს თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის განსხვავებას სუბიექტური ნიშნით და განსხვავებას ეძებს ობიექტურ ხდომილებაში, სხვადასხვა მონაწილეთა ძალების რეალურ განაწილებაში⁶¹. სამაგიეროდ, მატერიალურ-ობიექტური თეორია ფორმალურ-ობიექტური თეორიისაგან განსხვავდება მატერიალური ნიშნით. ეს ნიშანია ქმედობაზე ბატონობა (Tatherrschaft), რომელიც ახასიათებს მხოლოდ ამსრულებელს და არა თანამონაწილეს. თუმცა მოქმედებაზე ბატონობა შემადგენლობასთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებაა („ფორმალური, შემადგენლობასთან დაკავშირებული განსაზღვრება მოქმედებაზე ბატონობისა“), მაგრამ იგი ამასთანავე მატერიალური ცნებაც არის (მატერიალური განსაზღვრება ქმედობაზე ბატონობისა). ეს მატერიალური ნიშანი გამოიხატება ადამიანის მიერ „შემადგენლობის შესაბამისი ხდომილების ფინალურ წარმართვაში“⁶².

მოქმედებაზე ბატონობის დროს ადამიანს შეგნებული აქვს, რომ „ხელთ უპყრია (in den Händen halten) შემადგენლობის შესაბამისი ხდომილების მსვლელობა. მოქმედებაზე ბატონობს ყოველი თანამოქმედი, რომელსაც შესაძლებლობა აქვს საკუთარი ნებით შეაჩეროს ან ხელი შეუწყოს ერთობლივი შედეგის განხორციელებას“⁶³.

კიდევ უფრო აზუსტებს მოქმედებაზე ბატონობის ცნებას ვ. გალასი. თუ სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები მიზეზო-

⁶⁰ ჰ. ვ ე ლ ც ე ლ ი, იქვე.

⁶¹ R. M a u r a c h, Deutsches Strafrecht, Allg. Teil, 3. Auf. Karlsruhe, 1965, S. 557.

⁶² R. M a u r a c h, მითით. ნაშრომი, გვ. 558; მაურახი შენიშნავს, რომ მოქმედებაზე ბატონობის (Tatherrschaft) ცნება შეცნობიერებაში პირველად გაჩნდა XIX საუკუნის დასასრულს. მოქმედებაზე ბატონობის იდეის დამფუძნებლად თანამედროვე დოკტრინის აზრით ითვლება ლობე (1933 წ.). იხ. R. M a u r a c h, მით. ნაშრომი, გვ. 558.

⁶³ R. M a u r a c h, Deutsches Strafrecht, S. 559.

ბრიობის ექვივალენტურ თეორიას ეყრდნობიან, ვ. გალასი, პირიქით, თანამონაწილეთა სახეების გამიჯვნისას ცალკეულ მონაწილეთა მიერ ჩადენილი ქმედობის არათანასწორფასოვნების იდეიდან გამოდის. იგი თანამონაწილეთა ცალკეული სახეების გამიჯვნას საფუძვლად უდებს ადეკვატურ მიზეზობრიობას⁶⁴. მაგრამ მოქმედება მას ესმის არა როგორც კაუზალური ხდომილება, არამედ როგორც ფინალური აქტი. ამრიგად, თუ ფორმალურ-ობიექტურ თეორიას მხედველობაში აქვს მხოლოდ გარეგანი ხდომილება (საშიშროება შიშველი კაუზალური ჯაჭვისა), მატერიალურ-ობიექტური თეორია ამსრულებლობის დამაფუძნებელ ნიშანს ფინალური აქტის ფაქტიურ მნიშვნელობაში, ობიექტური და სუბიექტური მომენტების გამაერთიანებელ ხდომილებაში ეძებს⁶⁵. ვ. გალასის აზრით, ამსრულებლობა არის დანაშაულის თვითჩადენა (Selbstbegehung), თანამონაწილეობა პირიქით, ხელშეწყობა სხვისი ქმედობისათვის. აქედან გამომდინარე, ამსრულებლობა ნიშნავს ისეთ დამოკიდებულებას მოქმედისა მოქმედებისა და მისი შედეგისადმი, რომლის დროსაც მთელი მოქმედება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისი მოქმედება, ხოლო შედეგი — როგორც მისი ხელიდან გამომდინარე. მაგრამ ასეთ დამოკიდებულებას ადგილი ექნება მაშინ, როცა მოქმედს ვარგისი (შედეგის ადეკვატური) საშუალებების გეგმაზომიერი გამოყენების მეშვეობით „ხელთ უპყრია“ ქმედობა, როცა იგი „ბატონობს“ მის აღსრულებაზე შედეგის დადგომამდე, სულერთია თვითონ უშუალოდ სჩადის ამას თუ იყენებ სხვა პირს „შიშველ იარაღად“. ამით ხდება „ქმედობაზე ბატონობა“ ამსრულებლობის ფაქტიურ კრიტერიუმად, იმ საზომად, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონკრეტული ქცევა თავისი ჩადენის ხერხის მიხედვით აღსრულებითი მოქმედება არის⁶⁶.

როგორც ვხედავთ, მოქმედებაზე ფინალური ბატონობის ცნება არის ის მატერიალური ნიშანი, რომელიც, ფინალისტების აზრით, ამსრულებლობას განასხვავებს თანამონაწილეობისაგან. ამავე დროს ფინალისტები ცდილობენ, რომ მოქმედებაზე ბატონობის

⁶⁴ ამიტომ უსაფუძვლოა მ. კოვალოვის საყვედური, თითქოს ფინალისტები (კოვალოვის მხედველობაში ჰყავს სწორედ ვ. გალასი) მიზეზობრიობის ექვივალენტურ თეორიას ეყრდნობიან (М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. I, Свердловск, 1960, с. 144).

⁶⁵ W. G a l l a s, Die moderne Entwicklung der Begriffe Täterschaft und Teilnahme im Strafrecht. Gutachten für den VII. Internationalen Strafrechtskongress in Athen, in Beiträge zur Verbrechenslehre, Berlin, 1968, S. 138;

⁶⁶ W. G a l l a s, Die moderne Entwicklung der Begriffe Täterschaft und Teilnahme im Strafrecht, S. 138;

ცნება შემადგენლობის ცნებას მიუსადაგონ. ამით ისინი, ერთი მხრივ, თითქოს არ გამოდიან შემადგენლობის ფარგლებს გარეთ, ხოლო, მეორე მხრივ, არ იფარგლებიან მხოლოდ შემადგენლობის ფორმალური ცნებით და მის შიგნით კიდევ მატერიალურ ნიშანს უძებნენ.

ამ თეორიის კრიტიკული შეფასებისათვის, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, თუ რა დამოკიდებულებაშია მოქმედებაზე ბატონობის ნიშანი შემადგენლობის ნიშნებთან. როგორც ვიცით, პ. ველცელი მოქმედებაზე ფინალური ბატონობის ნიშანს ამსრულებლობის გენერალურ ნიშნად მიიჩნევს. გენერალური ნიშნის გარდა არსებობენ აგრეთვე პერსონალური ნიშნები, რომელთაც მხოლოდ მაშინ აქვთ მნიშვნელობა, როცა სპეციალურად არიან გათვალისწინებული შემადგენლობაში (სპეციალური სუბიექტის ნიშნები). იბადება კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს მოქმედებაზე ბატონობის ნიშანს სპეციალურ დელიქტებში. მაგალითად, ცნობილია, რომ თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი მხოლოდ თანამდებობის პირი შეიძლება იყოს, ე. ი. ის, ვისაც აქვს სპეციალური მოვალეობა გარკვეული მოქმედების შესრულებისა. საკმარისია თუ არა ეს ნიშანი, რომელსაც ველცელი ამსრულებლის ობიექტურ-პერსონალურ ნიშანს უწოდებს, იმისათვის, რათა პირი ამსრულებლად ვცნოთ, თუ აუცილებელია კიდევ ეამტიციოთ, რომ იგი ფინალურად ბატონობდა მოქმედებაზე. თუ ფინალური ბატონობა მოქმედებაზე, როგორც ამას პ. ველცელი ამტკიცებს, ამსრულებლის გენერალური ნიშანია, მაშინ მას ვერც სპეციალურ დელიქტებში ავუვლით გვერდს. გამოდის, რომ თანამდებობრივი დანაშაულის ამსრულებლად ჩაითვლება ის, ვინც არა შარტო ახორციელებს შემადგენლობას, არამედ ამავე დროს ფინალურად ბატონობს მოქმედებაზე. ამ ადგილას ფინალისტებმა ან უნდა აღიარონ, რომ შემადგენლობის განხორციელება თავისთავად უკვე ნიშნავს მოქმედებაზე ბატონობას ანდა უნდა გამოვიდნენ შემადგენლობის ფორმალური ცნების ფარგლებს გარეთ. პირველი გზა ფაქტიურად ნიშნავს იმ მატერიალურ ნიშანზე უარის თქმას, რომელიც მათ შემოაქვთ ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გასამიჯნავად, მეორე გზა კი არის უგულვებელყოფა პრინციპისა nullum crimen sine lege, რაც მიუღებელია პროგრესული სისხლის სამართლისათვის. ფინალური თეორიის ამ ნაკლს კარგად ხედავს ვ. გალასი. იგი იძულებულია შემოიტანოს შეფასებითი მომენტი მოქმედებაზე ბატონობის ცნებაში და დასძინოს, რომ „მიუხედავად მოქმედებაზე ფაქტიური ზეგავლენისა, „მოქმედების ბა-

ტონი“ არ არის და ამიტომაც არ ჩაითვლება ამსრულებლად (თუნდაც შუალობით ამსრულებლად) ის, ვისაც თვითონ არ შეუძლია განახორციელოს სპეციფიკური შინაარსის უმართლობა, როგორცაა, მაგალითად, კერძო პირი თანამდებობრივ დანაშაულში⁶⁷.

მოქმედებაზე ბატონობის ნიშნის უვარგისობა თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის გასამიჯნავად განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში. ამ საკითხს საგულდაგულოდ იხილავს ფინალური თეორიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი რიჰარდ ბუში. მისი აზრით, უკეთეს ამსრულებელი შეცდომის გამო განზრახვის გარეშე მოქმედებდა, მაშინ მისი ხელის შემწყობი არ ჩაითვლება დამხმარედ. თუ ხელშემწყობის პიროვნებაში მოცემულია ამსრულებლის ყველა ნიშანი, იგი პასუხს აგებს როგორც შუალობითი ამსრულებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუსჯელი დარჩება. ამ დებულების საილუსტრაციოდ რ. ბუშს სამი მაგალითი მოჰყავს. 1). სიბნელეში მდგარი ა-ნი ბ-მა გარეულ ცხოველად ჩათვალა და გადაწყვიტა იგი მოეკლა. გ-ნი მიხვდა მის შეცდომას და იარაღი მიაწოდა. გ-ნი ბატონობს მოქმედებაზე და აქვს მოქმედებაზე ბატონობის ნება. ამიტომ იგი პასუხს აგებს მკვლელობისათვის (შუალობითი ამსრულებელი). 2) ა-მა განიზრახა ჩაეცვა ბ-ს პალტო, რომელიც თავისი ეგონა. გ-მა, იცის რა ა-ს შეცდომა, ეხმარება მას. გ-ს არა აქვს მითვისების მიზანი, ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს ქურდობის შუალობითი ამსრულებელი. 3) ა-მა შეცდომით სქესობრივი კავშირი დაიჭირა თავის დასთან. ბ-მა, რომლისთვისაც ცნობილი იყო მათი ნათესაური დამოკიდებულება, განზრახ შექმნა ამისათვის ხელსაყრელი პირობები. ბ-ი არ ჩაითვლება შუალობით ამსრულებლად, ვინაიდან სისწლის აღრევა არის საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტი. რ. ბუშის აზრით, 2 და 3 შემთხვევაში ხელშემწყობი არ ბატონობს მოქმედებაზე⁶⁸.

ეს მსჯელობა მეტად უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუ ფინალური თეორიის მიხედვით ვიმსჯელებთ, მოქმედებაზე ბატონობის ფაქტი უნდა ვალიაროთ არა მარტო პირველ მაგალითში, არამედ დანარჩენ ორ მაგალითშიც. მაგრამ თუ რ. ბუში ასეთ დასკვნას არ აკეთებს, ეს იმიტომ, რომ მან მოქმედებაზე ბატონო-

⁶⁷ W. G a l l a s, Die moderne Entwicklung der Begriffe Täterschaft und Teilnahme im Strafrecht, Gutachten für den VII. Internationalen Strafrechtskongress in Athen, in Beiträge zur Verbrechenslehre, Berlin, 1968, S. 139;

⁶⁸ R. B u s c h, Moderne Wandlungen der Verbrechenslehre, Tübingen, 1949, S. 22—23;

ბის ნიშანი შემადგენლობის ნიშნების არსებობით ახსნა, რაც უინალისტების თვალსაზრისის სრულ წინააღმდეგობად უნდა ჩაიჩევალოს. ამას გარდა იქმნება ეგრეთ წოდებული მოჯადოებული წრე, როცა რ. ბუში, ერთი მხრივ, ამსრულებლის ცნებას განსაზღვრავს მოქმედებაზე ბატონობის ნიშნით, ხოლო, მეორე მხრივ, დასძენს, რომ მოქმედებაზე ბატონობს ის, ვის პიროვნებაშიც მოცემულია ამსრულებლის ყველა ნიშანიო.

ვ. გალასი უთუოდ სწორია, როცა ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის განმასხვავებელ ნიშანს, პირველ ყოვლისა, ობიექტურ სფეროში ეძებს. სუბიექტური თეორიის მომხრეებისაგან განსხვავებით, იგი მიზეზობრივი კომპონენტების არათანასწორფასოვნების იდეას ემყარება. მაგრამ რადგანაც მას მოქმედება ესმის არა როგორც კაუზალური ხდომილება, არამედ როგორც ფინალური აქტი, უკვე იქმნება საფრთხე ამსრულებლობის ცნების სუბიექტური გაგებისა. ვ. გალასი, როგორც ყველა ფინალისტი, განზრახვას მთლიანად მოქმედების ნიშნად მიიჩნევს. მოქმედებისათვის არსებითია არა ის, რომ იგი მიზეზია შედეგისა, არამედ მთავარი და გადამწყვეტია ის, თუ რა ჰქონდა მოქმედს მიზნად დასახული. ამის საილუსტრაციოდ იგი მიუთითებს ეგრეთ წოდებულ მოქმედების დელიქტებზე (მაგალითად, ცრუ ჩვენების მიცემა, ყალბი დოკუმენტის დამზადება და სხვა, სადაც ისჯება მხოლოდ მოქმედება, ე. წ. ფორმალური შემადგენლობები). აქედან ფინალისტები იმ დასკვნას აკეთებენ, რომ მთავარია მოქმედების და არა შედეგის გასაიციხობა. ამ დებულებას ავრცელებენ ისინი ე. წ. მატერიალურ (შედევთან) დელიქტებზეც (მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქონების დაზიანება და სხვა). ვ. გალასი აღნიშნავს, რომ განზრახ ჩადენილ შედეგიან დელიქტებშიც პასუხისმგებლობა უკავშირდება არა უბრალოდ შედეგის მიყენებას, არამედ იმ მოქმედებებს, რომლებიც ამ შედეგის მიყენებისაკენ იყვნენ მიმართულიო. მისი აზრით, მკვლელობა (განზრახ) არის ზოგადი ცნება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მსხვერპლის დაზარალებაში, ტყვიის სროლაში, დანის ჩარტყმაში და სხვ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განზრახი მკვლელობის დროს უკავშირდება სწორედ ამ მოქმედებების ჩადენას და არა უბრალოდ შედეგის მიყენებას, რომელსაც ადგილი აქვს გაუფრთხილებლობითი მკვლელობის დროს⁶⁹. მაგრამ თუ ეს ასეა, თუ განზრახ დელიქტებში, მა-

⁶⁹ W. G a l l a s, Die moderne Entwicklung der Begriffe Täterschaft und Teilnahme im Strafrecht. . . S. 137—138;

ტერიალური იქნებიან ისინი თუ ფორმალური, მთავარია არა შედეგის, არამედ მოქმედების გასაკიცხობა, მაშინ რაღა მნიშვნელობა აქვს კაუზალური ფაქტორების არათანასწორფასოვნებას ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გასამიჯნავად? შედეგის მიმართ ხომ როგორც თანამონაწილე, ისე ამსრულებელი ფინალურად მოქმედებს? კაუზალური ფაქტორების არათანასწორფასოვნების იდეას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა საქმე გვაქვს შედეგის მიყენებასთან, მაშასადამე, შედეგის და არა მარტო მოქმედების გასაკიცხობასთან.

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ფინალურ-ობიექტური თეორია, როგორც უკვე აღინიშნა ლიტერატურაში, არსებითად არ განსხვავდება ტრადიციული სუბიექტური თეორიისაგან⁷⁰. ის საკითხი, თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე თუ ამსრულებლობასთან — წერს რ. ბუში—ნების შინაარსის და, ამავე დროს, ნების განხორციელების საკითხია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკიდურესი სუბიექტურობით გამოწვეულ ჩავარდნებს, ეს არის საიმპერიო სასამართლოს პრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისი, რომელსაც, მიუხედავად არაერთი თავდასხმისა, მაინც იზიარებდნენ: „იგი (ლაპარაკია თანამონაწილეობის სუბიექტურ თეორიაზე, ო. გ.) თავის დოგმატურ გამართლებას ფინალური მოქმედების მოძღვრებაში პოულობს“⁷¹. სავსებით სწორად შენიშნავს ამის გამო მ. კოვალიოვი, რომ „დასავლეთში მოდად ქცეული ფინალური მოქმედების თეორია თანამონაწილეობის ინსტიტუტის მიმართ წარმოადგენს თანამონაწილეობის მოდერნიზებულ და გადასხვადებულ სუბიექტურ თეორიას, რომელიც „ფინალური მოქმედების“ უაღრესად ხელოვნური კატეგორიის წყალობით სურთ გაასაღონ „მატერიალურ-ობიექტურ“ თეორიად. მისი საშიშროება, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ იგივითომდა სხვა კონცეფციების მიერ დაშვებული უკიდურესობების შერიგებისა და შესწორების გზით პროპაგანდას უწევს რეაქტიულ შეხედულებებს დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტის არსის შესახებ“⁷².

⁷⁰ I. B a u t a n n, Strafrecht, Allg. Teil, 2. Auf., Bielefeld; 1961, S. 445; М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. I, Свердловск, 1960, с. 144; თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 108.

⁷¹ R. B u s c h, Moderne Wandlungen der Verbrechenlehre, Tübingen, 1949, S. 18.

⁷² М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. I, Свердловск, 1960, с. 145.

ფინალისტებს განზრახვა და გაუფრთხილებლობა მოქმედების ცნებაში გადააქვთ. ადამიანური მოქმედება, წმინდა კაუზალური ხდომილებისაგან განსხვავებით, მიზნით დეტერმინირებული, ფინალური აქტია. მოქმედების არსებითი ნიშანია მიზანი, ნების წარმართვა განსაზღვრული მიმართულებით და არა ის ცვლილება, რომელიც გარე სამყაროში ხდება. ერთი სიტყვით, მოქმედების ობიექტური ცნების ნაცვლად მივიღეთ მოქმედების სუბიექტური (ფინალური) ცნება. მოქმედების ცნების რადიკალურმა შეცვლამ სისხლის სამართლის ტრადიციული სისტემაზე თავდაყირა დააყენა. ბრალის ცნებას საბოლოოდ გამოეცალა ფსიქოლოგიური საფუძველი, ხოლო ობიექტური უმართლობის ადგილი პერსონალურმა უმართლობამ დაიკავა. უმართლობის განმსაზღვრელ მომენტად იქცა მოქმედის განწყობა (Gesinnung), მისი მიზანდასახულობა. ფინალისტების ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, მთავარია მოქმედების და არა შედეგის გასაკიცხაობა. ტრადიციულ სისტემაში ობიექტურ უმართლობას პერსონალური ბრალი შეესაბამება. ამ სისტემის მიხედვით თანამონაწილეობის ცნების აგება და აქცესორობის პრინციპის დასაბუთება ადვილი საქმეა. ამსრულებელი ობიექტურ უმართლობას ასრულებს, რომელშიც სხვები თანამონაწილეობენ. მაგრამ რაკი ბრალი პერსონალური კატეგორიაა, ამ ობიექტურ უმართლობაში ყველას თავისი საკუთარი ბრალი მიუძღვის. ფინალისტებმა სისხლის სამართლის ტრადიციული სისტემა შეცვალეს. ობიექტური უმართლობის ადგილას პერსონალური უმართლობა ჩასვეს, თუმცა თანამონაწილეობის ცნება იგივე დატოვეს. მათ უარი არ უთქვამთ აქცესორულ თეორიაზე⁷³. როგორც უკვე ვიცით, აქცესორობის უარყოფა თანამონაწილეობის ცნებაზე უარის თქმას ნიშნავს, მაგრამ, თავის მხრივ, აქცესორული თეორია პირდაპირ კავშირშია უმართლობის მოძღვრებასთან. თუ აქცესორობა გულისხმობს ერთი პირის მონაწილეობას მეორე პირის უმართლობაში, ეს იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც უმართლობა ობიექტური (არაპერსონალური) კატეგორიაა. მაგრამ თუ უმართლობას ობიექტურ კატეგორიად კი არა, პერსონალურ კატეგორიად მივიჩნევთ, აქცესორულ თეორიასაც საფუძველი გამოეცლება. პერსონალური უმართლობა იმას ნიშნავს, რომ თვითეული პირის მოქმედება პერსონალურად, მეორე პირის მოქმედებისაგან დამოუკიბლად უნდა შეფასდეს. თვითეული პირის მოქმედების დამოუკი-

⁷³ იხ. H. Welzel, Das deutsche Strafrecht, 9. Auf., Berlin, 1965, S. 101—104;

დებელი შეფასება კი თანამონაწილეობის ცნებაზე უარის თქმას იწინავს. ამიტომაც შეუძლებელია თანამონაწილეობის ცნება პერსონალურ უმართლობაზე აიგოს. ამ თვალსაზრისით ფინალური თეორია ფაქტიურად სოციოლოგიურ სკოლას ენათესავება.

§ 3 ამსრულებლობა და თანამონაწილეობა. საბჭოურ სისხლის სამართალში

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში თანამონაწილეობის სუბიექტურ თეორიას არასდროს არ ყოლია მომხრეები. ჩვენი კრიმინალისტები თანმიმდევრულად იცავენ იმ აზრს, რომ თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის გამიჯვნა მხოლოდ ობიექტურ სფეროშია შესაძლებელი. გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას. რაც შეეხება თანამონაწილეს, იგი დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს მხოლოდ ამსრულებლის მეშვეობით⁷⁴.

„დანაშაულის ამსრულებელი, — აღნიშნავს მ. კოვალიოვი, — ეს, უპირველეს ყოვლისა, არის პირი, რომელიც ასრულებს კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო თანამონაწილენი—ეს ისეთი პირებია, რომელთა მოქმედება არ წარმოადგენს შემადგენლობის შესრულებას, რა ინტენსიურიც არ უნდა იყოს თავისი ხასიათით ეს მოქმედება“⁷⁵. მაშასადამე, დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ შესრულება ის ობიექტური ნიშანია, რომლითაც ამსრულებლობა განსხვავდება თანამონაწილეობისაგან. ამსრულებლის ცნების ასეთი განსაზღვრება სავსებით სწორი და ლოგიკურია. მითუმეტეს, რომ საბჭოურ სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად აღიარებულია ინდივიდის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება.

ზოგიერთი ავტორი ამსრულებლობის ცნებას რატომღაც მხო-

⁷⁴ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 66.

⁷⁵ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 13; იხ. აგრეთვე, М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, с. 41; П. И. Гришаев, Г. А. Крингер, Соучастие по советскому уголовному праву, М., 1959, с. 137; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 109—117; Курс советского уголовного права, часть общая, I, 1968, с. 610—611; Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 135.

ლოდ თანამონაწილეობის ცნებას უკავშირებს და დაასკვნის, თითქოს ინდივიდურად მოქმედი არ შეიძლება იყოს ამსრულებელი. ეს შეხედულება პირველად ა. ტრაინინმა გამოთქვა. მისი სიტყვით, ამსრულებლობაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ თანამონაწილეობის დროს. „ამსრულებელი“, „დამხმარე“ და „წამქეზებელი“ შედარებითი ცნებებია. ისინი განსაზღვრავენ ერთმანეთს, როგორც სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი ერთიან თანამონაწილეობაში. ინდივიდურად მოქმედი ისევე არ შეიძლება იყოს ამსრულებელი, როგორც არ შეიძლება იყოს იგი „დამხმარე“ ან „წამქეზებელი“⁷⁶. ამ თვალსაზრისს თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს მ. კოვალიოვი. „დანაშაულის ამსრულებლის ცნება,—ამბობს იგი,—შედარებითი ცნებაა, იგი შეეხება მხოლოდ დანაშაულში თანამონაწილეობას, ვინაიდან შეუძლებელია ვილაპარაკოთ ამსრულებლობაზე, თუ დანაშაული ერთმა პირმა ჩაიდინა“⁷⁷. სულ ახლახან ასეთივე აზრი გამოთქვა თ. ბურჩაკმაც. მასაც მიაჩნია, რომ „დანაშაულის ამსრულებელი — შედარებითი ცნებაა. იგი იგულისხმება მხოლოდ თანამონაწილეობის დროს, ე. ი. ისეთ შემთხვევაში, როცა ამსრულებლის გვერდით მოქმედებენ სხვა პირებიც, რომლებიც ასრულებენ სხვაგვარ ფუნქციონალურ როლს. — ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარისას. თუ დანაშაულს სჩადის ერთი პირი, მისი როლისა და ფუნქციების საკითხი არ წამოიჭრება“⁷⁸.

რასაკვირველია, „თუ დანაშაულს ერთი პირი სჩადის, მისი როლისა და ფუნქციების საკითხი არ წამოიჭრება“, მაგრამ ეს გარემოება არ ადასტურებს ა. ტრაინინის დებულების სისწორეს, თითქოს ამსრულებლობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულში თანამონაწილეობის დროს, თითქოს შეუძლებელი იყოს ლაპარაკი ამსრულებლობაზე მაშინ, როცა დანაშაულს ერთი პირი სჩადის. თ. ბურჩაკის აზრით, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს უბრალოდ დანაშაულის სუბიექტთან და მეტი არაფერი⁷⁹. მაგრამ დანაშაულის სუბიექტი ხომ ეს იგივე ამსრულებელია, თუმცა სუბიექტის ცნება მთლიანად არ ემთხვევა ამსრულებლის ცნებას. პირველი უფრო ფართო ცნებაა მეორესთან შედარებით და გულისხმობს როგორც ამსრულებელს, ისე თანამონაწილეს. როცა დანაშაულს მხოლოდ ერთი პირი სჩადის, მაშინ დანაშაულის სუბიექტი — ეს იგი-

⁷⁶ А. Н. Т р а й н и н, Учение о соучастии, М., 1941, с. 104.

⁷⁷ М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 13.

⁷⁸ Ф. Г. Б у р ч а к, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 135.

⁷⁹ ი ქ ვ ე.

ვე დანაშაულის ამსრულებელია. თანამონაწილეობის დროს კი დანაშაულის იმდენივე სუბიექტი გვეყავს, რამდენი მონაწილეცაა, მხოლოდ ამ სუბიექტებიდან ზოგი ამსრულებელია, ზოგი—თანამონაწილე. ვერასდროს ვერ გავმიჯნავთ ამსრულებლობას თანამონაწილეობისაგან, თუ წინასწარ არ შევიმუშავებთ ინდივიდურად მოქმედი ამსრულებლის ცნებას. ამსრულებელს თანამონაწილეობის დროს გააჩნია ყველა ის ნიშან-თვისება, რომელიც მას უნდა ჰქონდეს, დანაშაულს რომ მარტო თვითონ, თანამონაწილეთა გარეშე სჩადიდდეს. იმ ავტორებს, რომლებსაც შეუძლებლად მიაჩნიათ ამსრულებლობაზე ლაპარაკი მაშინ, როცა დანაშაულს ერთი პირი სჩადის, სრულიად ავიწყდებათ შუალობითი ამსრულებლობის პრობლემა. გამოდის, რომ შუალობითი ამსრულებლობის დროს შეუძლებელია ვილაპარაკოთ ამსრულებლობაზე, ვინაიდან დანაშაულს ასეთ შემთხვევაში ერთი პირი სჩადის. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა ერთი პირი უშუალოდ თვითონ ახორციელებს შემადგენლობას, აქაც, რასაკვირველია, ამსრულებლობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს საკითხი არ არის პრობლემატური, რადგანაც შემადგენლობას ინდივიდი უშუალოდ თვითონ ასრულებს, მასთან ერთად არ მოქმედებს სხვა პირი, არც როგორც „ცოცხალი“ იარაღი და არც როგორც თანამონაწილე. ამსრულებლობის საკითხი პრობლემატური მხოლოდ მაშინ ხდება, როცა დანაშაულებრივ ქმედობას ერთად სჩადის რამდენიმე პირი, სულ ერთია, შუალობით ამსრულებლობასთან გვაქვს საქმე, თუ თანამონაწილეობასთან.

როგორც უკვე ითქვა, საბჭოური სისხლის სამართლის თეორია ამსრულებლობის ცნებას ობიექტური ნიშნებით განსაზღვრავს. ამსრულებელია ის, ვინც ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამსრულებლობის ცნება კანონის პროდუქტი იყოს, როგორც ამას ფორმალურ-ობიექტური თეორიის წარმომადგენლები ამტკიცებენ (იხ. წინა პარაგრაფი). ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ცნებათა საკანონმდებლო ფორმულირების. მათი ურთიერთგანსხვავების საფუძველია იმ პირობათა არათანასწორფასოვნება, რომლებიც გახდნენ მიზეზი დანაშაულებრივი შედეგის დადგომისა. „...ყოველი თანამონაწილის როლი დანაშაულის ჩადენაში,—ამბობს თ. წერეთელი,—თავისებურია და მიზეზობრივად სხვების როლისაგან განსხვავდება. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ამ მხრივ ორი ობიექტურად აბსოლუტურად თანასწორფასოვანი მოქმედება. მაგრამ სისხლის სამართლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვაგვაროვანი მოქმედებების უსასრულო ვარიაციებში გამოძებნოს ზოგიერთი ნიშანი, რომლის მიხე-

ღვითაც შესაძლებელი იქნება თანამონაწილეთა განსაზღვრული ტიპების დადგენა⁸⁰.

მიზეზობრიობის თვალსაზრისით ამსრულებლის მოქმედება უფრო დიდ მნიშვნელობისაა, ვიდრე დამხმარის მოქმედება. ამსრულებლის მოქმედება არის ის ძირითადი რგოლი, ის ბირთვი, რომელთანაც არიან დაკავშირებული სხვა თანამონაწილეთა მოქმედებანი და რომელთან შედარებითაც ეს მოქმედებანი მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობაში.

საბჭოური სისხლის სამართლის კანონმდებლობა იმთავითვე ობიექტურად განსაზღვრავდა ამსრულებლის ცნებას. რსფსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1919 წლის „სახელმძღვანელო საწყისების“ 22 მუხლის ძალით ამსრულებლად ითვლებოდა ის, ვინც მონაწილეობდა დანაშაულებრივი ქმედობის შესრულებაში, რაშიც არ უნდა გამოხატულიყო ეს მონაწილეობა. როგორც ვხედავთ, აქ მეტად ფართოდ არის განმარტებული ამსრულებლის ცნება. თუ ყოველგვარი მონაწილეობა დანაშაულებრივი ქმედობის შესრულებაში ამსრულებლობად ჩაითვლება, მაშინ შეუძლებელი გახდება ამსრულებლობის გამოყოფა თანამონაწილეობისაგან. მაგრამ ამსრულებლის ცნების უფრო დაკონკრეტება შესაძლებელი იყო „საწყისების“ 24 მუხლის დახმარებით, სადაც დამხმარის ცნება იყო განსაზღვრული. სახელდობრ, 24-ე მუხლის თანახმად, დამხმარედ ჩაითვლებოდა ის, ვინც თუმცა დანაშაულებრივი ქმედობის შესრულებაში უშუალოდ არ მონაწილეობდა, მაგრამ მის შესრულებას ხელს უწყობდა სიტყვით ან საქმით და ა. შ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ 1919 წ. „სახელმძღვანელო საწყისები“ ამსრულებლად თვლიდა იმას, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულებრივი ქმედობის შესრულებაში.

ამსრულებლობის ცნების ისეთი გაგება, რომელიც არაპირდაპირ გამომდინარეობდა „სახელმძღვანელო საწყისების“ 24-ე მუხლიდან, უკვე პირდაპირ იქნა შეტანილი რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის მე-16 მუხლით ამსრულებლობა განმარტებულია როგორც უშუალო მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. ამსრულებლობის ცნების ასეთსავე განმარტებას ვხვდებით საქართველოს სსრ ჯერ 1922 წლის, ხოლო შემდეგ 1928 წლის

⁸⁰ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 111. იხ. აგრეთვე თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 268—275.

სისხლის სამართლის კოდექსშიც. კერძოდ, 1928 წლის კოდექსის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილში ნათქვამია, რომ „ამსრულებლად ჩათვლება ის, ვინც უშუალო მონაწილეობას მიიღებს დანაშაულებრივი მოქმედების შესრულებაში, რაშიც არ უნდა გამოიხატოს ეს მონაწილეობა“.

ამსრულებლობის ცნების ობიექტურ განსაზღვრებას იძლევა აგრეთვე მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობაც. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-14 მუხლის მიხედვით „ამსრულებლად ჩაითვლება ის, ვინც უშუალოდ ჩაიდენს დანაშაულს“. ეს განსაზღვრება ამჟამად უცვლელადაა შესული ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში. იგი სწორია იმდენად, რამდენადაც მასში ამსრულებლობა ობიექტური ნიშნით არის განსაზღვრული, მაგრამ სრულყოფილად მინც ვერ ჩაითვლება. მ. კოვალიოვმა სწორად შენიშნა ის უზუსტობა, რომელიც საფუძვლების მე-14 მუხლს ახლავს. საქმე ისაა, რომ ამსრულებლობის ცნების ის განმარტება, რომელიც ამ მუხლშია მოცემული, ვიწროა და არ მოიცავს შუალობით ამსრულებლობას⁸¹. დანაშაულის უშუალოდ ჩადენის დროს საქმე გვაქვს ამსრულებლობის ერთ-ერთ სახესთან, სახელდობრ, უშუალო ამსრულებლობასთან. მაგრამ ზოგჯერ პირი უშუალოდ კი არ სჩადის დანაშაულს, არამედ ასრულებს შემადგენლობას სხვა პირის, ეგრეთ წოდებული „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით. ამსრულებლობის ამ სახეს ლიტერატურაში შუალობით ამსრულებლობას უწოდებენ.

ამსრულებლობის ცნების ობიექტური განსაზღვრება გვხვდება აგრეთვე საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც. კერძოდ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის § 22-ის მიხედვით ამსრულებელია ის, ვინც დასჯად ქმედობას ჩაიდენს თვითონ ან იმ პირის მეშვეობით, რომელსაც პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. აქ მოცემულია როგორც უშუალო, ისე შუალობითი ამსრულებლობის ცნება. ამავე პარაგრაფის მე-2 ნაწილით განსაზღ-

⁸¹ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, с. 14; სამწუხაროდ, მ. კოვალიოვს თვითონვე მოსდის ის შეცდომა, რასაც „საფუძვლებს“ უსაყვედურებს. რატომღაც მას უდავოდ მიაჩნია, რომ დანაშაულის ამსრულებელი არის ის პირი, რომელიც საკუთარი ხელით ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას. М. И. Ковалев, იქვე. ამსრულებელი ყოველთვის საკუთარი ხელით არ ასრულებს შემადგენლობას. შესაძლებელია მან ეს გააკეთა სხვა პირის (მცირეწლოვანის, სულით ავადმყოფის და ა. შ.) მეშვეობით.

ვრულია აგრეთვე თანამსრულებლობაც. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლით ამსრულებელია ის, ვინც მონაწილეობდა საკუთრივ დანაშაულის აღსრულებაში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის § 13-ის პირველი ნაწილით დანაშაულის ამსრულებელი არის პირი, რომელიც ახორციელებს კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

საბჭოური სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა იცნობს კიდევ ამსრულებლობის მესამე სახეს — თანამსრულებლობას. მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით არც თანამსრულებლობის ცნება არ არის განსაზღვრული. მაშასადამე, საბჭოური სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა იცნობს ამსრულებლობის სამ სახეს: 1. უშუალო ანუ ერთპიროვნული ამსრულებლობა, 2. შუალობითი ამსრულებლობა და 3. თანამსრულებლობა.

აქედან ერთპიროვნული ამსრულებლობა პრობლემატური არ არის. ერთპიროვნული ანუ უშუალო ამსრულებელი არის ყოველი ადამიანი, ვინც საკუთარი ხელით ერთპიროვნულად ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას. ამ თვალსაზრისით უშუალო ამსრულებლის ცნება უნდა ემთხვეოდეს დანაშაულის სუბიექტის ცნებას. დასავლეთგერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოპყოფენ კიდევ ამსრულებლობის მეოთხე სახეს, სახელდობრ, პარალელურ ამსრულებლობას (Nebentäterschaft). პარალელურ ამსრულებლობას ადგილი აქვს მაშინ, როცა რამდენიმე პირი ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად აზიანებს დანაშაულის ერთსა და იმავე ობიექტს. მაგალითად, ორმა პირმა რომ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოწამლოს ერთი ადამიანი (ვთქვათ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაუყარეს მსხვერპლს სასმელში საწამლაკი), მაშინ თვითეული მათგანი მკვლელობის პარალელური ამსრულებელი იქნება. პარალელური ამსრულებლობა შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. განსაკუთრებით ხშირია პრაქტიკაში გაუფრთხილებლობითი პარალელური ამსრულებლობა. თითქმის ყველა ის შემთხვევა, რომლებსაც გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის მომხრეები გაუფრთხილებლობით თანამსრულებლობად აკვალიფიცირებენ, ფაქტიურად პარალელურ ამსრულებლობას წარმოადგენს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პარალელური ამსრულებლობა პრობლემატური არ არის. ამსრულებლობის ეს სახე პირდაპირ ემთხვევა ერთპიროვნულ ამსრულებლობას. ამიტომ მი-

სი ცალკე სახედ გამოყოფა არც პრაქტიკული და არც თეორიული თვალსაზრისით საჭირო არ არის. ამსრულებლობის იმ სამი სახიდან, რომლებიც ზემოთ დავასახელე, პირველი, ე. ი. ერთპიროვნული ამსრულებლობა, როგორც ითქვა, პრობლემატური არ არის. ამიტომ აქ პირდაპირ უნდა შევეუდგეთ შუალობითი ამსრულებლობის პრობლემის ანალიზს.

შუალოგითი ამსრულეზლოზა

§ 1. შუალოგითი ამსრულეზლოგის ცნეზა

აღამიანი თავისი დანაშაულეზრივი მიზნის მისაღწევად მრავალგვარ საშუალებას ხმარობს. იმისათვის, რათა დანაშაულეზრივი შედეგი უფრო ადვილად გამოიწვიოს და თან პასუხისმგებლობაც აიცილოს თავიდან, იგი ზოგჯერ ფიზიკურ საგნებს ან ბუნების მოვლენებს იყენებს. მაგალითად, გზად მიმავალი მტრის მოსაკლავად შესაძლებელია ვინმემ კლდიდან ქვა დააგოროს, დედამ ჩვილი მოკვლის მიზნით ძლიერი ყინვის დროს უკაცრიელ ადგილას მიატოვოს და სხვა. ზოგჯერ კი დამნაშავის მოქმედებასა და დანაშაულეზრივ შედეგს შორის შუალედ რგოლად ჩართულია ცხოველის მოქმედება. მაგალითად, ვინმემ თავის მტერს ავი ძაღლი მიუსიანა და სხეული დაუზიანა. არცთუ იშვიათად დანაშაულის ჩადენის საშუალებას მეორე აღამიანის მოქმედება წარმოადგენს. თანაც დამნაშავემ დასახული მიზნის მისაღწევად შეიძლება გამოიყენოს ყოველგვარი ასაკისა და სქესის აღამიანი, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, თუკი საზოგადოდ მას ფიზიკურად შეუძლია იმ შედეგის გამოწვევა, რომლისკენაც დამნაშავე ისწრაფვის. თუ ის აღამიანი, რომლის მეშვეობითაც დამნაშავე სასურველი მიზნისაკენ ილტვის, სრულასაკოვანი და შერაცხვაუნარიანია, მაშინ ადგილი ექნება თანამონაწილეობას, რაც ამჟამად ჩემი განხილვის საგანს არ შეადგენს. მხედველობაში მაქვს ისეთი შემთხვევა, როცა წაქეზებულს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება უასაკობის, შერაცხვაუნარობის ან სხვა საპატიო გარემოების (შეცდომა და სხვ.) გამო. როგორც ვხედავთ, დამნაშავის მოქმედებასა და დანაშაულეზრივ შედეგს შორის შუალედ რგოლად შეიძლება ჩართული იყოს ფიზიკური საგნები ან ბუნების მოვლენები,

ცხოველის და, ბოლოს, ადამიანის მოქმედება. პირველი ორი შემთხვევა რაიმე სირთულეს კვალიფიკაციაში არ წარმოშობს. ფიზიკურ საგნებს ან ბუნებრივ მოვლენებს გამოიყენებს ინდივიდი თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად თუ ცხოველის მოქმედებას, ყველა შემთხვევაში ადგილი ექნება უშუალო ამსრულებლობას. მართალია, წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით თუ მიეუდგებით, ადამიანის მოქმედება გაშუალებულია ცხოველის მოქმედებით ან ბუნების მოვლენებით, მაგრამ ეს არ არის აქ არსებითი, რადგან დანაშაულს მაინც ერთი ადამიანი სჩადის და ამიტომ, ექვს გარეშეა, იგი უშუალო ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს. სხვა საკითხია, როცა დანაშავის მოქმედება გაშუალებულია სხვა ადამიანის მოქმედებით. ასეთ შემთხვევას უკვე ვეღარ ჩავთვლით უშუალო ამსრულებლობად. იმ შემთხვევას, როდესაც დამნაშავემ დანაშაულის შემადგენლობა სხვა ადამიანის („იარაღის“) მეშვეობით შეასრულა, დანაშაულის უშუალოებით ამსრულებლობას უწოდებენ. შუალობითი ამსრულებლობის ცნება პირდაპირ კავშირშია თანამონაწილეობის ცნებასთან. ზემოთ (იხ. თავი პირველი, § 1) დავასკვნით, რომ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, რომ ამსრულებლის გარეშე არ არის თანამონაწილეობა. რადგან ეს ასეა, ბუნებრივია, ვერ დავაკვალიფიცირებთ თანამონაწილეობად ისეთ შემთხვევებს, როდესაც დანაშაულის უშუალო ამსრულებელი პასუხს არ აგებს რაიმე საპატიო გარემოების გამო. ამიტომ მცირეწლოვანის ან შერაცხვალუნარო პირის წამქეზებელი თვითონ იქნება დანაშაულის ამსრულებელი. ამრიგად, შუალობითი ამსრულებლობის ცნება თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის ნაყოფია. ეს დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს აგრეთვე მოქმედი საბჭოური სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობიდან. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების მე-17 მუხლი თანამონაწილეობას განსაზღვრავს როგორც ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში. ამრიგად, მოქმედი კანონმდებლობით როგორც თანამონაწილე, ისე ამსრულებელი განზრახ უნდა მოქმედებდეს. ამიტომ ყველა ის შემთხვევა, როცა უშუალო ამსრულებელი განზრახ არ მოქმედებს, შუალობით ამსრულებლობად უნდა დაკვალიფიცირდეს.

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში შუალობითი ამსრულებლობის ცნებას ის ავტორებიც კი არ უარყოფენ, რომლებიც თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას ეწინააღმდეგებიან. ეს გარე-

შობა, ცხადია, მათი პოზიციის არათანმიმდევრობაზე მეტყველებს. უცხოელ კრიმინალისტთაგან შუალობითი ამსრულებლობის წინააღმდეგ გამოდის ვ. ზაუერი. მისი აზრით, შუალობითი ამსრულებლობის ფიგურა ცხოვრებისათვის უცხო კონსტრუქციაა, იგი არაბუნებრივი, ხელოვნური ცნებაა¹. შუალობითი ამსრულებელი თავისი არსით და იმით, თუ რამდენად იმსახურებს იგი სასჯელს, უცილობლად უფრო ახლოს დგას წამქეზებელთან და ინტელექტუალურ დამხმარესთან, ვიდრე უშუალო ამსრულებელთან, რომელიც თვითონ სჩადის აღსრულებით მოქმედებას². აქედან ვ. ზაუერი აკეთებს დასკვნას, რომ შუალობითი ამსრულებლის ცნება უნდა განიდევენოს სისხლის სამართლიდან და მისი ადგილი დაიკავოს თანამონაწილეობამ. მაშასადამე, თანამონაწილეობის ცნება უნდა გაფართოვდეს იმდენად, რომ მან მოიცვას ყველა შემთხვევა წაქეზებისა და ინტელექტუალური დახმარებისა, ე. ი. ისეთი შემთხვევებიც, როცა უშუალო ამსრულებელი პასუხს არ აგებს რაიმე საპატიო მიზეზის გამო.

ამის საწინააღმდეგოდ ის უნდა ითქვას, რომ ვ. ზაუერმა, დაიწუნა რა შუალობითი ამსრულებლობა, როგორც ცხოვრებისათვის უცხო კონსტრუქცია, როგორც არაბუნებრივი, ხელოვნური ცნება, თავის მხრივ შემოგვთავაზა არანაკლებ ხელოვნური და არაბუნებრივი ცნება თანამონაწილისა. დანაშაულში თანამონაწილის ბუნებრივი ცნება სწორედ რომ წარმოუდგენელია ამსრულებლის გარეშე. კიდევ უფრო ხელოვნური და არაბუნებრივი გამოჩნდება თანამონაწილის ზაუერისეული ცნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ცოცხალი იარაღი“, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეიძლება მართლზომიერადაც მოქმედებდეს. თუ უშუალო ამსრულებელი არათუ დანაშაულს არ სჩადის, არამედ მისი მოქმედება მართლსაწინააღმდეგოდ კი არ არის, რომელ თანამონაწილეობაზე შეიძლება ლაპარაკი? ცხადია, თუ ჩვენ აქ უარვყოფთ შუალობით ამსრულებლობას, მით უმეტეს ვერ დავასაბუთებთ თანამონაწილეობას. ერთადერთი სწორი გადაწყვეტა საკითხისა ის უნდა იყოს, რომ ვალიაროთ ასეთ შემთხვევაში შუალობითი ამსრულებლობა.

როგორც უკვე ითქვა, შუალობით ამსრულებლობას მაშინ აქვს ადგილი, როცა დამნაშავე სხვა ადამიანს იყენებს დანაშაულის ჩადენის იარაღად. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მეორე პირი მისთვის უბრალო იარაღია დასახული მიზნის მიღწევის გზაზე და

¹ W. Sauer, Allgemeine Strafrechtslehre, Berlin, 1955, S. 202;

² ვ. ზაუერი, მითით. ნაშრომი, გვ. 213.

შეტი არაფერი. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ წამქეზებელი თვითონ განიხილება ამსრულებლად, სახელდობრ, შუალობით ამსრულებლად. უშუალო ამსრულებელი ამ შემთხვევაში არ არის დანაშაულის ამსრულებელი, რადგან იგი მოქმედებს არა თავისი ნებით, არამედ მას იყენებენ იარაღად. ის, ვისაც იარაღად იყენებენ, არ შეიძლება იყოს ამსრულებელი და, რადგანაც არ გვეყავს ამსრულებელი, არ არის არც თანამონაწილეობა, ამიტომ წამქეზებელი მსგავს შემთხვევაში თვითონ გამოდის ამსრულებლის როლში.

სულ სხვა მდგომარეობაა თანამონაწილეობის დროს. წამქეზებელი თანამონაწილეა მაშინ, როცა მას შეგნებული აქვს, რომ ის ადამიანი, ვისაც იგი აქეზებს, არ არის მისთვის უბრალო იარაღი დანაშაულის ჩადენისა. სულ სხვაა, როცა ერთ შემთხვევაში პირს იყენებენ „იარაღად“, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი მოქმედებს თავისი ნებით. წამქეზებლის როლი ორივე აქ დასახელებულ შემთხვევაში ერთნაირი არ არის. მათ შორის უთუოდ არსებითი სხვაობაა, რაც არ შეიძლება არ იქნეს მიღებული მხედველობაში. „შუალობითი ამსრულებლისაგან წამქეზებელი — ამბობს თ. წერეთელი— იმით განსხვავდება, რომ წამქეზებლის მიერ შეგულიანებული პირი შეგნებულად მოქმედებს და თვით არის თავისი მოქმედების ბატონ-პატრონი, ხოლო „ცოცხალი იარაღი“, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი იყენებს, მართლაც რომ „ბრმა იარაღია“. მისი მოქმედება ზოგჯერ ფიზიკურ ძალთა მოქმედებას შეიძლება გაუთანაბრდეს, ამ მოქმედების ბატონ-პატრონი „იარაღი“ კი არ არის, არამედ „შემაგულიანებელია“, რომელიც სწორედ ამიტომ თვით ითვლება ამსრულებლად და პასუხისმგებელ პირად“³.

ობიექტური მხრივ შუალობითი ამსრულებლობა უმრავლეს შემთხვევაში გამოიხატება ისეთი პირის წაქეზებაში, რომელიც შერაცხვალუნაროა, მცირეწლოვანია, მოქმედებს იძულებით ან შეცდომით და სხვ. ამ დროს შუალობითი ამსრულებელი პირველად აღუძრავს გადაწყვეტილებას „იარაღს“ და ამოქმედებს განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის მიზნით; მაშასადამე, წმინდა ობიექტური თვალსაზრისით თუ მივუდგებით, წამქეზებლობის დროს თანამონაწილეობასა და შუალობით ამსრულებლობას შორის განსხვავებას ვერ ვნახავთ. ამიტომ განსხვავება სუბიექტურ სფეროში უნდა ვეძიოთ. როგორც უკვე ვთქვით, წამქეზებელი შუა-

³ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 154. Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 165.

ლობითი ამსრულებელი იქნება მაშინ, როცა მან იცის, რომ იგი სხვა პირს იყენებს დანაშაულის ჩადენის „იარაღად“.

მაგრამ ობიექტური მხრივ შუალობითი ამსრულებლობა მართო წამქეზებლობით როდი გამოიხატება. შეიძლება მოხდეს ისე, რომ შუალობითი ამსრულებელი გარეგნულად დამხმარის როლს ასრულებდეს. მ. კოვალიოვი ამის გამო შენიშნავს, რომ „შუალობითი ამსრულებლობა არ წარმოადგენს წამქეზებლობის სუროგატს, არამედ სავსებით დამოუკიდებელი მოვლენაა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ისეთ მოქმედებებში, რომლებიც ემსგავსებიან როგორც წამქეზებლობას, ისე დახმარებას“⁴.

თუ წაქეზების დროს შუალობითი ამსრულებლის მოქმედება მიზეზობრივი კავშირის საწყის რგოლს წარმოადგენს, დახმარების დროს დამნაშავე ჩაერთვება უკვე დაწყებულ მიზეზობრივ ჯაჭვში და ხელს უწყობს მის განვითარებას მისთვის სასურველი მიმართულებით. მაგალითად, ვინმეს ჰგონია, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და თხოვს იარაღს მეორე პირს, რომელსაც „თავდამსხმელთან“ სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობა აქვს, თანაც იცის, რომ აქ არავითარი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა არ არის. თუ იგი მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფს იარაღს მიაწვდის, რასაც შედეგად მოჰყვება უდანაშაულო პირის სიკვდილი, იარაღის მიმწოდებელი პასუხს აგებს მკვლელობის შუალობითი ამსრულებლობისათვის. აქ შუალობითი ამსრულებელი გარეგნულად დამხმარის როლში გამოდის. იგი ჩაერთვება უკვე დაწყებულ მიზეზობრივ ჯაჭვში და ხელს შეუწყობს მის განვითარებას სასურველი მიმართულებით.

ის შემთხვევა, როცა შუალობითი ამსრულებელი გარეგნულად დამხმარის როლს ასრულებს, ნათლად მეტყველებს შუალობითი ამსრულებლობის ცნების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. როგორც

⁴ М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. II, 1962, с. 19; „ამ მოსაზრების გამო — დასაქნის შემდეგ მ. კოვალიოვი — ჩვენ განვიხილავთ შუალობით ამსრულებლობას არა იმ ნაკვეთში, რომელიც შეეხება დანაშაულისათვის წამქეზებლობას, არამედ წინამდებარე ნაკვეთში“, ე. ი. იქ, სადაც ამსრულებლობა განხილული. მ. კოვალიოვი, იქვე; უნდა ითქვას, რომ თ. ბურჩაკი, მ. კოვალიოვის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, შუალობითი ამსრულებლობის საკითხს განიხილავს იქ, სადაც წამქეზებლობაზეა ლაპარაკი, იხ. Ф. Г. Б у р ч а к, მითით. ნაშრომი, გვ. 163—168. მ. კოვალიოვის თვალსაზრისი უთუოდ სწორია: შუალობითი ამსრულებლობა მართო იმ მოსაზრების გამო, რომ იგი ამსრულებლობის ერთ-ერთი სახეა, უნდა განხილულ იქნეს სწორედ იმ თავში, სადაც საერთოდ ამსრულებლობაზეა ლაპარაკი.

ცნობილია, ჩვენი სისხლის სამართალი არ აწესებს დამხმარისათვის სასჯელის სავალდებულო შემსუბუქებას. მაგრამ იმის გამო, რომ 1958 წლის საფუძვლების მე-17 მუხლის მე-7 ნაწილით „დანაშაულის ჩადენაში თითოეული თანამონაწილის მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის დროს“, დამხმარე ამსრულებელთან შედარებით, როგორც წესი, უფრო მსუბუქად ისჯება.

ამიტომ თუ ჩვენ შუალობითი ამსრულებლობის ცნებას უკუვაგდებთ და იმის მოქმედებას, ვინც მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფს იარაღი მიაწოდა, დახმარებად დაეკვალიფიცირებთ, მაშინ იგი შეიძლება უფრო მსუბუქად დაისაჯოს, ვიდრე სინამდვილეში იმსახურებს⁵.

ახლა იბადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა შუალობითი ამსრულებლობა უმოქმედობით? როგორც ცნობილია, უმოქმედობის დელიქტები ორ ჯგუფად იყოფა: წმინდა და შერეული უმოქმედობის დელიქტებად. წმინდა უმოქმედობის დელიქტების შუალობით ამსრულებლობაზე დაწვრილებით ქვემოთ მექნება საუბარი, როდესაც შევეხები შუალობითი ამსრულებლობის საკითხს საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში. რაც შეეხება უმოქმედობით შუალობით ამსრულებლობას შერეული უმოქმედობის დელიქტებში, ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ შერეული უმოქმედობის დელიქტების სუბიექტთა წრე საკმაოდ შეზღუდულია; თუ, მაგალითად, ბავშვის მოკვლა მოქმედებით ყველას შეუძლია, უმოქმედობით ბავშვის მკვლელობა შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ სპეციალური მოვალეობით აღჭურვილმა პირმა (მშობელი, მეურვე და სხვ.). მატარებლის მარცხი უმოქმედობით შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ იმან, ვისაც საგანგებო კანონით ევალებოდა მატარებლის მოძრაობის რეგულირება (მეისრე და სხვ.) და ა. შ. უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის ობიექტური მხარე ხსენებულ შემთხვევებში დამნაშავის მიერ მასზე დაკისრებული სპეციალური მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოიხატება. ამიტომ ყველა იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავემ არ შეასრულა ეს სპეციალური მოვალეობა, რამაც გამოიწვია დანაშაულებრივი შედეგი ან შექმნა მისი დადგომის შესაძლებლობა, საქმე გვაქვს შესაბამისი დანაშაულის უშუალო ამსრულებლობასთან.

⁵ ეს, ცხადია, არ გამორიცხავს იმას, რომ „დამხმარე“ შუალობითი ამსრულებელი, როგორც წესი, სხვა თანაბარ პირობებში უფრო მსუბუქად დაისჯება, ვიდრე „წამქეზებელი“ შუალობითი ამსრულებელი.

შემდეგი საკითხი, რომელიც ამ პრობლემატიკაში წამოიჭრება, შეეხება შუალობითი ამსრულებლობის სუბიექტურ მხარეს. შეიძლება თუ არა შუალობითი ამსრულებლობა გაუფრთხილებლობით? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. როდესაც მე შუალობით ამსრულებლობას წამქეზებლობისა და დახმარებისაგან ვანსხვავებდი, აღენიშნე, რომ შუალობითი ამსრულებლობის არსებითი ნიშანია დამნაშავეის მიერ იმის შეგნება, რომ იგი მეორე პირს იყენებს იარაღად თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად. სადაც ასეთი შეგნება არ არის, იქ შუალობითი ამსრულებლობაც გამორიცხულია. სწორედ ამიტომ, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ გაუფრთხილებლობითი შუალობითი ამსრულებლობა⁶. ამსრულებლობის ეს სახე მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ განზრახვას იმისდა მიუხედავად, თუ როგორია დელიქტის ბუნება, ე. ი. მხოლოდ განზრახ შეიძლება მისი ჩადენა, თუ როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. გაუფრთხილებლობითი შუალობითი ამსრულებლობის საკითხი პრობლემატური მხოლოდ მაშინ იქნებოდა, ჩვენ რომ გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის თვალსაზრისზე ვიდგეთ. სწორედ მაშინ გახდებოდა საჭირო გაუფრთხილებლობითი შუალობითი ამსრულებლობის განსხვავება გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობისაგან. რადგან საბჭოური სისხლის სამართალი იცნობს მხოლოდ განზრახ თანამონაწილეობას, ამიტომ შუალობითი ამსრულებლობის საკითხიც მხოლოდ განზრახვის სფეროში უნდა ვიკვლიოთ.

საკითხი რომ კიდევ უფრო ნათელი გახდეს, საჭიროა გავარკვიოთ, თუ განზრახვის რა სახეს გულისხმობს შუალობითი ამსრულებლობა. ჩემი აზრით, პირი ამ შემთხვევებში მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება მოქმედებდეს. ძნელი წარმოსადგენია ჯულით ავადმყოფის იარაღად გამოყენება ევენტუალური განზრახვის დროს. მეორე პირის იარაღად გამოყენება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისი მიზანიც პირდაპირ არის მიმართული განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგისაკენ.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა წამქეზებელი ან დამხმარე ცდება და ჰგონია, რომ ის, ვისაც იგი აქეზებს ან ეხმარება, სავსებით ვარგისი სუბიექტია მის მიერ განზრახული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ სინამდვილეში უშუალო ამსრულებელი სულით

⁶ დასავლეთ გერმანიაში გაუფრთხილებლობით შუალობით ამსრულებლობას აქვამად თითო-ოროლა მომხრელა შემორჩა (იხ. R. Maurach, Deutsches Strafrecht, S. 534).

ავადმყოფი ან მცირეწლოვანი აღმოჩნდება. მე სწორად მიმაჩნია იმ კრიმინალისტთა შეხედულება, რომლებიც ამ შემთხვევას თანამონაწილეობად აკვალიფიცირებენ⁷. აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეებს ეს მაგალითი მოჰყავთ იმის დასამტკიცებლად, თითქოს შეიძლებოდეს თანამონაწილეობა ამსრულებლის გარეშე⁸. მაგრამ ეს საბუთი ვერ ამაგრებს მათ პოზიციას, ვინაიდან აქ საკითხი წყდება არა ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით, არამედ წამქეზებლის ან დამხმარის წარმოდგენის შესაბამისად. წამქეზებელი და დამხმარე თვლიდნენ, რომ ისინი თანამონაწილენი არიან და არა ამსრულებლები. მათი თვალსაზრისით აქ ამსრულებელი იგულისხმება.

განხილვის ღირსია აგრეთვე ამის საპირისპირო შემთხვევა, სახელობრ, როცა წამქეზებელი ან დამხმარე თვლიდა, რომ აქეზებს ან ეხმარება სულით ავადმყოფს, სინამდვილეში კი უშუალო ამსრულებელი შერაცხვაუნარიანია და შეუძლია პასუხი აგოს ჩადენილი ქმედობისათვის. ჩემი აზრით, ეს საკითხიც წამქეზებლის ან დამხმარის სუბიექტური წარმოდგენების მიხედვით უნდა გადაწყდეს. ისინი დაისჯებიან როგორც შუალობითი ამსრულებლები⁹.

შუალობითი ამსრულებლობა, როგორც წესი, გულისხმობს სამ სუბიექტს: დამნაშავე — „იარალი“ — მსხვერპლი. მაგრამ არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როცა „იარალი“ და მსხვერპლი ერთ პიროვნებაშია შერწყმული. ამის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს სულით ავადმყოფის თვითმკვლელობისათვის წაქეზება, როცა მას არა აქვს შეგნებული თავისი მოქმედების მნიშვნელობა. წამქეზებელი ამ შემთხვევაში მკვლელობის შემადგენლობას ახორციელებს მსხვერპლის მეშვეობით, იგი მკვლელობის შუალობითი ამსრულებელია.

დასავლეთგერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ამის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქმული აქვს ჰ. იოჰანესს. მისი აზრით, შეუძლებელია შუალობითი ამსრულებლობა იქ, სადაც მსხვერპლი და იარალი ერთ სუბიექტშია შერწყმული. წინააღმდეგ შემთხვევაში შუალობითი ამსრულებლობის ცნება იმდენად გაფართოვდება,

⁷ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 82.

⁸ უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 29.

⁹ Н. С. Таганцев, Русское уголовное право, общая часть, С. Петербург, 1902, с. 738; Ф. Лист, Учебник уголовного права, общая часть, М., 1903, с. 241; примеч. 2; М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, общая часть, Свердловск, 1962, с. 30.

რომ უშუალო ამსრულებლობისათვის ადგილი თითქმის აღარ დარჩება, ვინაიდან არცთუ იშვიათად დამნაშავე იყენებს მსხვერპლს დასახული მიზნის მისაღწევად. ასე რომ იყოსო, — განაგრძობს იოჰანესი, — შუალობითი ამსრულებლობა უნდა გვეცნო თაღლითობის, გამოძალვის და სხვა მსგავს დელიქტებში¹⁰.

მაგრამ ჰ. იოჰანესის შიში, თითქოს შუალობითი ამსრულებლობის ცნება უსაზღვროდ გაფართოვდება უშუალო ამსრულებლობის ხარჯზე, უსაფუძვლოა. საქმე ის კი არაა, თუ რომელი ცნება რომლის ხარჯზე გაფართოვდება, არამედ არსებითი და გადამწყვეტია ის, აქვს თუ არა ასეთ გაფართოებას რაიმე პრაქტიკული და თეორიული ღირებულება. ექვს გარეშეა, რომ დამნაშავე ძალზე ხშირად მსხვერპლს მოტყუებით თავის სასარგებლოდ ამოქმედებს და ისე აღწევს დასახულ მიზანს, მაგრამ იგი მაინც უშუალო ამსრულებლად განიხილება. მაგალითად, თაღლითობის შემთხვევაში მსხვერპლის მოქმედება ჩართულია მიზეზობრიობის ჯაჭვში, მსხვერპლი თვითონ გადასცემს ქონებას დამნაშავეს ან, ყოველ შემთხვევაში, ეს გადაცემა მისი თანხმობით ხდება. თავისი ბუნებრივი სახით თითქოს აქ მართლაც არის შუალობითი ამსრულებლობა, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით იგი პრობლემატური არ არის და უშუალო ამსრულებლობად განიხილება. საქმე ის არის, რომ მსხვერპლის მიერ ქონების გადაცემა პირდაპირ შედის ამ დანაშაულის შემადგენლობაში. თაღლითობის შემადგენლობის უშუალო განხორციელება სხვაგვარად წარმოუდგენელიც კია. მაგრამ სულით ავადმყოფის თვითმკვლელობისათვის წაქეზება და ამ გზით მკვლელობა არ არის მკვლელობის შემადგენლობის უშუალო განხორციელება. უშუალო მკვლელი საკუთარი ხელით მოქმედებს, შუალობითი კი — სხვისი ხელით. გარეგნულად მისი მოქმედება თანამონაწილის მოქმედებას მოგვაგონებს.¹¹

ისევე როგორც თანამონაწილეობის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამსრულებლის ექსცესს, შუალობითი ამსრულებლობის დროსაც გამორიცხული არ არის „ცოცხალი იარაღის“ ექსცესი. მაგრამ „იარაღის“ ექსცესის საკითხი ამ შემთხვევაში არ გამოირჩევა რაიმე თავისებურებით. პასუხისმგებლობა აქაც დადგება ბრალის პრინციპის საფუძველზე: შუალობით ამსრულებელს შეეარაცება

¹⁰ H. Johannes, Mittelbare Täterschaft bei rechtmässigem Handeln des Werkzeuges ein Scheinproblem, Frankfurt am Main, 1963, S. 18;

¹¹ ჰ. იოჰანესის შეხედულების დასაბუთებელი კრიტიკა იხ. თ. წერეთლის წიგნში „თანამონაწილეობა დანაშაულში“, გვ. 121, შენიშვნა 75.

„იარაღის“ მიერ მიყენებული მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მას ზეთვალისწინებული ჰქონდა. ექსცესისათვის იგი პასუხს არ აგებს.

§ 2. დანაშაულის შიშაღმანლოგობი, რომელთა შუალოგითი განხორციელება შეუძლებელია

1. ისეთ შემადგენლობათა რიცხვს, რომელთა შუალოგითი განხორციელება არ შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, მიაკუთვნებენ საკუთარი ხელით ჩასადენ დანაშაულს (Собственноручные деликты). შეუძლებელია ისეთ დანაშაულთა შუალოგითი ამსრულებლობა, როგორცაა, მაგალითად, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისათვის თავის არიდება (საქართველოს სსრ სსკ მ. 81), ომიანობის დროს ბეგარის შესრულების ან გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება (მ. 83), უკანონოდ წასვლა საზღვარგარეთ და უკანონოდ შემოსვლა სსრ კავშირში (მ. 84), სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა (მ. 90), ვენერული სენის მკურნალობისათვის ბოროტად თავის არიდება (მ. 122), ალიმენტის გადახდის ან შეიღების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდება (მ. 124), ბოროტად თავის არიდება მშობლების ან მეუღლისათვის დახმარების გაწვევისათვის (მ. 126). დახმარების აღმოუჩენლობა (მ. 130) და სხვა. ყველა აქ ჩამოთვლილი დელიქტის შუალოგითი ამსრულებლობა გამორიცხულია დანაშაულის სუბიექტის თავისებურების გამო¹².

საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტები ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: 1. წმინდა უმოქმედობის და 2. წმინდა მოქმედების დელიქტებად. წმინდა უმოქმედობის დელიქტების ობიექტური მხარე ყოველთვის მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოიხატება (მაგალითად, ბეგარის შეუსრულებლობა, ალიმენტის გადაუხდელობა, სამხედრო აღრიცხვისთვის თავის არიდება და სხვა), მოვალეობა კი თავისი ბუნებით პერსონალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალეობა მხოლოდ იმან უნდა შეასრულოს, ვისაც იგი პერსონალურად აკისრია. სწორედ ამიტომ სხვისი მოვალეობის შეუსრულებლობა შეუძლებელია.

საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტების მეორე ჯგუფს წმინდა მოქმედების დელიქტები შეადგენენ (მაგალითად, დეზერტირობა,

¹² М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 17; Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 168—169.

ნებაყოფლობით ტყვედ დანებება, ორცილიანობა ან მრავალცილიანობა, მაწანწალობა და მათხოვრობა, აზარტული თამაში, საზღვარგარეთ წასვლა და სხვა). ამ დელიქტების შუალობითი ამსრულებლობა შეუძლებელია იმიტომ, რომ პირმა თავისი თავი გარკვეულ სიტუაციაში უნდა მოაქციოს, სწორედ თავისი თავი და არა სხვა ვინმე. მაგალითად, შეუძლებელია აზარტული თამაშის შუალობითი ამსრულებლობა. ვინმემ კიდევაც რომ წააქეზოს არასრულწლოვანი ან სულით ავადმყოფი აზარტული თამაშისათვის, იგი ამ მუხლით ვერ დაისჯება, რადგან კანონი გულისხმობს, რომ ეს შემადგენლობა პირმა ან უშუალოდ უნდა შეასრულოს ანდა დაისაჯოს თანამონაწილეობისათვის. სხვისი მეშვეობით მისი აღსრულება წარმოუდგენელია. ასეთი პირი დაისჯება საქართველოს სსრ სსკ 236 მუხლით არასრულწლოვანის წაქეზებისათვის დანაშაულის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩასადენად.

2. საგანგებო განხილვის ღირსია იმ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის საკითხი, რომლის ჩადენა მხოლოდ სპეციალური სუბიექტის მიერ ხდება. მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაული მხოლოდ თანამდებობის პირმა შეიძლება ჩაიდინოს, სამხედრო დანაშაული სამხედრო პირმა და სხვ. საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ ასეთი სახის დანაშაული როგორც უშუალო, ისე შუალობით ამსრულებლად ყოველთვის გულისხმობს სპეციალურ სუბიექტს, ე. ი. პირს, რომელსაც აქვს უნარი მისი უშუალოდ ჩადენისა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნო, რომ ამ საკითხს ორი მხარე აქვს; ჯერ ერთი, გასარკვევია, შეიძლება თუ არა შუალობითი ამსრულებლობა სამხედრო დანაშაულისა, როცა წამქეზებელი არ არის სამხედრო პირი, „ცოცხალი იარაღი“ კი სამხედრო პირია, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როცა წამქეზებელი სპეციალური სუბიექტია, „ცოცხალი იარაღი“ კი არასპეციალური სუბიექტი (ან თუნდაც სპეციალური პირია, მაგრამ თანამონაწილეობას ადგილი მაინც არა აქვს ფიზიკური ამსრულებლის შეცდომის ან სხვა გარემოების გამო).

მეორე შემთხვევაში საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს. სავსებით შესაძლებელია სამხედრო ან თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენა სამხედრო პირის ან თანამდებობის პირის მიერ ე. წ. „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით. თუ, მაგალითად, სამხედრო პირი წააქეზებს არასამხედრო პირს, რათა ამ უკანასკნელმა ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ნივთები გაიტაცოს (მაროდერობა, საქართველოს სსრ სსკ მ. 284), წამქეზებელი იქნება მაროდერ-

რობის შუალობითი ამსრულებელი, ხოლო ფიზიკური ამსრულებელი პასუხს აგებს მაროდერობაში თანამონაწილეობისათვის (დამხმარე)¹³.

რაც შეეხება პირველ საკითხს, ე. ი. ისეთ შემთხვევას, როდესაც წამქეზებელი არასპეციალური სუბიექტია და აქეზებს სპეციალურ სუბიექტს, საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც უკვე ითქვა, იგი უარყოფითად წყდება. გაბატონებული შეხედულების თანახმად, არ შეიძლება არასპეციალური სუბიექტი იყოს იმ დანაშაულთა შუალობითი ამსრულებელი, რომელთა შემადგენლობების განხორციელება სპეციალურ სუბიექტს მოითხოვს. ამის საბუთად ჩვეულებრივ ის მოჰყავთ ხოლმე, რომ შუალობით ამსრულებელს უნდა გააჩნდეს ყველა ის თვისება თუ ნიშანი, რომელიც ახასიათებს ამ დანაშაულის უშუალო ამსრულებელს¹⁴.

ჩემი აზრით, ეს საკითხი გაღრმავებულ შესწავლას მოითხოვს, რადგან გაუგებარია, თუ რატომ უნდა ახასიათებდეს შუალობით ამსრულებელს იგივე თვისებები, რაც ახასიათებს ამ დანაშაულის უშუალო ამსრულებელს.

თუ შუალობით ამსრულებელს უნდა გააჩნდეს ყველა ის ნიშანი, რაც აქვს უშუალო ამსრულებელს, მაშინ როგორ ვაგებინოთ პასუხი მკვლელობისათვის იმ პირს, ვისაც ფიზიკური ნაკლის გამო არ შეეძლო თავისი მტრის მოკვლა და ამისათვის სულით ავადმყოფი ან მცირეწლოვანი გამოიყენა? რატომ ვივიწყებთ, რომ ერთ-ერთი მოტივი დანაშაულის სხვა პირის მეშვეობით ჩადენისა სწორედ მისი უშუალო ჩადენის შეუძლებლობაა? „...იმის პასუხისმგებლობისათვის, — ამბობს ნ. ტაგანცევი, — ვინც პირველად იმოქმედა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ როლს, რომელიც ითამაშა შედეგის წარმოქმნაში შემდეგში შემოერთებულმა პირმა. ისევე როგორც არა აქვს მნიშვნელობა პირველმოქმედის შესაძლებლობას უშუალოდ შეასრულოს ასეთი მოქმედება (ო. გ.). ამიტომაც, მაგალითად, მოხრჩობით მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არა აქვს უნარი ფიზიკური მოქმედებისა, საბუთის გაყალბების შუალობითი ამსრულებელი — უწიგნური, გაუპატიურებისა — ქალი და სხვ¹⁵.

¹³ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 130.

¹⁴ Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 168.

¹⁵ Н. С. Таганцев, Русское уголовное право, часть общая, т. I, С. Петербург, 1902, с. 737.

მეორე მხრივ, ნ. ტაგანცევი უარყოფს შუალობით ამსრულებლობას ისეთ დანაშაულებში, რომელთა შემადგენლობა გულისხმობს „სპეციალურ ბრალეულს“ (специального виновного). არასპეციალური სუბიექტი არ შეიძლება იყოს ასეთი დანაშაულის არც უშუალო და არც შუალობითი ამსრულებელი¹⁶ (ლაპარაკია თანამდებობრივ დანაშაულზე).

მ. კოვალიოვი კატეგორიულად უარყოფს შუალობითი ამსრულებლობის შესაძლებლობას როგორც იმ დელიქტებში, რომელთა შემადგენლობები მხოლოდ სპეციალურ სუბიექტს გულისხმობენ (თანამდებობრივი დანაშაული, სამხედრო დანაშაული და სხვა), ისე იმ შემთხვევაში, როცა კანონის მოთხოვნით სუბიექტს გარკვეული ფიზიკური თვისებები უნდა გააჩნდეს. მაგალითად, ქალი არ შეიძლება იყოს გაუპატიურების შუალობითი ამსრულებელი. იგი არათანმიმდევრობას უსაყვედურებს ნ. ტაგანცევს, როცა ეს უკანასკნელი „ერთი მხრივ, შესაძლებლად თვლიდა, რომ ქალი შეიძლება იყოს გაუპატიურების შუალობითი ამსრულებელი, ხოლო, მეორე მხრივ, გამორიცხავდა თანამდებობრივ დანაშაულებში არასპეციალური სუბიექტის შუალობით ამსრულებლობას“¹⁷.

ერთი შეხედვით, ნ. ტაგანცევის მოსაზრებას საფუძველი არ გააჩნია. მართლაც, თუ მოხრჩობით მკვლელობის შუალობით ამსრულებლად იმ პირის მიჩნევას, ვისაც არ ჰქონდა უნარი ფიზიკური მოქმედებისა, ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ პირს უშუალოდ არ შეეძლო ამ დანაშაულის ჩადენა, მაშინ რატომ უნდა დავუშვათ გამონაკლისი თანამდებობრივ დანაშაულებში, კერძო პირსაც ხომ არ შეუძლია თანამდებობრივი დანაშაულის უშუალოდ ჩადენა? მაშასადამე, უშუალოდ ჩადენის შეუძლებლობა არის საერთო ნიშანი ორივე აქ აღნიშნული კატეგორიის დელიქტებისათვის. ამიტომ თუ მხოლოდ ამ ნიშნის მიხედვით ვიმსჯელებთ, მ. კოვალიოვი უთუოდ მართალია, როცა ნ. ტაგანცევს არათანმიმდევრობას უსაყვედურებს.

მაგრამ თუ კოვალიოვს დაუჭერებთ, მაშინ დაუსჯელი უნდა დავტოვოთ ის პირიც, ვინც ავტო-მოტოტრანსპორტის საშუალება გაიტაცა დროებითი გამოყენების მიზნით (საქართველოს სსრ სსკ მ. 243) მცირეწლოვანის მეშვეობით ან სრულწლოვანი და შერაცხავდი პირის შეცდენის გზით, თუ მას, ე. ი. წამქეზებელს, თვითონ

¹⁶ Н. С. Таганцев, *Мотивы в преступлении*, гл. 737—738.

¹⁷ М. И. Ковалев, *Соучастие в преступлении, часть II*, Свердловск, 1962, с. 17, примеч. 1: Ф. Г. Бурчак, *Учение о соучастии по советскому уголовному праву*, Киев, 1969, с. 168—169.

არ შეეძლო მანქანის მართვა და სწორედ ამიტომ მიმართა „ცოცხალ იარაღს“. საესეებით შესაძლებელია აგრეთვე „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით ავტომანქანის ან მოტოციკლის გატაცება მისაკუთრების მიზნით (საქართველოს სსრ სსკ მ. 150, ქურდობა) იმ პირის მიერ, ვისაც თვითონ არ შეუძლია მანქანის მართვა და სხვა. ეს და სხვა მათი მსგავსი ქმედობები რომ საზოგადოებრივად საშიში და დასჯადობის ღირსია, ამაში ალბათ ეკვი არავის შეეპარება, ამიტომ მე შევეცდები დავასაბუთო აღნიშნულ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობა.

იმისათვის, რათა გავარკვიოთ, შეიძლება თუ არა შუალობითი ამსრულებლობა იმ დელიქტებში, რომელთა ჩადენა მხოლოდ სპეციალური სუბიექტის მიერ ხდება, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვიკვლიოთ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების (მართლწინააღმდეგობის) და დანაშაულის სუბიექტის დამოკიდებულების საკითხი. სახელდობრ, გასარკვევია, ახდენს თუ არა რაიმე გავლენას ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე დანაშაულის სუბიექტის ნიშნები. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე ზეგავლენას ახდენენ დანაშაულის სუბიექტის ნიშნები. მაგალითად, ვ. კუდრიავეცივი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კრიმინალისტა უდიდესი უმრავლესობა იზიარებს, ჩვენი აზრით, სწორ შეხედულებას, რომ საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს დანაშაულს მთლიანად და განისაზღვრება დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტით მათს ერთობლიობაში“¹⁸. სხვა ადგილას ვ. კუდრიავეცივი პირდაპირ ამბობს, რომ „...სუბიექტი (ო. გ.) და სუბიექტური მხარე დანაშაულისა ზეგავლენას ახდენენ მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხზე არა უშუალოდ, არამედ ობიექტური გარეგანი ნიშნების მეშვეობით, აძლევენ რა (формируя) შინაარსს დამნაშავეს მოქმედებას“¹⁹. როგორც ვხედავთ, ვ. კუდრიავეცივი თვლის, რომ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე ზეგავლენას ახდენენ (სხვა ნიშნებთან ერთად) დანაშაულის სუბიექტის ნიშნებიც. მაგრამ შემდეგ ავტორი რატომღაც არ აკონკრეტებს ამ დებულებას და ამდენად გაუგებარია, თუ სახელდობრ, რაში გამოიხატება ეს ზემოქმედება.

საგანგებოდ ეხება ამ საკითხს აგრეთვე ვ. პროხოროვი. „დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება, — ამბობს იგი, — ეს არ-

¹⁸ В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, с. 98.

¹⁹ ვ. კუდრიავეცივი, მითით. ნაშრომი, გვ. 100.

ის თვისება ყველა მისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნებისა: სუბიექტისა (ო. გ.) და სუბიექტური მხარის, ობიექტისა და ობიექტური მხარის“²⁰.

სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნების ზეგავლენა ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე ვ. პროხოროვის აზრით, იმაში გამოიხატება, რომ „განმეორებითი დანაშაული ან დანაშაული, ჩადენილი რეციდივისტის მიერ შეიცავს მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას არა იმიტომ, რომ შეიცვალა ქმედობის ობიექტური ნიშნები, არამედ იმის გამო, რომ გაიზარდა სუბიექტის საზოგადოებრივი საშიშროება“²¹.

ვ. პროხოროვი წამოყენებულ დებულებას რატომღაც არ ასაბუთებს. ერთადერთი საბუთი მის სასარგებლოდ ის უნდა იყოს, რომ დანაშაულის განმეორების შემთხვევაში პასუხისმგებლობაც იზრდება. მაგრამ პასუხისმგებლობის ზომა ყოველთვის არ არის დამოკიდებული მარტოოდენ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე. სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომას საბჭოურ სისხლის სამართალში, როგორც წესი, სამი მომენტი განსაზღვრავს: 1. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, 2. ბრალის ხარისხი და 3. პიროვნების საშიშროების ხარისხი. განმეორების (რეციდივის) შემთხვევაში პასუხისმგებლობის ხარისხი დამოკიდებულია პიროვნების გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე. როდესაც ვამბობთ, რომ სუბიექტი გავლენას ახდენს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, იცვლება თუ არა ქმედობის შინაარსი იმის მიხედვით, თუ ვინ ჩაიდენს მას. რეციდივისტმა რომ კაცი მოკლას ან გაძარცვოს, ქმედობას ამით არაფერი შეემატება. მკვლელობისა და გაძარცვის საზოგადოებრივი საშიშროება, მათი სოციალური შინაარსი არ შეიცვლება. ამიტომ არის, რომ განმეორების (რეციდივის) ნიშანი ვერასდროს ვერ დააფუძნებს უმართლობის ტიპს.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა ქმედობა სულ სხვაგვარ სოციალურ შინაარსს იძენს იმისდა მიხედვით, თუ ვინ ჩაიდენს მას. ამას ადგილი აქვს იმ დელიქტებში, რომელთა შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს ე. წ. სპეციალური სუბიექტი წარმოადგენს. მიემართოთ მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხის-

²⁰ Курс Советского уголовного права, ч. общая, т. I, Изд. Ленинградского университета, 1968, с. 318.

²¹ Курс советского уголовного права, 1968, с. 319.

მგებლობა მაროდერობისათვის. კანონის თანახმად, მაროდერობა არის ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ნივთების გატაცება. ამ დანაშაულის სუბიექტი აუცილებლად სამხედრო პირი უნდა იყოს. ბრძოლის ველზე დაჭრილთა და მოკლულთა ნივთები რომ არასამხედრო მსახურმა გაიტაცოს, მაშინ მაროდერობა კი არა, ქურდობა ან ძარცვა გვექნება. ობიექტურად მომხდარ ფაქტს განსხვავებული სოციალური შინაარსი ეძლევა იმისდა მიხედვით, ჩაიდენს მას სამხედრო მსახური თუ სხვა პირი; მაროდერობა ძარცვისა და ქურდობისაგან არსებითად განსხვავებული უმართლობაა. სხვადასხვა მათი ობიექტებიც, ქურდი ხელყოფს სხვის ქონებას, მაროდერობის ძირითადი ობიექტი კი არის სამხედრო დისციპლინა, რადგანაც მაროდერი ძირს უთხრის არმიის ავტორიტეტს²².

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 201-ე მუხლით ისჯება მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების სათანადო ნებართვის გარეშე გახმაურება. ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მოწმე, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, დამცველი, ექსპერტი და სხვა პირები. მაგრამ თუ ეს მონაცემები სათანადო ნებართვის გარეშე გახმაურებულია არა დასახელებული პირების, არამედ წინასწარი გამოძიების ორგანოების, მოკვლევის ან სასამართლოს თანამდებობის პირთა მიერ, მაშინ ისინი პასუხს აგებენ შესაბამისი თანამდებობრივი დანაშაულისათვის (საქართველოს სსრ სსკ 185—191 მმ). ამ შემთხვევაშიც ერთსა და იმავე ფაქტს, სახელდობრ, წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის მონაცემების გახმაურებას სხვა შინაარსი ეძლევა, რისი მიზეზიც ასევე დანაშაულის სუბიექტია; პირველ შემთხვევაში (მ. 201) დანაშაულის ობიექტია მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოთა სწორი მუშაობა, ხოლო მეორე შემთხვევაში, თუ მაგალითად, დასახელებულ ორგანოთა თანამდებობის პირმა ამ მონაცემებს გახმაურებისათვის ქრთამი აიღო (მ. 189), დამნაშავე ხელყოფს არა მარტო ამ ორგანოების სწორ მუშაობას, არამედ უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტს²³.

საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის. მაგრამ თუ ეს ქმედობა ჩაიდინა მოკვლევის ან წინასწა-

²² Советское уголовное право, часть особенная, М., 1962, с. 468.

²³ ვ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, გ. ტ ყ ე შ ე ლ ი ა ძ ე, პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, თბილისი, 1964, გვ. 42.

რი გამოძიების თანამდებობის პირმა პროკურორის სანქციის ან სასამართლოს დადგენილების გარეშე, იგი პასუხს აგებს ამავე კოდექსის 194-ე მუხლით. 133-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მიმართულია პიროვნების წინააღმდეგ, დამნაშავე უსპობს მას თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას²⁴. რაც შეეხება 194 მუხლით გათვალისწინებულ ქმედობას, მისი ძირითადი ობიექტია მართლმსაჯულების ინტერესები, დამნაშავე ლახავს მართლმსაჯულების ორგანოთა ავტორიტეტს. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ სპეციალური სუბიექტის ნიშნები ზეგავლენას ახდენენ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე (მართლწინააღმდეგობაზე)²⁵.

ახლა დავუბრუნდეთ იმ საკითხს, თუ რატომ არ შეიძლება, რომ არასპეციალური სუბიექტი იყოს იმ დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი, რომლის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სპეციალური სუბიექტი. ზემონათქვამიდან ცხადია, რომ ზოგჯერ იმის მიხედვით, თუ ვინაა სუბიექტი, იცვლება დანაშაულის ობიექტი, იცვლება ქმედობის სოციალური შინაარსი. სწორედ ამის გამო აღნიშნულ დელიქტებში შუალობით ამსრულებელს უნდა გააჩნდეს ყველა ის ნიშანი, რაც აუცილებელია მისი უშუალო აღსრულებისათვის. მაგალითად, არასამხედრო მსახურმა რომ ბრძოლის ველზე დაქრილთა და მოკლულთა ნივთები გაიტაცოს სულით ავადმყოფი სამხედრო მსახურის მეშვეობით, მაროდერობა არ გვექნება; ძალიანაც რომ უნდოდეს, არასამხედრო პირი, სულით ავადმყოფი სამხედრო პირის მეშვეობით, არმიის ავტორიტეტს მაინც ვერ შელახავს. მისი ქმედობა მხოლოდ მოქალაქეთა პირად საკუთრებას ხელყოფს და ამიტომ ქურდობად ან ძარცვად დაკვალიფიცირდება.

დავუშვათ, რომ მოწმემ ან ექსპერტმა, სამოქალაქო მოსარჩელემ ან სამოქალაქო მოპასუხემ გადაწყვიტა შელახოს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტი. ამ მიზნით მან გაახმაურა მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემები სათანადო ნებართვის გარეშე აღნიშნული ორგანოს თანამდებობის პირის მეშვეობით (ვთქვათ, მისი შეცდომაში შეყვანის გზით). რა

²⁴ Советское уголовное право, часть особенная, 1962, с. 160.

²⁵ აქ თეორიტიკის წესით უნდა ვაღიარო, რომ ამ საკითხში მე ადრე მცდარი პოზიცია მექირა, როცა ვამტიციებდი, თითქოს სპეციალური სუბიექტის ნიშნები არ განსაზღვრავენ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას. ო. გამყრელიძე, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის სუბიექტი, „საბჭოთა სამართალი“, 1969, № 2, გვ. 13—14.

მუხლით აგებს იგი პასუხს? ცხადია, მაინც საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 201 მუხლით. ეს იმიტომ, რომ მას არ შეუძლია დასახელებული ობიექტის დაზიანება, რადგან არ არის თანამდებობის პირი. სწორედ ამიტომ ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი არ შეიძლება იყოს პირი, ვისაც არა აქვს უნარი მისი უშუალოდ ჩადენისა.

კერძო პირის მიერ უკანონოდ ვისიმე თავისუფლების აღკვეთა, თუნდაც რომ ამისათვის „ცოცხალ იარაღად“ გამოყენებული იყოს მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოს პირი (ვთქვათ, აიძულეს მოკვლის მუქარით), ექვს გარეშეა, დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 133 მუხლით. ნიშანი, რომელიც უნდა გააჩნდეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტს (გამოძიების ან მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირი), არ შეიძლება შეივსოს „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით. ეს იმიტომ, რომ ობიექტი, რომელიც დაცულია 194 მუხლით, მხოლოდ და მხოლოდ იმან შეიძლება დააზიანოს, ვისაც ამ მუხლით გათვალისწინებული სუბიექტის ნიშნები ახასიათებს.

ზემოთქმულის საფუძველზე ერთი ზოგადი ხასიათის დასკვნა უნდა გავაკეთო: თუ პიროვნებას აქვს ისეთი ნაკლი, რომელიც გამორიცხავს მის მიერ რომელიმე დანაშაულის უშუალოდ ჩადენას, მაგრამ შესაძლებელია ამ ნაკლის შევსება „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით, მაშინ იგი უნდა ვცნოთ შესაბამისი დანაშაულის შუალობით ამსრულებლად. რას უნდა ნიშნავდეს ნაკლის შევსება „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით? ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნებას, მართალია, თვითონ უშუალოდ არ აქვს უნარი რომელიმე დანაშაულის ობიექტის დაზიანებისა, მაგრამ ამისათვის იგი იყენებს სხვა პირს, რომელსაც ეს უნარი გააჩნია და მისი მეშვეობით აზიანებს აღნიშნულ ობიექტს. პირი „ცოცხალ იარაღად“ ირჩევს ისეთ ადამიანს, რომელსაც აქვს ფიზიკური შესაძლებლობა ხელყოფის ობიექტის დაზიანებისა, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო პასუხს არ აგებს ჩადენილი ქმედობისათვის.

ამრიგად, ის გარემოება, რომ ინდივიდს არ შეუძლია უშუალოდ აღასრულოს მოცემული დანაშაულის შემადგენლობა, ყოველთვის არ გამორიცხავს ამ პირის მიერ ხსენებული შემადგენლობის შუალობით ამსრულებლობას. დანაშაულის უშუალოდ ჩადენის შეუძლებლობა ფორმალური ნიშანია, რაც თავისთავად ვერ დაედება საფუძვლად ამ დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის შეუძლებლობას. ამ თვალსაზრისით ნიშნები, რომლებიც გამორიცხავენ

სუბიექტის მიერ რომელიმე დანაშაულის უშუალოდ ჩადენას, ჩემი აზრით, ორ ჯგუფად უნდა დაიყოს. პირველ ჯგუფში შევა ისეთი ნიშნები, რომლებიც სუბიექტს რაიმე მოვალეობას აკისრებენ. მაგალითად, თანამდებობრივი მოვალეობა, სამხედრო მოვალეობა და სხვა. მეორე ჯგუფში შევა ისეთი ნიშნები, რომლებიც ფაქტიური ხასიათისაა, მაგალითად, პირს არ შეუძლია ამა თუ იმ დანაშაულის უშუალო ჩადენა რაიმე ფიზიკური ან სათანადო პროფესიული (წერაკითხვის უცოდინარია, არ იცის მანქანის მართვა და სხვ.) ნაკლის გამო. შუალობითი ამსრულებლობის საკითხი სხვადასხვაგვარად უნდა გადაწყდეს იმისდა მიხედვით, თუ რომელი აქ მითითებული ჯგუფის ნიშანთან გვაქვს საქმე. თუ ინდივიდს არ შეუძლია რომელიმე დანაშაულის უშუალოდ ჩადენა იმის გამო, რომ მას არ აკისრია ის მოვალეობა, რომელიც ამ დანაშაულის ამსრულებელს უნდა ჰქონდეს, მაშინ იგი ხსენებულ შემადგენლობას „იარაღის“ მეშვეობითაც ვერ განახორციელებს. ჩვეულებრივ, ეს იმით აიხსნება, რომ მოვალეობა პერსონალური ბუნებისაა. ვისაც მოვალეობა პირადად არ აკისრია, იგი მას ვერც დაარღვევს. ამიტომ ამ ნაკლის შევსება სხვა პირის მეშვეობითაც არ შეიძლება. მაგრამ თუ საქმე ეხება არა მოვალეობას, არამედ რაიმე ფიზიკურ ან სათანადო პროფესიულ ნაკლს, ამ ნაკლის შევსება „იარაღის“ მეშვეობით სავსებით შესაძლებელია. მაგალითად, წერა-კითხვის უცოდინარი პასუხს აგებს საბუთის გაყალბების შუალობითი ამსრულებლობისათვის და სხვ.

§ 3. „იარაღი“ მოქმედებს ბრალის ბარეში

1. დამნაშავემ „ცოცხალ იარაღად“ შეიძლება გამოიყენოს ისეთი ადამიანი, რომელიც პასუხს არ აგებს შეურაცხაობის გამო. მ. ჯ.-მ წააქეზა სულით ავადმყოფი ხ. კ. თავისი ძმის ა. ჯ.-ს მოსაკლავად, რომელთანაც მტრული დამოკიდებულება ჰქონდა. ამისათვის მან ხ. კ.-ს გადასცა სანადირო თოფი ოთხი ვაზნით და თან აღუთქვა, თუ ჩემს ძმას მოკლავ, გასამრჯელოდ ამ თოფს მიიღებო. ხ. კ.-მ მოკვლის მიზნით ორჯერ ესროლა ა. ჯ.-ს და მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ მ. ჯ.-ს ქმედობა დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17-105 მუხლებით, როგორც მკვლელობის მცდელობა. მ. ჯ. მკვლელობის მცდელობის შუალობითი ამსრულებელია. ობიექტური მხრივ მისი მოქმედება ერთდროულად გამოიხატა როგორც წამქეზებლობაში, ისე დახმარებაში. რაც შე-

ენება ხ. კ., მან პასუხი არ აგო შეურაცხაობის გამო, იგი მხოლოდ „ცოცხალი იარაღის“ როლს ასრულებდა.

სხვათა შორის, ეს საქმე იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ დანაშაულებრივი მოქმედების განვითარების სტადიის საკითხი (ამ შემთხვევაში მცდელობა) „იარაღის“ მოქმედებამ განსაზღვრა. ეს იმიტომ მოხდა, რომ სწორედ „იარაღი“ ასრულებდა ისეთ მოქმედებას, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის უშუალო განხორციელებისათვის იყო საჭირო. შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაშაულის განვითარების სტადიების საკითხი ყოველთვის იმ მოქმედების მიხედვით უნდა გადაწყდეს, რომლითაც დანაშაულის შემადგენლობა უშუალოდ ხორციელდება. ამ დებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც შუალობითი ამსრულებლობის, ისე თანამონაწილეობის შემთხვევაში. თუ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია და დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ ჩადენილ მთავარ მოქმედებაზე, ასევე „აქცესორულია“ შუალობითი ამსრულებლობაც, იმ განსხვავებით, რომ შუალობითი ამსრულებლობის დროს საქმე გვაქვს ფაქტიურ აქცესორობასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეობის დროს წამქეზებლის მოქმედებას შინაარსს აძლევს ამსრულებლის მოქმედება, ხოლო შუალობითი ამსრულებლობის დროს, პირიქით, წამქეზებლის მოქმედება აძლევს შინაარსს „ცოცხალი იარაღის“ მოქმედებას. მაგრამ ამისდა მიუხედავად, ერთი რამ მათ მაინც საერთო აქვთ: დანაშაულის განვითარების სტადიების საკითხი როგორც თანამონაწილეობის, ისე შუალობითი ამსრულებლობის შემთხვევაში ყოველთვის დამოკიდებულია ფიზიკური ამსრულებლის მოქმედებაზე.

2. ზოგჯერ „ცოცხალ იარაღად“ გამოყენებული პირის პასუხისმგებლობა გამორიცხულია მცირეწლოვანობის გამო. მოქმედი კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება 16 წლის ასაკიდან. თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში. იმ შემთხვევაში, რომელიც ჩამოთვლა, რომელთა ჩადენისათვის შეიძლება პასუხი აგოს არასრულწლოვანმა, ე. ი. თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის პირმა, მოცემულია სსრ-ის კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10-ე მუხლში. ამიტომ ის, ვინც წააქეზა მცირეწლოვანი რომელიმე დანაშაულისათვის ან არასრულწლოვანი, ე. ი. თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის პირი იმ დანაშაულისათვის, რომელიც არ არის მოხსენიებული საფუძვლების მე-10 მუხლში, პასუხს აგებს რო-

გორც შესაბამისი დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი. კალი-
ნიგრაღის საოლქო სასამართლოს განაჩენით მ. ნაუმოვი მსჯავრ-
დებული იქნა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის
მე-2 ნაწილით, 144 მუხლის მე-2 ნაწილით და 101 მუხლის „გ“
და „ზ“ პუნქტებით. ძმებმა ნაუმოვებმა და მარცენკიავიჩუსმა შე-
ნიშნეს ტყეში მდგარი ტრაქტორი და ავტომანქანა, საიდანაც მოი-
პარეს პროდუქტები და ავტომანქანის გასაღები. შეიტყვეს რა ქურ-
დობის ამბავი, მუშებმა ოსიპოვმა, ერმაკოვმა და ხიტრინმა დაიწ-
ყეს ქურდების ძებნა, რომლებიც ამ დროს მინდორში ისხდნენ.

როდესაც ნაუმოვმა შენიშნა მუშები, მოვიდა ოსიპოვთან და
გადასცა ავტომანქანის გასაღები. ოსიპოვმა წინადადება მისცა
მ. ნაუმოვსა და მარცენკიავიჩუსს გაჰყოლოდნენ მას. ამის საპასუ-
ხოდ მ. ნაუმოვმა მოკვლის მიზნით დაუმიზნა ორლულიანი სანადრ-
რო თოფი ოსიპოვს, შეაყენა ფეხზე ჩახმახები და ორჯერ სცადა
გასროლა, მაგრამ თოფი არ გავარდა.

ამის შემდეგ ძმები ნაუმოვები და მარცენკიავიჩუსი გაიქცნენ.
ოსიპოვმა და სხვებმა იფიქრეს ახალგაზრდებს თოფი დატენილი არა
აქვთო და დაედევნენ გაქცეულებს. ამ დროს მ. ნაუმოვმა გადასცა
თოფი მცირეწლოვან მარცენკიავიჩუსს და უბრძანა ესროლა მუშე-
ბისათვის. მარცენკიავიჩუსმა დაუმიზნა თოფი ოსიპოვს, გამოჰკრა
ხელი ჩახმახებს, მაგრამ თოფი არ გავარდა, რადგან ჩახმახები შე-
ყენებული არ იყო. ამიტომ მარცენკიავიჩუსი ცოტა ხნით შეჩერდა,
შეაყენა ჩახმახები და გაისროლა მოახლოებული ერმაკოვისა და
ხიტრინის მიმართულებით. ტყვია მოხვდა ერმაკოვს და მოკლა.

საკასაციო საჩივრით მსჯავრდებული მ. ნაუმოვი ითხოვდა გა-
დაესინჯათ საქმე მის ასაკთან დაკავშირებით და მიეღოთ აგრეთვე
მხედველობაში, რომ იგი არ არის ერმაკოვის უშუალო მკვლე-
ლი. ამის გამო რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმე-
თა სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ „თუმცა ერმაკოვი უშუა-
ლოდ მოკლა მარცენკიავიჩუსმა, მაგრამ თანახმად სსრ კავშირის
უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ „არასრულწლოვანთა მიერ
ჩადენილ დანაშაულთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ 1963 წლის
3 ივლისს გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტი-
სა პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის უნდა დაეკისროს მ. ნა-
უმოვს, რადგანაც თავისი დანაშაულებრივი განზრახვის განსაზო-
ციელებლად მან გამოიყენა მცირეწლოვანი, რომელიც ასაკის გამო
არ არის დანაშაულის სუბიექტი²⁶.

²⁶ Бюллетень Верховного суда РСФСР, 1968, № 7, с. 10—11.

საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხ-
ლით ისჯება „არასრულწლოვანის წაქეზება რაიმე დანაშაულის ჩა-
სადენად ან მისი ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში, თუ ამ მოქმედება-
სათვის კანონი უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს, აგრეთვე
არასრულწლოვანთა დაყოლიება პროსტიტუციაზე, მათხოვრობაზე,
ლოთობაზე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე ან სხვა ანტი-
საზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე“²⁷. ამ მუხლის თანახმად,
თუ ვინმემ წააქეზა არასრულწლოვანი ან მცირეწლოვანი (მართა-
ლია, აქ ლაპარაკია მხოლოდ არასრულწლოვანზე, მაგრამ კანონის
ლოგიკური განმარტებით უნდა დავასკვნათ, რომ ეს მუხლი მით
უმეტეს გამოიყენება მაშინაც, როცა წაქეზებული მცირეწლოვანია)
იმ დანაშაულისათვის, რომელიც უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწი-
ნებს, ვიდრე 236 მუხლი, მაშინ წამქეზებელი პასუხს აგებს მხო-
ლოდ ამ მძიმე დანაშაულისათვის. ამიტომ თუ წაქეზებული მცირე-
წლოვანია, ან თუმცა არასრულწლოვანია, მაგრამ მის მიერ ჩადენი-
ლი ქმედობა არ შედის საფუძვლების მე-10 მუხლის ჩამოთვლაში,
ანდა, თუ იგი გაუფრთხილებლობით მოქმედებდა, წამქეზებელი პა-
სუხს აგებს, როგორც შესაბამისი დანაშაულის შუალობითი ამსრუ-
ლებელი.

მაგრამ თუ ვინმემ მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანი წაა-
ქეზა ისეთი დანაშაულის ჩასადენად, რომელიც უფრო მძიმე სას-
ჯელს არ ითვალისწინებს, ვიდრე 236 მუხლი, მაშინ წამქეზებელი
პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობით. მაგალითად, თუ ვინ-
მემ მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანი წააქეზა ავტოტრანსპორ-
ტის საშუალებათა გატაცებისათვის, რომლის კვალიფიციური სახე
სასჯელის მაქსიმუმად ითვალისწინებს მხოლოდ თავისუფლების აღ-
კვეთას სამ წლამდე ვადით, მაშინ წამქეზებლის ქმედობა დაკვალი-
ფიცირდება საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის
236 და 243 მუხლებით (იდეალური ერთობლიობა). თუ წაქეზებუ-

²⁷ რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 210 მუხლი არ აკეთებს დათქმას
— „თუ ამ მოქმედებისათვის კანონი უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს“. ამ-
იტომ ზოგიერთი ქართველი კრიმინალისტი სრულიად სამართლიანად იწუნებს სა-
ქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლს ამ დათქმის გამო
და უპირატესობას ანიჭებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 210 მუხლის
ფორმულირებას. იხ. მაგალითად, მ. ქუ რ დ ა ძ ე, პასუხისმგებლობა არასრულ-
წლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის, „საბჭოთა სამართალი“,
1969, № 1; უ. კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი, არასრულწლოვანის წამქეზებლობისათვის ან
დანაშაულებრივ საქმიანობაში მათი ჩაბმისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, „საბ-
ჭოთა სამართალი“, 1969, № 5.

ლი მცირეწლოვანი იყო, რომელიც კანონის თანახმად არ არის დანაშაულის სუბიექტი, მაშინ წამქეზებელი პასუხს აგებს როგორც 236 მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის უშუალო ამსრულებელი და 243 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის №6 დადგენილების („არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სასამართლო პრაქტიკის შესახებ“) მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტში პირდაპირ არის მითითებული, რომ „დანაშაულის სრულწლოვანი მონაწილე, რომელმაც ამ დანაშაულში ჩააბა 14 წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანი ან ჩააბა მოზარდი 14-დან 16 წლის ასაკამდე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც ამ უკანასკნელს კანონის ძალით არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლად მისი მონაწილეობის ფორმისა, განიხილება ამ კონკრეტული დანაშაულის ამსრულებლად და მისი მოქმედება, ამის გარდა, ერთობლიობის წესით უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არასრულწლოვანის ჩაბმისათვის დანაშაულებრივ საქმიანობაში“²⁸.

აქამდე ვიხილავდით ისეთ შემთხვევებს, როცა სრულწლოვანი პირი სულით ავადმყოფს ან მცირეწლოვანს აქეზებს მესამე პირისათვის ზიანის მისაყენებლად. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ დამნაშავემ სულით ავადმყოფი ან მცირეწლოვანი წააქეზოს თვითმკვლელობისათვის ან საკუთარი სხეულის დაზიანებისათვის. ამ შემთხვევაშიც წამქეზებელი არის მკვლელობის ან სხეულის დაზიანების შუალობითი ამსრულებელი (იხ. § 1), ხოლო „ცოცხალ იარაღად“ გამოდის თვით მსხვერპლი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ-ის 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იმდროინდელი კოდექსები მსგავს შემთხვევებს არ განიხილავდნენ მკვლელობად. საქართველოს სსრ-ის 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იყო სპეციალური შემადგენლობა — მუხლი 150, რომლის პირველი ნაწილით ისჯებოდა „არასრულწლოვანის ან იმ პირის თვითმკვლელობისათვის ხელის შეწყობა ან შეგულიანება, ვისაც, როგორც დამნაშავემ წინასწარ იცოდა, არ შეეძლო შეეცნო თავისი მოქმედების ხასიათი

²⁸ Сборник постановлений пленума Верховного суда РСФСР, 1924—1963, М., 1964, с. 311—312. Научно-практический комментарий Уголовного кодекса РСФСР, изд. 2-ое, М., 1964, с. 448. ზოგიერთი კრიმინალისტი წინააღმდეგია ყველა შემთხვევის ერთობლიობის წესით კვალიფიკაციისა. იხ. М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. 2, Свердловск, 1962, с. 20.

და მნიშვნელობა ან განეგო თავისი საქციელი, უკეთუ ამას თვით-
მკვლელობა ან თვითმკვლელობის ცდა მოჰყვა...“ თუმცა ეს მუხლი
იმ კარში იყო შეტანილი, რომელსაც „სიცოცხლის მოსპობა ერქვა“,
მაგრამ აღნიშნული ქმედობა არ განიხილებოდა მკვლელობად, რად-
გან მკვლელობის სახეები ამომწურავად იყო მოცემული სხვა მუხ-
ლებში. დასახელებული შემადგენლობის ცალკე გამოყოფა, რასა-
კვირველია, შეცდომა იყო. ამიტომ საქართველოს სსრ-ის 1960 წლის.
სისხლის სამართლის კოდექსში (ისევე როგორც სხვა მოკავშირე
რესპუბლიკების კოდექსებში) იგი აღარ შეუტანიათ. ექვს გარეშეა,
რომ აქ საქმე გვაქვს მკვლელობის შუალობით ამსრულებლობას-
თან და კვალიფიკაცია მოხდება საქართველოს სსრ-ის სისხლის.
სამართლის კოდექსის 104 ან 105 მუხლებით²⁹.

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როცა
ადგილი აქვს სრულწლოვანი და შერაცხვაუნარიანი პირის წაქე-
ზებას ან ხელის შეწყობას თვითმკვლელობაში, ანუ, როგორც ამ-
ბობენ, ე. წ. თანამონაწილეობას თვითმკვლელობაში. თანამონაწი-
ლეობაზე ლაპარაკი აქ, რასაკვირველია, ზედმეტია, რადგან თვით-
მკვლელობა მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.
რჩება მეორე გზა: ხომ არ არის აქ მკვლელობის შუალობითი ამს-
რულებლობა ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს არასრულწლოვა-
ნის ან სულით ავადმყოფის თვითმკვლელობისათვის წაქეზების
დროს? ექვს გარეშეა, სრულწლოვანი და სულიერად ჯანსაღი პირის.
წაქეზება თვითმკვლელობისათვის, თუნდაც ამის შედეგად მან ნამ-
დვილად მოიკლას თავი, ვერ ჩაითვლება მკვლელობად (შუალობი-
თი ამსრულებლობა), ვინაიდან თვითმკვლელი მოქმედებდა საკუთა-
რი ნებით, რის გამოც შეუძლებელი იყო მისი „იარაღად“ გამოყე-
ნება³⁰. მხოლოდ იმ პირის გამოყენება შეიძლება დანაშაულის ბრმა
„იარაღად“, რომელსაც არა აქვს შეგნებული თავისი მოქმედების
სოციალური შინაარსი, ან თუმცა შეგნებული აქვს, მაგრამ არ შე-
უძლია განაგოს თავისი მოქმედება.

²⁹ თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 121; საქართვე-
ლოს სსრ-ის 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის I ნაწილი ით-
ვალისწინებდა არასრულწლოვანის ან სულით ავადმყოფის მხოლოდ თვითმკვლელო-
ბისათვის ხელის შეწყობას ან შეგულიანებას. ამიტომ თუ ადგილი ჰქონდა ამ პირთა
შეგულიანებას ან ხელის შეწყობას მათივე სხეულის დაზიანებისათვის, დანაშავე გა-
ნიხილებოდა როგორც სხეულის დაზიანების შუალობითი ამსრულებელი ამავე კო-
დექსის შესაბამისი მუხლებით. რადგან აღნიშნული ქმედობა, მსგავსად 150 მუხ-
ლის I ნაწილისა, არ იყო გამოყოფილი ცალკე შემადგენლობად.

³⁰ თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 122.

მოქმედ კანონმდებლობაში გვხვდება სპეციალური შემადგენლობა — თვითმკვლელობამდე მიყვანა, რომელიც აქ განსახილველ საკითხთან უშუალოდ არის დაკავშირებული. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლით ისჯება დამნაშავეისაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით. ასეთი შემადგენლობა შეტანილია აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებშიც. აღნიშნული შემადგენლობის კომენტატორთა დიდი ნაწილი იმ აზრისაა, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანა შესაძლებელია მხოლოდ გაუფრთხილებლობით ან ევენტუალური განზრახვით. მაგრამ თუ თვითმკვლელობამდე მიყვანის დროს დამნაშავე მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, ე. ი. ითვალისწინებდა და სურდა კიდევ, რომ მსხვერპლს თავი მოეკლა, ამ კრიმინალისტთა აზრით, ადგილი აქვს არა თვითმკვლელობამდე მიყვანას, არამედ მკვლელობას³¹. მაგრამ როგორც სწორად შენიშნავს თ. წერეთელი, „საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს იმისდა მიხედვით, პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა დამნაშავე, თუ ევენტუალური განზრახვით ან დაუდევრობით. აქ გადამწყვეტია სულ სხვა მომენტი: წარმოადგენდა თუ არა დაზარალებული ბრმა იარაღს დამნაშავეის ხელში, თუ პირიქით, მას ჰქონდა შენარჩუნებული მოქმედების თავისუფლება: მხოლოდ პირველ შემთხვევაში ექნება ადგილი მკვლელობას. ხოლო დანარჩენ შემთხვევაში „თვითმკვლელობამდე მიყვანის“ შემადგენლობას, თუნდაც დამნაშავე პირდაპირი განზრახვით მოქმედებდეს“³².

მკვლელობის შუალობითი ამსრულებლობა არ გვექნება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა თვითმკვლელობის მიზეზი გაუპატიურება იყო. დამნაშავეს კიდევაც რომ სურდეს და ითვალისწინებდეს, რომ გაუპატიურების შედეგად ქალი თავს მოიკლავს, იგი პასუხს არ აგებს მკვლელობისათვის. სრულწლოვანი და სულიერად ჯანსა-

³¹ М. Д. Шаргородский, Преступления против жизни и здоровья, М., 1947, с. 68; А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, с. 110; Советское уголовное право, ч. особенная, М., 1962, с. 139; Советское уголовное право, ч. особенная, изд. Московского университета, 1964, с. 144.

³² თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 128, შენიშვნა 77; ეს საკითხი სწორადაა გადაწყვეტილი აგრეთვე რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში. იხ. Научно-практический комментарий уголовного кодекса РСФСР, изд. 2-ое, М., 1964, с. 262.

ლი ადამიანის მოკვლა მისივე ხელით შესაძლებელია მხოლოდ მსხვერპლის შეცდომაში შეყვანის გზით³³. მაგალითად, მოკვლის მიზნით საკმელში ან სასმელში საწამლავის სასიკვდილო დოზის ჩაყრა, რომელიც შემდეგ მსხვერპლმა თავისივე ხელით დალია. აქ უთუოდ არის მკვლელობის შუალობითი ამსრულებლობა.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სრულწლოვანი და სულიერად ჭანსალი ადამიანის „ცოცხალ იარაღად“ გამოყენება შესაძლებელია სხვა პირისათვის ზიანის მისაყენებლადაც.

შუალობით ამსრულებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეს თვითონ შეჰყავს მსხვერპლი შეცდომაში, არამედ მაშინაც, როცა იგი იყენებს სხვის შეცდომას. ერთ-ერთი კოლმეურნეობის მოლარეს რაგიმოვს ბანკიდან ჩეკის მიხედვით 15000 მანეთი უნდა მიეღო. ბანკის მოლარემ შეცდომით მას, ნაცვლად 15000 მანეთისა 75000 მანეთი მიუთვალა. რაგიმოვმა ზედმეტად მიღებული 60000 მანეთი მიითვისა. იგი არის სახელმწიფო ფულის დატაცების შუალობითი ამსრულებელი³⁴. შუალობით ამსრულებლობას ადგილი აქვს აგრეთვე მაშინ, როცა დამნაშავე მონუსხავს (ჰიპნოზი) მეორე პირს და ამოქმედებს მას თავის სასარგებლოდ. შესაძლებელია აგრეთვე ისეთი შემთხვევაც, როცა დამნაშავე აღუკვეთავს სუბიექტს საგანგებოდ მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას³⁵. მაგალითად, დამნაშავე შეჰკრავს რკინიგზის მეისრეს, რომელსაც აღარ აქვს შესაძლებლობა გადაიყვანოს მატარებელი თავისუფალ ხაზზე, რაც ხდება მიზეზი მატარებლის მარცხისა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი შემთხვევა იმიტომაცაა საინტერესო, რომ ამსრულებელი აქ არც წამქეზებლის როლში გამოდის და არც დამხმარის. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ შუალობითი ამსრულებლის ფიგურა არ არის ხელოვნური და ცხოვრებისათვის უცხო კონსტრუქცია. თუ იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულებრივი საქმიანობა გარეგნულად წაქეზების ან დახმარების ფორმით ვლინდება, აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეთა აზრით, პირი უნდა დაისაჯოს არა როგორც ამსრულებელი, არამედ როგორც თანამო-

³³ მ. კოვალიოვი ასეთ შემთხვევასაც თვითმკვლელობას უწოდებს, რაც არაზუსტია. თვითმკვლელობის დროს პირს ყოველთვის შეგნებული აქვს, რომ თავს იკლავს (ფაქტიური ვარემოებები მაინც). იხ. მ. კოვალიოვი, დასახ. ნაშრომი, ნაწ. II, გვ. 21.

³⁴ М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 23.

³⁵ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 119.

ნაწილე, აღნიშნული შემთხვევა მათ უკვე დაუსჯელი უნდა დატოვონ, რადგან აქ, როგორც უკვე ითქვა, არც წაქეზებაა და არც დახმარება.

დამნაშავე, რომელმაც მეისრე შეჰკრა და ამით მიაღწია დასახულ მიზანს, არც წამქეზებელია და არც დახმარე, თუმცა იგი ამავე დროს არც დანაშაულის უშუალო ამსრულებელია. მაგრამ ის მაინც ამსრულებელია, თუმცა არა უშუალო, არამედ შუალობითი ამსრულებელი. ამრიგად, ცხოვრება თვითონ ჯვიბიძგებს იმისკენ, რომ ასეთი ცნება შეექმნათ, იგი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

სრულწლოვანი და სულიერად ჯანსაღი ადამიანის დანაშაულის „იარაღად“ გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე ფსიქიკური იძულებითაც. თუმცა ყოველგვარი ფსიქიკური იძულება ვერ გახდება საფუძველი მოძალადის ამსრულებლად ცნობისა. პირი დანაშაულის „იარაღად“ გამოყენებული იქნება მხოლოდ ისეთი ფსიქიკური იძულების დროს, რომელსაც შეუძლია შექმნას უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა. მაგრამ რადგანაც უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი მოქმედებს მართლზომიერად, ამიტომ ამ საკითხს აქ აღარ შევეხები და განვიხილავ ცოტა ქვემოთ, სადაც საერთოდ ლაპარაკი იქნება მართლზომიერად მოქმედი „იარაღის“ შესახებ.

§ 4. „იარაღი“ მოამბეებს ბრალეულად

აქამდე ვიხილავდით ისეთ შემთხვევებს, როცა „იარაღის“ პასუხისმგებლობა გამორიცხული იყო იმის გამო, რომ მას ბრალი არ მიუძღოდა ჩადენილ ქმედობაში. მაგრამ ზოგჯერ შესაძლებელია „იარაღსაც“ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. უპირველეს ყოვლისა, ეს ისეთი შემთხვევაა, როცა „იარაღი“ გაუფრთხილებლობით მოქმედებს. ეს დებულება პირდაპირ გამომდინარეობს მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობიდან. საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლით თანამონაწილეობად ჩაითვლება ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. ამ განსაზღვრების თანახმად, თანამონაწილეობას ადგილი აქვს მხოლოდ იქ, სადაც ყოველი მონაწილე განზრახ მოქმედებს³⁶.

³⁶ „საფუძვლების“ მე-17 მუხლის ამგვარი გაგების წინააღმდეგ გამოდის მხოლოდ მ. შარგოროდსკი. ამ საკითხზე დაწერილებით იხ. ამ ნაშრომის მესამე თავი, § 1, ნაკვეთი მეორე.

საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაშიც იგივე აზრია გაბატონებული³⁷. მაგრამ ზოგიერთი ავტორი არ ეთანხმება გაბატონებულ თვალსაზრისს და თვლის, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. ეს აზრი გამოთქმული აქვს ა. ტრაინინს ჯერ კიდევ 1941 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში თანამონაწილეობის შესახებ. იგი საგულდაგულოდ იხილავს ყველა იმ შემთხვევას, რომელშიც კი შეიძლება დაიხვას გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის საკითხი: 1. წამქეზებული მოქმედებს განზრახ, უშუალო ამსრულებელი კი გაუფრთხილებლობით, 2. წამქეზებული ან დამხმარე მოქმედებს გაუფრთხილებლობით, უშუალო ამსრულებელი — განზრახ და 3. ყველა მონაწილე მოქმედებს გაუფრთხილებლობით. ამ სამი შესაძლებელი ვარიანტიდან ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ პირველი, ე. ი. როცა ერთი განზრახ აქეზებს მეორეს დანაშაულისათვის, ხოლო წამქეზებული ფიზიკური ამსრულებელი მოქმედებს გაუფრთხილებლობით. მხოლოდ აქ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ წამქეზებული არის არა თანამონაწილე, არამედ შუალობითი ამსრულებელი. რაც შეეხება დანარჩენ ორ შემთხვევას, იქ შუალობით ამსრულებლობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ა. ტრაინინის აზრით, თუ ერთი პირი, ასე ვთქვათ, წამქეზებული მოქმედებს განზრახ, ხოლო მეორე — ამსრულებელი — მოქმედებს გაუფრთხილებლობით, თანამონაწილეობა შეუძლებელია.

„თუ პირი, — ამბობს ა. ტრაინინი, — განზრახ შეაგულიანებს დანაშაულის ჩასადენად მეორე პირს, რომელიც გაუფრთხილებლობით მოქმედებს, აქ არ არის წამქეზებული (დამხმარე) და ამსრულებელი, არ არის თანამონაწილეობა, არამედ არის მხოლოდ ერთი — ბრალეული პირი — განზრახი დანაშაულის ავტორი, რომელიც თვითონ კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის“³⁸. ა. ტრაინინი გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას ხედავდა მხოლოდ იქ, სადაც ყველა მონაწილე გაუფრთხილებლობით მოქმედებდა³⁹. გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის თეორიას იზიარებს აგრეთვე მ. შარგოროდსკი. მისი პოზიცია ამ

³⁷ თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 34—47. Курс советского уголовного права, ч. особенная, I, изд. Ленинградского университета, 1968, с. 596; Курс советского уголовного права, II, М., 1970, с. 460; Научно-практический комментарий уголовного кодекса РСФСР, изд. 2-ое, М., 1964, с. 45.

³⁸ А. Н. Т р а и н и н, Учение о соучастии, М., 1941, с. 112.

³⁹ ა. ტ რ ა ი ნ ი ნ ი, მითით. ნაშრომი, გვ. 114.

საკითხში არსებითად არ განსხვავდება ა. ტრაინინის პოზიციისაგან. იგი ამტკიცებს, რომ თანამონაწილეობისათვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი სუბიექტური დამოკიდებულება ყველა მონაწილისა დანაშაულებრივი შედეგისადმი. თანამონაწილეობას ადგილი აქვს იქ, სადაც ყველა მონაწილე მოქმედებს ან განზრახ ან გაუფრთხილებლობით. ამიტომ თუ ვინმე წააქეზებს დანაშაულის ჩასადენად მეორე პირს, რომელიც გაუფრთხილებლობით მოქმედებს, თანამონაწილეობა არ გვექნება. წამქეზებელი ასეთ შემთხვევაში პასუხს აგებს არა როგორც თანამონაწილე, არამედ როგორც შუალობითი ამსრულებელი⁴⁰.

ამრიგად, ერთი რამ ცხადია: საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში წამოპირილი დავა იმის გამო, განზრახია თანამონაწილეობა თუ გაუფრთხილებლობითი, ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს ჩვენთვის აქ საინტერესო საკითხზე. როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის მომხრენი ერთხმად აღიარებენ, რომ არ შეიძლება განზრახი თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით ჩადენილ მთავარ მოქმედებაში. შესაძლებელია ფიზიკურმა ამსრულებელმა პასუხი აგოს გაუფრთხილებლობისათვის, მაგრამ იგი მაინც იარაღია წამქეზებლის ხელში. ამიტომ მსგავს შემთხვევებში წამქეზებელი თანამონაწილე კი არა, თვითონ არის დანაშაულის ამსრულებელი, სახელდობრ, შუალობითი ამსრულებელი.

შეიძლება თუ არა „იარაღი“ განზრახ მოქმედებდეს? აქ ლაპარაკია ისეთ შემთხვევაზე, როცა „იარაღი“ პასუხს აგებს განზრახი დანაშაულისათვის. ერთი შეხედვით, ეს თითქოს შეუძლებელია, რადგან თუ „იარაღი“ განზრახ მოქმედებს, მაშინ წამქეზებელი ამსრულებელი (შუალობითი) კი არა, თანამონაწილე უნდა იყოს. მაგრამ იურიდიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით გერმანული სისხლის სამართლის თეორიაში, გავრცელებულია აზრი, რომ ზოგჯერ იარაღი შეიძლება განზრახაც მოქმედებდეს (doloses Werkzeug). ჯერ კიდევ ფ. ლისტი აღნიშნავდა, რომ შუალობითი ამსრულებლობა უნდა ვცნოთ მაშინ, როცა „დანაშაული მოითხოვს განსაზღვრულ მიზანს (намерение, მაგ. მითვისების მიზანი ქურდობის დროს) და ეს მიზანი არა აქვს პირს, რომელიც წააქეზეს ქმედობის ჩასადენად, მაგრამ აქვს წამქეზებელს“⁴¹.

⁴⁰ М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, № 1, с. 90. Советское уголовное право, ч. общая, изд. Ленинградского университета, 1960, с. 420.

⁴¹ Ф. Лист, Учебник уголовного права, общая часть, М., 1903, с. 242

ამეხმად დასავლეთგერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი მეტად პრობლემატურია. ცნობილია გერმანიის საიმპერიო სასამართლოს ერთი გადაწყვეტილება (39, 40). ერთ გლესს უნდოდა მეზობლისათვის ბატები მოეპარა. ამ მიზნით დაავალა მან თავის მოჯამაგირეს მეზობლის ბატები მის საქათმეში შემოერეკა. გლესი არის ქურდობის შუალობითი ამსრულებელი, ხოლო მოჯამაგირე, რომელიც „იარალად“ იყო გამოყენებული — დამხმარე, რადგან მითვისების მიზანი მას არ ჰქონია. ეს მიზანი ჰქონდა მხოლოდ წამქეზებელს. ამ თვალსაზრისს დასავლეთ გერმანიაში ბევრი მომხრე ჰყავს⁴², მაგრამ მას არ იზიარებს ე. მეცგერი, რომლის აზრით, იმ შემთხვევაში, როცა იარალი მოქმედებს განზრახ, თუმცა სპეციალური მიზნის გარეშე (ე. წ. absichtlose dolose Werkzeug), შუალობით ამსრულებლობას კი არა აქვს ადგილი, არამედ თანამსრულებლობას. თუ ქმედობის უშუალო ამსრულებელს არა აქვს სპეციალური მიზანი, მაგალითად, მითვისების მიზანი ქურდობის დროს, მაგრამ ეს მიზანი აქვს წამქეზებელს, მაშინ ორივე პირი ახორციელებს ერთ შემადგენლობას ისე, რომ ამ შემადგენლობის ერთ ნაწილს ასრულებს ერთი პირი, ხოლო მეორეს — მეორე პირი. წამქეზებლის მხარეზეა შემადგენლობის სუბიექტური ნიშანი (მითვისების მიზანი), უშუალო ამსრულებელი კი ასრულებს ამ დანაშაულის ობიექტურ მხარეს. ასეთ შემთხვევაში, ე. მეცგერის აზრით, თითოეული მოქმედი არის ქურდობის შემადგენლობის თანამსრულებელი⁴³.

ორივე აქ გადმოცემული თვალსაზრისი დაუსაბუთებელია. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ დანაშაულის „იარალად“ არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ისეთი პირი, რომელიც თუმცა განზრახ მოქმედებს, მაგრამ სპეციალური მიზანი არა აქვს. მეორე მხრივ, ქურდობის წამქეზებელი არ გადაიქცევა ამსრულებლად მხოლოდ იმის გამო, რომ მას აქვს მითვისების მიზანი, უშუალო ამსრულებელს კი არა, თუ რასაკვირველია, მან იცოდა წამქეზებლის განზრახვა. როგორც არაერთხელ იყო ზემოთ აღნიშნული, სრულწლოვანი და სულიერად ჯანსაღი ადამიანის დანაშაულის

⁴² I. Baumann, Strafrecht, Allg. Teil., 2. Auflage, Bielefeld, 1961, S. 449; Maurach, Deutsches Strafrecht, Allg. Teil., 3. Auf., Karlsruhe, 1965, S. 540; H. Welzel, Das deutsche Strafrecht, 9. Auf., Berlin, 1965, S. 94; Kohlrausch-Lange, Strafgesetzbuch mit Erläuterungen und Nebengesetzen, 43. Auf., Berlin., 1961, S. 162.

⁴³ E. Mezger, Strafrecht, Berlin und München, 3. Auf. 1949, S. 428.

„იარაღად“ გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მისი შეცდომაში შეყვანით ან იძულებით და ა. შ. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა ვინმე იტაცებს ფარულად სხვის ნივთს იმისათვის, რათა ის წამქეზებელს გადასცეს, აქ არც მოტყუებაა და არც სხვა ისეთი გარემოება, რომელიც უშუალო ამსრულებელს დანაშაულის „იარაღად“ აქცევს. ეს თვალსაზრისი თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის ნაყოფია. თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის თანახმად ამსრულებელია ის, ვინც დაინტერესებულია საბოლოო შედეგით. როდესაც წამქეზებელს აქვს სხვისი ნივთის მითვისების მიზანი, უშუალო ამსრულებელს კი არაა, წამქეზებელი, ამ თეორიის მიხედვით, ქურდობის შუალობითი ამსრულებელია, ვინაიდან მხოლოდ ის არის დაინტერესებული საბოლოო შედეგით, ნივთის უშუალო გამტაცებელი კი იქნება დამხმარე, რადგან ახორციელებს სხვის ინტერესს. ამ თვალსაზრისის ნაკლი აშკარაა. მართალია, ქურდობის შემადგენლობისათვის აუცილებელია მითვისების მიზანი, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სხვის ნივთს აუცილებლად ის უნდა იყენებდეს, ვინც მას უშუალოდ წაიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ დავსჯით უშუალო ამსრულებელს ქურდობისათვის, თუ წამქეზებელი, რომელსაც მითვისების მიზანი ჰქონდა, სულით ავადმყოფი ან მცირეწლოვანი აღმოჩნდება. მითვისებისათვის არ არის აუცილებელი, რომ ჰქონება მაინცდამაინც პირადად ქურდმა გამოიყენოს. მითვისება ნიშნავს იმას, რომ დანაშავემ ნივთი მოსტაცა სხვას არა დროებით, არამედ სამუდამოდ, თუნდაც იმ მიზნით, რომ შემდეგ სხვას (მოცემულ შემთხვევაში წამქეზებელს) გადასცეს, სულერთია, სასყიდლით თუ უსასყიდლოდ.

არ არის სწორი არც ე. მეცვერის შეხედულება, თითქოს ეს შემთხვევა თანაამსრულებლობად უნდა დაკვალიფიცირდეს. მართალია, მითვისების მიზანი მხოლოდ წამქეზებელს აქვს, მაგრამ იგი მაინც თანამონაწილეა ქურდობისა, რადგან შემადგენლობის ან ნიშნის არსებობა არ არის საკმარისი ამსრულებლობისათვის. თანაამსრულებლობა გვექნება მაშინ, როცა პირი შემადგენლობის ობიექტური მხარის ნაწილს მაინც ახორციელებს. სხვისი ნივთის ფარული წაღება, თუნდაც სხვისთვის გადასაცემად, უკვე არის ქურდობის მთლიანი შემადგენლობის და არა მისი ერთი ნაწილის განხორციელება. ამიტომ მსგავს შემთხვევებში წამქეზებელი არის თანამონაწილე, ხოლო ის, ვინც ნივთი ფარულად გაიტაცა, — ქურდობის ამსრულებელი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ისეთი შემთხვევები, როცა უშუალო ამსრულებლისათვის არ არის ცნობილი წამქეზებლის მიზანი. ეს ხდება მაშინ, როცა უშუალო ამსრულებელი მოქმედებს განზრახ, მაგრამ არ ისახავს იმ მიზანს, რომელსაც ისახავს წამქეზებელი, რადგან ამ უკანასკნელმა არ გაუმხილა მას თავისი ნამდვილი ზრახვა. ამ დროს თითოეული მონაწილის ქმედობა შეიძლება სხვადასხვა მუხლებით დაკვალიფიცირდეს.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ისეთი შემთხვევა, როცა ტერორისტული ორგანიზაციის წევრმა მოისყიდა ვინმე და მოაკვლევინა სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწე ისე, რომ უშუალო მკვლელმა არ იცოდა წამქეზებლის ნამდვილი ზრახვა, სახელდობრ, საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზანი, და არც ის, რომ კლავდა სახელმწიფო მოღვაწეს. ბუნებრივია, რომ უშუალო მკვლელი პასუხს აგებს ჩვეულებრივი მკვლელობისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104 ან 105 მმ, წამქეზებელი კი ამავე კოდექსის 67 მუხლით ტერორისტული აქტისათვის. ან კიდევ: ერთი პირი აქეზებს მეორეს სოციალისტური ქონების განადგურებისათვის, თანაც წამქეზებელს აქვს საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზანი, რომლის შესახებ უშუალო ამსრულებელმა არაფერი იცის. აქაც უშუალო ამსრულებლის ქმედობა დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლით, წამქეზებლის ქმედობა კი, როგორც დივერსია, დაკვალიფიცირდება ამავე კოდექსის 69-ე მუხლით. დასახელებულ შემთხვევებში წამქეზებელი და ფიზიკური ამსრულებელი სხვადასხვა შემადგენლობებს ახორციელებენ. შეიძლება მოვიტანოთ კიდევ სხვა მაგალითიც, როცა ადგილი აქვს შემადგენლობათა გათიშვას. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლის მე-7 პუნქტით ისჯება განზრახ მკვლელობა „სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით“. ვთქვათ, ამ მიზნით ერთმა პირმა წააქეზა მეორე მკვლელობის ჩასადენად, მკვლელობის უშუალო ამსრულებლისათვის კი წამქეზებლის მიზანი ცნობილი არ იყო. ბუნებრივია, ფიზიკური ამსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სსკ 105 მუხლით, თუ არ არის 104 მუხლით გათვალისწინებული სხვა დამამძიმებელი გარემოება, ხოლო წამქეზებელი დაისჯება 104 მუხლის მე-7 პუნქტით. დანაშაულის უშუალო ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაცია არც ერთ აქ აღნიშნულ შემთხვევაში ექვს არ იწვევს. გასარკვევია მხოლოდ წამქეზებლის მოქმედების კვალიფიკაციის საკითხი. წამქეზებელი რომ სხვა მუხლით აგებს პასუხს,

ხოლო ფიზიკური ამსრულებელი სხვა მუხლით, ესეც ნათელია. დასადგენია მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ, წამქეზებლის მოქმედება თანამონაწილეობად უნდა დავაკვალიფიციროთ, როგორც ამას ყველა შემთხვევისათვის კატეგორიულად მოითხოვენ აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგენი⁴⁴, თუ ამსრულებლობად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გამოვიკვლიოთ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის საკითხი. კერძოდ, უნდა გავარკვიოთ, თუ რა გავლენას ახდენს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე დანაშაულის სუბიექტური მხარე.

მოქმედი საბჭოური სისხლის სამართლის მიხედვით საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლით დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა). სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებულია აზრი, რომ საზოგადოებრივი საშიშროება ობიექტური კატეგორიაა⁴⁵. „საზოგადოებრივი საშიშროება (მართლწინააღმდეგობა)—ამბობს ა. პიონტკოვსკი — ყოველი დანაშაულის ობიექტურ სოციალურ-პოლიტიკურ თვისებას წარმოადგენს“⁴⁶. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედობა ობიექტურად ეწინააღმდეგება არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. აქედან ცხადია, რომ საზოგადოებრივ საშიშროებას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს ობიექტური მომენტი — დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანი. ახლა იბადება კითხვა: ქმედობის სოციალური საშიშროება მხოლოდ წმინდა ობიექტური (გარეგანი) მომენტებით განისაზღვრება, თუ ამ საშიშროების წარმოქმნაში გარკვეული წვლილი შეაქვთ აგრეთვე სუბიექტურ ელემენტებსაც? უპირველეს ყოვლისა, დგება ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების დამოკიდებულების საკითხი: არსებობს თუ არა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება (მართლწინააღმდეგობა) ბრალის გარეშე? ეს საკითხი საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება. ავტორთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ

⁴⁴ იხ. М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, № 1, с. 90; უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 31.

⁴⁵ Курс советского уголовного права, ч. общая, изд. Ленинградского университета, 1968, с. 317; თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, I, გვ. 32.

⁴⁶ Курс советского уголовного права, II, М., 1970, с. 139.

ბრალი წარმოადგენს საზოგადოებრივი საშიშროების (მართლწინა-აღმდეგობის) ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს⁴⁷.

მაგრამ ასეთი დასკვნა არ გამოძინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან. „საფუძვლების“ მე-3 მუხლით „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე. ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“. ამ ფორმულირებიდან ცხადად ჩანს, რომ ქმედობა შეიძლება მართლსაწინააღმდეგოც იყოს და საზოგადოებრივად საშიშიც, მაგრამ არ იყოს ბრალეულად ჩადენილი. ეს აზრი გამოხატულია აგრეთვე „საფუძვლების“ მე-2 მუხლში. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს შერაცხვავუნარო იყო, ნათქვამია ამ მუხლში. ამრიგად, პირი პასუხს არ აგებს შერაცხვავუნარობის გამო, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მის მიერ ჩადენილი მოქმედება არ არის საზოგადოებრივად საშიში და ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო. ასეთი პირის მიმართ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის ძალით სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება⁴⁸.

⁴⁷ М. Д. Дурманов, Понятие преступления, Изд. АН СССР, 1948, с. 202; ა. ვ ა ჩ ე ი ვ ი ლ ი, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957, გვ. 263; В. Н. Кудрявцев, О противоправности преступления, «Правоведение», 1959, № 1, с. 69; Курс советского уголовного права, часть общая, изд. ЛГУ, 1968, I, с. 164. 318; Н. Ф. Кузнецова, Преступление и преступность, М., 1969, с. 70; ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების დამოკიდებულების საკითხზე ლტერატურაში გვხვდება სხვაგვარი თვალსაზრისიც. მაგალითად, თ. შავგულიძეს მიაჩნია, რომ ბრალი არ განსაზღვრავს საზოგადოებრივ საშიშროებას. საზოგადოებრივი საშიშროება ქმედობის ობიექტური თვისებაა და განისაზღვრება რეალური ზიანით ან ზიანის რეალური საფრთხით. სუბიექტურ ელემენტებს (ბრალი) მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისათვის (Т. Г. Шавгулидзе, Необходимая оборона, Тб., 1966, с. 16). ამ თვალსაზრისის კრიტიკული შეფასება მოცემულია ჩემს ნაშრომში: ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის სუბიექტური მხარე, „საბჭოთა სამართალი“, 1970, № 1, გვ. 32—33.

⁴⁸ ამ საკითხზე დაწერილებით იხ. თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, გ. ტ ყ ე შ ე ლ ი ა ძ ე მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1959, გვ. 52—54; სწორად მსჯელობს აგრეთვე გ. მატვეევი (Г. К. Матвеев, Основание гражданско-правовой ответственности, М., 1970, с. 22—24).

ამრიგად, საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალი დანაშაულის ცნების ორი დამოუკიდებელი ელემენტი⁴⁹. პირველი ობიექტური ხასიათისაა, მეორე კი სუბიექტურ კატეგორიას წარმოადგენს. ახლა იბადება კითხვა: ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ყველაფერი, რაც ობიექტურია (გარეგანია) უმართლობას მიეკუთვნება, ხოლო რაც სუბიექტურია (შინაგანია, ფსიქიკურია)—ბრალს?⁵⁰ ერთი შეხედვით, ეს ასეც უნდა იყოს. მართლაც, სისტემატიკის თვალსაზრისით თითქოს სრულიად გამართლებულია საზოგადოებრივი საშიშროების ცნების წმინდა ობიექტური გაგება. მაგრამ თუ საკითხს უფრო ღრმად ჩაუვკვირდებით, დავინახავთ, რომ ის არც ისე იოლი გადასაწყვეტია. მაგალითად, როგორ განვასხვავოთ ქურდობის (მ. 150) უმართლობა იმ უმართლობისაგან, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243 მუხლში (ავტომოტოტრანსპორტის გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით). მიზანი რომ მართლწინააღმდეგობის ელემენტი არ იყოს, მაშინ ჩვენ ამ დელიქტებს შორის განსხვავებას ვერ ვნახავთ. ორივე შემთხვევაში გვაქვს სხვისი ნივთის გატაცება, რაც თავისთავად აღებული ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. სპეკულაციას (მუხ. 165) ნივთის ჩვეულებრივი ყიდვისა და გაყიდვისაგან სწორედ სუბიექტური ელემენტი (მიზანი) განასხვავებს. ხომ არ შეიძლება ასე ვიმსჯელოთ: ნივთის ყიდვა და შემდეგ გაყიდვა, როგორც ობიექტურად მომხდარი ფაქტი, არის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (უმართლობა), ხოლო მოგების მიზანი, როგორც ბრალის ელემენტი, გვეუბნება, რომ ჩადენილია სპეკულაცია. ეს გაუმართლებელი იქნება თუნდაც იმიტომ, რომ ყიდვა და გაყიდვა თავისთავად არ არის საზოგადოებრივად საშიში მოქმედება. მაშასადამე, მოგების მიზნის გარეშე არ გვექნება უმართლობა, ამ უკანასკნელის არარსებობა კი გვართმევს უფლებას ვიმსჯელოთ ბრალის საკითხზე. მიზნის გარეშე ვერ განვასხვავებთ აგრეთვე მკვლელობას აუცილებელი მოგერიების დროს მართლსაწინააღმდეგო მკვლელობისაგან, სხვისი ქონების დაზიანებას უკიდურესი აუცილებლო-

⁴⁹ Т. В. Церетели, К вопросу о понятии вины, „მაცნე“, 1960, № 1, გვ. 134—135.

⁵⁰ ამ თვალსაზრისზე დგას ლ. ვიში (იხ. Л. В и ш к и, Умысел и общественная опасность, сб. Вопросы уголовного права стран народной демократии М., 1963, с. 285); ქართველ კრიმინალისტთაგან ეს შეხედულება გამოთქმული აქვს გ. ტყეშელაძეს (იხ. მონოგრაფია მიზეზობრიობის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართალში. რეკ. თ. წერეთლის წიგნზე «Причинная связь в уголовном праве», изд. ТГУ, 1957, „საბჭოთა სამართალი“, 1958, № 4, გვ. 66).

ზის დროს ქონების მართლსაწინააღმდეგო დაზიანებისაგან და ა. შ. ამრიგად, ობიექტურისა და სუბიექტურის მკვეთრ დაპირისპირებას შედეგად მოსდევს უმართლობის ცნების წმინდა ნატურალისტური გაგება. ამიტომ სწორი უნდა იყოს ის თვალსაზრისი, რომლის თანახმად ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას (უმართლობას) ზოგჯერ სუბიექტური ელემენტებიც განსაზღვრავენ⁵¹. ცხადია, ყოველგვარი სუბიექტური ელემენტი ვერ დააფუძნებს უმართლობის ტიპს. სუბიექტური ელემენტი მხოლოდ მაშინ მიეკუთვნება უმართლობის ნიშნებს, როცა იგი ქმედობის შინაარსს განსაზღვრავს⁵². ასეთ სუბიექტურ ელემენტს ზოგჯერ წარმოადგენს მიზანი. მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით მიზანი უმართლობის დამაფუძნებელ ელემენტს წარმოადგენს იმ დელიქტებში, რომელთა ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი. ასეთებია, მაგალითად, ქურდობა (საქართველოს სსრ სსკ 150 მ), ძარცვა (მ. 151), ყაჩაღობა (მ. 152) და სხვ. მიზანი, როგორც უმართლობის დამაფუძნებელი ელემენტი, ხშირად გვხვდება სახელმწიფო დანაშაულში. საკმარისია დავასახელოთ ისეთი დანაშაული, როგორიცაა სამშობლოს დალაცხვა (საქართველოს სსრ სსკ 65 მ), ტერორისტული აქტი (მ. 67), დივერსია (მ. 69), მკვლელობა (მ. 70) და ა. შ. ყველა ამ დელიქტს შინაარსს აძლევს და სახელმწიფო დანაშაულად ხდის ანტისაბჭოური მიზანი; მაგალითად, ტერორისტულ აქტს ჩვეულებრივი განზრახვი მკვლელობისაგან განასხვავებს საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზანი. დანგრევა ან დაზიანება საქართველოს სსრ სსკ 69 მუხლში მითითებული ობიექტებისა დივერსიად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ იგი ჩადენილია საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით. ყველა აქ დასახელებული დელიქტი არა მარტო გულისხმობს განზრახვას, არამედ მოითხოვს აგრეთვე საგანგებო მიზანს, ე. ი. გამორიცხულია მათი ჩადენა ევენტუალური განზრახვით.

⁵¹ Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, 2-ое изд. М., 1963, с. 196—198; თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 127—128; В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, с. 121; М. С. Гринберг, Проблема производственного риска в уголовном праве, М., 1963, с. 75—78; აქ უნდა ითქვას, რომ სუბიექტური ელემენტები არ ცვლიან საზოგადოებრივი საშიშროების ობიექტურ ხასიათს და არ აქცევენ მას სუბიექტურ კატეგორიად.

⁵² უმართლობის სუბიექტური ელემენტი, მეორე მხრივ, ბრალის ელემენტიცაა მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იგი უმართლობის ნიშანია.

ამრიგად, სუბიექტური ელემენტი ზოგჯერ ქმედობას ახალ სოციალურ შინაარსს აძლევს, რის შედეგად ვიღებთ უმართლობის ახალ ტიპს. ამ დებულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის აქსაინტერესო საკითხის გადასაწყვეტად. ზემოთ ითქვა, რომ როდესაც წამქეზებლის მიზანი არ არის ცნობილი უშუალო ამსრულებლისათვის, მაშინ ადგილი აქვს შემადგენლობათა გათიშვას, ე. ი. წამქეზებელი სხვა შემადგენლობას ასრულებს, უშუალო ამსრულებელი კი სხვას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც სუბიექტური ელემენტების შესახებ ითქვა, უნდა დავასკვნათ, რომ წამქეზებლის მოქმედება შუალობით ამსრულებლობად უნდა დავაკვალიფიციროთ ყველა იმ შემთხვევაში, როცა იგი ისახავდა უმართლობის ახალი ტიპის დამფუძნებელ მიზანს და, ამავ დროს, ეს მიზანი არ იყო ცნობილი დანაშაულის ფიზიკური ამსრულებლისათვის. მაგალითად, თუ ტერორისტული ორგანიზაციის წევრი მოისყიდის ვინმეს და მოაკვლევინებს სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწეს, როცა უშუალო მკვლელმა არ იცოდა ის, რომ წამქეზებელი მოქმედებდა საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით, უშუალო მკვლელი პასუხს აგებს, ჩვეულებრივი მკვლელობისათვის (საქართველოს სსრ სსკ 104—105 მმ), წამქეზებელი კი უნდა დაისაჯოს ტერორისტული აქტის შუალობითი ამსრულებლობისათვის⁵³. მიზანი, რომელსაც იგი ისახავდა და რომლის შესახებაც უშუალო ამსრულებელმა არაფერი იცოდა, აფუძნებს მკვლელობისაგან სრულიად განსხვავებულ უმართლობას — ტერორისტულ აქტს. მაგრამ თუ წამქეზებელი მოქმედებდა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით (მუხ. 104, პ. 7), რომლის შესახებაც უშუალო ამსრულებელმა არაფერი იცოდა, იგი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19—104-ე მ. მე-7 პუნქტით, უშუალო ამსრულებელი კი ამავ კოდექსის 105 მუხლით (თუ არ არსებობს 104 მუხლით გათვალისწინებული სხვა დამამძიმებელი გარემოება). ამრიგად, აღნიშნული მიზნის არცოდნა უშუალო ამსრულებლის მხრივ წამქეზებლის მოქმედებას არ გადააქცევს აღსრულებით მოქმედებად. ეს იმიტომ, რომ სხვა დანაშაულის დაფარვის მიზანი არ არის მკვლელობის უმართლობის დამფუძნებელი ნიშანი. როგორც წამქეზებელი, ისე უშუალო ამსრულებელი უმართლობის ერთსადაიმავე ტიპს, სახელდობრ, მკვლელობას ახორციელებენ, პირველი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზ-

⁵³ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 93.

ნით, მეორე — ამ მიზნის გარეშე. როგორც 104, ისე 105 მუხლით უმართლობის ერთი და იგივე ტიპი—მკვლელობაა გათვალისწინებული. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243 მუხლით ისჯება ავტომოტორტრანსპორტის გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება დაემთხვეს როგორც ქურდობის, ისე ძარცვისა და ყაჩაღობის ობიექტურ მხარეს, განსხვავება იქნება მხოლოდ მიზანში: დროებითი გამოყენების მიზანი (მ. 243) და მითვისების მიზანი (მმ. 150, 151, 152). მიზანი ამ შემთხვევაში უმართლობის დამატუქნებელი ნიშანია. ამიტომ თუ ვინმე მითვისების მიზნით აქეზებს მეორე პირს, რომ მან გაიტაცოს სხვისი ავტომანქანა, ვითომ დროებითი გამოყენების მიზნით,—წამქეზებელი უთუოდ არის ქურდობის ან ძარცვის შუალობითი ამსრულებელი. მსგავს შემთხვევებში არსებობს ყველა ის ნიშანი, რაც აუცილებელია შუალობითი ამსრულებლობისათვის. პირველი ნიშანი, რაც აუცილებელია წამქეზებლის შუალობით ამსრულებლად ცნობისათვის, ისაა, რომ არ უნდა იყოს ამ დანაშაულის უშუალო ამსრულებელი. მართლაც, თუ უშუალო ამსრულებელი მიზნად ისახავდა ავტომანქანის გატაცებას დროებითი გამოყენების მიზნით და არ იცოდა, რომ წამქეზებელს მითვისების მიზანი ჰქონდა, იგი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243 მუხლით, როგორც ამ დანაშაულის ამსრულებელი; მაგრამ რადგანაც წამქეზებელს ჰქონდა მითვისების მიზანი, რაც კიდევაც განახორციელა, უნდა ვაღიაროთ, რომ მომხდარია აგრეთვე ქურდობა. ამიტომ, თუ წამქეზებელს დავსჯით, როგორც ქურდობის თანამონაწილეს, ეს არ იქნება სწორი, რადგანაც დამთავრებულ დანაშაულს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ამსრულებელი. თანამონაწილეობა არ შეიძლება ამსრულებლის გარეშე. ერთადერთი სწორი გადაწყვეტა საკითხისა ის იქნება, რომ ვცნოთ წამქეზებელი ქურდობის შუალობით ამსრულებლად. რაც შეეხება იმ პირს, ვინც მოქმედებდა დროებითი გამოყენების მიზნით, იგი ერთი მხრივ, პასუხისმგებელია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243 მ. გათვალისწინებული შემადგენლობის ამსრულებლობისათვის, მეორე მხრივ კი არის ე. წ. „ცოცხალი იარაღი“ წამქეზებლის ხელში, რომელიც მითვისების მიზნით მოქმედებდა. ამრიგად, ამ შემთხვევაში გვაქვს შუალობითი ამსრულებლობის ორივე ნიშანი: 1. არა გვყავს ამ დანაშაულის უშუალო ამსრულებელი და 2. გვყავს „ცოცხალი იარაღი“, რომლის მეოხებითაც აღნიშნული შემადგენლობა განხორციელდა. ამრიგად, დანაშაულის ამსრულებელი და „იარაღი“ აქაც ერთ სუბიექტშია შერწყმული.

მოქმედი კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება 16 წლის ასაკიდან. 14-დან 16 წლამდე ასაკის პირი პასუხს აგებს მხოლოდ კანონით საგანგებოდ მითითებულ შემთხვევებში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის ძალით „იმ პირთ, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მკვლელობისათვის (104 — 108-ე მუხლები), სხეულის განზრახ დაზიანებისათვის, რამაც ჯანმრთელობის შერყევა გამოიწვია (110-ე, 111-ე, 112-ე მუხლების პირველი ნაწილი, 113-ე და 114-ე მუხლები), გაუპატიურებისათვის (მუხ. 117), ყაჩაღური თავდასხმისათვის (96-ე, 152-ე მუხლები), გაძარცვისათვის (92-ე, 151-ე მუხლები), ქურდობისათვის (91-ე, 150-ე მუხლები), ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი), ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შექენისა ან შენახვისათვის გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილი), სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადად ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები (მე-100 მუხლის მეორე ნაწილი და 157-ე მუხლის მეორე ნაწილი), ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეტქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (მუხლი 240), აგრეთვე ისეთი მოქმედების განზრახ ჩადენისათვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მატარებლის მარცხი (87-ე მუხლი)“.

როგორც ვხედავთ, 14-დან 16 წლამდე ასაკის პირი პასუხს არ აგებს სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისათვის, თანაც ამ ასაკში პასუხისმგებლობა გამორიცხულია როგორც განსაკუთრებით საშიში, ისე სხვა სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისათვის. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა, რომელიც სხვა სახელმწიფო დანაშაულს მიეკუთვნება. მაგრამ აქაც 14-დან 16 წლამდე ასაკის პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება არა ყველა შემთხვევაში, არამედ მხოლოდ ისეთი ქმედობის ჩადენისათვის, რასაც შეიძლება მოჰყვეს მატარებლის მარცხი. ამრიგად, ამ გამონაკლისს გარდა, სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება 16 წლის ასაკიდან. ეს სრულიად ბუნებრივია. 16 წელს მიულწეველი პირი ჯერ კიდევ არ არის იმდენად მომწიფებული, რომ მან პასუხი აგოს სახელმწიფო დანაშაულისათვის. მას შეიძლება ზოგჯერ კი ესმოდეს მისი ნამოქმედარის სოციალუ-

რი აზრი, მაგრამ არ ჰქონდეს შეცნობილი იმ მოქმედების სპეციფიკური მნიშვნელობა, რომელიც კანონით სახელმწიფო დანაშაულად არის გამოცხადებული. ამიტომ არის, რომ კანონის ძალით 16 წელს მიუღწეველი პირი პასუხს აგებს, მაგალითად, მკვლელობისათვის, მაგრამ მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ტერორისტული აქტისათვის. ამ საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა მაშინ, როცა წამქეზებელი 16 წელს გადაცილებულაა, ქმედობის ფიზიკური ამსრულებელი კი ჯერ კიდევ არ არის 16 წლის. სრულსაკოვანმა და სულიერად ჯანსაღმა პირმა რომ 14-დან 16 წლამდე ასაკის პირი წააქეზოს სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის მკვლელობისათვის საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების ან ძირის გამოთხრის მიზნით, წამქეზებელი იქნება არა თანამონაწილე, არამედ ტერორისტული აქტის შუალობითი ამსრულებელი. წამქეზებელი კი იქნება მკვლელობის ამსრულებელი. ორივე პირი ამსრულებელია, რადგან განხორციელდა ორი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული შემადგენლობა. აქაც მკვლელობის ამსრულებელი და დანაშაულის ჩადენის „იარაღი“ ერთ სუბიექტშია შერწყმული.

§ 5. შუალობითი ამსრულებლობა უფროსის ბრძანების შესრულების დროს

საგანგებო განხილვის ღირსია შუალობითი ამსრულებლობის პრობლემა ბრძანების შესრულების დროს. ცნობილია, რომ ბრძანების შესრულება აუცილებლად გულისხმობს ორ მხარეს: უფროსს და ხელქვეითს. მათ შორის კავშირი, როგორც ამ ტერმინებიდანაც ჩანს, აგებულია უფროს-უმცროსობაზე. უფროსს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს ბრძანება, ხელქვეითი კი ვალდებულია შეასრულოს იგი. როდესაც ვამბობთ, რომ ბრძანების შესრულება სავალდებულოა ხელქვეითისათვის, ჩვეულებრივ, რასაკვირველია, მხედველობაში გვაქვს კანონიერი ბრძანება. მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ უფროსმა გადაამეტოს თავის უფლებამოსილებას და უკანონო ბრძანება გასცეს. როგორ უნდა მოიქცეს ხელქვეითი ამ დროს: უნდა შეასრულოს თუ არა უკანონო ბრძანება, რა იურიდიული შედეგები მოჰყვება ასეთი ბრძანების შესრულებას ან შეუსრულებლობას? დაეკისრება პასუხისმგებლობა მხოლოდ უფროსს, თუ უფროსთან ერთად ხელქვეითიც დაისჯება? ამ საკითხების გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის. ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, რომ თუ უფროსის უკანონო ბრძანება სავალდებულოა ხელქვეითისათვის, მაშინ

პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება უფროსს, ხელქვეითი კი განიხილება დანაშაულის ჩადენის „ცოცხალ იარაღად“, ე. ი. უფროსი პასუხს აგებს შესაბამისი დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებს ხელქვეითიც: უფროსი იქნება წამქეზებელი, ხელქვეითი კი—ამსრულებელი. მაგრამ ვიდრე ასეთ დასკვნებს გავაკეთებდეთ, ჯერ უნდა გავარკვიოთ, თუ როგორი ბრძანება ჩაითვლება უკანონოდ, შემდეგ კი ვიმსჯელოთ, სავალდებულოა თუ არა იგი ხელქვეითისათვის.

მოქმედ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში არ გვხვდება ზოგადი ნორმა, რომელიც აწესებდეს, თუ როგორი ბრძანება ჩაითვლება კანონიერად და რა იურიდიული შედეგები მოჰყვება მის შეუსრულებლობას. მაგრამ აღნიშნული საკითხი სხვადასხვა დროს მოწესრიგებული იყო მმართველობის ზოგიერთი დარგებისათვის. მაგალითად, მას საგანგებოდ არეგულირებდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 28 სექტემბრის კავშირგაბმულობის მუშაკთა სადისციპლინო წესდება. დასახელებული წესდების § 6-ში ნათქვამი იყო: „ხელქვეითის მიერ ისეთი განკარგულების მიღებისას, რომელიც აშკარად უკანონოა ან გაცემულია დანაშაულებრივი მიზნით, აგრეთვე თუ მიღებულია განკარგულება, რომლის შესრულებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ავარია, კავშირგაბმულობის საშუალებათა გაფუჭება, სოციალისტური საკუთრების ან კავშირგაბმულობის ორგანოებისადმი მინდობილი ქონების ან ღირებულების განადგურება, ხელქვეითი ვალდებულია არ შეასრულოს ასეთი განკარგულება და დაუყოვნებლივ აცნობოს მის შესახებ ზემდგომ უფროსს. ასეთი განკარგულების შესრულებისათვის ხელქვეითი პასუხს აგებს განკარგულების გამცემ უფროსთან ერთად“. შემდეგ ეს ნორმა უცვლელად იქნა გადმოტანილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 16 დეკემბრის კავშირგაბმულობის მუშაკთა სადისციპლინო წესდებაში (იხ. § 6). ამჟამად მოქმედ წესდებაში, რომელიც მიღებულია 1972 წლის 20 აპრილს, მსგავსი ნორმა აღარ გვხვდება.

ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა საგანგებოდ არეგულირებს იმ შემთხვევას, როდესაც ქმედობა ჩადენილი იყო არამართლზომიერი ბრძანების შესასრულებლად. მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლი აწესებს, რომ „დანაშაულად არ ჩაითვლება ქმედობა, რომელიც ჩადენილია არამართლზომიერი სამსახურებრივი ბრძანების აღსასრულებლად,

თუ ბრძანება გაცემული იყო დადგენილი წესით და მის შემსრულებელსაც იგი აშკარად დანაშაულებრივად არ ეჩვენებოდა“.

როგორც უკვე ითქვა, მოქმედი კანონმდებლობა პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუ როგორი ბრძანება ჩაითვლება უკანონოდ და რა იურიდიული შედეგები მოჰყვება მის შესრულებას თუ შეუსრულებლობას. საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კანონიერ ბრძანებად ჩაითვლება ისეთი ბრძანება, რომელიც: 1) გაცემულია უფროსის მიერ თავისი ხელქვეითისადმი, 2) არ სცილდება ბრძანების გამცემის კომპეტენციის ფარგლებს, 3) არ შეიცავს რაიმე აშკარა დანაშაულებრივ მოთხოვნას და, ბოლოს, 4) გაცემულია სათანადო ფორმლობის დაცვით, თუ ამას აწესებს კანონი⁵⁴. უკანონო ბრძანების შესრულებას, ცხადია, გარკვეული იურიდიული შედეგები უკავშირდება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი ბრძანების (განკარგულების) შესრულების თუ შეუსრულებლობის იურიდიული შედეგები არ შეიძლება ერთნაირი იყოს როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სამსახურში. სამოქალაქო პირობებში ხელქვეითმა არ უნდა შეასრულოს არა მარტო აშკარად დანაშაულებრივი, არამედ ყოველგვარი კანონსაწინააღმდეგო განკარგულება, თუ, რასაკვირველია, მისთვის ცნობილი იყო მიღებული განკარგულების აშკარად უკანონო ხასიათი.

სხვაგვარად გადაწყდება ეს საკითხი სამხედრო მსახურთა მიმართ. საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა წესდებებსა და საზოგადოდ სამხედრო სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში არ გვხვდება რაიმე ნორმა, რომელიც აწესებდეს, თუ როგორი ბრძანება უნდა შეასრულოს ხელქვეითმა. პირიქით, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების მე-7 მუხლი კატეგორიულად მოითხოვს, რომ „უფროსის ბრძანება — კანონია ხელქვეითისათვის. ბრძანება უნდა შესრულდეს უსიტყვოდ, ზუსტად და ვადაში“⁵⁵. ამ ნორმის მოთხოვნას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ 1958 წლის 25 დეკემბრის კანონით სამხედრო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ბრძანების შეუსრულებლობა დანაშაულადაც კი არის გამოცხადებული (მუხლი 2. ურჩობა, მუხლი 3. ბრძანების შეუსრულებლობა). ბუნებრივია, უფროსისადმი ხელქვეითის დამორჩილების ასეთი მკაცრი მოთხოვნა სამხედრო სამსახურის სპეციფიკური პი-

⁵⁴ Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 397—398.

⁵⁵ უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად ასეთივე შინაარსისაა საბჭოთა კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სადისციპლინო წესდების მე-5 მუხლი.

რობებით აიხსნება. არმიის ძალა და ბრძოლისუნარიანობა დიდად არის დამოკიდებული მტკიცე და ურყევე დისციპლინაზე. ხოლო არმიის მტკიცე დისციპლინის დამყარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ უფროსის ბრძანება ზუსტად და დროულად შესრულდება. ამიტომ უფროსის ბრძანების შესრულება, იშვილითი გამონაკლისის გარდა, სამხედრო მსახურისათვის სავალდებულოა. „აშკარად უკანონო (მაგრამ არა დანაშაულებრივი) ბრძანების შესრულება სამხედრო სამსახურის პირობებში—ვკითხულობთ 1964 წელს მოსკოვში გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში—გამორიცხავს სამხედრო მსახურის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რადგანაც სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა დისციპლინური წესდების თანახმად ხელქვეითს უფლება არა აქვს შეაფასოს მიღებული ბრძანება და უარი თქვას მის შესრულებაზე. პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში ეკისრება ბრძანების გამცემ პირს“⁵⁶. მაგრამ ეს არ ნიშნავს ხელქვეითის ბრმად დამორჩილებას. სამხედრო უფროსისადმი. საბჭოურ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, ხელქვეითი ვალდებულია არ შეასრულოს სამხედრო უფროსის აშკარა დანაშაულებრივი ბრძანება. ამრიგად, თუ სამოქალაქო სამსახურში ხელქვეითმა არ უნდა შეასრულოს უფროსის ყოველგვარი კანონსაწინააღმდეგო განკარგულება (როგორც დანაშაულებრივი, ისე არადანაშაულებრივი), სამხედრო სამსახურში ხელქვეითმა არ უნდა შეასრულოს მხოლოდ აშკარა დანაშაულებრივი ბრძანება. ერთი სიტყვით, ჩვენთვის აქსაინტერესო ის არის, რომ ხელქვეითი ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს აშკარა დანაშაულებრივი ბრძანების (განკარგულების) შესრულებისათვის. აქ ადგილი აქვს დანაშაულში თანამონაწილეობას. უფროსი პასუხს აგებს წაპქეზებლობისათვის, ხოლო ხელქვეითი დისკრება ამსრულებლობისათვის. სამხედრო მსახურის მიერ უფროსის აშკარა დანაშაულებრივი ბრძანების შეუსრულებლობა, ა. პიონტკოვსკის აზრით, გამართლებულია უკიდურესი აუცილებლობით, რომელშიც ხელქვეითი იმყოფება.⁵⁷

უფრო ზუსტად: აქ ადგილი აქვს მოვალეობათა კოლიზიას. სამხედრო ხელქვეითი, ერთი მხრივ, ვალდებულია შეასრულოს უფროსის ბრძანება, ხოლო, მეორე მხრივ, მას აკისრია მოვალეობა

⁵⁶ Советское уголовное право, часть общая, М., 1964, примечание к странице 150; იხ. აგრეთვე, В. М. Ч х и к в а д з е, Военно-уголовное право, часть общая, М., 1946, с. 206.

⁵⁷ Курс Советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 399.

ბა არ ჩაიდინოს სისხლის სამართლის დანაშაული. ამ ორი მოვალეობიდან ხელქვეითმა უნდა შეასრულოს ის მოვალეობა, რომელიც უფრო მეტ ღირებულებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის. სამხედრო ხელქვეითის მიერ აშკარა დანაშაულებრივი ბრძანების შესრულება უფრო მეტად შელახავს არმიის ავტორიტეტს, ვიდრე მისი შეუსრულებლობა. ამიტომ არის, რომ სამხედრო ხელქვეითის მიერ აშკარა დანაშაულებრივი ბრძანების შესრულება არ ანთავისუფლებს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა პირდაპირ არეგულირებს მოვალეობათა კოლიზიის საკითხს. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის § 20-ის პირველი ნაწილის ძალით, „ვინც მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას იღებს გადაწყვეტილებას, რომ შექმნილი მდგომარეობის შეგნებულად პასუხისმგებლობით შეფასების შედეგად დაარღვიოს თავისი მოვალეობა, რათა სხვა მოვალეობათა შესრულების მეშვეობით თავიდან აიცილოს სხვა პირთა ან საზოგადოებისათვის მოსალოდნელი უფრო დიდი, სხვაგვარად აუცდენელი ზიანი, მოქმედებს მართლზომიერად და არ სჩადის დანაშაულებრივ ქმედებას“.

შეიძლება მოხდეს ისე, რომ ხელქვეითს არ ჰქონდეს შეცნობილი ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი. ამ შემთხვევაში ბრძანების გამცემი უფროსი პასუხს აგებს შესაბამისი დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობისათვის. ხელქვეითი კი იქნება „იარალი“, თუმცა იგი მართლზომიერად მოქმედ „იარალად“ ვერ ჩაითვლება. ამიტომ აქ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება იმის გამო კი არ მოხდება, რომ ხელქვეითის მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, არამედ იმ მოსაზრებით, რომ ამ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენაში პირს ბრალი არ მიუძღვის,⁵⁸ რადგან ბრძანებას ასრულებდა. შესაძლებელია ისიც, რომ ხელქვეითმა პასუხი აგოს გაუფრთხილებლობისათვის, მაგრამ უფროსის მოქმედების იურიდიულ კვალიფიკაციას ეს გარემოება მაინც ვერ შეცვლის. ის ამ შემთხვევაშიც, როგორც ცნობილია, დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი იქნება⁵⁹.

ზემოთ ითქვა, რომ ხელქვეითის მიერ უფროსის აშკარა დანა-

⁵⁸ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 25; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 125.

⁵⁹ И. И. Слущкий, Обстоятельства, исключающие уголовную ответственность, изд. Ленинградского университета, 1956, с. 28.

შაულებრივი ბრძანების (განკარგულების) შესრულების დროს ადგილი აქვს დანაშაულში თანამონაწილეობას. ეს თვალსაზრისი მიღებულია საბჭოურ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში. მაგრამ მას არ ეთანხმება მ. კოვალიოვი. იგი თვლის, რომ მსგავს შემთხვევაში ორივე სუბიექტის (უფროსი, ხელქვეითი) მხრივ საქმე გვაქვს ამსრულებლობასთან. უფროსი იქნება დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი, ხოლო ხელქვეითი, — ერთი მხრივ, იქნება დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, მეორე მხრივ, „ცოცხალი იარაღი“ უფროსის ხელში. ამ თვალსაზრისის დასაყრდენს მ. კოვალიოვი სასამართლო პრაქტიკაში ეძებს. „რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, — ამბობს მ. კოვალიოვი, — იგი იხრება იქითკენ, რომ აღიაროს ამ შემთხვევაში ამსრულებლობა და არა დანაშაულისადმი წამქეზებლობა“⁶⁰ (ლაპარაკია უფროსის ქმედობის კვალიფიკაციაზე). ასეთ დასკვნას იგი აკეთებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1949 წლის 14 თებერვლის პლენუმზე განხილული ხლოპოვის საქმის ანალიზის საფუძველზე. ხლოპოვმა დაუშვა შრომის დისციპლინის უხეში დარღვევა ავტოტრანსპორტზე, რის შედეგადაც დაიღუპა ბავშვი. როგორც გამოირკვა, ხლოპოვს არ ჰქონდა ავტომანქანის მართვის უფლება; ეს უფლება მას ჩამოართვა ავტონსპექციამ მოძრაობის წესების არცოდნის გამო. ამის შესახებ მან მოახსენა თავის უფროსს. მაგრამ უფროსმა მაინც მისცა ხლოპოვს განკარგულება გასულიყო რეისში. ჩათვალა რა სწორად ხლოპოვის მსჯავრდება, პლენუმმა ამავე დროს მიუთითა, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს უფროსსაც, რომელმაც ხლოპოვს უკანონო განკარგულება მისცა, რითაც შექმნა საზიანო შედეგის დადგომის პირობა. მ. კოვალიოვის აზრით, რადგან პლენუმმა უფროსი პირდაპირ არ სცნო დანაშაულის წამქეზებლად, ეს იმას ნიშნავს, რომ მან იგი ამსრულებლად ჩათვალა⁶¹. ეს მსჯელობა გაუგებრობაზეა აგებული. ჭერ ერთი, ხლოპოვის საქმის ანალიზიდან ჩანს, რომ ბავშვის დაღუპვა როგორც ხლოპოვის, ისე უფროსის გაუფრთხილებლობის შედეგია. ერთი სიტყვით, მომხდარია გაუფრთხილებლობითი დანაშაული. პლენუმში კი, როგორც ჩანს, უარყოფდა გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ პლენუმმა არაფერი თქვა უფროსის ქმედობის დანაშაულისადმი წამქეზებლობად დაკვალიფიციერების თაობაზე. მეორეც, თუ უფროსის ქმე-

⁶⁰ М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, часть вторая, с. 26.

⁶¹ ი ქ ვ ე .

დობას დანაშაულის ამსრულებლობად დავაკვალიფიცირებთ, როგორც ეს პლენუმმა სინამდვილეში გააკეთა, მ. კოვალიოვის დებულებას ეს ჭერ კიდევ არაფერს შეჰმატებს. არაფერს შეჰმატებს იმიტომ, რომ კვლავ გადაუწყვეტელია შუალობითი ამსრულებლობის სუბიექტური მხარის საკითხი. ჭერ უნდა დავამტკიცოთ, რომ შესაძლებელია შუალობითი ამსრულებლობა გაუფრთხილებლობით. ამიტომ ეს საკითხი იმ პრობლემატიკის გარეთ დგას, რომელსაც აქ კოვალიოვი ეხება. ამის გამო სრულიად ბუნებრივია, რომ პლენუმმა განკარგულების გამცემი უფროსი ჩასთვალა არა დანაშაულის შუალობით ამსრულებლად ან თანამონაწილედ (წამქეზებელი), არამედ უშუალო ამსრულებლად ისევე, როგორც ხელქვეითი ხლოპოვი.

როგორც ვიცით, გაუფრთხილებლობითი დელიქტის ჩადენის შემთხვევაში ბრძანების (განკარგულების) გამცემი უფროსი და ხელქვეითი პასუხს აგებენ ერთპიროვნული ამსრულებლობისათვის. განზრახვის დროს კი ადგილი ექნება თანამონაწილეობას. მ. კოვალიოვის აზრით კი უფროსი პასუხს აგებს შუალობითი ამსრულებლობისათვის, ხოლო ხელქვეითი უშუალო ამსრულებლობისათვის. ამას იგი იმით ასაბუთებს, რომ „იღებს რა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ძალით ისეთი განკარგულების გაცემის შესაძლებლობას, რომლის აღსრულება სავალდებულოა ხელქვეითისათვის, უფროსი ამით იპოვებს ხელქვეითთა მიმართ გარკვეულ ზელისუფლებას, რომელიც უდავოდ შეიცავს იძულების ელემენტს, ეს გარემოება კი საფუძველს იძლევა ბრძანების ამსრულებელი ხელქვეითი განხილული იქნეს უფროსის ნების რეალიზაციის იარაღად, ხოლო თუ ეს ნება დანაშაულებრივია, მაშინ დანაშაულის იარაღად“⁶². თანამონაწილეობას ადგილი ექნება მაშინ, — აღნიშნავს მ. კოვალიოვი, — როცა უფროსი, რათა დანაშაულისადმი წააქეზოს ხელქვეითი, მიმართავს თხოვნას, ხვეწნას, მუდარას, რაც შემტკიცებულია მისი სამსახურებრივი ავტორიტეტით. მაგრამ როგორც კი უფროსი გამოიყენებს ზელისუფლებას, რომელიც მას მინიჭებული აქვს მისი სამსახურებრივი მდგომარეობის ძალით, მაშინ იგი „ართმევს თავის ხელქვეითს წამქეზებელსა და ამსრულებელს შორის არსებული ურთიერთობის ერთ-ერთ ელემენტს, სახელდობრ, ამ უკანასკნელის (ამსრულებლის—ო. გ.) მოქმედების ნებაყოფლობითობას“⁶³.

⁶² М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, часть вторая, с. 28.

⁶³ ი ქ ე ე. გვ. 28—29.

როგორც ვხედავთ, მ. კოვალიოვს უფროსსა და ხელქვეითს შორის არსებული ურთიერთობა მეტად მექანიკურად აქვს წარმოდგენილი. ბრძანება, მისი აზრით, ხელქვეითს უფროსის ნების რეალიზაციის იარაღად აქცევს. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ აქ ხელქვეითი მექანიკურ იარაღთანაა (თოფი, დანა და ა. შ.) გათანაბრებული, რაც დღევანდელ პირობებში პრინციპულად მიუღებელია, ამ თვალსაზრისის მიხედვით შეუძლებელია საერთოდ ხელქვეითის პასუხისმგებლობის დასაბუთება. თუ ბრძანება ხელქვეითის მოქმედებას ართმევს ნებაყოფლობით ხასიათს, რაც საფუძველი ხდება ბრძანების გამცემი უფროსის ქმედობის კვალიფიკაციის შეცვლისა, მაშინ რატომ ისჯება თვითონ ხელქვეითი? ის ხომ ნებაყოფლობით არ მოქმედებდა? ბრძანების შესრულების დროს ხელქვეითის ნება რომ ერთგვარად შეზღუდულია, ამაში ექვი არავის შეეპარება; ეს გარემოება შეიძლება საფუძვლად დაედოს სასჯელის ინდივიდუალიზაციას კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ ბრძანება ხელქვეითის ნებას აბსოლუტურად მაინც არ ზღუდავს. ამიტომ მისი ქმედობის კვალიფიკაცია ამით არ შეიცვლება. ამ აზრს, როგორც ჩანს, მ. კოვალიოვიც ეთანხმება. მაშ, რა ხდება? საქმე ისაა, რომ უფროსის მოქმედების კვალიფიკაციის შეცვლა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ შექმნილი ვითარების წყალობით შეიცვალა ხელქვეითის მოქმედების კვალიფიკაცია. ეს არის შუალობითი ამსრულებლობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი. მაშასადამე, ჯერ უშუალო ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაცია უნდა შეიცვალოს და ამის საფუძველზე უნდა დავაკვალიფიციროთ წამქეზებლის მოქმედებაც. რაზან ხელქვეითი, დანაშაულებრივი ბრძანების შესრულების მიუხედავად, დანაშაულის უშუალო ამსრულებლად ვცანით, უფროსი იქნება თანამონაწილე (წამქეზებელი) და არა შუალობითი ამსრულებელი. ხელქვეითს რომ პასუხი არ ეგო იმის გამო, რომ ბრძანებას ასრულებდა, მაშინ მთელ პასუხისმგებლობას უფროსი იკისრებდა და იგი დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი იქნებოდა. როგორც სწორად შენიშნავს თ. წერეთელი, „რამდენადაც მ. კოვალიოვი არ გამოირიცხავს ხელქვეითის პასუხისმგებლობას, რომელიც უეჭველად გამოდის როგორც დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, შეუძლებელია დაეუშვათ ისეთი კონსტრუქცია, როდესაც უშუალო პასუხისმგებელი ამსრულებელი მოქმედებს როგორც შუალობითი ამსრულებლის იარაღი“⁶⁴.

⁶⁴ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 127.

ერთი და იმავე დანაშაულის „იარაღისა“ და ამსრულებლის ფუნქციითა შერწყმა ერთ სუბიექტში არ შეიძლება. ერთი სუბიექტი ამ ერთი დანაშაულის ან ამსრულებელი უნდა იყოს ან მას „იარაღად“ უნდა იყენებდეს სხვა ადამიანი. ასე რომ, „იარაღის“ ცნება ამსრულებლის ცნებას სრულიად გამორიცხავს. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საერთოდ შეუძლებელი იყოს ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანი ერთი მოქმედებით იარაღის როლსაც ასრულებს და დანაშაულის უშუალო ამსრულებლისაც. ზემოთ მე მივუთითე ასეთ შემთხვევაზე. ეს ხდება მაშინ, როცა პირი ერთი დანაშაულის ჩადენის „იარაღია“, ხოლო ამავე მოქმედებით უშუალოდ ასრულებს სხვა დანაშაულის შემადგენლობას. მაგალითად, წამქეზებელს ტერორისტული მიზანი ჰქონდა, ხოლო უშუალო ამსრულებელმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. აქ უშუალო ამსრულებელი, ერთი მხრივ, ტერორისტული აქტის ჩადენის „იარაღია“, ხოლო, მეორე მხრივ, მკვლელობის უშუალო ამსრულებელი. მაშასადამე, ამ შემთხვევაში „იარაღის“ და ამსრულებლის როლები კი არის შერწყმული ერთ სუბიექტში, მაგრამ ჩადენილია ორი დანაშაული და ერთის მიმართ იგი „იარაღის“ როლს ასრულებდა, ხოლო მეორე დანაშაულის ამსრულებელი იყო. მ. კოვალიოვს კი შესაძლებლად მიაჩნია, რომ ერთი ადამიანი ერთდროულად დანაშაულის ამსრულებელიც იყოს და ამავე დანაშაულის ჩადენის „იარაღიც“, რაც საერთოდ წარმოუდგენელია.

აშკარად დანაშაულებრივი ბრძანების შესრულება, მართალია, არ გამორიცხავს ხელქვეითის პასუხისმგებლობას, მაგრამ ამ გარემოებამ შეიძლება შეუმსუბუქოს დამნაშავეს სასჯელი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება დანაშაულის ჩადენა მუქარის ან ძალადობის გავლენით ან მატერიალური თუ სხვა დამოკიდებულების გამო. სხვა დამოკიდებულებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიგულისხმოთ სამსახურებრივი დამოკიდებულება, სახელდობრ, როცა ხელქვეითი დანაშაულს სჩადის უფროსის ბრძანებით. უფრო ზუსტია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის ფორმულირება, სადაც პირდაპირ არის ლაპარაკი დანაშაულის ჩადენაზე სამსახურებრივი დამოკიდებულების გამო.

ბრძანების შესრულების პრობლემა დიდ ინტერესს იწვევს საერთაშორისო სისხლის სამართალში. ეს საკითხი წინა პლანზე ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დადგა. 1919 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე შექმნილ 15-თა

კომისიის მოხსენებაში უფროსის ბრძანების შესრულების გამო ნათქვამი იყო: „ვდასტურებთ, რომ არც სამოქალაქო, არც სამხედრო ხელისუფალნი არ განთავისუფლებიან პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმის გამო, რომ ზემდგომი ხელისუფლება შეიძლება მსჯავრდებული იქნეს იმავე დანაშაულისათვის“⁶⁵.

განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ეს საკითხი მეორე მსოფლიო ომში, როდესაც ფიურერის ბრძანებით ადამიანთა მასობრივ ქლექტას ჰქონდა ადგილი. როგორც ცნობილია, ნიურნბერგის საერთაშორისო პროცესზე, სადაც ომის მთავარ დამნაშავეებს ასამართლებდნენ, თითქმის ყველა ბრალდებული იმით იმართლებდა თავს, რომ ის ფიურერის ბრძანებას ასრულებდა. გაითვალისწინეს რა ეს გარემოება წინასწარ ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდების შემდგენლებმა, წესდების მე-8 მუხლში პირდაპირ ჩაწერეს: „ის ფაქტი, რომ განსასჯელი მოქმედებდა მთავრობის განკარგულების ან უფროსის ბრძანების შესაბამისად, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ შეიძლება განხილული იქნეს როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება, თუ ტრიბუნალი აღიარებს, რომ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“.

დანაშაულებრივი ბრძანება თავისი წარმოშობით ორგვარი შეიძლება იყოს. 1. ბრძანება არ ემყარება მოქმედ კანონს და 2. ბრძანება გამომდინარეობს კანონიდან. პირველ შემთხვევაში ბრძანება არა მარტო დანაშაულებრივი შინაარსისაა, არამედ ფორმალურადაც ეწინააღმდეგება კანონს. მეორე სახის ბრძანება კი ფორმალურადაც და მატერიალურადაც მთლიანად შეესაბამება კანონს. ნიურნბერგის პროცესზე ომის მთავარი დამნაშავენი ხშირად სწორედ იმით იმართლებდნენ თავს, რომ ისინი კანონიერ ბრძანებებს ასრულებდნენ. მაგრამ ეს მოსაზრება არ გამოდგება მასობრივი ქლექტის მონაწილეთა გამამართლებელ საბუთად.

ფაშისტური გერმანია დანაშაულებრივ ორგანიზაციათა სისტემას წარმოადგენდა. ამ სისტემის სათავეში იდგა ფიურერი. ამიტომ ყოველი ბრძანება, რომელიც ფიურერის ან სხვა თანამდებობის პირების მიერ იყო გაცემული როგორც საერთო დანაშაულებრივი გეგმის განსახორციელებლად, ისე ცალკეული ბოროტმოქმედების ჩადენის დროს, უკანონო ბრძანებად უნდა ჩაითვალოს და ამიტომ იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაათავისუფლებს მის ამსრულებელს პასუხისმგებლობისაგან. „შეუძლებელია, — ამბობს ა. პიონტკოვსკი, — ქმედობის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გა-

⁶⁵ ციტირებულია პ. რომაშკინის მიხედვით. იხ. П. С. Ромашкин, Преступления против мира и человечества, М., 1967, с. 246.

ჩემოებად ვალიაროთ ბანდიტური ორგანიზაციის წევრის მიერ ბანდის უფროსის ბრძანების შესრულება⁶⁶.

ამჟარად დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებას პირდაპირ კრძალავდა თვითონ გერმანიის სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის 47-ე მუხლით „თუ სისხლის სამართალი დარღვეულია სამსახურებრივი ბრძანების შესრულებით, ამისათვის ბრძანების გამცემი უფროსი ერთპიროვნულად აგებს პასუხს. ბრძანების შემსრულებელი ხელქვეითი პასუხს აგებს როგორც თანამონაწილე, თუ 1. მან გადაამეტა ბრძანებას ან 2. იცოდა, რომ ბრძანება მიზნად ისახავდა საერთო ან სამხედრო დანაშაულის ჩადენას⁶⁷.

§ 6. უშალობითი ამსრულებლობა „იარალის“ მართლზომიერი მოამჩიების დროს

აქამდე ვიხილავდით ისეთ შემთხვევებს, როცა „იარალი“ საზოგადოებრივად საშიშად და მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. ასე რომ, „იარალი“ არა მარტო ფაქტიურად აგრძელებს წამქეზების მიერ დაწყებულ მიზეზობრივ ჯაჭვს, არამედ მისი მოქმედების სოციალური შეფასება ემთხვევა წამქეზების მოქმედების შეფასებას, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს დამდგარი შედეგის შეფასებაზე. მიყენებული ზიანი საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგოა იმიტომ, რომ იგი საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების ერთობლივი პროდუქტია. ამ შემთხვევაში წამქეზების პასუხისმგებლობას დანაშაულის უშალობითი ამსრულებლობისათვის წინ არაფერი ეღობება.

მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ „იარალის“ მოქმედების სოციალური შეფასება არ დაემთხვეს წამქეზების მოქმედების შეფასებას. ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა, მაგალითად, პირი ხელოვნურად ქმნის აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას. ვთქვათ, ერთი პირი მოკვლის მუქარით წინადადებას აძლევს მეორეს, რომ მან დააზიანოს სხვისი ქონება. ის, ვისაც მოკვლით ემუქრებოდნენ, მოქმედი კანონმდებლობით პასუხს არ აგებს ქონების დაზიანებისათვის, თუ მას მხოლოდ ამ გზით შეეძლო თავის გადარჩენა, ვინაიდან იმყოფებოდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში (საქართველოს სსრ სსკ 16 მ). ან კიდევ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს აუცილებელი მოგერიების პროვოკაციას. ერთი პირი აქეზებს მეორეს, რომლის მოკვლაც მას სურს, რათა

⁶⁶ Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 400.

⁶⁷ А. И. П о л т о р а К, Нюрнбергский процесс (основные правовые проблемы), М., 1966, с. 49.

იგი თავს დაესხას მის „მტერს“ და სცემოს. წამქეზებელმა იცის, რომ ის, ვის მიმართაც თავდასხმას ამზადებს, შეიარაღებულია, ასე რომ მას შეუძლია მოკლას თავდამსხმელი. იმ შემთხვევაში, თუ ეს მართლაც ასე მოხდება, უშუალო მკვლელი პასუხს არ აგებს მკვლელობისათვის, რადგან მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მიზნით (საქართველოს სსრ სსკ 15 მ). ვინაიდან უკიდურესი აუცილებლობა და აუცილებელი მოგერიება საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებია,⁶⁸ ამიტომაც „იარაღი“, რომელიც ზიანს აყენებს სისხლის სამართლით დაცულ ობიექტს აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის დროს, მართლზომიერად მოქმედებს.

ასეთივე საკითხი შეიძლება დაისვას აგრეთვე ცრუ დასმენის შემთხვევაში, თუ ცრუ დასმენის საფუძველზე პირი დააპატიმრეს. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 32-ე მუხლის ძალით მოკვლევის ორგანოს ან გამომძიებელს უფლება აქვს დააკავოს დანაშაულის ჩადენაში ექვემდებარებული პირი, თუ „მნახველნი, მათ შორის დაზარალებულიც, პირდაპირ მიუთითებენ მოცემულ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე“. მოკვლევის ორგანო ან გამომძიებელი, თუ მათი მოქმედება დაფუძნებულია ამ ნორმაზე, უთუოდ მართლზომიერად მოქმედებენ. ამიტომ იმ პირმა, ვინც განზრახ შეაცდენს მოკვლევის ან გამომძიებლის ორგანოს და დააჭერინებს უდანაშაულო ადამიანს, პასუხი უნდა აგოს არა მარტო ცრუ დასმენისათვის (საქართველოს სსრ სსკ 196 მ), არამედ უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისთვისაც (მ 133). ამ შემთხვევაში უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა ჩადენილი იქნება მართლზომიერად მოქმედი იარაღის (მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი) მეშვეობით.

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი დადებითად წყდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის თეორიაში⁶⁹. მ. კოვალიოვი ამის გამო შენიშნავს, რომ საბჭოური სისხლის სამართლის მიხედვით ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დადგება ცრუ დასმენისათვის რსფსრ სსკ 180 მუხლით⁷⁰. მაგრამ გერმანიის დემო-

⁶⁸ Курс советского уголовного права, часть общая, I, изд. Ленинградского университета, 1968, с. 462; Курс советского уголовного права, часть общая, т. II, М., 1970, с. 342.

⁶⁹ Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Allg. Teil, Berlin, 1959, S. 463.

⁷⁰ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 24.

კრტიული რესპუბლიკის იურისტები არ სჯერდებიან დასჯადობას მხოლოდ უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის შუალობითი ამსრულებლობისათვის, არამედ მოითხოვენ, რომ დამნაშავე დაისაჯოს დანაშაულთა ერთობლიობით — ცრუ დასმენისათვის და უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის, თუ ცრუ დასმენას შედეგად მოჰყვა დაზარალებულის თავისუფლების აღკვეთა. ამ შეხედულებას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ.

შეიძლება შეგვხვდეს სხვა შემთხვევებიც, როცა პირი დანაშაულს სჩადის მართლზომიერად მოქმედი იარაღის მეოხებით. აქ მოქმადი იყო მხოლოდ ყველაზე უფრო ტიპური და თვალსაჩინო მაგალითები. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი ხელოვნურად აფართოებს შუალობითი ამსრულებლობის სფეროს. სახელდობრ, დასავლეთგერმანელი კრიმინალისტი ჰ. იოჰანესი თვლის, რომ იმ შემთხვევების წრე, როცა შუალობით ამსრულებლობას აღვილი აქვს იარაღის მართლზომიერი მოქმედების დროს, გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ეს დღემდე ცნობილია. ჰ. იოჰანესის აზრით, შუალობითი ამსრულებლობა გვექნება მაშინ, როდესაც ერთი პირი მეორეს შეურაცხყოფელ წერილს უგზავნის, ვინაიდან შეურაცხყოფის შემადგენლობის დამთავრებისათვის აუცილებელია, რომ დაზარალებულმა წერილი წაიკითხოს და თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს. ამიტომ ის, ვინც წერილს დანიშნულებისამებრ მიიტანს და აღრესატს ჩააბარებს, დანაშაულის ჩადენის „იარაღს“ წარმოადგენს. თანაც ჰ. იოჰანესს მხედველობაში ყავს არა მარტო დამტარებელი, რომელიც უშუალოდ გადასცემს წერილს აღრესატს, არამედ ისიც, ვინც წერილების ყუთი გახსნა და წერილი ფოსტის განყოფილებაში მიიტანა, ვინც შემდეგ ეს წერილები დაახარისხა, ვინც იგი მატარებლით გადაზიდა, აგრეთვე საფოსტო მანქანის მძღოლი და სხვა. ამავე გზით შეიძლება აგრეთვე ცრუ დასმენის და სხვა მრავალი დანაშაულის ჩადენა, რომლებიც იმდენად ჩვეულებრივად გამოიყურებიან, რომ მათ შუალობითი ამსრულებლობის მაგალითებად არც კი იხსენიებენ. ამრიგად, შუალობითი ამსრულებლობის ის შემთხვევები, როდესაც იარაღი მართლზომიერად მოქმედებს, სრულიადაც არ წარმოადგენენ იშვიათობას⁷¹.

ამ შეხედულებას არ ეთანხმება მეორე ბურჟუაზიული კრიმინალისტი რ. ჰერცბერგი. უპირველეს ყოვლისა, იგი ცდილობს მონახოს ის ნიშანი, რომელიც უშუალო ამსრულებლობას შუალობით

⁷¹ H. J o h a n n e s, Mittelbare Täterschaft bei rechtmässigem Handeln des Werkzeuges ein Scheinproblem, Frankfurt am Main, 1963, S. 45—46.

თი ამსრულებლობისაგან განასხვავებს. მისი აზრით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მიზეზობრიობის ჭაჭვეში შუალედ რგოლად ჩართული იყო სხვა პირის მოქმედება, ჯერ კიდევ არ მოწმობს, რომ აქ ადგილი აქვს შუალობით ამსრულებლობას. შუალობითი ამსრულებლობა არ გვექნება იმ დროს, როდესაც ვინმე სჩადის მკვლელობას ნათხოვარი პისტოლეტით, თუმცა იმის მოქმედება, ვინც მკვლელს პისტოლეტი ათხოვა, ჩართული იყო მიზეზობრიობის ჭაჭვეში. შუალობითი ამსრულებლობისათვის დამახასიათებელია ის, რომ იარაღი მოქმედებს „თვალხილულად“ (sehend) შედეგის მიმართ. იმ შემთხვევაში კი, როცა პირი, რომლის მოქმედება ჩართული იყო მიზეზობრივ ჭაჭვეში, მოქმედებდა არა „თვალხილულად“, არამედ „ბრმად“ (blind), ყოველთვის უშუალო ამსრულებლობასთან გვაქვს საქმე. 3. იოჰანესის მიერ მოტანილ მაგალითში, მართალია, შეურაცხყოფელი წერილის ავტორი ითვალისწინებდა, რომ იგი დასახული მიზნის მისაღწევად იყენებს გარეშე პირების, სახელობრ, წერილების დამტარებლის და სხვათა და სხვათა მოქმედებებს, მაგრამ ისინი შედეგის მიმართ მაინც ბრმად მოქმედი ძალებია და ამიტომაც აქ ადგილი აქვს უშუალო ამსრულებლობას⁷².

3. იოჰანესი უსაფუძვლოდ აფართოებს შუალობითი ამსრულებლობის სფეროს. ამას ნათლად მოწმობს მის მიერ მოტანილი წერილობითი შეურაცხყოფის მაგალითი. მართალია, ვიდრე წერილს ადრესატი მიიღებდეს, იგი მრავალ ხელში გაივლის, რასაც უთუოდ ითვალისწინებს დამნაშავე, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, თითქოს აქ შეურაცხყოფის შუალობით ამსრულებლობასთან გვექონდეს საქმე. შეურაცხყოფის შუალობით ამსრულებლობაზე მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, შეურაცხყოფელი წერილი რომ სხვას, ვთქვათ, მცირეწლოვანს ან სულით ავადმყოფს შეეთხზა დამნაშავეს თხოვნით. ეს იმიტომ, რომ წერილობითი შეურაცხყოფის შემადგენლობისათვის არსებითია წერილის შეთხზვა და არა ის ფაქტი, თუ ვინ გადასცა იგი დაზარალებულს. ასევე ითქმის ცრუ დასმენის, ცილისწამების და ზოგიერთი სხვა დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობის შესახებაც. მაგრამ აქ უკვე აღარ გვექნებოდა შუალობითი ამსრულებლობის ის სახე, რომლის დროსაც იარაღი მართლზომიერად მოქმედებს.

რაც შეეხება რ. ჰერცბერგს, იგი უთუოდ სწორია, როცა 3. იოჰანესს შუალობითი ამსრულებლობის სფეროს უსაზღვროდ გაფარ-

⁷² R. Herzberg, *Mittelbare Täterschaft bei rechtmässig oder unverbotten handelnden Werkzeug*, Berlin, 1967, S. 51—53.

თოებას უსაყვედურებს, მაგრამ, თავის მხრივ, მის თვალსაზრისსაც გარკვეული ნაკლი გააჩნია. მე მხედველობაში მაქვს ის კრიტიკი-
უმი, რომლითაც იგი შუალობით ამსრულებლობას უშუალო ამს-
რულებლობისაგან განასხვავებს. რ. ჰერცბერგმა ჩართული პირების
მოქმედებები დაჰყო ორ ჯგუფად: „თვალზილულ“ და „ბრმა“ მოქ-
მედებებად. მაგრამ როგორ გავიგოთ, „ბრმად“ მოქმედებს დამხმარ-
ე პირი შედეგის მიმართ, თუ „თვალზილულად“? რას ნიშნავს, მა-
გალითად, „ბრმად“ მოქმედება? განა იარაღი ყოველთვის ბრმად
არ მოქმედებს!... თვალზილულად მოქმედი პირი იარაღი კი არა,
სულაც ამსრულებელი, ან ყოველ შემთხვევაში დამხმარე იქნება.
სწორედ ამიტომ არ მიმაჩნია მართებულად რ. ჰერცბერგის მტკი-
ცება, რომ ფოსტის მოხელე ან წერილების დამტარებელი
ბრმად მოქმედებს შედეგის მიმართ და ამის გამო წერილის გამგ-
ზავნი შეურაცხყოფის შუალობით ამსრულებლად ვერ ჩაითვლება.
საქმე ისაა, რომ შუალობითი ამსრულებლობის დროს იარაღი ყო-
ველთვის ბრმად მოქმედებს. მაგრამ განა ყველა შემთხვევაში,
როცა კი სხვისი მოქმედება ჩართულია მიზეზობრიობის ჯაჭვში,
როგორც ბრმად მოქმედი ძალა, გვექნება შუალობითი ამსრულებ-
ლობა? ეს რომ ასე იყოს, მაშინ შუალობითი ამსრულებლობის სფე-
რო მართლაც უსაზღვროდ და თანაც უსაფუძვლოდ გაფარ-
თოდებოდა.

შუალობით ამსრულებლობასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე,
როცა იარაღი ასრულებს მთავარ მოქმედებას, რომელიც ჩვე-
ულებრივ შემთხვევაში ამსრულებელს უნდა შეესრულებინა. მთა-
ვარ მოქმედებაში იგულისხმება დანაშაულის შემადგენლობის ობი-
ექტური მხარე. მაგალითად, ფოსტის მოხელის ან მატარებლის მე-
მანქანის მოქმედება, თუმცა ჩართულია მიზეზობრიობის ჯაჭვში,
რომლის გამოყენებას აუცილებლად გულისხმობდა დანაშაულები, მაგ-
რამ მთავარი მოქმედება, სახელდობრ, შეურაცხყოფელი წერილის
შეთხზვა წერილის გამგზავნის მიერ არის ჩადენილი, ამიტომ ეს უშუ-
ალო ამსრულებლობაა. ამრიგად, შუალობით ამსრულებლობაზე
მხოლოდ იქ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, სადაც დანაშაულები სხვას („იარ-
აღს“) გადააკისრებს დანაშაულის შემადგენლობის წმინდა ობიექ-
ტური მხარის შესრულებას, თვითონ კი ამ მოქმედებას შესაბამისი
სუბიექტური მომენტებით ავსებს. თუ დანაშაულის ობიექტური
მხარე პირმა მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც თვითონ შეასრულა,
თუნდაც ამისათვის გამოიყენოს მეორე პირის მოქმედება, რომე-
ლიც, თავის მხრივ, „ბრმად“ მოქმედებდა (ე. ი. გამოყენებული
იყო იარაღად), ეს უკვე უშუალო ამსრულებლობაა. ამის საილუსტ-

რაციონდ მოვიტანთ ერთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან. დ., ხ. და ჯ. ა. ცნობილი იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 134 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ქალის მოტაცებას მასთან ქორწინების მიზნით. მოტაცება მოხდა მსუბუქი ავტომანქანით, რომელსაც გ. ქ. მართავდა. ტაქსის მძღოლი პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა. სახალხო სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რათა მძღოლი პასუხისგებაში მიეცათ საქართველოს სსკ 19—134 მმ, როგორც თანამონაწილე (დამხმარე) ქალის გატაცებისა. განიხილა რა გ. ქ.-ს კერძო საკასაციო საჩივარი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა საკასაციო კოლეგიამ გააუქმა ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს აღნიშნული განჩინება. კოლეგია დაეყრდნო საქმის მასალებს, საიდანაც ჩანდა, რომ გ. ქ.-ს დამნაშავენი თავს დაადგნენ ცეცხლასროლი იარაღით და დანით და მოკვლის მუქარით აიძულეს ემოქმედა მათი ბრძანებისამებრ (ფსიქიკური იძულება). კოლეგიის გადაწყვეტილება უთუოდ სწორია, თუმცა იგი ჭეროვნად ვერ არის დასაბუთებული. საჭირო იყო იმაზე მითითება, რომ გ. ქ. იმყოფებოდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, როცა მიყენებული ზიანი (ქალის მოტაცება) უფრო ნაკლები ღირებულების იყო, ვიდრე თავიდან აცდენილი ზიანი (სიცოცხლე), რაც საქართველოს სსრ სსკ 16 მუხლის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა. ამიტომ გ. ქ.-ს მოქმედება მართლზომიერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეებმა ისარგებლეს ტაქსის მძღოლის მართლზომიერი მოქმედებით, შუალობით ამსრულებლობას აქ ადგილი მაინც არ ჰქონია, ვინაიდან მთავარ მოქმედებას (ქალის გატაცებას) დამნაშავენი თვითონ უშუალოდ ასრულებდნენ⁷³.

შუალობითი ამსრულებლობის პრობლემა „იარაღის“ მართლზომიერი მოქმედების დროს საზოგადოდ შუალობითი ამსრულებლობის პრობლემატიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. პასუხისმგებლობის დასაბუთების თვალსაზრისით. შეიძლება კი წამქეზებელმა პასუხი აგოს დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობისათვის, თუ იარაღი მართლზომიერად მოქმედებდა? მთელი სირთულე საკითხისა იმაში მდგომარეობს, რომ დამდგარი შედეგი მართლზომიერი და საზოგადოებრივად სასარგებლოა, თუმცა პირ-

⁷³ აქ ადგილი აქვს დანაშაულთა ერთობლიობას. დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს ქალის მოტაცების (საქ. სსრ სსკ 134 მ) და მუქარის (მ 136) უშუალო ამსრულებლობისათვის და დროებითი გამოყენების მიზნით მანქანის გატაცების შუალობითი ამსრულებლობისათვის (სსკ 243 მ).

ველმოქმედის, ე. ი. წამქეზებლის მოქმედება საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო იყო. როგორ უნდა გაიდოს ხიდი წამქეზებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და იარაღის მოქმედებით გამოწვეულ მართლზომიერ შედეგს შორის? ამ საკითხის გადაჭრა იმდენად არის რთული და თავსატეხი, რამდენადაც იგი მართლწინააღმდეგობის პრობლემას უკავშირდება. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ობიექტური მართლწინააღმდეგობის თეორია, რომელიც გაბატონებულია საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში, აქ ნაკლებად გამოსადეგია, რადგან ამ თეორიის თანახმად ორი ან მეტი პირის ერთობლივი მოქმედება ან მართლსაწინააღმდეგო უნდა იყოს ან მართლზომიერი. შედეგი არ შეიძლება სხვადასხვა სოციალურ შინაარსს იძენდეს იმისდა მიხედვით, თუ ვისი მოქმედებით იყო გამოწვეული იგი. ამ სირთულემ საფუძველი მისცა დასავლეთში ამ ბოლო დროს ფართოდ გავრცელებული ე. წ. „პერსონალური უმართლობის“ თეორიის წარმომადგენლებს (ფინალისტები) ემტკიცებინათ, თითქოს უმართლობა პერსონალური ბუნებისაა, ე. ი. სუბიექტური კატეგორიაა და მთლიანად სუბიექტის პერსონალური ნიშნებით, მისი მიზნებითა და წარმოდგენებით განისაზღვრება⁷⁴.

სინამდვილეში ეს მტკიცება მოკლებულია მყარ საფუძველს. მართალია, ზოგჯერ პერსონალური ნიშნებიც განსაზღვრავენ უმართლობის ტიპს, მაგრამ ამის გამო უმართლობა არ გადაიქცევა სუბიექტურ (პერსონალურ) კატეგორიად. როდესაც ვლაპარაკობთ პერსონალურ ნიშნებზე როგორც ქმედობის მართლწინააღმდეგობის განმსაზღვრელ მომენტებზე, მხედველობაში გვაქვს არა სუბიექტურ-პერსონალური, არამედ ობიექტურ-პერსონალური ნიშნები. მოტანილ მაგალითში, როდესაც წამქეზებელი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებდა, იარაღი კი მართლზომიერად, სწორედ ასეთ ობიექტურ-პერსონალურ ნიშნებთან გვაქვს საქმე. ამიტომ პერსონალური ნიშნების გამო ქმედობის შინაარსის, მისი სოციალური მნიშვნელობის ცვალებადობა არავითარ კავშირში არ არის იმ საკითხთან, ობიექტური კატეგორიაა მართლწინააღმდეგობა თუ სუბიექტური. ეს საკითხი მართლწინააღმდეგობის პრობლემას სრულიად სხვა კუთხით უკავშირდება: სისხლის სამართლის კანონით დაცული

⁷⁴ 3. ველცელი პერსონალური უმართლობის თეორიის სისწორის დასასაბუთებლად პირდაპირ მიუთითებს შუალობითი ამსრულებლობის იმ შემთხვევაზე, როცა იარაღი მართლზომიერად მოქმედებდა. იხ. H. W e l z e l, Das deutsche Strafrecht, 9. Auf. Berlin, 1965, S. 56.

ობიექტისათვის ზიანის მიყენება ყოველგვარ პირობებსა და ყველა პირის მიერ აბსოლუტურად აკრძალულია და დანაშაულად ითვლება, თუ დაშვებულა ზოგი გამონაკლისი? საკითხის ამ კუთხით განხილვას იმ დასკვნამდე მიყვავართ, რომ მართლწინააღმდეგობა არ არის აბსოლუტური კატეგორია. ზიანის მიყენება რომ ყოველთვის საზოგადოებრივად საშიში იყოს, მაშინ ცხოვრება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ არის, რომ სისხლის სამართალი იცნობს საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა მთელ ჯგუფს. მკვლელობა, სხეულის დაზიანება, სხვისი ქონების ხელყოფა და სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებებია, თუ ეს მოქმედებები ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მიზნით ან უკიდურესი აუცილებლობის დროს. ვისიმე თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებრივად სასარგებლო და მართლზომიერია, თუ ეს მოხდა დამნაშავეის შეპყრობის მიზნით. თანაც საზოგადოებრივი საშიშროების და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს პერსონალური ხასიათი აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის საკმარისი იმ პირობის ობიექტურად არსებობის ფაქტი, რომელიც გამომრიცხავს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას. პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ იმყოფება უკიდურესი აუცილებლობის ან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. ამიტომ შედეგი, რომელიც გამოწვეულია ორი ან მეტი პირის ერთობლივი მოქმედებით, ერთდროულად მართლზომიერიც შეიძლება იყოს და მართლსაწინააღმდეგოც. იმ პირის მხრივ, ვინც უკიდურესი აუცილებლობით ან აუცილებელი მოგერიების მიზნით მოქმედებდა, ეს შედეგი მართლზომიერი იქნება, ხოლო იმის მხრივ, ვისაც ასეთი გამომრიცხველი გარემოება არ გააჩნდა, ე. ი. არ ჰქონდა შეგნებული, რომ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და სხვა, იქნება მართლსაწინააღმდეგო. ერთი პირი შეიძლება მოქმედებდეს დაზარალებულის თანხმობით, მეორე კი თანხმობის გარეშე. ამიტომ პირველის მოქმედება მართლზომიერი იქნება, მეორესი კი—მართლსაწინააღმდეგო. ამრიგად, არ არსებობს თავისთავად საზიანო შედეგი. შედეგის ავკარგიანობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ კონკრეტულ პირთან მიმართებაში, რომლის მოქმედებასაც ეს შედეგი უკავშირდება. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მართლწინააღმდეგობა პერსონალური კატეგორია იყოს. იგი მაინც ობიექტურ კატეგორიად რჩება.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მართალია, იარაღი მართლზომიერად მოქმედებდა და შედე-

გიც მართლზომიერი დადგა, მაგრამ წამქეზებელი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებდა და შედეგიც, თუ წამქეზებლის მოქმედების მიხედვით ვიმსჯელებთ, მართლსაწინააღმდეგოა⁷⁵. იარაღის მართლზომიერი მოქმედება ხელოვნურად არის ჩართული მიზეზობრიობის ჯაჭვში, რათა მიღწეული იქნეს წამქეზებლის დანაშაულებრივი მიზანი. ამიტომ წამქეზებლის პასუხისმგებლობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, მიაღწევს იგი დასახულ მიზანს იარაღის მართლზომიერი თუ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შეოხებით.

⁷⁵ „არ შეიძლება — ამბობს თ. წერეთელი — ერთი პირის ქმედობის მართლზომიერი ხასიათის გამო მექანიკურად მართლზომიერად ჩაეთვალოს მეორე პირის მოქმედებაც და, პირიქით. ამიტომ, ჩვენი აზრით, შეცდომას უშეუბნენ ის ავტორები, რომლებიც მთავარი დამნაშაულის დასჯადობის საკითხის გადაჭრისას იკვლევენ იმ საკითხს, მართლზომიერად მოქმედებდა თუ არა „იარაღი“ (თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 124).

თანამსრულებლობა

§ 1. თანამსრულებლობის ცნება

ა. თანამსრულებლობის ობიექტური მხარე

სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში თანამონაწილეობას განიხილავენ ფართო და ვიწრო აზრით. თანამონაწილეობა ვიწრო აზრით ანუ, როგორც იტყვიან, რთული თანამონაწილეობა გულისხმობს როლების დანაწილებას ცალკეულ მონაწილეთა შორის (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). თანამონაწილე, იქნება ის ორგანიზატორი, წამქეზებელი თუ დამხმარე, დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ თვითონ არ ასრულებს. შემადგენლობას უშუალოდ ახორციელებს მხოლოდ ამსრულებელი, ხოლო დანარჩენები მონაწილეობენ ამსრულებლის მოქმედებაში. თანამონაწილეობა ფართო აზრით თანამსრულებლობასაც მოიცავს. თანამსრულებლობის დროს ცალკეულ მონაწილეთა შორის როლების დანაწილება არ ხდება. ამიტომ მას ზოგჯერ მარტივ თანამონაწილეობასაც უწოდებენ.

თანამსრულებლობის ცნებას მოქმედი კანონმდებლობა პირდაპირ არ განსაზღვრავს. „საფუძვლების“ მე-17 მუხლში მოცემულია მხოლოდ უშუალო ამსრულებლის ცნება. ამ მუხლის თანახმად, ამსრულებლად ჩაითვლება ის, ვინც უშუალოდ ჩაიდენს დანაშაულს. ამ განსაზღვრებაზე დაყრდნობით სისხლის სამართლის თეორიაში თანამსრულებლად მიიჩნევენ იმას, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობს განზრახვი დანაშაულის ჩადენაში¹. თანა-

¹ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 132; В. Сергеев, Соисполнительство по советскому уголовному праву, «Советская юстиция», 1970, № 18, с. 5.

ამსრულებლობა არსებითად იგივე ამსრულებლობაა, ამიტომ თანამსრულებელი არ იქნება ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობას ირ ახორციელებს. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება თანამსრულებელი თანამონაწილის, სახელდობრ, დამხმარისაგან. ორი ან მეტი პირის უშუალო ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში ნიშნავს იმას, რომ თვითეული მათგანი უშუალოდ ასრულებს დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას.

რაკი თანამსრულებლობა უცილობლად გულისხმობს შემადგენლობის განხორციელებას, საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ შემადგენლობის რა ნაწილს უნდა ასრულებდეს თვითეული მათგანი. როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში ერთხმად არის აღიარებული, რომ ყოველი თანამსრულებელი შემადგენლობას უნდა ასრულებდეს ან მთლიანად ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. ისეთ დელიქტებში, როგორცაა, მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება და სხვ., სადაც ძალადობა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, თანამსრულებლობისათვის საკმარისია, თუ პირმა შემადგენლობის მხოლოდ ეს ნიშანი შეასრულა. როგორც სწორად შენიშნავს მ. კოვალიოვი, „...განზრახი მკვლელობის ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც მსხვერპლს მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა, არამედ ისიც, ვინც აკავებდა დაზარალებულს, ვიდრე სხვა თანამონაწილენი მას მომაკვდინებელ დარტყმებს აყენებდნენ“².

ქ. თბილისის პირველი მაისის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლის მე-2 ნაწილით სხეულის მძიმე დაზიანების (რომელმაც სიკვდილი გამოიწვია) თანამსრულებლად სცნო მამა-შვილი გ. გ. და მ. გ. როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო გამოძიების დროს დადასტურდა, რომ გ. გ.-მ პირადი უსიამოვნების ნიადაგზე უკანიდან ხელი ჰკრა თავის მეზობელს ს. გ.-ს, რომელიც წაბარბაცდა. ამის შემდეგ გ. გ.-მ ხელები დაუჭირა ს. გ.-ს. ამ დროს შემთხვევის ადგილზე მივიდა გ. გ.-ს ვაჟი მ. გ., რომელიც მიეშველა მამას. და მუშტებით დაუწყო ცემა ს. გ.-ს მუცელში, რის შედეგად მსხვერპლს სხეული მძიმედ დაუზიანდა, გაუსკდა სწორი ნაწლავი და გარდაიცვალა. ამ კვალიფიკაციას დაეთანხმა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმიც.

მაგრამ ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომე-

² М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 39.

ბი. საგულისხმოა ამ მხრივ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება (№ 239) ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლოს 1969 წლის 12 დეკემბრის განაჩენთან დაკავშირებით. თ. ა.-მ, ს. ა.-მ, და გ. დ.-მ ერთობლივად წააქციეს ა. ს. და მოკელის მიზნით გ. დ. ყელში უჭერდა ხელებს, ს. ა. თავში ურტყამდა ქვას, ხოლო თ. ა.-მ ამოიღო ჭაყვა და მსხვერპლს გადაუჭრა მარცხენა მუხლის ფოსო და წვივის არე ზუთ ადგილას, შემდეგ გადაუჭრა ვენები, რის გამოც მსხვერპლი სისხლის დენისაგან ადგილზევე გარდაიცვალა. ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლომ ამსრულებლად ცნო მხოლოდ თ. ა., ე. ი. ის, ვინც უშუალოდ მოკლა მსხვერპლი, და დააკვალიფიცირა მისი ქმედობა საქართველოს სსრ სსკ 105 მუხლით. ხოლო დანარჩენი ორი დამნაშავე ჩათვალა დამხმარეებად და ამის შესაბამისად მათი ქმედობები სსკ მე-19—105 მუხლებით დააკვალიფიცირა. ამ კვალიფიკაციას დაეთანხმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა საკასაციო კოლეგიაც. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ამ საქმის გამო აღნიშნულია, რომ „სამივე მსჯავრდებული მოქმედებდა ა. ს.-ს მოკელის განზრახვით. დამდგარი შედეგი, ა. ს.-ს სიკვდილი, მათი ერთობლივი მოქმედების პროდუქტია და ამდენად მათი დანაშაულებრივი ქმედობა სასამართლოს განაჩენით სწორად არის დაკვალიფიცირებული“. ჩემი აზრით, მცდარია პრეზიდიუმის მტკიცება, თითქოს განაჩენით მოცემული კვალიფიკაცია სწორი იყოს. სახალხო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ს. ა. და ე. დ. დამხმარეებად. სინამდვილეში ისინიც ამსრულებლები იყვნენ. მკვლელობის ამსრულებელი მარტო ის კი არ ხყო, ვინც მსხვერპლს ვენები გადაუჭრა, არამედ ისიც, ვინც ყელში ხელს უჭერდა და ისიც, ვინც თავში ქვას ურტყამდა. აქ ადგილი ჰქონდა მკვლელობის თანამსრულებლობას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ერთ-ერთი დადგენილება პირდაპირ მოითხოვს, რომ „პირთა ჯგუფის მონაწილეობით ჩადენილი განზრახვი მკვლელობის დროს დანაშაულის ამსრულებლებად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის პირები, რომელთა მოქმედებამაც უშუალოდ გამოიწვია სიკვდილი, არამედ ისინიც, ვინც განზრახ მონაწილეობდა დანაშაულის აღსრულებაში თავისი მოქმედებით, რომელიც მიმართული იყო აღნიშნული მიზნის მისაღწევად“³.

საგანგებო ინტერესს იწვევს ამ თვალსაზრისით გაუპატიურების

³ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1970, М., с. 445.

შემადგენლობა. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლით გაუპატიურება არის ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერა ფიზიკური ძალადობით, მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. პრაქტიკაში იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როცა ერთობლივად მოქმედი რამდენიმე დამნაშავედან მხოლოდ ერთი მათგანი ახორციელებს სქესობრივ აქტს, ხოლო დანარჩენები მსხვერპლისადმი ფიზიკური ძალადობის გამოყენებით ეხმარებიან და ხელს უწყობენ თავიანთ თანამზრახველს სქესობრივი აქტის შესრულებაში. ასეთი პირები ერთი შეხედვით თითქოს დამნაშავეები არიან. მაგრამ არსებითად ისინიც აღსრულებით მოქმედებას სჩადიან, ვინაიდან ახორციელებენ შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს — ფიზიკურ ძალადობას; ამიტომ მსგავსი შემთხვევები თანამსრულებლობად უნდა დაკვალიფიციროდეს. ამ გარემოებაზე გამაზნვილა ყურადღება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1964 წლის 25 მარტის №2 დადგენილებაში „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, სადაც ვკითხულობთ: „...იმ პირის მოქმედება, რომელსაც პირადად არ ჩაუდგინია ძალადობითი სქესობრივი აქტი, მაგრამ დაზარალებულისადმი ძალადობის გამოყენებით ხელი შეუწყო სხვებს მის გაუპატიურებაში, უნდა დაკვალიფიციროდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლის მე-3 ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით როგორც ამ დანაშაულის თანამსრულებლობა და არა დანაშაულებად“⁴.

ასევე გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაშიც, როცა ერთი პირი სქესობრივ აქტს უშუალოდ ახორციელებს, დანარჩენები კი ემუქრებიან დაზარალებულს და აიძულებენ მას დაემორჩილოს მოძალადეს. ის, ვინც მუქარას ახორციელებს, იქნება თანამსრულებელი და არა დამნაშავე, ვინაიდან მუქარაც გაუპატიურების შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანია. გაუპატიურების აუცილებელი ნიშანია აგრეთვე სქესობრივი კავშირის დაჭერა „დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით“. უმწეო მდგომარეობაში მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს დამნაშავეისაგან დამოუკიდებელი მიზეზით. მაგრამ შესაძლოა დამნაშავემ თვითონ ჩააგდოს დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში მისი შემდგომი გაუპატიურების მიზნით. ასეთ შემთხვევაში თვით ფაქტი მსხვერპლის უმწეო მდგომარეობაში ჩაგდებისა უკვე ნიშნავს, რომ განხორციელდა შემადგენლობის

⁴ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1970. М., 1970, с. 456.

ერთ-ერთი ნიშანი. ამიტომ თუ ერთი პირი მსხვერპლს განზრახ ჩააგდებს უმწეო მდგომარეობაში, ხოლო მეორე მას გააუპატიურებს, ორივენი იქნებიან გაუპატიურების თანამსრულებლები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თანამსრულებლობის საკითხი ორმოქმედებიან შემადგენლობებში. ასეთი შემადგენლობაა, მაგალითად, სპეკულაცია. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით სპეკულაციად ითვლება საქონლის ან სხვა საგნების შესყიდვა და გადაყიდვა გამორჩენის მიზნით. ამრიგად, ეს შემადგენლობა შედგება ორი აქტისაგან: 1. შესყიდვა და 2. გადაყიდვა. ცალკე აღებული არც შესყიდვა და არც გადაყიდვა არ არის დანაშაული. მხოლოდ ამ ორი მოქმედების შეერთება (სხვა მომენტებთან ერთად) ქმნის სპეკულაციის შემადგენლობას. ამიტომ თუ ერთი პირი შეისყიდის საქონელს, ხოლო მეორე გაყიდის მოგების მიზნით, საქმე გვექნება თანამსრულებლობასთან. თვითეული მათგანი იქნება სპეკულაციის თანამსრულებელი. მ. გ.-მ მოსკოვში სასპეკულაციოდ შეიძინა ავეჯი, რომელიც მიაბარა ქ. ქუთაისში მცხოვრებ ლ. კ.-ს და თხოვა, რომ გაეყიდა. მ. გ.-ს ლ. კ.-სთან სხვა დროსაც მიჰქონდა სასპეკულაციოდ შეძენილი საქონელი, რომელსაც იგი ასაღებდა. ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ ლ. კ.-ს მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19—165 მუხლის II ნაწილით, ე. ი. სასამართლომ იგი ცნო დამნაშავედ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ლ. კ.-ს ქმედობა სისხლის სამართლის კოდექსის 19—165 მუხლის II ნაწილიდან გადააკვალიფიცირა 19—165 მუხლის I ნაწილზე, ვინაიდან ადგილი არ ჰქონია სპეკულაციას დიდი ოდენობით. მაგრამ კოლეგიას კვალიფიკაცია მარტო ამ ნაწილში როდი უნდა შეეცვალა. მას უნდა დაესვა საკითხი ლ. კ.-სათვის მე-19 მუხლის მოხსნის შესახებ. ლ. კ. სპეკულაციის თანამსრულებელია.

გარკვეული თავისებურებით ხასიათდება თანამსრულებლობა შენადგენ დანაშაულში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 151 მუხლის მე-2 ნაწილით ძარცვის კვალიფიციური შემადგენლობის ნიშნებად მოცემულია: 1. ძარცვა ისეთი ძალადობის გამოყენებით, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ან 2. ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. 152 მუხლით ყაჩაღობა განმარტებულია როგორც თავდასხმა მოქალაქეთა ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის 1. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან 2. ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. ასეთი სახის დანაშა-

ულს შენადგენ დანაშაულს უწოდებენ იმიტომ, რომ იგი ორი ნაწილისაგან შედგება 1. ძალადობა მოქალაქის მიმართ და 2. ქონების წართმევა (თუმცა ყაჩაღობის შემადგენლობის იურიდიული დამთავრებისათვის 152 მუხლის მიხედვით აუცილებელი არაა ქონების დაუფლება). ყაჩაღობის ან ძარცვის შემადგენელი მოქმედებები, ცალ-ცალკე აღებული, შეიძლება ქმნიდნენ სულ სხვა დანაშაულის შემადგენლობებს. მაგალითად, იძულება ისჯება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 135 მუხლით, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, მუქარა კი 136 მუხლით. ხოლო სხვისი ქონების დაუფლება ძალადობის გარეშე შეიძლება იყოს ძარცვის არაკვალიფიციური შემადგენლობა ან ქურდობა. მაგრამ, თუ ორივე მოქმედება — ძალადობა ან მუქარა და ქონების წართმევა შეერთებულია, მაშინ გვექნება სხვა შემადგენლობა—კვალიფიციური ძარცვა ან ყაჩაღობა. ამ შემადგენლობებში თანაამსრულებლობისათვის საკმარისია თვითთელი მონაწილის მიერ ერთ-ერთი შემადგენელი მოქმედების შესრულება⁵ კი. თუ, მაგალითად, ერთი პირი ემუქრება მსხვერპლს, ხოლო მეორე ქონებას ართმევს, მუქარის ხასიათის მიხედვით ადგილი ექნება ძარცვას ან ყაჩაღობას. ორივე პირის მიერ ჩადენილი მოქმედებანი იზოლირებულად კი არა, ერთმანეთთან კავშირში უნდა განვიხილოთ, რათა შევძლოთ მთელი შოვლენის სწორი იურიდიული შეფასება⁶.

შეიძლება მოხდეს ისე, რომ ყაჩაღობა ან ძარცვა დაიწყოს ერთმა დამნაშავემ, მაგრამ დანაშაულის ფაქტიური დამთავრების მომენტამდე მას შემოუერთდეს მეორე პირი და დანაშაული ბოლომდე მიაყვანინოს. აქ უნდა განვიხილოთ ორგვარი შემთხვევა: 1. როცა დამნაშავენი წინასწარ შეთანხმდებიან, რომ ერთმა დაიწყოს დანაშაულის აღსრულება, მეორე კი დადგეს მეთვალყურედ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიიღოს დანაშაულის უშუალო აღსრულებაში მონაწილეობა. მაგალითად, ორმა პირმა გადაწყვიტა ვისიმე გაძარცვა. მოილაპარაკეს, რომ ერთი დამდგარიყო მეთვალყურედ და ჩარეულიყო მხოლოდ მაშინ, თუ ეს საჭირო გახდებოდა, მეორე კი შეუდგა ძალადობის გამოყენებით მოქალაქის გაძარცვას. დამნაშავემ გაუკავა როგორც იქნა ხელები მსხვერპლს, მაგრამ ქონების წასართმევად უკვე ძალა აღარ ეყო და საშველად მოუხმო თავის თანამზრახველს. მანაც შეპირებისამებრ აღარ დააყოვნა და მისი ამხანაგის მიერ დაწყებული დანაშაული ბოლომდე მიიყვანა. ამ შემთხვევის იურიდიული კვალიფიკაცია დიდ სირთულეს არ უნდა წარ-

⁵ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 139—140.

მოადგენდეს. აშკარაა, რომ აქ ორივე დამნაშავეის მხრივ ადგილი აქვს ძარცვის თანამსრულებლობას. ის გარემოება, რომ მეორე პირი მხოლოდ მაშინ ჩაერია დანაშაულის უშუალო აღსრულებაში, როცა შენადგენი დანაშაულის პირველი აქტი — ძალადობა უკვე დამთავრებული იყო, ხელს ვერ შეუშლის მისი მოქმედების დაკვალიფიცირებას ძარცვის თანამსრულებლობად. ამ კვალიფიკაციის სისწორეს მართო ის გარემოება კი არ ადასტურებს, რომ შემდეგში შემოერთებულმა პირმა თავისთავად აღსრულებითი მოქმედება ჩაიდინა, არამედ ისიც, რომ ამ მოქმედების ჩადენა წინასწარ უკვე იყო შეპირებული. ზოგჯერ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შენადგენი დანაშაულის მეორე აქტში მონაწილეობა წინასწარ არ ჰქონდა განზრახული პირს, მაგრამ შექმნილმა სიტუაციამ საჭირო გახადა მისი მონაწილეობა. ვთქვათ, ორი პირი შეთანხმდა, რომ ერთი მეთვალყურედ დადგებოდა, მეორე კი გაძარცვავდა მსხვერპლს. უშუალო ამსრულებელმა მსხვერპლი უგრძნობ მდგომარეობაში ჩაადო, მაგრამ დანაშაული რომ სწრაფად დაემთავრებინათ და იქაურობას მალე გასცლოდნენ, აუცილებელი გახდა ქონების დაუფლებაში მეთვალყურედ მდგომ პირსაც მიეღო უშუალო მონაწილეობა. ამ შემთხვევაშიც ეს მეორე პირი მთელი შენადგენი დანაშაულის თანამსრულებელია, ვინაიდან მის მოქმედებასა (მეთვალყურედ დგომა) და ძარცვის პირველ აქტს შორის გვაქვს როგორც მიზეზობრივი, ისე ბრალეული კავშირი. 2. შესაძლებელია ისიც, რომ დანაშაულის აღსრულება დაიწყოს დამნაშავემ ერთპიროვნულად სხვასთან რაიმე შეთანხმების გარეშე, მაგრამ ვიდრე დაამთავრებდეს, მას შემოუერთდება მეორე პირი და დანაშაულს ბოლომდე მიაყვანინებს. ეს არის ეგრეთ წოდებული თანმიმდევრული თანამსრულებლობა (Sukzessive Mittäterschaft). ეს საკითხი სისხლის სამართლის თეორიაში ამჟამად პრობლემატურად ითვლება. დასავლეთგერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ შემდეგში შემოერთებული პირი, თუ მან შეიტყო მანამდე დაწყებული მოქმედების იურიდიული ჩასიათი და იწონებს მას, მეორე დამნაშავესთან ერთად პასუხისმგებელია მთელი შენადგენი დანაშაულისათვის, ე. ი. მას შეერაცხება ისიც, რაც მის მოსვლამდე სხვამ უკვე გააკეთა⁶. ამის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქმული აქვთ გერ-

⁶ K o h l r a u s c h - L a n g e, Strafgesetzbuch, 43. Auf., Berlin, 1961, S. 174; I. B a u m a n n, Strafrecht, Allg. Teil, Bielefeld, 1961, S. 446; R. M a u r a c h, Deutsches Strafrecht, Allg. Teil, 3. Auf., Karlsruhe, 1965, S. 560; H. W e l z e l, Das deutsche Strafrecht, 9. Auf., Berlin, 1965, S. 97; H. J e s c h e c k, Lehrbuch des Strafrechts, Allg. Teil, Berlin, 1969, S. 452; ამის წინააღმდეგ იხ. E. M e z g e r, Strafrecht, 3. uver. Auf., Berlin und München, 1949, S. 423;

მანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტებს. მათ მიაჩნიათ, რომ შემტვრევით ქურდობის დროს შემდეგში შემოერთებულმა პირმა პასუხი უნდა აგოს ჩვეულებრივი ქურდობისათვის (სსკ § 242), ხოლო ის, ვინც კარი შეამტვრია, პასუხს აგებს კვალიფიციური ქურდობისათვის (სსკ § 243)⁷. საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხს საგანგებოდ იხილავს მ. კოვალიოვი. თანმიმდევრული თანამსრულებლობის (последовательное исполнение) დროს, მ. კოვალიოვის აზრით, ყველა თანამსრულებელი პასუხისმგებელია დანაშაულის მთელი შემადგენლობის ამსრულებლობისათვის⁸, ე. ი. შემდეგში შემოერთებულმა პირმა პასუხი უნდა აგოს იმისათვისაც, რაც მისგან სრულიად დამოუკიდებლად სხვამ გააკეთა. მ. კოვალიოვს თავისი დებულების საილუსტრაციოდ ორაქტიანი დანაშაულის, სახელდობრ, სპეკულაციის მაგალითი მოჰყავს. მაგრამ მისი შრომის სხვა ადგილების გადაკითხვა გვარწმუნებს, რომ იგი ამ პრინციპს თანმიმდევრულად ავრცელებს სხვა შემთხვევების მიმართაც. მე მხედველობაში მაქვს ის ადგილი, სადაც მ. კოვალიოვი შეკვეცილ და დენად დანაშაულებში თანამონაწილეობის საკითხს განიხილავს. საკითხი ეხება იმას, შეიძლება თუ არა თანამონაწილეობა უკვე დაწყებულ დანაშაულებრივ მოქმედებაში. მ. კოვალიოვი ემხრობა იმ ავტორებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ როგორც შეკვეცილ (ყაჩაღობა და სხვ.), ისე დენად დანაშაულში (მაგ. ღებერთირობა) თანამონაწილეობა შესაძლებელია მაშინაც, როცა ეს დანაშაული დაწყებულია, მაგრამ ფაქტიურად ჯერ არ დამთავრებულა. ყაჩაღობა შეკვეცილი შემადგენლობაა. იურიდიულად იგი დამთავრებულია მაშინ, როცა მოხდა თავდასხმა ქონების დაუფლების მიზნით (რსფსრ სსკ 91 და 146 მმ, საქართველოს სსრ სსკ 96 და 152 მმ). მაგრამ ყაჩაღობაში თანამონაწილეობა შესაძლებელია ამ დანაშაულის ფაქტიურად დამთავრებამდის, ე. ი. თავდასხმის შემდეგაც. ის, ვინც დაეხმარება ყაჩაღს თავდასხმის შემდეგ, მაგრამ ქონების დაუფლებამდე, შემხებელი კი არაა, ყაჩაღობის თანამონაწილე იქნება⁹. აქედან ცხადი ხდება, რომ მ. კოვალიოვს თან-

⁷ Lehrbuch des Strafrechts der deutschen Demokratischen Republik, Allg. Teil, Berlin, 1959, S. 460; ნავლისხმეია გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის §§ 242 და 243. ამჟამად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედებს ახალი კოდექსი, რომელიც მიღებულია 1968 წელს.

⁸ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 207—208.

⁹ იქვე, გვ. 119.

მიმდევრული თანამსრულებლობა შესაძლებლად მიაჩნია შენადგენ დანაშაულებშიც.

თანამონაწილეობის საკითხი უკვე დაწყებულ დანაშაულებრივ მოქმედებაში არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ შეკვეცილი და დენადი დანაშაულით. ეს საკითხი დგება ყველა იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის დამთავრება ერთი აქტით არ ხდება. მაგალითად, მკვლელობაში თანამონაწილეობა შეიძლება დამნაშავეის მიერ მსხვერპლისათვის საწამლავის დალევიების შემდეგაც, მაგრამ მანამ, სანამ იგი ჯერ კიდევ ცოცხალია. იგივე ითქმის ქონების განადგურებაზე და სხვა იმ დელოქტებზე, რომელთა ჩადენა დროის გარკვეულ მონაკვეთში გრძელდება. ამ მხრივ არც შეკვეცილი და არც დენადი დანაშაულები რაიმე გამონაკლისს არ უნდა წარმოადგენდნენ. მაგრამ ის ფაქტი, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია უკვე დაწყებულ დანაშაულებრივ მოქმედებაში, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთ საკითხს ჰფენს ნათელს, სახელდობრ, ხელს გვიწყობს უფრო ზუსტად გავმიჯნოთ თანამონაწილეობა შემხებლობისაგან. ამჯერად კი ჩვენ სულ სხვა საკითხი გვანტერესებს. შემდეგში შემოერთებული პირი რომ თანამონაწილე იქნება და არა შემხებელი, ეს ცხადია, მაგრამ რომელი დანაშაულის თანამონაწილე იქნება ის? მ. კოვალიოვი უთუოდ მართალია, როცა თანამონაწილეობას შესაძლებლად მიიჩნევს დანაშაულის ფაქტიურ დამთავრებამდე. ის, ვინც თავდასხმის შემდეგ დაეხმარება ყაჩაღს ქონების დაუფლებაში, შემხებელი კი არაა, თანამონაწილე იქნება, მაგრამ იქნება თუ არა ის ყაჩაღობის თანამონაწილე — ეს უკვე სხვა საკითხია. ყაჩაღობა, ისევე როგორც ყოველი შენადგენი დანაშაული, ორი ისეთი მოქმედებისაგან შედგება, რომლებიც ცალ-ცალკე აღებული დამოუკიდებელ შემადგენლობებს ქმნიან. ამიტომ იმან, ვინც დაეხმარება ყაჩაღს მხოლოდ ქონების დაუფლებაში, პასუხი უნდა აგოს ქურდობასა ან ძარცვაში თანამონაწილეობისათვის. ხოლო თუ პირი თვითონ უშუალოდ მონაწილეობდა ქონების დაუფლებაში, იგი პასუხს აგებს შესაბამისად ქურდობის ან ძარცვის ამსრულებლობისათვის. შენადგენი დანაშაულის პირველი აქტისათვის პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს იმას, ვის მოქმედებასა და ამ პირველ აქტს შორის არც მიზეზობრივი და არც ბრალეული კავშირი არ არსებობდა. „თითოეულმა დამნაშავემ, — ამბობს თ. წერეთელი, — პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმისათვის, რაც მან ობიექტურად გააკეთა და რისი განზრახვაც მას ჰქონდა. შემდგომი მონაწილეობა ვერ შეაყვებს მიზეზობრივ კავშირს, რომელიც მეორე დამნაშავეს ქმედობასა და ძალადობის აქტს შორის არსებობს. იგი ვერ შეაყ-

სებს ბრალსაც, ვინაიდან განზრახვა არის ფსიქიკური დამოკიდებულება, მიმართული მომავლისაკენ და არა წარსულისაკენ¹⁰. ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს მოთხოვნა ურცელდება მხოლოდ შენადგენ დანაშაულზე, ვინაიდან შენადგენი დანაშაულის თვითეული აქტი, როგორც უკვე ითქვა, თავისთავად აღებუელი დამოუკიდებელი დანაშაულია. ასე რომ, მათი დაცილება და ერთმანეთის გარეშე წარმოდგენა სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ შენადგენი დანაშაულის თანმიმდევრული თანაამსრულებლობა არ შეიძლება.

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს ეს საკითხი ორაქტიან დელიქტებში. მაგალითად, სპექულაცია, როგორც ვიცით, ორი აქტისაგან შედგება: ყიდვა და გაყიდვა (მოგების მიზნით). შენადგენი დანაშაულისაგან განსხვავებით, ორაქტიანი დანაშაული ხასიათდება იმით, რომ მის შემადგენელ მოქმედებებს ერთმანეთის გარეშე დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა (სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით) არ გააჩნია. მაგალითად, სპექულაციის შემადგენელი მოქმედებები — ყიდვა და გაყიდვა ცალ-ცალკე დანაშაულის შემადგენლობებს არ ქმნიან. ამიტომ ის, ვინც მეორე აქტს შეასრულებს, სახელდობრ, გაყიდის სხვა პირის მიერ მისგან სრულიად დამოუკიდებლად სასპექულაციოდ ნაყიდ ნივთს მოგების მიზნით, პასუხს აგებს სპექულაციის დამთავრებული შემადგენლობის თანაამსრულებლობისათვის. მართალია, ამ შემთხვევაშიც მეორე აქტის შემსრულებელი პირის მოქმედება პირველ აქტთან — ყიდვასთან არც მიზეზობრივ და არც ბრალეულ კავშირში არ არის, მაგრამ ეს მეორე მოქმედება — გაყიდვა, ისე ორგანულადაა დაკავშირებული ყიდვასთან, რომ მათი ერთმანეთისაგან დაცილება და დამოუკიდებელი შეფასება შეუძლებელია. ამრიგად, შენადგენი დანაშაულისაგან განსხვავებით, სავსებით შესაძლებელია ორაქტიანი დელიქტის თანმიმდევრული თანაამსრულებლობა.

გარდა ამისა, შეიძლება დაისვას იმ დელიქტების თანმიმდევრული თანაამსრულებლობის საკითხი, რომლებიც თავიანთი ბუნებით არ მოითხოვენ ორი ერთმანეთის მომდევნო მოქმედებების ჩადენას, როგორც ამას ადგილი აქვს შენადგენ და ორაქტიან დანაშაულებში. ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა ისეა კონსტრუირებული, რომ კანონმდებელი მიუთითებს მხოლოდ შედეგზე, მაშასადამე, მათი ჩადენა ნებისმიერი მოქმედებით შეიძლება. ამიტომ მსგავსი შემადგენლობა ზოგჯერ შესაძლებელია ორი ან მეტი ერთ-

¹⁰ თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 141.

მანთის მომდევნო აქტით განხორციელდეს, ზოგჯერ კი — ერთით. მაგალითად, მკვლელმა მსხვერპლი ჯერ წააქცია, შემდეგ კი დაახრჩო ან თავში ქვის ჩარტყმით მოკლა. ასეთ შემთხვევაში საესებით შესაძლებელია, რომ ერთმა პირმა სხვებთან რაიმე შეთანხმების გარეშე წააქციოს მსხვერპლი ან სხვა რაიმე ძალადობა იხმაროს, მეორე პირი კი ამის შემდეგ ჩაერთოს დანაშაულში და პირველთან ერთად უშუალოდ მოკლას იგი. თუმცა შემდეგში შემოერთებული პირი ძალადობის აქტში არ მონაწილეობდა, მაგრამ ის მაინც მკვლელობის თანაამსრულებელია, ვინაიდან ძალადობის ცალკე გამოყოფა და მისი დამოუკიდებელი შეფასება ამ შემთხვევაში არაფერს ცვლის.

ახლა შევხვთ ეგრეთ წოდებული სპეციალური დელიქტების თანაამსრულებლობის საკითხს. ამ დელიქტების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათი ჩადენა მხოლოდ სპეციალურ სუბიექტებს შეუძლიათ. მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი, სამხედრო დანაშაულისა — სამხედრო მსახური (იხ. საქართველოს სსრ სსკ 255 მუხლის II ნაწ.) და ა. შ. დასახელებული დელიქტების თანაამსრულებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პირები, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ შემადგენლობას, სპეციალური სუბიექტები არიან. კერძო პირს არ შეუძლია სპეციალური დანაშაულის თანაამსრულებლობა. თუ კერძო პირი სპეციალურ სუბიექტთან ერთად ახორციელებს რომელიმე სპეციალური დელიქტის ობიექტურ მხარეს, იგი პასუხს აგებს როგორც თანამონაწილე (დამხმარე) და არა როგორც თანაამსრულებელი. ეს იმიტომ, რომ არასპეციალურ სუბიექტს არ აკისრია ის მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობა სპეციალური დელიქტის ამსრულებლობის აუცილებელი ნიშანია. მოვალეობას ამ შემთხვევაში პერსონალური ობიექტური ხასიათი აქვს. ობიექტური ხასიათი აქვს იმიტომ, რომ იგი დელიქტის ბუნებას განსაზღვრავს და, მაშასადამე, უმართლობის ნიშანია. ამავე დროს სპეციალური მოვალეობის ობიექტური ხასიათი იმითაც გამოიხატება, რომ მის დარღვევაში მონაწილეობა შეუძლია იმ პირსაც, რომელსაც ეს მოვალეობა არ აწევს. მაგრამ სპეციალური მოვალეობა, მეორე მხრივ, პერსონალური კატეგორიაა, რაც მიგვანიშნებს, რომ მისი დარღვევა ამსრულებლობის სახით შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც ეს მოვალეობა პირადად აკისრია. ერთი სიტყვით, სპეციალური დელიქტის თანაამსრულებლობა მხოლოდ სპეციალურ სუბიექტებს შეუძლიათ.

თანამსრულებლობა არ შეიძლება ისეთ სპეციალურ დელიქტებში, რომელთა ჩადენა საკუთარი ხელით ხდება. მართლაც, თუ საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტების ბუნებას გავარკვევთ, დავინახავთ, რომ მათი თანამსრულებლობა ისევე შეუძლებელია, როგორც შუალობითი ამსრულებლობა. ცნობილია, რომ ამ დელიქტების ჩადენა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ხსენებული სახის დელიქტებს, რომლებიც აქტიური მოქმედებით ხორციელდება, მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით მიეკუთვნება, მაგალითად, უკანონო წასვლა საზღვარგარეთ ან უკანონო შემოსვლა სსრ კავშირში (საქართველოს სსრ სსკ 84 მ), პატიმრობიდან გაქცევა (მ 203), გადასახლებულის გაქცევა ან გასახლებულის თვითნებური დაბრუნება გასახლების ადგილიდან (მ 204), დეზერტირობა (მ 265) და ა. შ. ყველა აქ ჩამოთვლილ დანაშაულთა შემადგენლობის ობიექტური მხარე გამოიხატება განსაზღვრული პირის ფიზიკურ გადაადგილებაში განსაზღვრული მიზნით. 84 მუხლში აღწერილი შემადგენლობის ობიექტური მხარეა საზღვარზე გადასვლა (უკანონო) ან საზღვარზე გადმოსვლა, 265 მუხლისა — სამხედრო მსახურის მიერ ნაწილის უკანონო დატოვება (სამხედრო მსახურის მიერ უკან დაბრუნებაზე უარს აქ არ ვეხებით, რადგან ის უმოქმედობაა). რაზან ამ დელიქტების-ობიექტური მხარე გულისხმობს პირის გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეზე, ამიტომ ის ყოველთვის ერთპიროვნულად და უშუალოდ უნდა აღსრულდეს. ცხადია, არ არის გამორიცხული სხვისი დახმარება ამ გადაადგილებაში, მაგრამ ეს დახმარება არავითარ შემთხვევაში არ იქნება თანამსრულებლობა. ასეთ დროს ადგილი აქვს თანამონაწილეობას ვიწრო აზრით (დახმარება). პრინციპულად ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაშიც, როცა საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტი უმოქმედობით ხორციელდება. მაგრამ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ უმოქმედობითი თანამსრულებლობის პრობლემასთან დაკავშირებით.

ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს სპეციალური მიზანი წარმოადგენს. მაგალითად, მითვისების მიზანი ქურდობის დროს, საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების ან ძირის გამოთხრის მიზანი სახელმწიფო დანაშაულში (ტერორისტული აქტი (მ. 67), დივერსია, (მ. 69) და სხვა. შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ თანამსრულებლობაზე იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთ მონაწილეს ეს მიზანი არა აქვს? ვთქვათ, ქურდობის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ერთობლივად ახორციელებს ორი პირი, რომელთაგან ერთს აქვს მითვისების მიზანი, მეორე კი მოქმე-

დებს ამ მიზნის გარეშე. იქნება ეს უკანასკნელი ქურდობის თანამსრულებელი თუ დამხმარე — თანამონაწილე? ზოგიერთი დასავლეთგერმანელი კრიმინალისტიკის აზრით, გამიზნითი დელიქტების (Absichtsdelikten) თანამსრულებელია მხოლოდ ის, ვინც ამ სპეციალური მიზნით მოქმედებს¹¹. ის, ვინც ამ მიზნით არ მოქმედებს, იქნება დამხმარე და არა თანამსრულებელი. ეს თვალსაზრისი, ექვს გარეშეა, თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის ნაყოფია. როგორც ვიცით, ეს თეორია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სუბიექტურ მომენტს და ამსრულებლობის აუცილებელ ნიშნად საბოლოო შედეგით დაინტერესებას მიიჩნევს. ზემოთ მე უკვე ვილაპარაკე ამ თვალსაზრისის უსუსურობაზე, ამიტომ აქ მასზე საგანგებოდ აღარ შევჩერდები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ საბოლოო შედეგით დაინტერესება არ არის ამსრულებლობის ნიშანი. ამიტომაც თანამსრულებელი იქნება ისიც, ვინც თუმცა ამ მიზნით არ მოქმედებს, მაგრამ სხვისთან ერთად ახორციელებს შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. ქურდობის თანამსრულებლობისათვის საკმარისია, თუ რამდენიმე მონაწილიდან ერთ-ერთს მაინც აქვს მითვისების მიზანი, ხოლო დანარჩენებმა ეს იციან¹². ქურდობის თანამსრულებლობასთან გვექნება საქმე მაშინაც, როცა ნივთის ფარული გატაცება ხდება სხვისთვის გადასაცემად. ნივთის გამტაცებლები ამ შემთხვევაში მაინც აღსრულებით მოქმედებას სჩადიან და პასუხი უნდა აგონ ქურდობის თანამსრულებლობისათვის.

გამიზნითი დელიქტებიდან ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 134 მუხლი). ამ შემადგენლობის თავისებურება ის არის, რომ რამდენი კაციც არ უნდა მონაწილეობდეს ქალის მოტაცებაში, მასთან ქორწინების მიზანი მხოლოდ ერთ მათგანს უნდა ჰქონდეს. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ ის, ვისაც ქორწინების მიზანი აქვს, ქალის ფაქტურ მოტაცებაში არც კი მონაწილეობდეს. თანამონაწილეობის სუბიექტურ თეორიას თუ დავუჯერებთ, ამ შემთხვევაში ქალის მომტაცებლები უნდა დაისაჯონ როგორც დამხმარეები, ამსრულებელი კი იქნება ის, ვისაც ქორწინების მიზანი ჰქონდა, თუმცა მას მოტა-

¹¹ Kohlrausch - Lange, Strafgesetzbuch, 43. Auf., Berlin, 1961, S. 174, H. Jeschek, Lehrbuch des Strafrechts, Allg. Teil, Berlin, 1969, S. 451;

¹² Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Allg. Teil, Berlin, 1959, S. 559;

ცებაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. კიდევ მეტი: მიზანი რომ გამიზნითი დელიტების ამსრულებლობის აუცილებელი ნიშანი იყოს, მაშინ საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა ქორწინების მიზნით ქალის მოტაცების თანაამსრულებლობა, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, ეს მიზანი მხოლოდ ერთ პირს უნდა ჰქონდეს. მაგრამ ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს თანამონაწილეობის ობიექტური გაგებიდან, რომელიც საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაშია გაბატონებული. ობიექტური თეორიის მიხედვით ქორწინების მიზნით ქალის მოტაცების თანაამსრულებლობა ისევე შესაძლებელია, როგორც მკვლელობის, გაუპატიურების და სხვა დელიტების თანაამსრულებლობა. სავსებით სწორად შენიშნავს ნ. დურმანოვი, რომ „ქალის მოტაცება დამოუკიდებელი დანაშაულია, ამიტომაც ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ის პირი, რომელსაც გამიზნული აქვს მოტაცების გზით ქალთან დაქორწინება, ისე მისი ნათესავებიც ან პირები, რომლებიც გასამრჯელოს გამო დათანხმდნენ მოტაცებაში მონაწილეობაზე“¹³. სამწუხაროდ, საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქალის მოტაცების ამსრულებლად თვლიან მხოლოდ მას, ვისაც აქვს ქალთან ქორწინების მიზანი. ზ. დ.-მ წინადადება მისცა თ-ს ცოლად გაყოლოდა, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ მამა-შვილი ზ. დ. და გ. დ. დაუხვდნენ გზაზე შინისაკენ მიმავალ თ-ს, აიყვანეს იგი ხელში და ასე ხელში აიყვანეს მიიყვანეს სამანქანო გზასთან. მიუხედავად ქალის წინააღმდეგობისა, ძალით შესვეს ცხენზე, უკან ქალს მოუჯდა ზ. დ., ხოლო გ. დ. და სხვა პირებმა ხელი მოკიდეს დაზარალებულს ზელებზე და ასე ატარეს დაანლოებით 7—8 კილომეტრზე. შემდეგ გადმოსვეს ცხენიდან, ჩასვეს ავტომანქანაში და მიიყვანეს თავიანთ სახლში. მესტიის რაიონის სახალხო სასამართლომ ამსრულებლად ცნო მხოლოდ ზ. დ., ე. ი. ის, ვისაც ჰქონდა ქორწინების მიზანი და დააკვალიფიცირა მისი ქმედობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 134 მუხლით. რაც შეეხება ზ. დ.-ს მამას-გ. დ.-ს, რომელმაც მეტად აქტიური როლი ითამაშა „სარძლოს“ მოტაცებაში, სასამართლომ ის ჩასთვალა დამხმარედ და მისი ქმედობა დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19—134 მუხლებით.

გ. ხ., გ. ბ. და ზ. დ. შეიჭრნენ დ. ბ.-ს სახლში არასრულწლოვან ე. ბ.-ს მოსატაცებლად. სამივე დამნაშავე მოქმედებდა ერთობლი-

¹³ Н. Д. Дурманов, Преступления, составляющие пережитки родового быта, М., 1938, с. 39.

ვად, მაგრამ დაზარალებულის და მისი დედის აქტიური წინააღმდეგობის გამო ვერ შესძლეს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ სამივე პირმა ერთგვაროვანი მოქმედებები შეასრულა, გეგეკეკორის რაიონის სახალხო სასამართლომ მხოლოდ გ. ხ. ცნო ამსრულებლად, ვინაიდან მხოლოდ მას სურდა ქალთან ქორწინება და დააკვალიფიცირა მისი მოქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 17—134 მმ. დანარჩენი ორი დამნაშავე სასამართლომ ჩასთვალა დამხმარებლად და მათი ქმედობების კვალიფიკაცია განსაზღვრა მე-19 მუხლზე მითითებით (19—17—134 მმ). ეს კვალიფიკაცია სწორი არ არის. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თანაამსრულებლობას, ვინაიდან ყველა პირი ერთგვაროვან მოქმედებებს ასრულებდა, თვითეული მათგანი უშუალოდ ახორციელებდა სისხლის სამართლის კოდექსის 134 მუხლით მოცემული შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. ამიტომ მათი ქმედობების მე-19 მუხლით კვალიფიკაცია საჭირო აღარ იყო.

ხშირად ქალის მოტაცება ხდება ავტომანქანით. ამ შემთხვევაში მძღოლის მოქმედებას სასამართლოები აკვალიფიცირებენ, როგორც დახმარებას ქალის მოტაცებაში. ჩემი აზრით, აქაც საქმე გვაქვს თანაამსრულებლობასთან. თუ მოტაცების ობიექტური მხარე გულისხმობს ქალის ძალად წაყვანას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მძღოლი, რომლის მანქანითაც ქალი მიჰყავთ, სწორედ ასეთ მოქმედებას ასრულებს.

შემდეგი საკითხი, რომელიც აქ უნდა განვიხილოთ, შეეხება თანაამსრულებლობას უმოქმედობის დროს. უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ, შეიძლება თუ არა ე. წ. წმინდა უმოქმედობის დელიქტების თანაამსრულებლობა. წმინდა უმოქმედობის დელიქტებია მაგალითად, დანაშაულის განუცხადებლობა. ალიმენტის გადაუხდელობა, სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისათვის თავის არიდება, სამხედრო ბეგარის შესრულებისაგან თავის არიდება და სხვ. ამ დელიქტებს წმინდა უმოქმედობის დელიქტებს იმიტომ უწოდებენ, რომ მათი ჩადენა მხოლოდ უმოქმედობით არის შესაძლებელი. ჩემი აზრით, თანაამსრულებლობას დასახელებული სახის დელიქტებში ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უშლის ხელს. საქმე ისაა, რომ წმინდა უმოქმედობა ყოველთვის გამოიხატება მოვალეობის შეუსრულებლობაში. დამნაშავე არ ასრულებს მოვალეობას, რომელიც მას პერსონალურად აკისრია. მოვალეობის პერსონალური ხასიათი წმინდა უმოქმედობის დროს დელიქტის ბუნების განმსაზღვრელი ნიშანია. ამ მოვალეობის გადატანა სხვა პირზე, მისი სხვი-

ზთვის გადაკისრება არ შეიძლება. მოვალეობა აუცილებლად იმ პირმა უნდა შეასრულოს, რომელსაც იგი პერსონალურად აკისრია. სწორედ ამაში გამოიხატება მოვალეობის პერსონალური ხასიათი. რახან წმინდა უმოქმედობის დელიქტის ბუნებას პერსონალური მოვალეობის შეუსრულებლობა განსაზღვრავს, რომლის სხვისთვის გადაკისრება შეუძლებელია, ამიტომ ცხადი ხდება, რომ ასეთი დელიქტი იგივე საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტი ყოფილა, ხოლო საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტის თანაამსრულებლობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, არ შეიძლება. ამრიგად, გამორიცხულია თანაამსრულებლობა წმინდა უმოქმედობის დროს¹⁴.

უმოქმედობით თანაამსრულებლობა სავსებით შესაძლებელია შერეული უმოქმედობის დელიქტებში¹⁵. შერეული უმოქმედობის დელიქტი ეწოდება იმ დელიქტს, რომლის ჩადენა, წმინდა უმოქმედობის დელიქტებისაგან განსხვავებით, შესაძლებელია როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. მაგალითად, უმოქმედობით მკვლელობა შერეული უმოქმედობის დელიქტია. დედას შეუძლია შვილი მოკლას აქტიური მოქმედებით, ვთქვათ, დაახრჩოს იგი, მაგრამ ამავე დროს მან შეიძლება მოკლას შვილი უმოქმედობითაც, ვთქვათ, არ მისცა საკმელი და მოკლა შიმშილით. შერეული უმოქმედობის დროს შესაძლებელია, რომ ყველა თანაამსრულებლის მხრივ ადგილი ჰქონდეს უმოქმედობას. მაგალითად, ცოლქმარი შეთანხმდნენ, რომ არ მისცენ საზრდო თავიანთ ჩვილს და მოკლან შიმშილით¹⁶. მაგრამ ზოგჯერ ერთი პირი აქტიურად მოქმედებს, მეორე კი იჩენს უმოქმედობას. აქ ორივეს მხრივ საქმე ფაქტს თანაამსრულებლობასთან: პირველის თანაამსრულებლობა გამოიხატება აქტიური მოქმედებით, მეორისა კი—უმოქმედობით. ვთქვათ, დედამ დასახრჩობად წყალში ჩააგდო შვილი, მამა კი იჩენს უმოქმედობას და არ ამოჰყავს შვილი წყლიდან, რითაც არღვევს თავის პირდაპირ მოვალეობას. ამ შემთხვევაში მეორე პირის უმოქმედობა შეიძლება წინასწარ იყოს შეპირებული. მაგრამ არ არის

¹⁴ ამის წინააღმდეგ იხ. თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 138. ჩემი აზრით, წმინდა უმოქმედობის დროს თანაამსრულებლობა არ შეიძლება, მაგრამ სავსებით შესაძლებელია თანამონაწილეობა (დახმარება, წამქეზებლობა).

¹⁵ М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 39; თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 1965, გვ. 138.

¹⁶ Lehrbuch des Strafrechts der Deutschen demokratischen Republik, Allg. Teil., Berlin, 1959, S. 458; В. С о л н а р ж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической Республики, М., 1962, с. 102—103.

გამორიცხული, რომ უმოქმედობა დაერთო პირველი პირის მიერ ჩადენილ აქტიურ მოქმედებას წინასწარ რაიმე შეთანხმების გარეშეც. იმ შემთხვევაში, როცა აქტიური მოქმედება ჩადენილია ერთპიროვნულად, ვინმესთან რაიმე შეთანხმების გარეშე, და ამის შემდეგ მას დაერთვის იმ პირის უმოქმედობა, რომელიც მოვალე იყო ემოქმედნა, რათა აეცდინა მოსალოდნელი მაგნე შედეგი, საქმე გვაქვს თანმიმდევრულ თანაამსრულებლობასთან. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრის სისწორეს, რომ თანმიმდევრული თანაამსრულებლობა, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული; მართო ორაქტიან და შენადგენ დანაშაულებში როდია შესაძლებელი. თანმიმდევრული თანაამსრულებლობა შეიძლება შეგვეხედეს ყველა იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული რამდენიმე ერთმანეთის მომდევნო აქტით ხორციელდება, თუნდაც დანაშაულის ბოლო, და-მაგვირგვინებელი აქტი უმოქმედობითაც გამოიხატოს.

უმოქმედობითი თანაამსრულებლობა შერეული უმოქმედობის დროს ემყარება პირის პერსონალურ მოვალეობას, რომელიც ავალდებულებს მას აქტიურად იმოქმედოს საჭირო შემთხვევაში, რათა აიცილოს მოსალოდნელი მაგნე შედეგი. მაგრამ, როგორც ზემოთაც დავინახეთ, ასეთივე პერსონალური მოვალეობა აკისრია ინდივიდს წმინდა უმოქმედობის დროსაც. მიუხედავად ამისა, წმინდა უმოქმედობის დელიქტების თანაამსრულებლობაზე უარი ვთქვივით, მაშინ როცა შესაძლებლად მივიჩნიეთ უმოქმედობით თანაამსრულებლობა შერეული უმოქმედობის დროს. რატომ არის, რომ პირველ შემთხვევაში სწორედ პერსონალური მოვალეობის გამოა შეუძლებელი თანაამსრულებლობა, მეორე შემთხვევაში კი პერსონალური მოვალეობა რომ არა, თანაამსრულებლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა? მაგალითად, დედამ გადაწყვიტა შვილის მოკვლა; ამისათვის ჩაადრო იგი წყალში დასახრჩობად, თანაც იქვე მდგომ მეგობარს წინასწარ შეუთანხმდა, რომ მისთვის ამ საქმეში ხელი არ შეეშალა. დედის მეგობარი, რომელმაც მას მკვლელობაში ხელი არ შეუშალა, მკვლელობის თანაამსრულებლად არ ჩაითვლება იმიტომ; რომ მას არავითარი პერსონალური მოვალეობა არ ჰქონდა თავისი მეგობრის შვილის გადასარჩენად და არც სხვა რაიმე მოქმედება ჩაუდენია, რომელიც მკვლელობის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს გამოხატავდეს. ასეთმა პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ დახმარების აღმოუჩენლობისათვის საქართველოს სსრ სსკ 130 მუხლით.

მე ვფიქრობ, პერსონალური მოვალეობის მიუხედავად, თანაამსრულებლობის საკითხი მოცემულ შემთხვევებში, სხვადასხვა-

გვარად წყდება დელიქტის ბუნებიდან გამომდინარე. წმინდა უმოქმედობის დროს საქმე გვაქვს ე. წ. შედეგგარეშე დანაშაულთან, შერეული უმოქმედობის დროს კი — შედეგიან ანუ მატერიალურ დანაშაულთან¹⁷. როგორც ცნობილია, შედეგგარეშე ანუ ფორმალური დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია უბრალოდ მოქმედება ან უმოქმედობა ყოველგვარი გარეგანი შედეგის გარეშე. უფრო სწორად, აქ მოქმედება და შედეგი ისეა ერთმანეთთან შერწყმული, რომ მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელიც კია. წმინდა უმოქმედობის დროს დანაშაული დამთავრებულია მაშინვე, თუ პირს სპეციალური მოვალეობა აკისრია და მან ის არ შეასრულა. რახან მოვალეობის შეუსრულებლობა უკვე თავისთავად რაიმე გარეგანი შედეგის გარეშე იურიდიული მნიშვნელობის აქტია, ამიტომ ამ აქტის თანაამსრულებლობაც შეუძლებელია, თუ თანაამსრულებლობაში, რასაკვირველია, ვიგულისხმებთ შემადგენლობის შესაბამის უმოქმედობას. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ყოველთვის საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტთან გვაქვს საქმე.

სულ სხვა მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა საქმე გვაქვს პერსონალური მოვალეობის შეუსრულებლობასთან შერეული უმოქმედობის დელიქტებში. ეს დელიქტები, როგორც ცნობილია, წმინდა უმოქმედობის დელიქტებისაგან განსხვავებით, მატერიალური, შედეგიანი დელიქტებია. ამიტომ შერეული უმოქმედობის დელიქტის უმოქმედობით ჩადენისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოვალეობის შეუსრულებლობა. აუცილებელია კიდევ, რომ ამ მოვალეობის დარღვევას გარკვეული მატერიალური შედეგიც მოჰყვეს. სხვაგვარად არ გვექნებოდა დანაშაულის დამთავრებული შემადგენლობა. რახან შერეული უმოქმედობის დელიქტებში მოვალეობის შეუსრულებლობა და მატერიალური შედეგი, რომელიც ამ მოვალეობის დარღვევამ გამოიწვია, შემადგენლობის აუცილებელი ელემენტებია, ამიტომაც ამ დელიქტების თანაამსრულებლობა, განსხვავებით წმინდა უმოქმედობის დელიქტებისაგან, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. როდესაც მშობლები არავითარ ზომებს არ ღებულობენ საფრთხეში მყოფი ჩვილის გადასარჩენად და სჩადიან განზრახ მკვლელობას, მაშინ ისინი მკვლელობის თანაამსრულებლად იმით კი არ ჩაითვლებიან, რომ ერთი მათგანის მოვალეობა მეორეზე გადავიდა, არამედ იმით, რომ თვითეულმა მათგანმა დაარღვია თავისი მოვალეობა, რამაც მათი შვილის სიკვდილი გა-

¹⁷ თ. წერეთელი ე. წ. ფორმალური და მატერიალური დანაშაულების ნაცვლად ხმარობს გამოთქმას—შედეგიანი და შედეგგარეშე დანაშაული. იხ. თ. წერეთელი, დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი, თბილისი, 1966, გვ. 56, შენიშვნა 2.

მოიწვია. სწორედ ეს შედეგი, რომელიც მკვლევლობის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია, დაედო საფუძვლად იმას რომ ყოველი მათგანის უმოქმედობა განხილულ იქნა როგორც მკვლევლობის თანაამსრულებლობა. მაგრამ შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი რომ მხოლოდ მოვალეობის დარღვევა ყოფილიყო, მაშინ თანაამსრულებლობა შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ სავსებით შესაძლებელია მკვლევლობის თანაამსრულებლობა იმ შემთხვევაშიც, როცა პირის სიცოცხლის გადარჩენის მოვალეობა აკისრია მხოლოდ ერთ თანაამსრულებელს. ვთქვათ, ვინმემ დასახარჩობად წყალში გადააგდო სხვისი ბავშვი. ამ ამბავს შეესწრო ბავშვის მშობელი, რომელმაც არ შეასრულა თავისი მშობლიური მოვალეობა და არ იზრუნა შვილის გადასარჩენად, თუმცა მას ამის სრული შესაძლებლობა ჰქონდა. აქ ადგილი აქვს მკვლევლობის თანაამსრულებლობას მიუხედავად იმისა, რომ პერსონალური მოვალეობა დაკისრებული ჰქონდა მხოლოდ ერთ თანაამსრულებელს. მათი ქმედებების გამაერთიანებელი მომენტი იყო დანაშაულის შემადგენლობის ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიცაა სხვისი სიცოცხლის მოსპობა, რომლისკენაც მათი მეცადინეობა იყო მიმართული. საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ უმოქმედობით თანაამსრულებლობა შერეული უმოქმედობის დელიქტებში შეუძლია მხოლოდ იმ პირს, ვისაც აკისრია სპეციალური მოვალეობა იმ მავნე შედეგის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია.

ბ. თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარე

ამ პარაგრაფის პირველ ნაკვეთში განხილული იყო თანაამსრულებლობის ობიექტური მხარე და ის თავისებურებები, რაც თანაამსრულებელს უნდა ახასიათებდეს თანამონაწილისაგან, სახელდობრ, დამხმარისაგან განსხვავებით. ძირითადი აზრი ამ გამოკვლევისა მდგომარეობდა იმაში, რომ თანაამსრულებელი დამხმარისაგან სწორედ ობიექტური ნიშნით განსხვავდება. თანაამსრულებელია ის, ვინც ასრულებს შემადგენლობის შესაბამის მოქმედებას, ვინც სხვასთან ერთად მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას, ხოლო დამხმარე შემადგენლობას უშუალოდ არ ახორციელებს.

მაგრამ მართო ობიექტური მხარის გამოკვლევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას. როგორც ცნობილია, ყოველი დანაშაული ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთი-

ანობას წარმოადგენს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია არა მარტო მიზეზობრივი კავშირის დადგენა დამნაშავეის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის, არამედ საჭიროა დადგინდეს აგრეთვე პირის ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულებრივი შედეგისადმი. ამიტომ აუცილებელია გავარკვიოთ, თუ როგორი უნდა იყოს და რა თავისებურება უნდა ახასიათებდეს თანამსრულებლობას სუბიექტური მხრივ.

აქ არსებითად ორი საკითხია გასარკვევი: 1. ფსიქიკური დამოკიდებულება თანამსრულებლისა დანაშაულებრივი შედეგისადმი და 2. ფსიქიკური დამოკიდებულება თანამსრულებლებისა ერთმანეთის მიმართ.

როგორც ცნობილია, დამნაშავეის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი შეიძლება გამოიხატოს ან განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. იბადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა თანამსრულებლობა როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით? მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა არაფერს ამბობს უშუალოდ თანამსრულებლობის სუბიექტური მხარის შესახებ. მაგრამ სამაჟიეროდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლით მოცემულია თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე. ამ მუხლის თანახმად თანამონაწილეობა თავისი ბუნებით განზრახი მოქმედებაა. რაკი თანამსრულებლობა ფართო გაგებით იგივე თანამონაწილეობაა, უნდა ვიფიქროთ, რომ „საფუძვლების“ მე-17 მუხლის მოთხოვნა თანამსრულებლობის მიმართაც ვრცელდება. ამრიგად, მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით თანამსრულებლობა განზრახი მოქმედებაა.

რომ თანამსრულებლობა ისევე, როგორც თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით, განზრახი მოქმედებაა, ეს დებულება ამჟამად გაბატონებულია საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაშიც და სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგრამ იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდებიან ავტორები, რომლებიც გარკვეულ ფარგლებში უშვებენ გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას¹⁸.

გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის თეორიას ბევრი მომხრე ჰყავდა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუს კრიმინალისტთა

¹⁸ ეს საკითხი როგორც თანამონაწილეობის (ვიწრო აზრით), ისე თანამსრულებლობის მიმართ ერთნაირად უნდა გადაწყდეს. ვინც ამტკიცებს, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია გაუფრთხილებლობითაც, მან უნდა დაუშვას გაუფრთხილებლობითი თანამსრულებლობაც. ამიტომ ჯერ არსებითად თანამონაწილეობის სუბიექტურ მხარეს შევეხებით და შემდეგ გადავალთ იმ თავისებურებებზე, რაც თანამონაწილეობისაგან განსხვავებით უშუალოდ თანამსრულებლობას ახასიათებს.

შორის. ყველაზე უფრო ვიწროდ გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართლის თეორიაში აღიარებდა ნ. სერგეევსკი. თუ, მაგალითად, გ. კოლოკოლოვი და პ. პუსტოროსლევი თანამონაწილეობას შესაძლებლად თვლიდნენ ყველა იმ შემთხვევაში, როცა ორი ან რამდენიმე პირის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის არსებობდა როგორც ობიექტური (მიზეზობრიობა), ისე სუბიექტური კავშირი, იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იყო ეს სუბიექტური დამოკიდებულება შედეგისადმი, ნ. სერგეევსკი, პირიქით, გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის სფეროს მნიშვნელოვნად ზღუდავდა და უშვებდა მხოლოდ იქ, სადაც ყველა მონაწილე მოქმედებდა გაუფრთხილებლობით. გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის საილუსტრაციოდ ნ. სერგეევსკის ასეთი მაგალითი მოაქვს: სახლის სახურავზე მუშაობენ ხუროები; უფროსი ხურო ყოველგვარი წინდახედულების გარეშე გასცემს განკარგულებას, რომ გადაადგონ მორი კედლიდან; ერთ-ერთი ხურო ასრულებს განკარგულებას, მოუხმობს საშველად მეორეს, რომელიც აწოდებს მას ძალაყინს, თოქს და სხვ. მორი ვარდება ძირს და კლავს კაცს. პირველი ხურო, ნ. სერგეევსკის აზრით, არის წამქეზებელი, მეორე—მთავარი ფიზიკური ბრალეული (ВИНОВНИК), მესამე—ფიზიკური დამხმარე¹⁹.

ანალოგიური შეხედულება გვხვდება ამჟამად დასავლეთგერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში. სახელდობრ, გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას საზოგადოდ, კერძოდ კი, გაუფრთხილებლობით თანაამსრულებლობას გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის (1871) § 47 დაყრდნობით აღიარებს ე. მეცგერი. მისი აზრით, როცა ორი მუშა სახლის სახურავიდან შეგნებულად ურთიერთშეთანხმებით აგდებს ძირს მორს, რომელიც კლავს გამვლელს, საქმე გვაქვს გაუფრთხილებლობითი მკვლელობის თანაამსრულებლობასთან გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის § 222 მიხედვით²⁰.

გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის თეორიას საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაშიც გამოუჩნდნენ მომხრეები. ამ თვალსაზრისს თავის დროზე იზიარებდა ა. ტრაინინი. მას ემხრობოდა აგრეთვე მ. შარგოროდსკი.

¹⁹ Н. Д. Сергеевский, Русское уголовное право, часть общая, изд. 7-ое, С.-Петербург, 1908, с. 130. იხ. აგრეთვე, П. П. Пусторослев, Русское уголовное право, Общая часть, Юрьев, 1912, с. 429.

²⁰ E. Mezger, Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin, München, 1950, S. 32; მისივე, Strafrecht, Berlin-und München, 1949, S. 422;

ა. ტრაინინი თავის მონოგრაფიაში თანამონაწილეობის შესახებ (1941) დაწვრილებით მიმოიხილავს გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის ყველა შესაძლებელ ვარიანტს და საბოლოოდ, მსგავსად სერგეევსკისა, მიდის იმ დასკვნამდე, რომ გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა მონაწილეს შედეგისადმი ერთნაირი ფსიქიკური დამოკიდებულება აქვს, ე. ი. როცა ყველა მათგანი მოქმედებს გაუფრთხილებლობით. ამ დებულების საილუსტრაციოდ ა. ტრაინინი მიმართავს ნ. სერგეევსკის მიერ მოტანილ მაგალითს. სამი მონადირე—ა-ნი, ბ-ნი და ვ-ნი—ბრუნდებოდა შინ. მათ შორის ახლოს შენიშნეს გლეხი, რომელიც ყალიონს ეწეოდა. ა-მა მიმართა ვ-ს წინადადებით, ეჩვენებინა თავისი ხელოვნება და ესროლა გლეხის ყალიონისათვის. ვ. დაეთანხმა, მაგრამ იმ პირობით, თუ ბ. მისცემდა უფლებას დაეყრდნო მის მხარეზე თოფი, რათა უკეთ დაემიზნებინა. ბ. დაეთანხმა. ვ-მა ესროლა, მაგრამ დააცილა. ტყვია ყალიონს კი არა, გლეხს მოხვდა და მოკლა. როგორ განვსაზღვროთ პასუხისმგებლობა ყველა მოქმედი პირისა? — კითხულობს ა. ტრაინინი. უდავოა, რომ ვ-მა, რომელმაც უშუალოდ გაისროლა, პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობითი მკვლევობისათვის. მაგრამ დაეკისრებათ თუ არა პასუხისმგებლობა დანარჩენებს და თუ დაეკისრებათ, რა საფუძველზე?

გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის ზოგიერთი მოწინააღმდეგე, — განაგრძობს ა. ტრაინინი, — გრძნობს რა ა-სა და ბ-ს დაუსჯელად დატოვების სირთულეს, წინადადებას იძლევა სამივე მონადირეს პასუხი აგებინონ დამოუკიდებლად ჩადენილი გაუფრთხილებლობითი მკვლევობისათვის. ა. ტრაინინს ეს წინადადება სრულიად მიუღებლად მიაჩნია, ვინაიდან ამ კონსტრუქციას მიხედვით უნდა ვაღიაროთ სამი მკვლევობა და ერთი გვამი — „...არითმეტიკა, რომელიც უჩვეულოა სასამართლო პრაქტიკისათვის“²¹.

უნდა ითქვას, რომ სრულიადაც არ არის უჩვეულო სასამართლო პრაქტიკისათვის, როცა ფაქტიურად მოკლულია ერთი კაცო. მაგრამ მკვლევობის თვითეული მონაწილე პასუხს აგებს ერთპიროვნული ამსრულებლობისათვის. ამის საილუსტრაციოდ გამოდგებოდა თუნდაც მკვლევობის შუალობითი ამსრულებლობის ისეთი შემთხვევა, როდესაც წამქეზებელი პასუხს აგებს განზრახვი მკვლევობისათვის, უშუალო ამსრულებელი კი — გაუფრთხილე-

²¹ А. Н. Т р а и н и н, Учение о соучастии, М., 1941, с. 113.

ბლობითი მკვლევლობისათვის. აქაც ხომ ერთი გვამია, მაგრამ მკვლევლობის ორი შემადგენლობაა შესრულებული. სხვათა შორის, ამას არც ა. ტრაინინი უარყოფს სხვა ადგილას²².

გარდა ამისა, ა. ტრაინინი გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის დროსაც კი მოითხოვდა თვითეული მონაწილის მიერ იმის ცოდნას, რომ მოქმედებს სხვასთან ერთად²³. თუ ამას დაეუჯერებთ, სრულიადაც არ არის გამორიცხული და პრაქტიკაშიც ხშირად შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შემთხვევა, როცა რამდენიმე პირი დაუდევრობით კლავს ერთ ადამიანს ისე, რომ ამ თეორიის მიხედვითაც კი შეუძლებელია აქ თანამონაწილეობა ვცნოთ, და ამიტომ ყოველმა მათგანმა პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობითი მკვლევლობის ერთპიროვნული ამსრულებლობისათვის. ვთქვათ, რამდენიმე პირის დაუდევრობას შედეგად მოჰყვა სხვა ადამიანის სიკვდილი. თანაც არც ერთმა არ იცოდა, რომ მოქმედებდა სხვასთან ერთად. აქ თვითეული მათგანი იქნება გაუფრთხილებლობითი მკვლევლობის ამსრულებელი.

ასეთივე ერთპიროვნული ამსრულებლობა შესაძლებელია შეგვხვდეს აგრეთვე განზრახვი მკვლევლობის დროსაც, სახელდობრ, მაშინ, როცა რამდენიმე პირი კლავს ერთ ადამიანს ისე, რომ მათ შორის არ არის ისეთი სუბიექტური კავშირი, რომელიც თანამონაწილეთა შორის უნდა იყოს. მაგალითად, რამდენიმე პირი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ერთდროულად განზრახ კლავს ერთ ადამიანს.

როგორც უკვე ითქვა, ა. ტრაინინი გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის სფეროს ზღუდავდა იმით, რომ ყოველი მონაწილისაგან მოითხოვდა სხვასთან ერთად მოქმედების ცოდნას. უმთავრესად ეს არის ეგრეთ წოდებული თვითიმედოვნების სფერო, რომლის დროსაც პირი წინასწარი შეცნობით სჩადის საშიშ მოქმედებას, თუმცა არ ითვალისწინებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს დანაშაულებრივი შედეგი.

ის აზრი, რომ დანაშაულის ყოველ მონაწილეს გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის დროსაც კი მოეთხოვება სხვასთან ერთად მოქმედების ცოდნა, შემდეგში თავისებურად განავითარა მ. შარგოროდსკიმ.

მ. შარგოროდსკის აზრით, თანამონაწილეობის აუცილებელი ნიშანია ყველა მონაწილის ერთნაირი სუბიექტური დამოკიდებუ-

²² А. Н. Т р а и н и н, მითთ. ნაშრომი, გვ. 112.

²³ ი ქ ვ ე. გვ. 114.

ლება მოქმედებასა (უმოქმედობასა) და მისი საზოგადოებრივად სა-
შიში შედეგებისადმი. მხოლოდ ამ შემთხვევაში მონაწილეობენ
ისინი ერთსა და იმავე ქმედობაში²⁴. გაუფრთხილებლობით არც
დახმარება შეიძლება და არც წაქეზება. ექვი არ არის, თანამონაწი-
ლის მოქმედება ყოველთვის განზრახი მოქმედებაა. მაგრამ არც ის
იწვევს ექვს, რომ ზოგიერთ შემადგენლობაში აუცილებელი ხდება
ბრალის დადგენა ცალკე მოქმედებისა და ცალკე შედეგის მიმართ²⁵.
მარტივი თანამონაწილეობა შესაძლებელია გაუფრთხილებლობის
იმ შემთხვევებში, როცა ჩადენილია ისეთი განზრახი მოქმედება,
რომელმაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია საზოგადოებრივად სა-
შიში შედეგები²⁶.

როგორც ვხედავთ, გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეო-
ბის შარგოროდსკისეული გაგება დამყარებულია ორმაგი ანუ შე-
რეული ბრალის იმ კონცეფციაზე, რომელიც ფართოდ არის გავრ-
ცელებული საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაში. მაგრამ შე-
რეული ბრალის ისეთი გაგება, როგორსაც მ. შარგოროდსკი გვთა-
ვაზობს, სრულიად დაუსაბუთებელია. ამიტომ სამართლიანად არის
დაწუნებული თეორეტიკოსთა ერთი ნაწილის მიერ. მოქმედებისა
და შედეგის ცალ-ცალკე შეფასებას ერთსა და იმავე შემადგენლო-
ბის შიგნით, დამნაშავეს ფსიქიკური დამოკიდებულების დადგენას
ცალკე მოქმედების და ცალკე შედეგის მიმართ საფუძველი არ გა-
აჩნია და საერთოდ ეწინააღმდეგება ბრალის ცნებას. ლიტერატუ-
რაში სავსებით სწორად იყო მითითებული, რომ მოქმედების შეგ-
ნებული განხორციელება, თუ მას გაუფრთხილებლობითი შედეგი
მოჰყვა, არ ნიშნავს იმას, თითქოს აქ ადგილი ჰქონდეს შერეულ
ბრალს — განზრახვას მოქმედების მიმართ და გაუფრთხილებლობ-
ბას შედეგის მიმართ²⁷. ბრალის საკითხის გადასაწყვეტად აუცილე-
ბელია მოქმედებისა და შედეგის მთლიანობაში განხილვა. თანაც
ეგრეთ წოდებულ შედეგიან დელიქტებში უპირატესობა უნდა მიე-

²⁴ М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, № 1, с. 90.

²⁵ იქვე, გვ. 91.

²⁶ М. Д. Шаргородский, Митот. ნაშრომი, გვ. 92; იხ. აგრეთვე მისივე, Вопросы общей части уголовного права, изд. ЛГУ, 1955, с. 143.

²⁷ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 175; მისივე, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 44; უ. კობიაშვილი, ორმაგი ანუ შერეული ბრალის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1969, № 3, გვ. 22—23; მ. უგრეხელიძე, ორმაგი ანუ შერეული ბრალი სისხლის სამართალში, „მაენე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1971, № 1, გვ. 160—161.

ეს შედეგისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას. მართლაც, თუ დავაკვირდებით, ეს პრაქტიკულად ყოველთვის ასეც ხდება. მაგალითად, როგორ ვანსხვავებთ ჩვენ დაუდევრობას თვითიმედოვნებისაგან ან თვითიმედოვნებას ევენტუალური განზრახვისაგან? მოქმედებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულებით? სრულიადაც არა. ერთადერთი სახელმძღვანელო კრიტერიუმი აქ არის შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება. მოქმედება შეიძლება ყველა შემთხვევაში შეგნებულად იყოს ჩადენილი, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი, ბრალის ფორმა (ან, ყოველ შემთხვევაში, ბრალის სახე) სხვადასხვაგვარი იქნება. თუ პირი დანაშაულებრივი შედეგის დადგომას საერთოდ არ ითვალისწინებდა, გვექნება დაუდევრობა, თუ შედეგის დადგომას საერთოდ კი ვარაუდობდა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფიქრობდა მის თავიდან აცილებას, საქმე გვექნება თვითიმედოვნებასთან და სხვ. ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ ერთი და იმავე შემადგენლობის შიგნით არ შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვაგვარი ფსიქიკური დამოკიდებულება შემადგენლობის ცალკეული ელემენტის მიმართ. ამიტომ ერთი შემადგენლობის განხორციელება ბრალის სხვადასხვა ფორმით საზოგადოდ არ არის გამორიცხული. მაგრამ აქ იგულისხმება არა სხვადასხვაგვარი ფსიქიკური დამოკიდებულება ცალკე მოქმედების და ცალკე შედეგის მიმართ, არამედ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემადგენლობები, რომელთა აუცილებელ ელემენტს ერთზე მეტი შედეგი წარმოადგენს და სწორედ ამ შედეგების მიმართ აქვს დამნაშავეს სხვადასხვაგვარი ფსიქიკური დამოკიდებულება. სწორედ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ორმაგ ანუ შერეულ ბრალზე სისხლის სამართალში. ამის ნიმუშია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც გათვალისწინებულია სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელსაც მსხვერპლის სიკვდილი მოჰყვა. აქ, როგორც ვხედავთ, ორი შედეგია: სხეულის დაზიანება და სიკვდილი. სხეულის დაზიანების მიმართ დამნაშავეს ექნება განზრახვა, როგორც ამას კანონი პირდაპირ მოითხოვს, სიკვდილის მიმართ კი—მხოლოდ გაუფრთხილებლობა. ამრიგად, მივიღეთ ბრალის ორი ფორმა ერთ შემადგენლობაში — განზრახვა და გაუფრთხილებლობა. ორმაგი ბრალის ასეთი გაგება არსებითად ვანსხვავებულია იმ გაგებისაგან, რომელსაც მ. შარგოროდსკი გვთავაზობს. მ. შარგოროდსკის ამის შემდეგ აღარ შეუძლია გვითხრას, რომ იმ შემთხვევაში, როცა შედეგი გაუფრთხილებლობით განხორციელდა, თანამონაწილეობას მაინც უნ-

და ექნეს ადგილი, თუ რამდენიმე პირის მიერ მოქმედება „განზრახ“ იყო ჩადენილი, ვინაიდან აქ თანამონაწილეს შეგნებული აქვს „ამსრულებლის მოქმედების ხასიათი“. საქმე ისაა, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის არ არის საკმარისი იმ მოქმედების ხასიათის ცოდნა, რომელიც გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ამსრულებელმა ჩაიდინა. ყოვლად მიუღებელია თანამონაწილეობის არსის ასეთი გაგება. დანაშაულში თანამონაწილეობა ყოველთვის გულისხმობს პირის მიერ წინასწარ იმის ცოდნას, რომ იგი მონაწილეობს დანაშაულში. მაგრამ თუ პირმა არ იცის, რომ ის მოქმედება, რომელშიც მან მონაწილეობა უნდა მიიღოს, დანაშაულადაა გამოცხადებული კანონის მიერ, უკიდურეს შემთხვევაში, ის მაინც უნდა იცოდეს, რომ მონაწილეობს საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებაში. მაგრამ აქაც საზოგადოებრივად საშიში მოქმედება აბსტრაქტულად კი არ უნდა იქნას აღებული, არამედ მან უნდა იცოდეს, რომ ეს მოქმედება მიმართულია სწორედ საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ. ამრიგად, წამქეზებლობა მხოლოდ მაშინ იქნება დანაშაულში თანამონაწილეობა, როცა პირი აქეზებს სხვა ადამიანს დანაშაულის ჩასადენად, როდესაც წამქეზებლის მეცადინეობა მიმართულია იმისაკენ, რომ სხვა ადამიანის მეშვეობით გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი. იგივე უნდა ითქვას დამხმარის და, მით უმეტეს, ორგანიზატორის მიმართაც. ვიმეორებთ: თანამონაწილის მოქმედება თავიდანვე უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ სხვა ადამიანის მეშვეობით გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მას მოვთხოვოთ დასჯადობის შეგნება იმ მომენტში, როცა იგი მოქმედებას იწყებდა. როგორც ცნობილია, დასჯადობის შეგნება ბრალის აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს. საკმარისია, თუ პირს აქვს დასჯადობის შეგნების შესაძლებლობა. მაგრამ იქ, სადაც მოქმედება არ იყო მიმართული დანაშაულებრივი შედეგისაკენ, შეუძლებელია ვილაპარაკოთ დანაშაულში თანამონაწილეობაზე. მ. შარგოროდსკი კი ამის საწინააღმდეგოდ თვლის, რომ თანამონაწილეობისათვის საკმარისია, თუ რამდენიმე პირი „განზრახ“ მოქმედებდა, რასაც მოჰყვა გაუფრთხილებლობითი შედეგი. ამ შემთხვევაში დანაშაულში თანამონაწილეობაზე ზედმეტია ლაპარაკი, რადგან თანამონაწილეობისათვის მთავარია არა მოქმედების განზრახ ჩადენა რამდენიმე პირის მიერ და თვითთული მათგანის მიერ იმის ცოდნა, რომ მოქმედებს სხვასთან ერთად, არამედ მათი ერთობლივი მოქმედება სწორედ დანაშაულებრივი შედეგისაკენ უნდა იყოს მიმართული როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად და თვით-

ულმა მონაწილემაც უნდა იცოდეს, რომ სხვასთან ერთად განზრახ წარმართავს მოქმედებას სწორედ ამ საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ. მაგრამ ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს. გაუფრთხილებლობის დროს მოქმედება, სუბიექტურად მაინც, არასოდეს არ არის მიმართული დანაშაულებრივი შედეგისაკენ, ამიტომ გაუფრთხილებლობით დანაშაულში თანამონაწილეობაც შეუძლებელია.

თანამონაწილეობა ყოველთვის განზრახი მოქმედებაა. წამქეზებლობა და დახმარება, როგორც უკვე ითქვა, თანამონაწილეობად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა პირის განზრახვა დანაშაულებრივი შედეგისაკენ არის მიმართული. მაგრამ თანამონაწილეობისათვის აუცილებელია აგრეთვე, რომ ასეთივე განზრახვა ჰქონდეს ამსრულებელსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში წამქეზებლობა ან დახმარება იქნება არა თანამონაწილეობა, არამედ შუალობითი ამსრულებლობა. რომ თანამონაწილეობა (წამქეზებლობა, დახმარება) განზრახი მოქმედებაა, ამას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არც მ. შარგოროდსკი უარყოფს²⁸. მაგრამ „განზრახვა“ თანამონაწილეობის დროს მას ცოტა სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი. ზემოთ უკვე ითქვა, რომ თანამონაწილის განზრახ მოქმედებაში იგი გულისხმობს მხოლოდ მოქმედების განზრახ ჩადენას, შედეგის მიმართ კი ყველა მონაწილეს გაუფრთხილებლობითი ფსიქიკური დამოკიდებულება აქვს. იბადება კითხვა: როგორ შეგვიძლია ვილაპარაკოთ განზრახ თანამონაწილეობაზე იქ, სადაც ყველა მონაწილეს შედეგისადმი გაუფრთხილებლობითი ფსიქიკური დამოკიდებულება აქვს? განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკითხი ყოველთვის შედეგისადმი მიმართებაში წყდება და არა იმის მიხედვით, შეგნებულად იყო ჩადენილი მოქმედება თუ არა. ამიტომ ის, რასაც მ. შარგოროდსკი განზრახ თანამონაწილეობას უწოდებს, არსებითად გაუფრთხილებლობითი მოქმედებაა. რად დასკირდა მ. შარგოროდსკის იმის მტკიცება, რომ გაუფრთხილებლობით დანაშაულში მონაწილეობის დროსაც თანამონაწილე განზრახ მოქმედებს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ შუალობითი ამსრულებლობის პრობლემაა? თუ თანამონაწილე განზრახ მოქმედებს, ამსრულებელი კი გაუფრთხილებლობითი დელიქტისათვის აგებს პასუხს, აქ ხომ წამქეზებლის ან დახმარების მოქმედება (შუალობით) ამსრულებლობად უნდა დაკვალიფიცირდეს და არა თანამონაწი-

²⁸ М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, № 1, с. 91.

ლებობად? მ. შარგოროდსკის აქ ხელს უშლის ის გარემოება, რომ წამქეზებლობისა და დახმარების ბუნება აუცილებლობით მოითხოვს განზრახვას. არ შეიძლება აქეზებდე ისე, რომ არ გესმოდეს, ვის და რისთვის აქეზებ. ასევე შეუძლებელია დახმარება, თუ პირს არა აქვს წარმოდგენილი, ვის და რისთვის ეხმარება. აი რატომ გახდა აუცილებელი იმის მტკიცება, რომ წამქეზებლობა და დახმარება განზრახვი მოქმედებებია, რომ „არც გაუფრთხილებლობითი დახმარება, არც გაუფრთხილებლობითი წამქეზებლობა არ შეიძლება“. მაგრამ თუ თანამონაწილე განზრახ მოქმედებს, უშუალო ამსრულებელი კი პასუხს აგებს გაუფრთხილებლობითი დელიქტის ჩადენისათვის, მაშინ რატომ არა გვაქვს აქ შუალობითი ამსრულებლობა? მ. შარგოროდსკიმ რომ თქვას, შუალობითი ამსრულებლობა აქ არ არის იმიტომ, რომ წამქეზებლის და დახმარების მოქმედება პირდაპირ არ ყოფილა მიმართული დანაშაულებრივი შედეგისკენ, ეს არ იქნება მართებული, რადგანაც წამქეზებლობისა და დახმარების განზრახვა სწორედ იმ შედეგისადმი მიმართებაში უნდა გამოიხატოს, რომლისთვისაც მას პასუხისმგებლობა ეკისრება, და არა საზოგადოდ რაიმე მოქმედების ჩადენაში.

მ. შარგოროდსკის სურს შეარიგოს ორი სრულიად შეურიგებელი და შეუთავსებელი რამ: განზრახვი თანამონაწილეობა (წაქეზება, დახმარება) და პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის. ეს არის *contradictio in adjecto*. თუ თანამონაწილეობა განზრახვი მოქმედებაა, მაშინ თანამონაწილეს შედეგიც განზრახ უნდა შეერაცხოს, მაგრამ თუ შედეგი გაუფრთხილებლობით შეერაცხება, გამოდის, რომ მას განზრახვი კი არა, გაუფრთხილებლობით უმოქმედნია. ყოველივე ეს ნათლად მოწმობს, თუ რამდენად ხელოვნური და დაუსაბუთებელია გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის კონსტრუქცია.

ყველაფერი, რაც აქ წამქეზებლობისა და დახმარების შესახებ ითქვა, ვრცელდება აგრეთვე თანამსრულებლობის მიმართაც. გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის მომხრეებს, ბუნებრივია, დასაშვებად მიაჩნიათ გაუფრთხილებლობითი თანამსრულებლობაც. მ. შარგოროდსკის აზრით, თანამსრულებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როცა რამდენიმე პირი ერთობლივად სჩადის აღსრულებით მოქმედებას გაუფრთხილებლობით. მაგალითად, რამდენიმე კაცი ერთმანეთის დახმარებით ყოველგვარი გამაფრთხილებელი ზომების მიუღებლად სახურავიდან ძირს აგდებს რკინის ნაჭერს. რკინა ხვდება გამვლელს და კლავს. ამ შემთხვევაში ძინი პასუხს აგებენ გაუფრთხილებლობითი მკვლელობის ამსრულებლო-

ბისათვის²⁹. მ. შარგოროდსკი ერთ საკითხში უთუოდ მართალია. როდესაც რამდენიმე პირი ერთმანეთის დახმარებით წინდახედულების ზომების დაუცველად სახურავიდან აგდებს რაიმე საგანს, რომელიც კლავს კაცს, ბუნებრივია, თვითეული მათგანი გაუფრთხილებლობითი მკვლელობის ამსრულებელი იქნება. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი ამ დანაშაულის თანამსრულებლები არიან. თანამსრულებლობა, როგორც თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახე, თავისი ბუნებით განზრახი მოქმედებაა. გაუფრთხილებლობითი თანამსრულებლობა ისევე შეუძლებელია, როგორც გაუფრთხილებლობითი წამქეზებლობა ან დახმარება. „მაგრამ თუ სუბიექტური დამოკიდებულება, — აღნიშნავს მ. შარგოროდსკი, — იმ პირებისა, რომლებმაც ერთობლივად ჩაიდინეს დანაშაული, მოქმედებისა და შედეგისადმი ერთნაირია: განზრახი ან გაუფრთხილებლობითი, მაშინ არ არსებობს რაიმე პრინციპული საფუძველი თანამონაწილეობაზე უარის თქმისა—მათ ჩაიდინეს ერთი საერთო დანაშაული“³⁰. ამრიგად, ერთნაირი სუბიექტური დამოკიდებულება ყველა მოქმედი პირისა მოქმედებისა და შედეგისადმი ყოფილა იმ საერთო ნიშანი, რომელიც ახასიათებს თურმე როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას. ამით მ. შარგოროდსკის იმის თქმა სურს, რომ თუ განზრახი თანამონაწილეობა გულისხმობს ყველა თანამონაწილის ერთნაირ სუბიექტურ დამოკიდებულებას შედეგისადმი, რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობაზე იქ, სადაც ყველა მონაწილე მოქმედებდა გაუფრთხილებლობით და, მაშასადამე, ყველას შედეგისადმი ერთნაირი სუბიექტური დამოკიდებულება ჰქონდა? გამოდის, რომ რადგან განზრახი თანამსრულებლობა შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ყოველ თანამსრულებელს წარმოდგენილი აქვს ის საერთო შედეგი, რომელსაც სხვა პირებთან ერთად ახორციელებს, ანალოგიურად უნდა გადაწყდეს ეს საკითხი გაუფრთხილებლობის დროსაც, რადგან გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც რამდენიმე პირი ობიექტურად ახორციელებს ერთ საერთო დანაშაულებრივ შედეგს და სუბიექტურადაც ამ შედეგის მიმართ თვითეულ მათგანს ერთნაირი დამოკიდებულება აქვს.

მართლაც, ყველა მოქმედი პირის ერთნაირი სუბიექტური და-

²⁹ М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, № 1, с. 91.

³⁰ იქვე, გვ. 92.

მოკიდებულება შედეგისადმი თანამსრულებლობის (თანამონაწილეობის) ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. მაგრამ თანამსრულებლობის სუბიექტური მხარე მარტო ამ მომენტით როდი ამოიწურება. არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თვითთელი მონაწილის მიერ იმის ცოდნას, რომ ამ დანაშაულებრივ შედეგს იგი სხვასთან ერთად ახორციელებს³¹. შეიძლება ითქვას, რომ თანამსრულებლობის სპეციფიკას ძირითადად სწორედ ეს მომენტი გამოხატავს. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამსრულებლობისათვის თვითთელი მონაწილის მიერ იმის ცოდნას, რომ იგი სხვასთან ერთად ისწრაფვის ამ დანაშაულებრივი შედეგისაკენ, ეს ყოველთვის ერთნაირად როდი იგრძნობა. არის შემთხვევები, როცა პრაქტიკულად არათერს ცვლის იმის დადგენა, რცოდნენ თუ არა დამნაშავეებმა, რომ ერთობლივად მოქმედებდნენ. ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა თვითთელმა დამნაშავემ შემადგენლობა მთლიანად განახორციელა, როცა ყოველი მათგანის მოქმედება იყო უშუალო მიზეზი დანაშაულებრივი შედეგისა. როდესაც ორი პირი კლავს ადამიანს ისე, რომ თვითთელი მათგანის მიერ მიყენებული ქრილობა მეორისაგან დამოუკიდებლადაც კი მოშაკვდინებელი იყო, ეჭვი არ არის, ორივე პირის მოქმედება დასრულებული მკვლელობის ამსრულებლობას წარმოადგენს იმისდა მიუხედავად, ცნობილი იყო თუ არა მათთვის, რომ ერთობლივად მოქმედებდნენ. რასაკვირველია, თუ მათ იცოდნენ, რომ ერთობლივად ისწრაფვოდნენ სწორედ ამ დანაშაულებრივი შედეგისაკენ, ისინი თანამსრულებლები იქნებიან, ხოლო თუ არ იცოდნენ ამის შესახებ — ერთპიროვნული ამსრულებლები. მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ყველა შემთხვევაში ისინი მაინც ამსრულებლებად რჩებიან.

მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ თანამსრულებელმა შემადგენლობა მთლიანად შეასრულოს. როგორც ზემოთ გავარკვიეთ, თანამსრულებლობისათვის შემადგენლობის ნაწილობრივი შესრულებაც კი საკმარისია. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ თანამსრულებლის მოქმედება, რომელმაც შემადგენლობის მხოლოდ ერთი ნაწილი შეასრულა, დანაშაულებრივი შედეგის უშუალო მიზეზი არ არის. ვთქვათ, ერთმა დამნაშავემ მსხვერპლი გააკავა, მეორემ კი დანა ჩასცა გულში და მოკლა. ანდა ორმა დამნაშავემ ერთდროულად ჩასცა დანა მსხვერპლს, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთი ქრილობა აღმოჩნდა სიკვდილის უშუალო მიზეზი, მეორე დამნაშავეს მიერ მიყენე-

³¹ თ. წ ე რ თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 142.

ბული კრილობა კი მომაკვდინებელი არ ყოფილა. აი აქ უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა იმას, იცოდა თუ არა თვითეულმა მოქმედმა პირმა, რომ ის სხვასთან ერთად ისწრაფვოდა ამ დანაშაულებრივი შედეგისაკენ. თუ ერთმა დამნაშავემ მოკვლის მიზნით ხელები გაუქავა მსხვერპლს, მაგრამ ვიდრე ჯიბიდან დანას ამოიღებდა, მისთვის სრულიად მოულოდნელად და მისგან დამოუკიდებლად ამ შემთხვევით (მსხვერპლის უძრაობით) ისარგებლა მეორე დამნაშავემ, დაასწრო პირველს და მოკლა მსხვერპლი, აქ მკვლელობის თანაამსრულებლობა არ იქნება და ამიტომაც დამნაშავეთა ქმედობები ერთნაირად არ დაკვალიფიცირდება იმისდა მიუხედავად, რომ ორივეს მიზანი ერთი და იმავე შედეგისაკენ იყო მიმართული. იმ პირის მოქმედება, ვინც მსხვერპლს ხელები გაუქავა, დაკვალიფიცირდება მკვლელობის მომზადებად, ხოლო მეორე პირი პასუხს აგებს დამთავრებული მკვლელობის ამსრულებლობისათვის. აქედან ნათლად ჩანს, რომ ზოგჯერ თანაამსრულებლის მოქმედება, თუ მას მეორე თანაამსრულებლის მოქმედებასთან მთლიანობაში არ განვიხილავთ, თავისთავად აღებული შეიძლება მხოლოდ დანაშაულის მომზადების სტადიას ქმნიდეს. „თანაამსრულებლობის დროს — აღნიშნავს მ. კოვალიოვი, — ყოველი თანაამსრულებლის მოქმედებისათვის დამახასიათებელია არა მარტო განზრახვა, არამედ იმის ცოდნაც, რომ დანაშაულს ის სჩადის სხვა (თუნდაც ერთ) ამსრულებლებთან ერთად. ამის ცოდნის გარეშე დანაშაულის ყოველი მონაწილე პირი მოქმედებს დამოუკიდებლად და პასუხს აგებს პირადად ჩადენილის ფარგლებში. თუ ა.-მ და ბ.-მ ცალცალკე მიაყენეს ვ.-ს სხეულის მსუბუქი დაზიანება, რაც ერთობლიობაში სხეულის მძიმე დაზიანებას იძლევა, თვითეულმა მათგანმა პასუხი უნდა აგოს სხეულის მსუბუქი დაზიანების მიყენებისათვის, რამდენადაც სწორედ დაზიანების ეს სახე იყო მოცული მათი განზრახვით“³².

ნათქვამიდან აშკარაა, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანაამსრულებლის მიერ იმის ცოდნას, რომ ის დანაშაულს სჩადის სხვა ამსრულებელთან ერთად. მაგრამ თანაამსრულებელთა მიერ იმის ცოდნა, რომ მოქმედებენ ერთობლივად, არ ნიშნავს აუცილებლად წინასწარ შეთანხმებას მათ შორის. თანაამსრულებლები ზოგჯერ შეიძლება წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ, ზოგჯერ

³² М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. I, Свердловск, 1960, с. 245.

კი შეთანხმების გარეშე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკვებით საკმარისია, თუ მათ იციან, რომ ერთობლივად ანხორციელებენ დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას. ეს მომენტი მოიცავს თანაამსრულებლობის ყველა შემთხვევას მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ადგილი წინასწარ შეთანხმებას. თანაამსრულებლობას ადგილი არ ექნება მაშინ, როცა ორი პირი განზრახ მოქმედებს, მაგრამ მხოლოდ ერთმა იცის, რომ დანაშაულს სჩადის სხვა ამსრულებელთან ერთად, ხოლო მეორემ ეს არ იცის. აქ ორივე პირი დამოუკიდებლად აგებს პასუხს. თვითეული მათგანი დანაშაულის ერთპიროვნული ამსრულებელი იქნება.

ამრიგად, ზემოთქმული მოწმობს, რომ თანაამსრულებლობის არსებითი ნიშანია არა მარტო შედეგისადმი ყველა თანაამსრულებლის ერთნაირი ფსიქიკური დამოკიდებულება, არამედ აუცილებელია თვითეული პირის მიერ იმის ცოდნაც, რომ ის დანაშაულს სჩადის სხვა ამსრულებელთან ერთად. რომ ეს მეორე მომენტი არა ყველა შემთხვევაში ერთპიროვნულ ამსრულებლობასთან გვექნებოდა საქმე. ამის შემდეგ, ცხადია, რაიმე ექვსაც არ უნდა იწვევდეს ის აზრი, რომ გაუფრთხილებლობით თანაამსრულებლობაზე საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი. გაუფრთხილებლობის დროს ხომ შეუძლებელია წინასწარ იმის ცოდნა, რომ პირი დანაშაულს სჩადის სხვასთან ერთად, რომ მათი მოქმედება მიმართულია სწორედ განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგისაკენ. მე საგანგებოდ ვუსვამ ხაზს კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგის ერთობლივად განაოწვევის ცოდნას. სწორედ ესაა აუცილებელი ნიშანი თანაამსრულებლობისა და არა იმის ცოდნა, რომ პირი სხვასთან ერთად განზრახ სჩადის მოქმედებას, რომელსაც შედეგი გაუფრთხილებლობით მოსდევს, როგორც ამას გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის მომხრეები ამტკიცებენ. თანაამსრულებლობა, ისე როგორც თანამონაწილეობა საზოგადოდ, გულისხმობს ყველას პასუხისმგებლობას ერთი ზაერთო შედეგისათვის. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა შედეგი მოცულია ყველა თანაამსრულებლის (თანამონაწილის) განზრახვით. ამიტომ გაუფრთხილებლობის დროს შესაძლებელია შედეგი ობიექტურად რამდენიმე პირის ერთობლივი მოქმედების ნაყოფი იყოს, მაგრამ ისინი მაინც დანაშაულის ერთპიროვნულ ამსრულებლებად უნდა იქნან ცნობილი.

ცხოვრებაში იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როცა რამდენიმე პირის გაუფრთხილებლობას ერთი დანაშაულებრივი შედეგი მოსდევს და ყოველი მათგანი პასუხს აგებს მთლიანად ამ შედეგისათვის. მაგალითად, ორმა მუშამ ერთობლივი მოქმედებით რაიმე

გამაფრთხილებელი ზომების მიუღებლად სახურავიდან გადმოაგდო. მორი, რომელიც დაეცა გამვლელს და მოკლა. ცხადია, ორივე პირი გაუფრთხილებლობითი მკვლელობის ამსრულებელი იქნება. ამ კვალიფიკაციას, ბუნებრივია, ყველა დაეთანხმება. გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის მომხრეთათვის ეს იქნება თანამსრულებლობა, ზოლო მათი მოწინააღმდეგეების აზრით აქ თვითთელი მუშა პასუხს აგებს გაუფრთხილებლობითი მკვლელობის ერთპიროვნული ამსრულებლობისათვის. პრაქტიკულად მოცემულ შემთხვევაში ამ დავას თითქოს აზრი არა აქვს. მაგრამ პრინციპულად გუნუზომელი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გარკვევას, თუ ამსრულებლობის რომელი სახეა ეს. საქმე ისაა, რომ ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა სხვა შემთხვევებში უკვე არსებითად ცვლის კვალიფიკაციას, რასაც, ცხადია, განსხვავებული იურიდიული შედეგებიც მოსდევს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს, მაგალითად, კარაულოვისა და შირშოვის საქმე. ტისულის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ კარაულოვი და შირშოვი მსჯავრდებულ იქნენ რსფსრ სსკ 106 მუხლით (გაუფრთხილებლობითი მკვლელობა). კარაულოვმა დილით აღრე მდინარის მეორე ნაპირზე შენიშნა ბუჩქების რხევა, გალანდა შავი სილუეტი და გაიგონა ტოტების ლაწალუწი. მან იფიქრა, რომ ეს იყო დათვი, გაიქცა და შეატყობინა შირშოვს. კარაულოვმა და შირშოვმა მოიტანეს სანადირო თოფები, რომლებიც ერთნაირი ტყვეობით იყო დატენილი და თითქმის ერთი და იმავე მანძილიდან ერთსა და იმავე დროს ესროლეს ბუჩქებში „დათვს“. მაგრამ ბუჩქებში დათვის ნაცვლად აღმოჩნდა კობილოვი, რომელიც მოკლულ იქნა. კობილოვს, მართალია, ორივე ტყვია მოხვედროდა, მაგრამ ერთ მათგანს მხოლოდ გაეკაწრა. მაშასადამე, მკვლელობა ჩადენილი იყო ერთი პირის მიერ, თუმცა გაურკვეველი დარჩა, თუ ვისმა ტყვიამ მოკლა კობილოვი.

რსფსრ-ის პროკურორის მოადგილემ ამ საქმეზე პროტესტი შეიტანა კემეროვოს საოლქო სასამართლოში და მოითხოვა საქმის შეწყვეტა ორივე პირის მიმართ ბრალდების დაუდასტურებლობის გამო. კემეროვოს საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა ხსენებული პროტესტის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ „კარაულოვის და შირშოვის მოქმედებები გაერთიანებულია მათი საერთო განზრახვით, რომელიც მიმართულია ერთი მიზნის განხორციელებისაკენ. მათი გაუფრთხილებლობითი ბრალი ერთობლივი განზრახვი მოქმედებებით გამოწვეული საზოგადოებრივად საშიში შედეგების მიმართ წარმოადგენს თანამსრულებელთა ბრალს“. ამიტომ,

დასძენს შემდეგ პრეზიდიუმი, ისინი სწორად არიან მსჯავრდებული გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის.

რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ხსენებული განაჩენი გააუქმა და საქმე შეწყვიტა. კოლეგიამ მიუთითა, რომ თანამონაწილეობა, რომლის ერთ-ერთ ფორმას თანაამსრულებლობაც წარმოადგენს, შესაძლებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს, მაშინ როცა განსახილველი საქმე შეეხება გაუფრთხილებლობით მკვლელობას, რისთვისაც პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მას, ვინც კონკრეტულად გამოიწვია ზიანი, რაც ამ შემთხვევაში არ დადგინდა³³. ამ საქმის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ის დავა, რომელიც გაიმართა კემეროვოს საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმსა და რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას შორის, სისხლის სამართლის თეორიაში არსებული დავის ანარეკლია. კემეროვოს საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა ძირითადი აქცენტი გადაიტანა მოქმედების განზრახ ჩადენაზე, რასაც ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არა აქვს. განზრახვა და გაუფრთხილებლობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ფსიქიკურ დამოკიდებულებას შედეგისადმი. ხსენებულ პირებს რომ განზრახ ემოქმედნათ, ადგილი ექნებოდა თანაამსრულებლობას. თანაც მკვლელობის თანაამსრულებელი იქნებოდა არა მარტო ის, ვისმა მოქმედებამაც უშუალოდ გამოიწვია სიკვდილი, არამედ ისიც, ვისმა ტყვიამაც მხოლოდ გაკაწრა მსხვერპლი.

გაუფრთხილებლობითი თანაამსრულებლობის საილუსტრაციოდ მ. შარგოროდსკის ასეთი მაგალითი მოჰყავს: ა-ს მაგიდაზე დარჩა დატენილი რევოლვერი. ვ-მ არ შეამოწმა, იყო თუ არა შიგ ტყვია, გამოჰკრა ჩახმახს და მოკლა ს. ორივე თანაბრალეული პასუხს აგებს გაუფრთხილებლობითი მკვლელობის თანაამსრულებლობისათვის³⁴. ეს კვალიფიკაცია არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ეჭვი არ არის, იმ პირის მოქმედება, რომელმაც რევოლვერი უყურადღებოდ დატოვა მაგიდაზე, იყო ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მეორე პირის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებლობითი მკვლელობისა, მაგრამ თავისთავად იარაღის უყურადღებოდ დატოვება გაუფრთხილებლობით მკვლელობად მაინც ვერ ჩაითვლება. ამიტომ ეს შემთხვევა თანაამსრულებლობად კი არა, ერთპიროვნულ ამსრულებ-

³³ Бюллетень Верховного Суда СССР, 1966, № 5, с. 24—26.

³⁴ М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, № 1, с. 91.

ლობად უნდა დაკვალიფიცირდეს. ეს რომ ასეა, ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში, იხ. მაგალითად, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 219 მ) საგანგებო შემადგენლობაც კია შექმნილი, რომლითაც ისჯება ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა. კერძოდ, კოდექსის 239-ე მუხლში ნათქვამია: „ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რითაც შექმნილი იყო პირობა ამ იარაღის სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, თუ ამას მძიმე შედეგი მოჰყვა...“ ეს მუხლი, ცხადია, გამოიყენება მაშინაც, როცა ერთი პირის მიერ დაუდევრად შენახულ იარაღს გამოიყენებს მეორე პირი და ჩაიდენს გაუფრთხილებლობით მკვლელობას. ეჭვი არ არის, ეს მოქმედება კანონმდებელმა ცალკე შემადგენლობად იმიტომ გამოჰყო, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაუსჯელი დარჩებოდა. ამას მოწმობს იმ სანქციების შედარებაც, რომლებიც დაწესებულია, ერთი მხრივ, იარაღის დაუდევრად შენახვისათვის, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა, ხოლო მეორე მხრივ, გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის ძალით გაუფრთხილებლობითი მკვლელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე, მაშინ როცა 239 მუხლით ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვისათვის, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა, დაწესებულია გაცილებით უფრო მსუბუქი სასჯელი—თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ამავე ვადით. შესაძლებელი რომ ყოფილიყო იარაღის დაუდევრად შენახვის გაუფრთხილებლობით მკვლელობად დაკვალიფიცირება, თუ მან ეს შედეგი გამოიწვია, მაშინ კანონმდებელს, ბუნებრივია, არც დასჭირდებოდა მისი ცალკე შემადგენლობად გამოყოფა და მისთვის, გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან შედარებით, გაცილებით მსუბუქი სასჯელის დაწესება. სწორედ იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული ქმედობა ვერ დაკვალიფიცირდება გაუფრთხილებლობით მკვლელობად და, მაშასადამე, დაუსჯელი დარჩება, აიძულა კანონმდებელი გამოეყო იგი დამოუკიდებელ შემადგენლობად.

როგორც ვხედავთ, გაუფრთხილებლობითი თანაამსრულებლობის (თანამონაწილეობის) კონსტრუქცია თეორიულად სრულიად დაუსაბუთებელია. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თანაამსრულებლობა თავისი ბუნებით განზრახი მოქმედებაა. ამიტომ თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარე მხოლოდ განზრახვის ფარგლებში უნდა ვიკვლიოთ.

ზემოთ აღნიშნული იყო თანამსრულებლობის სუბიექტური მხარისათვის დამაბასიათებელი ისეთი მომენტები, როგორცაა: 1. ყველა თანამსრულებლის განზრახვი ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულებრივი შედეგისადმი და 2. თვითველი მათგანის მიერ იმის ცოდნა, რომ დანაშაულს სჩადის სხვასთან ერთად. მაგრამ მთელი პრობლემა მართო ამ მომენტებით როდი ამოიწურება. თანამსრულებლობის სუბიექტური მხარის შიგნით სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც წამოიჭრება, რომელთა გულდასმითი ანალიზის გარეშე საკითხის გამოკვლევა სრულყოფილი ვერ იქნება. რახან თანამსრულებლობა განზრახვი მოქმედებაა, რაც გულიანობს თვითველი თანამსრულებლის განზრახვს ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულებრივი შედეგისადმი, საჭიროა იმის გარკვევა, თუ როგორი უნდა იყოს ეს განზრახვა. სახელდობრ, შესაძლებელია თუ არა თანამსრულებლობა ეგრეთ წოდებული ევენტუალური განზრახვით? აქ უნდა განვიხილოთ ორი შესაძლებელი ვარიანტი: 1. ყველა მონაწილე მოქმედებს ევენტუალური განზრახვით და 2. ერთი პირი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, მეორე-ევენტუალური განზრახვით.

ევენტუალურ განზრახვას ადგილი აქვს მაშინ, როცა დამნაშავეს შეცნობილი ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი). განსხვავება პირდაპირ და არაპირდაპირ (ევენტუალურ) განზრახვას შორის, როგორც ცნობილია, მხოლოდ ნებელობით მხარეშია. თუ პირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე ითვალისწინებდა და სურდა კიდევ შედეგის დადგომა, არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაში იგი, მართალია, ითვალისწინებდა შედეგს, მაგრამ არ სურდა ეს შედეგი, თუმცა „შეგნებულად უშვებდა“ მის დადგომას. ამიტომ პირდაპირი განზრახვა იმითომ არის პირდაპირი, რომ დამნაშავეს მიზანი მიმართულია მოცემული დანაშაულებრივი შედეგისაკენ. ევენტუალური ანუ არაპირდაპირი განზრახვის დროს კი დამნაშავეს მიზანი არ არის მიმართული იმ დანაშაულებრივი შედეგისაკენ, რომელიც მას ბრალად ერაცხება. ამ შემთხვევაში დამნაშავეს მიზანი შეიძლება, თავის მხრივ, მიმართული იყოს საზოგადოებრივად სასარგებლო, ან, ყოველ შემთხვევაში, სოციალური თვალსაზრისით ინდიფერენტული შედეგისაკენ. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ადამიანს მიზნად ჰქონდეს დასახული რაიმე დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა, მაგრამ მის მოქმედებას არაპირდაპირ მოჰყვეს კიდევ

სხვა დანაშაულებრივი შედეგიც. „არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენას, — ამბობს ა. პიონტკოვსკი, — ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა პირი ისახავს სხვა რაიმე დანაშაულებრივ მიზანს, ან კიდევ, მოქმედებს რა თავისთავად არადანაშაულებრივი ზრახვით, ამავე დროს შეგნებულად უშვებს მოცემული დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას“³⁵.

ზემოთქმული მოწმობს, რომ განზრახვა ცხოვრებაში შეიძლება შეგვხვდეს როგორც წმინდა, ისე შერეული სახითაც. წმინდა სახის განზრახვას ადგილი აქვს მაშინ, როცა დანაშაულებრივი შედეგი გამოწვეულია ან პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. მაგრამ თუ დანაშავის მოქმედებას ორი (ან მეტი) შედეგი მოჰყვა — ერთი პირდაპირი, მეორე არაპირდაპირი, ევენტუალური განზრახვით, საქმე გვექნება შერეულ განზრახვასთან.

თანაამსრულებლობა ექვს არ იწვევს მაშინ, როცა რამდენიმე პირი შედეგისადმი პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა ყველა დანაშავე შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვით მოქმედებდა, ეს საკითხი უფრო გამოწვლილივით ანალიზს მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, გვაქვს თუ არა აქ თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარის ის ორი ძირითადი ელემენტი, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. პირველი ელემენტი შეეხებოდა შედეგისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას. ამ საკითხის განხილვისას მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ თანაამსრულებლებს შედეგისადმი ერთნაირი ფსიქიკური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ. კერძოდ, ისინი შედეგისადმი განზრახ უნდა მოქმედებდნენ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ განზრახი ფსიქიკური დამოკიდებულება თავისთავად არაპირდაპირ, ევენტუალურ განზრახვასაც მოიცავს. ამავე დროს ევენტუალური განზრახვის დროს ადამიანი არა მარტო ითვალისწინებს იმ მოსალოდნელ შედეგებს, რაც მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს, არამედ ისიც იცის, რომ იგი ამ შედეგების დადგომის შესაძლებლობას უშვებს სხვა პირთან ერთად. მაშასადამე, გვაქვს თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარის მეორე ძირითადი ელემენტიც — სხვასთან ერთად მოქმედების ცოდნა. ერთი შეზღვევით, ევენტუალური განზრახვით თანაამსრულებლობას თითქოს წინ აღარაფერი ელოდება. მაგრამ თუ საკითხს უფრო ღრმად ჩავუვკირდებით, დავინახავთ, რომ ის არც ისე იოლი გადასაწყვეტია. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, საკმარისია თუ არა ევენ-

³⁵ Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 292.

ტუალური განზრახვით თანაამსრულებლობის დასაბუთებისათვის ადამიანის მიერ იმის გათვალისწინება, რომ იგი სხვასთან ერთად უშვებს განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ვთქვათ, ერთი დამნაშავეის უშუალო მოქმედებამ მსხვერპლს სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა, ხოლო მეორე პირის ნასროლი ტყვია მომაკვდინებელი აღმოჩნდა. შეიძლება თუ არა მსხვერპლის სიკვდილი, ე. ი. ის შედეგი, რომელიც ერთი დამნაშავეის მოქმედებამ უშუალოდ გამოიწვია, შეერაცხოს იმ პირსაც, ვისმა მოქმედებამაც უშუალოდ მხოლოდ სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია, თუ ამ უკანასკნელს თავიდანვე გათვალისწინებული ჰქონდა, რომ იგი სხვასთან ერთად უშვებდა მსხვერპლის სიკვდილის შესაძლებლობას? აქ რომ ორივე პირს პირდაპირი განზრახვით ემოქმედნა, ექვი არ არის, თანაამსრულებლობასთან გვექნებოდა საქმე, მიუხედავად იმისა, რომ მათ კაუზალურად არაერთმნიშვნელოვანი მოქმედებები ჩაიდინეს. ერთი პირის მიერ თავისთავად სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მკვლელობის ამსრულებლობად იქცეოდა. ამის მიზეზი კი, უპირველეს ყოვლისა, სუბიექტურ სფეროში ძევს. ორივე პირს ერთი საერთო მიზანი ჰქონდა, მათი მოქმედებები ერთი საერთო მიზნის—ადამიანის სიცოცხლის მოსპობისაკენ იყო მიმართული. სწორედ ეს მიზანი არის ეს გამაერთიანებელი ნიშანი, რომელიც რამდენიმე პირის კაუზალურად არათანაბარი მნიშვნელობის მქონე მოქმედებებს ერთ მთლიან დანაშაულებრივ აქტად აქცევს და თანაბარ იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომ არის, რომ თანაამსრულებლები ერთ უმართლობას, დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას ახორციელებენ.

მაგრამ გვაქვს თუ არა ასეთივე გამაერთიანებელი ნიშანი ევენტუალური განზრახვის დროს? რა თქმა უნდა, არა. ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეის მიზანი სულ სხვა შედეგისაკენ არის მიმართული. მართალია, ზემოთ მოტანილ მაგალითში თვითიური მოქმედი კი ითვალისწინებდა, რომ იგი სხვასთან ერთად უშვებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ეს მომენტი არ არის საკმარისი თანაამსრულებლობისათვის, ვინაიდან არც ერთ მათგანს არა აქვს დაზუსტებული, თუ მათ მოქმედებას კონკრეტულად რა შედეგი მოჰყვება. შეიძლება მათ მოქმედებას მოჰყვეს სიკვდილი, სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება ან საერთოდ არავითარი ზიანი არ მოჰყვეს. რამდენიმე პირის „ერთობლივ მოქმედებად, — ამბობს ვ. სოლნარჟი, — უნდა მივიჩინოთ ისეთი მოქმედება, რომელსაც, თანაამსრულებელთა განზრახვის თანახმად.

მიყვავართ ერთსა და იმავე შედეგისაკენ (ო. გ.) და აქვს დანაშაულის ერთი და იმავე შემადგენლობის ნიშნები³⁶. რაკი წინასწარ არც ერთმა არ იცის, კონკრეტულად რა შედეგი დადგება, ამიტომ თვითეული პირის მოქმედება დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს და ყოველი მათგანის უმართლობას რეალურად განხორციელებული შედეგი უნდა განსაზღვრავდეს. ამის გამო ორივე პირის მოქმედებით გამოწვეული შედეგების ერთ მთლიან დანაშაულებრივ აქტად შეკავშირება არ ხერხდება. არ ხერხდება იმიტომ, რომ, პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, აქ არა გვაქვს ის გამაერთიანებელი ნიშანი, რომელიც რამდენიმე პირის კაუზალურად არათანაბარი მნიშვნელობის (ზოგჯერ კი თანაბარი მნიშვნელობის) მოქმედებებს ერთ მთელად შეკრავს და ერთ საერთო უმართლობად წარმოგვიდგენს. ევენტუალური განზრახვის დროს ორი პირის მოქმედებები ერთმანეთისაგან ისეთივე გათიშული და დაცალკევებულია, როგორც გაუფრთხილებლობის დროს. ამ მოქმედებების კავშირი ერთმანეთთან მხოლოდ გარეგანი, წმინდა კაუზალური (დროისა და სივრცის თვალსაზრისით) ხასიათისაა. მათ აკლიათ ის შინაგანი დამაკავშირებელი რგოლი, რომლის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანაამსრულებლობა. ამიტომ ვინც გაუფრთხილებლობით თანაამსრულებლობას უარყოფს, მან უარი უნდა თქვას აგრეთვე ევენტუალური განზრახვით თანაამსრულებლობაზეც. ევენტუალური განზრახვით თანაამსრულებლობა თეორიულად ისევე დაუსაბუთებელია, როგორც გაუფრთხილებლობითი თანაამსრულებლობა და, საბოლოო ანგარიშით, მასაც ობიექტურ შერაცხვამდე მიყვავართ. ევენტუალური განზრახვით მოქმედმა პირმა ყოველთვის იმ შედეგისათვის უნდა აგოს პასუხი, რაც უშუალოდ მისი მოქმედებით იყო გამოწვეული. ასეთი პირი ყოველთვის ერთპიროვნული ამსრულებელია.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთობლივად მოქმედი ორი დამნაშავიდან ერთი პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, მეორე კი — არაპირდაპირი განზრახვით. იბადება კითხვა: იქნებთან თუ არა ისინი დანაშაულის თანაამსრულებლები? ცხადია, აქ თანაამსრულებლობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ორივე დამნაშავის მოქმედებებს ამ შემთხვევაშიც არაფერი არ აერთიანებს. ორივე დამნაშავე სხვადასხვა მიზნით მოქმედებს. ამიტომ თვითეული მათგანი დამოუკიდებლად აგებს პასუხს. ვთქვათ, ერთი მკვლელობის მიზნით მოქმე-

³⁶ В. Солнерж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической Республики, М., 1962, с. 107.

დებდა, მეორეს კი გათვალისწინებული ჰქონდა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი სიკვდილს გადაარჩა, ერთი პირი პასუხს აგებს მკვლელობის მცდელობისათვის, მეორე სხეულის დაზიანებისათვის ან შეიძლება სულაც არ აგოს პასუხი.

შედარებით იოლი გადასაწყვეტია თანაამსრულებლობის საკითხი შერეული განზრახვის დროს. შერეულ განზრახვას, როგორც ვთქვით, ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთ დანაშაულებრივ შედეგს, რომლის მიმართ დამნაშავე პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, თან ერთვის მეორე შედეგი ევენტუალური განზრახვით. ამიტომ თუ თანაამსრულებელთა მოქმედებას თან დაერთვის სხვა შედეგი ევენტუალური განზრახვით, ამ შედეგისათვის ისინი პასუხს აგებენ არა როგორც თანაამსრულებლები, არამედ როგორც ერთპიროვნული ამსრულებლები. თუ, მაგალითად, ერთი საცხოვრებელი სახლის თანაშესაკუთრენი დაზღვევის თანხის მიღების მიზნით დაწვავენ სახლს, რის შედეგადაც დაიწვება სახლის ერთ-ერთი მცხოვრები, რომლის სიკვდილს დამნაშავეები ევენტუალურად უშვებდნენ, ისინი პასუხს აგებენ სახლის დაწვის თანაამსრულებლობისა და მკვლელობის ერთპიროვნული ამსრულებლობისათვის³⁷. მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე ისიც, რომ ეს მეორე შედეგი — ადამიანის სიკვდილი — დამნაშავეებს ევენტუალური განზრახვით კი არა, გაუფრთხილებლობით შეეარაცხოთ. კვალიფიკაცია არც ამ შემთხვევაში შეიცვლება. აქაც ისევე, როგორც ევენტუალური განზრახვის შემთხვევაში, ადგილი ექნება თანაამსრულებლობისა და ერთპიროვნული ამსრულებლობის „ერთობლიობას“. საბოლოოდ ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ თანაამსრულებლები მხოლოდ პირდაპირი განზრახვით უნდა მოქმედებდნენ, მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს ექნებათ მათ ერთი წაერთო მიზანი, რომელიც რამდენიმე პირის მოქმედებებს ერთ მთლიან დანაშაულებრივ აქტად აქცევს. სწორედ ამ საერთო მიზნის წყალობით არის, რომ თანაამსრულებლები ერთ უმართლობას ახორციელებენ.

თანაამსრულებლის მიერ იმის ცოდნა, რომ სხვა ამსრულებელთან ერთად სჩადის დანაშაულს, არ გულისხმობს პასიურ ჰერეტას ამ ფაქტისა დამნაშავეს მხრივ. თანაამსრულებლობა რამდენიმე პირის აქტიური ურთიერთდახმარებით გამოიხატება. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა ისინი გაერთიანებული მიზნით, საერთო გადა-

³⁷ სხვაგვარად წვეტეს ამ საკითხს თ. წერეთელი, იხ. მისი თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 142.

წყვეტილებით მოქმედებენ. როცა რამდენიმე პირი ურთიერთმხარდაჭერის გარეშე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სჩადის დანაშაულს, თვითიული მათგანი დამოუკიდებლად აგებს პასუხს: აქ თანაამსრულებლობა არ იქნება³⁸. ეს ცოდნა უბრალო პასიური კვრეტით გამოიხატებოდა და მათ ერთობლივ მოქმედებას არ ქმნიდა. ამიტომაც აქ ადგილი აქვს დანაშაულის ერთპიროვნულ ამსრულებლობას. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც ზემოთ ითქვა, ამ შემთხვევას პარალელურ ამსრულებლობას უწოდებენ³⁹. პარალელური ამსრულებლობა შესაძლებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. ცხოვრებაში განსაკუთრებით ხშირია გაუფრთხილებლობითი პარალელური ამსრულებლობა. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ პარალელური ამსრულებლები განზრახ მოქმედებდნენ. პარალელური ამსრულებლობისათვის დამახასიათებელია ის, რომ რამდენიმე პირის მოქმედება დროისა და სივრცის თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა, ისინი ძირითადად დანაშაულის ერთსა და იმავე ობიექტს ხელყოფენ, თანაც მათ შეიძლება იცოდნენ კიდევ ერთმანეთის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ (განზრახვა), თუმცა ერთობლივად არ მოქმედებდნენ. პარალელური ამსრულებლობის დროს ყოველი პირი იზოლირებულად, დამოუკიდებლად მოქმედებს და პასუხსაც იმ შედეგისათვის აგებს, რაც მან უშუალოდ გამოიწვია.

§ 2. თანაამსრულებელთა პასუხისმგებლობა

1. ახლა, როცა თანაამსრულებლობის სუბიექტური და ობიექტური მხარე გამოკვლეულია, შეგვიძლია შევეუდგეთ თანაამსრულებელთა პასუხისმგებლობის საკითხის გამოკვლევას. როგორც დავინახეთ, თანაამსრულებლობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რამდენიმე პირი ერთ დანაშაულს სჩადის. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს, რომ ყველა თანაამსრულებლის მოქმედებას ძირითადად ერთნაირი კვალითიკაცია მივცეთ. ეს არ ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს. პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს დამნაშავის პასუხისმგებლობას საკუთარი მოქმედებისა და საკუთარი ბრალისათვის, თანაბრად ვრცელდება როგორც ინდივიდურად მოქმედ პირზე, ისე დანაშაულის თანამონაწილეზეც. მაგრამ თანაამსრულებლობის (თანამონაწილეობის) დროს ამ პრინციპს მაინც გარკვეული თავისებურებები ახასიათებს,

³⁸ В. Солнарж, მითით. ნაშრომი, გვ. 121.

³⁹ E. Mezger, Strafrecht, Berlin und München, 1949, S. 424;

რაც საგანგებო განხილვას მოითხოვს. ყველა თანამსრულებლის ქმედობების ერთნაირი კვალიფიკაციის საფუძველია დანაშაულის ერთი და იგივე შემადგენლობა, რომელიც მათ ერთობლივად განახორციელებს. მაგალითად, ერთნაირი გათვალისწინების შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ერთმა თანამსრულებელმა პასუხი აგოს ქურდობისათვის, მეორემ კი ძარცვისათვის, ან ერთმა ძარცვისათვის, მეორემ კი ყაჩაღობისათვის. მაშასადამე, ყველა თანამსრულებელი პასუხს აგებს ერთი და იგივე ტიპის უმართლობისათვის.

აქედან თანმიმდევრულად გამომდინარეობს, რომ დანაშაულის განვითარების სტადიების საკითხი ყველა თანამსრულებლისათვის ერთნაირად უნდა გადაწყდეს. არ შეიძლება, მაგალითად, ერთმა თანამსრულებელმა პასუხი აგოს დამთავრებული დანაშაულისათვის, მეორემ კი მცდელობის ან მომზადებისათვის, ან ერთმა მომზადებისათვის, მეორემ კი მცდელობისათვის. ყველა თანამსრულებელი პასუხს აგებს იმის მიხედვით, თუ რა სტადიაზე შეჩერდა დანაშაული. თანამსრულებლები პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის საერთო საფუძველზე ისე, როგორც პასუხს აგებდა თვითეთელი მათგანი, ინდივიდუალურად რომ ემოქმედნა.

2. თანამსრულებელთა მოქმედებების ერთნაირი კვალიფიკაცია არ გამორიცხავს ისეთ შემთხვევას, როცა ერთი თანამსრულებელი საერთოდ განთავისუფლდება სასჯელისაგან, ხოლო მეორე პირი მაინც აგებს პასუხს მთლიანად მიყენებული შედეგისათვის. თანამსრულებლობა ისევე, როგორც თანამონაწილეობა ვიწრო აზრით, არ გულისხმობს ყველა მონაწილის აუცილებელ დასჯას. ყველა თანამსრულებლის (თანამონაწილის) ქმედობათა ერთნაირი იურიდიული კვალიფიკაცია გამოიხატება მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტში და არა იმაში, მიცემული იყო თუ არა ყველა მათგანი უკლებლივ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. ერთი თანამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება მეორე თანამზრახველის ქმედობის კვალიფიკაციაზე იმ შემთხვევაში იმოქმედებს, თუ ამ განთავისუფლებას საფუძველად ედო ჩადენილი ქმედობის დაუსჯელობა, მისი მართლზომიერება. თუ ერთი პირი პასუხს არ აგებს იმის გამო, რომ მას დანაშაული არ ჩადენია, პასუხი არ უნდა აგოს არც იმან, ვინც მასთან ერთად მოქმედებდა. მაგრამ თუ ერთი პირი განთავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სხვა საფუძველზე, თუმცა მის მიერ ჩადენილი ქმედობა საზოგადოებრივად საშიში და დანაშაულებრივი იყო, ეს გარემოება მეორე თანამსრულებლის ქმედობის კვალიფიკაციას ვერ შეცვლის. იგი პასუხს აგებს საერთო საფუძველზე რო-

გორც თანამსრულებელი. მაგალითად, ვერ იმოქმედებს სხვა თანამსრულებელთა პასუხისმგებლობაზე ერთ-ერთი მონაწილის განთავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მისი ამხანაგურ სასამართლოში (საქართველოს სსრ-ის სსკ მ. 52) ან თავდებაში (მ. 53) გადაცემით. სხვა თანამსრულებელთა პასუხისმგებლობაზე ვერ იმოქმედებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მეორე თანამსრულებლის ვინაობა ვერ დადგინდა, ან დადგინდა, მაგრამ ვერ შეიპყრეს, ან შეიპყრეს, მაგრამ გამოძიების ან საქმის სასამართლოში განხილვის პერიოდში იგი სულიერად დაავადდა და სხვ. ყველა ამ შემთხვევაში ერთ-ერთი პირის განთავისუფლება ხდება წმინდა პერსონალურ საფუძველზე და არა იმის გამო, რომ მას საზოგადოებრივად საშიში და დასჯადი ქმედობა არ ჩაუდენია.

3. რაკი თანამსრულებლები ერთი დანაშაულისათვის აგებენ პასუხს, დანაშაულის დამთავრების საკითხი დროსა და სიერცეში ყველას მიმართ ერთნაირად უნდა გადაწყდეს. მართალია, უმრავლეს შემთხვევაში თანამსრულებლები ერთდროულად მოქმედებენ, მაგრამ ზოგჯერ მათი მოქმედებები დროის მიხედვით ერთმანეთს არ ემთხვევა. ერთდროული თანამსრულებლობა კანონის დროში მოქმედების თვალსაზრისით რაიმე სირთულეს არ წარმოშობს. უფრო დაწვრილებითი ანალიზის ღირსია ეგრეთწოდებული თანმიმდევრული თანამსრულებლობა.

საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის ძალით, „ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედობის ჩადენის დროს“. ამ მუხლის თანახმად, თუ ერთი თანამსრულებელი მოქმედებდა ერთი კანონის მოქმედების დროს, ხოლო მეორე თანამსრულებელი მეორე, უკვე შეცვლილი კანონის დროს, როგორც წესი, ორთვე დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს ახალი კანონით. ეს იმიტომ, რომ ორივე პირის მოქმედება ერთობლიობაში უნდა შეფასდეს, ვინაიდან ორივე მათგანი ერთი დანაშაულის თანამსრულებელია. როგორც ცნობილია, ახალი კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან ათი დღის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში პირველ დამნაშავეს შესაძლებლობა ჰქონდა შემოქმედება მოეხდინა მეორე თანამზრახველზე და არ მიეცა მისთვის საშუალება დანაშაულის ბოლომდე მიყვანისა. რახან მან ეს არ გააკეთა, მისი პასუხისმგებლობა ამ ახალი, თუნდაც უფრო მძიმე, კანონით სავსებით დასაბუთებულია. მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევაში, როცა დადგინდება, რომ პირველ თანამსრულებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა შემოქმედება მოეხდინა მოვლენათა შემდგომ მსვლელობაზე, იგი პასუხს აგებს ძველი

კანონით. ვთქვით, დანაშაულის პირველი აქტის შემსრულებელი ახალი კანონის გამოქვეყნების დროს უკვე სულიერად დაავადებული იყო. ამასობაში მეორე თანაამსრულებელმა დანაშაული დაასრულა. იმ შემთხვევაში, თუ პირველი დამნაშავე განიკურნება და პასუხისგებაში მიეცემა, იგი დაისჯება ძველი კანონით.

მაგრამ თანაამსრულებელთა მოქმედებები არა მარტო დროის მიხედვით შეიძლება იყვნენ ერთმანეთისაგან გათიშული, არამედ ტერიტორიულადაც. ვთქვით, ერთი პირი მოსკოვში ყიდულობს საქონელს სასპეკულაციოდ და აგზავნის თბილისში, სადაც მას მეორე თანაამსრულებელი ასაღებს. რომელი რესპუბლიკის კანონით დაისჯებიან ისინი? საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის ძალით „ყველა პირი, ვინც დანაშაულს ჩაიდენს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით“. გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, დანაშაული იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილად ჩაითვლება, სადაც იგი დამთავრდა⁴⁰. აქედან გამომდინარე ის თანაამსრულებელი, რომელმაც დანაშაული მოსკოვში დაიწყო, პასუხს აგებს საქართველოს სსრ-ის კანონით, თუ მეორე თანაამსრულებელმა დანაშაულის დამამთავრებელი აქტი საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა. ასევე გადაწყდება საკითხი, თუ ერთი თანაამსრულებელი საზღვარგარეთ მოქმედებდა, მეორე კი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე: ისინი პასუხს აგებენ იმ რესპუბლიკის კანონით, რომლის ტერიტორიაზეც დამთავრდა დანაშაული.

თუ დანაშაული საზღვარგარეთ დამთავრდა, თანამონაწილენი (წამქეზებელი, დამხმარე) პასუხს აგებენ იმ კანონით, რომლითაც პასუხს აგებს ამსრულებელი. ამსრულებელი კი დაისჯება იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონით, რომლის ტერიტორიაზეც იგი პასუხისგებაში იყო მიცემული. ასეთი დასკვნა, ბუნებრივია, აქცესორობის პრინციპიდან გამომდინარეობს. მაგრამ თანაამსრულებლების მიმართ ეს საკითხი ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, რადგან თვითეული მათგანი დანაშაულის ამსრულებელია, ამიტომ საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის ყოველი თანაამსრულებელი დაისჯება იმ რესპუბლიკის კანონით, რომლის ტერიტორიაზეც არის ის პასუხისგებაში მიცემული.

4. სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის ძალით ის, ვინც ნებაყოფლობით იტყვის უარს დანაშაუ-

⁴⁰ Курс советского уголовного права, т. I, Изд. Ленинградского университета, 1968, с. 122.

ლის ბოლომდე მიყვანაზე, პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა მოიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას. ეს წესი, ბუნებრივია, ვრცელდება როგორც ამსრულებელზე, ისე თანამონაწილეებზე (იხ. საქართველოს სსრ-ის სსკ მე-18 მუხ. მე-2 ნაწ.).

საბჭოურ სისტემის სამართლის თეორიაში დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, (ნებაყოფლობით შეწყვეტილი დანაშაულებრივი მოქმედების დაუსჯადობის ძირითადი საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ის მოქმედება, რომელიც ფაქტიურად პირმა ჩაიდინა, აღარ არის უკვე საზოგადოებრივად საშიში. იმის გამო, რომ პირმა ნებაყოფლობით თქვა უარი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, მისმა ნამოქმედარმა დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. ამავე დროს თვითონ პიროვნებაც აღარ არის სოციალურად საშიში⁴¹. საგულისხმოა, რომ ამ თვალსაზრისზე დგას ყველა თეორეტიკოსი განურჩევლად იმისა, იზიარებს თუ არა ის აქცესორობის პრინციპს და, რაც უფრო პარადოქსულია, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას ყველა მათგანი პრაქტიკულად ერთსა და იმავე დასკვნამდე მიდის. ლიტერატურაში ერთხმად არის აღიარებული, რომ ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან თანამონაწილეებს. მაგრამ თუ ასეთი დასკვნა ლოგიკურად გამომდინარეობს თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის იდეიდან, სამაგიეროდ იგი სრულიად არ შეესაბამება აქცესორულ თეორიას. აქცესორობის პრინციპი, როგორც ვიცით, მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილის მოქმედების სოციალურ შინაარსს ამსრულებლის მოქმედება განსაზღვრავს. თანამონაწილის მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და ამ საშიშროების ხასიათი მთლიანად არის დამოკიდებული ამსრულებლის მოქმედების საშიშროების ხასიათზე. ამიტომ თუ ამსრულებელს გავათავისუფლებთ იმ საფუძვლით, რომ დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტის გამო მისმა მოქმედებამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, მაშინ, თანმიმდევარი რომ ვიყოთ, ასევე უნდა გავათავისუფლოთ პასუხისმგებლობისაგან თანამონაწილეს. მაგრამ აქცესორული თეორიის მომხრეები ასეთ დასკვნას, ცხადია,

⁴¹ М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. II, с. 185; თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 220; თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 223; Ф. Г. Б у р ч а к, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 196; Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 433—434.

არ აკეთებენ, რის გამოც მოწინააღმდეგეები მათ, არცთუ უსაფუძვლოდ, არათანმიმდევრობას უსაყვედურებენ. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: ან აქცესორობის პრინციპი არ არის სწორი და მაშინ ამ პრინციპის მოწინააღმდეგეთა მიმართ საყვედური მართლაც რომ არ გვეთქმის, ანდა მცდარია ნებაყოფლობით შეწყვეტილი დანაშაულებრივი მოქმედების დაუსჯადობის საფუძვლის იმგვარი გაგება, რომელიც ამჟამად დამკვიდრებულია საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაში.

აღსანიშნავია, რომ თანაამსრულებელთა მიერ დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტისას იმავე სირთულეს ვხვდებით, რასაც ადგილი აქვს აქცესორულად გაგებული თანამონაწილეობის დროს. მაგალითად, ორმა პირმა ერთობლივად შეასრულა სპეკულაციის პირველი აქტი (თანაამსრულებლობა). მეორე აქტის შესრულება კი დამოუკიდებლად იკისრა ერთ-ერთმა მათგანმა, რომელმაც შემდეგ ნებაყოფლობით თქვა უარი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. თუ ამ პირს აღარ დავსჯით იმის გამო, რომ მისმა მოქმედებამ დაჰკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, პასუხისმგებლობისაგან უნდა გავათავისუფლოთ აგრეთვე მეორე თანაამსრულებელიც, ვინაიდან ის მოქმედება, რომელმაც დაჰკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ორივემ ერთობლივად ჩაიდინა. უმართლობის ობიექტური (არაპერსონალური) ხასიათი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სხვა თანაბარ პირობებში ყველა თანაამსრულებლის (თანამონაწილის) მიმართ მას ერთნაირი სოციალური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ თუ პასუხისმგებლობისაგან მართო იმ თანაამსრულებელს ვათავისუფლებთ, რომელმაც პირადად შეწყვიტა დანაშაულებრივი მოქმედება, ეს უკვე იმას ადასტურებს, რომ ამ საკითხს აქცესორობის პრინციპთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. ამის შემდეგ ექვს უკვე აქცესორული თეორია კი არა, იმ თვალაზრისის სისწორე ჰბადებს, რომლის მიხედვითაც ნებაყოფლობით შეწყვეტილი დანაშაულებრივი მოქმედების დაუსჯადობის საფუძველი ფაქტიურად ჩადენილი ქმედობის სოციალური შინაარსის ცვლილებაში უნდა ვეძიოთ.

მართლაც, როგორ შეიძლება შეცვალოს მოქმედების სოციალური შინაარსი ისეთმა პერსონალურმა მომენტმა, როგორცაა დაწყებული მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტა? რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მოქმედების სოციალური შეფასებისათვის იმ ფაქტს, მკვლელობისათვის ზედმართულ ხელს თავისი ნებით დაუშვებს ძირს ადამიანი, თუ უნებურად—გარეგანი ძალის ზეგავლენით? ხომ

ფაქტია, რომ მოქმედება ობიექტურადაც და სუბიექტურადაც სიცოცხლის წინააღმდეგ იყო მიმართული?

რომ ნებაყოფლობით შეწყვეტილი დანაშაულებრივი მოქმედების დაუსჯადობის ძირითადი საფუძველი არ შეიძლება ვეძებოთ შეწყვეტილი მოქმედების სოციალური შინაარსის შეცვლაში, ამას მოწმობს საფუძვლების მე-16 მუხლის ის ნაწილიც, სადაც ნათქვამია, რომ პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ „ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას“. თუ დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტის გამო მოქმედებამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, მაშინ როგორ შეიძლება იგი შეიცავდეს სხვა დანაშაულის შემადგენლობას? არც ის უნდა იყოს სწორი, თითქოს ამ დროს დამნაშავეს პიროვნება კარგავს საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს. ცნობილია, რომ დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტის გამო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მოტივით აიღო ხელი დამნაშავემ პირვანდელ განზრახვაზე. შესაძლებელია მან ეს მოსალოდნელი სასჯელის შიშით მოიმოქმედა, რაც სრულებითაც არ მოწმობს პიროვნების გამოსწორებას.

ჩემი აზრით, დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტის გამო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა. კრიმინალური პოლიტიკის მოსაზრებით უნდა აიხსნას. გამოჩენილი გერმანელი კრიმინალისტის ა. ფოიერბახის ხატოვანი გამოთქმა რომ ვინმართ, კანონმდებელი „ოქროს ხიდს“ სთავაზობს დამნაშავეს უკან დასახვევად, თუ ის, ვიდრე დანაშაულს ბოლომდე მიიყვანდეს, კიდევ ერთხელ დაფიქრდება და ნებაყოფლობით შეწყვეტს დაწყებულ მოქმედებას⁴². კანონმდებლის ბოძებული ეს შეღავათი წმინდა პერსონალური ხასიათისაა და ამით მხოლოდ იმ პირს შეუძლია ისარგებლოს, ვინც მას პირადად დაიმსახურებს. ნებაყოფლობით შეწყვეტილი დანაშაულებრივი მოქმედების დაუსჯადობა მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური საშუალებაა. ეს ღონისძიება დამნაშავეს დაწყებული

⁴² ამ თვალსაზრისს, ბუნებრივია, საბჭოთა კრიმინალისტიებიც იზიარებენ, თუმცა მას ნებაყოფლობით შეწყვეტილი დანაშაულებრივი მოქმედების დაუსჯადობის ძირითად საფუძვლად არ თვლიან. იხ. Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 434; რევოლუციამდელი რუსული, აგრეთვე უცხოური, უპირატესად გერმანული, ლიტერატურის მიმოხილვა ამ საკითხზე მოცემული აქვს ნემიროვსკის (იხ. Э. Я. Н е м и р о в с к и й, Основные начала уголовного права, Одесса, 1917, с. 545—553.).

მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტის სტიმულს აღუძრავს და ამით მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების გარანტიას გვაძლევს.

ამის შემდეგ უკვე გასაგები უნდა იყოს, რატომ არის, რომ ერთი თანაამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მეორე თანაამსრულებელს. რაკი ეს საკითხი უკვე გარკვეულია, შეგვიძლია გადავიდეთ იმის კვლევაზე, თუ კონკრეტულად როგორ ხდება ერთი თანაამსრულებლის მიერ დანაშაულზე ხელის აღება და პრაქტიკულად რა სირთულეები წარმოიშობა ამ დროს.

როგორც ცნობილია, დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის აუცილებელია ორი ძირითადი პირობა: 1. დანაშაულებრივი მოქმედების შეწყვეტის ნამდვილად ნებაყოფლობითი ხასიათი უნდა ჰქონდეს და 2. სწორედ ამის წყალობით დანაშაულებრივი შედეგი თავიდან უნდა იქნეს აცილებული. პირველ პირობას მე აქ არ შევხები, რადგან იგი თანაამსრულებლობის დროს რაიმე თავისებურებით არ ხასიათდება. რაც შეეხება მეორე პირობას, ის თანაამსრულებლობის (თანამონაწილეობის) დროს უფრო თავისებურად ვლინდება, ვიდრე ამაჲ ადგილი აქვს ერთპიროვნული ამსრულებლობის შემთხვევაში. ამიტომ მასზე აქ საგანგებოდ შევჩერდები.

ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ თანამონაწილეობის დროს ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტა არსებითად ისევე ხდება, როგორც ერთპიროვნული ამსრულებლობის დროს. თუ ამსრულებელი უარს იტყვის დანაშაულებრივი მოქმედების განგრძობაზე, ძალიანაც რომ მოინდომონ თანამონაწილეებმა, შედეგი მაინც არ განხორციელდება⁴³. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ შემადგენლობის შესაბამისი მოქმედების ბატონ-პატრონი მხოლოდ და მხოლოდ ამსრულებელია. მაგრამ თანაამსრულებლობის დროს ასეთი რამ ყოველთვის როდია შესაძლებელი. თუ თანამონაწილეობის ან ერთპიროვნული ამსრულებლობის შემთხვევაში ერთი ამსრულებელია, თანაამსრულებლობის დროს ამსრულებელთა რიცხვი ერთზე მეტია და შემადგენლობის შესაბამისი მოქმედებაც მათ შორის არის განაწილებული. ამიტომ აქ არ არის საკმარისი პირადად ერთი თანაამსრულებლის მიერ

⁴³ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 186.

დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტა. როდესაც ყოველ თანამსრულებელს შემადგენლობის მთლიანად განხორციელების შესაძლებლობა აქვს, ვთქვათ, ყველა ურტყამს დანას, ესვრის თოფს და სხვ., შედეგი რომ თავიდან იქნეს აცილებული, თვითელმა მათგანმა უნდა აღუკვეთოს მოქმედების შესაძლებლობა სხვა თანამზრახველებსაც. სხვანაირად იგი ვერ გაწყვეტს იმ მიზეზობრივ ჯაჭვს, რომელსაც დასაბამი მისცა მისმა მოქმედებამ. თანამსრულებელმა შეიძლება უშუალოდ თვითონ იმოქმედოს, მაგალითად, განაიარალოს თავისი თანამზრახველი, შეკრას იგი ან სხვაგვარი ფიზიკური ზემოქმედებით აღუკვეთოს მას დანაშაულის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა. მას შეუძლია აგრეთვე მოუხმოს საშველად სხვას ან დროზე გააფრთხილოს თვითონ ის, ვის მიმართაც ხდება ხელყოფა და სხვ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის თანახმად, პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა მოიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას. იბადება კითხვა: როცა ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა სხვა დანაშაულის შემადგენლობას ქმნის, დაეკისრება თუ არა ამისათვის პასუხისმგებლობა ყველა თანამსრულებელს? ბუნებრივია, თუ იმ შემადგენლობის განხორციელებაში, რომელსაც ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა ქმნის, ყველა თანამსრულებელი იღებდა მონაწილეობას, მაშინ მათ პასუხისმგებლობა საერთო საფუძველზე დაეკისრებათ. მხოლოდ როლები ამ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს: ერთმა პასუხი აგოს ამსრულებლობისათვის, მეორემ კი — წამქეზებლობისათვის და ა. შ. მაგალითად, მკვლელობის ჩასადენად ორმა პირმა გადაწყვიტა იარაღის შექმნა, რისთვისაც ერთმა წააქეზა მეორე ცეცხლსასროლი იარაღის გასატაცებლად. მკვლელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში პირველი პასუხს აგებს საქართველოს სსრ-ის სსკ მე-19—240 მმ (წაქეზება ცეცხლსასროლი იარაღის გასატაცებლად), მეორე კი 240 მუხლით როგორც ამსრულებელი.

ზოგჯერ ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა ქმნის ისეთ შემადგენლობას, რომელიც მხოლოდ ერთ თანამსრულებელს შეეკრატება. ვთქვათ, მკვლელობის ჩასადენად იარაღი ერთმა პირმა მეორისაგან დამოუკიდებლად გაიტაცა. მკვლელობაზე ნებაყოფლობით უარის თქმის შემთხვევაში, ამ შემადგენლობის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობაც მხოლოდ მას დაეკისრება.

როგორც ზემოთ ითქვა, დანაშაულებრივი მოქმედების ნება-ყოფლობით შეწყვეტის დროს შედეგი რომ თავიდან აიცილოს, თანაამსრულებელს ზოგჯერ უხდება აქტიური ზემოქმედება დანარჩენ თანაამსრულებლებზე. ამ უკანასკნელთა წინააღმდეგობის შემთხვევაში ეს შეჯახება მათთვის შეიძლება მეტად სავალალოდაც დასრულდეს. ამ დროს დამნაშავეთა მიმართ მიყენებული ზიანი ჯეროვან იურიდიულ კვალიფიკაციას მოითხოვს. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს თანაამსრულებელმა პასუხი უნდა აგოს ამ ზიანისათვის. საფუძვლების მე-16 მუხლი ხომ აწესებს, რომ დანაშაულებრივი მოქმედების ნებაყოფლობით შეწყვეტის შემთხვევაში პირი პასუხს აგებს იმ შემადგენლობის განხორციელებისათვის, რომელსაც მის მიერ ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა მოიცავს. მაგრამ ასეთი კვალიფიკაცია არ იქნებოდა სწორი. როდესაც საფუძვლები ახსენებს პირის მიერ „ფაქტიურად ჩადენილ ქმედობას“, მას მხედველობაში არა აქვს ისეთი მოქმედება, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებისაქენ არის მიმართული. დანაშაულებრივი მოქმედების შეწყვეტის მიზნით ერთი თანაამსრულებლის მიერ მეორისათვის ზიანის მიყენება საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ. აქ საქმე გვაქვს აუცილებელ მოგერიებასთან. თუ ჩვენ თანაამსრულებელს ვავალდებულებთ აქტიურად იმოქმედოს სხვა თანაამსრულებელთა მიმართ დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების მიზნით, ისიც უნდა დაეუშვათ, რომ ამ მოქმედებას შეიძლება ზიანიც მოჰყვეს. ამიტომ ეს მოქმედება მართლზომიერია და ზიანის მიმყენებელი უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ ცხადია, არ არის დარღვეული აუცილებელი მოგერიების პირობები. ასეთი დასკვნა კრიმინალური პოლიტიკის მოსაზრებებითაც სავსებით გამართლებულია და ნებაყოფლობით შეწყვეტილი დანაშაულებრივი მოქმედების დაუსჯადობის ყველა პირობას სრულიად აკმაყოფილებს. პასუხისმგებლობის დაკისრება ამ შემთხვევაში პიროვნებას სხვა დამნაშავეებზე აქტიური ზემოქმედების სტიმულს ჩაუკლავდა და ნებაყოფლობით შეწყვეტილი დანაშაულებრივი მოქმედების დაუსჯადობის მოტივაციურ ზეგავლენასაც საგრძნობლად შეასუსტებდა.

5. თანაამსრულებელთა პასუხისმგებლობას როცა ვეხებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამსრულებლის ექსცესის საკითხს. ექსცესის გულისხმობს ამსრულებლის მიერ იმაზე მეტის გაკეთებას, რაც თავდაპირველად იყო გამიზნული. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით სიტყვა ექსცესი ნიშნავს რაიმეს უკიდურეს გამოვლინებას. ამსრულებლის ექსცესზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში არა გვყავს

ყოველგვარი ამსრულებელი. კერძოდ, ექსცესი წარმოდგენელია ერთპიროვნული ამსრულებლობის დროს. აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ ამსრულებელმა გადააქარბა თავის პირვანდელ ჩანაფიქრს, არამედ მხედველობაშია ამსრულებლის მიერ იმაზე მეტის გაკეთება, რასაც მისგან სხვები მოელოდნენ. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ თანამონაწილეობის დროს. ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს იმას, რომ ამსრულებელი გასცდა თანამონაწილეთა ჩანაფიქრს. მოქმედი საბჭოური ღისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ამსრულებლის ექსცესის ცნებას არ განსაზღვრავს. თეორიაში ამსრულებლის ექსცესად მიჩნეულია ისეთი შემთხვევა, როცა ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედობა არ იყო მოკული თანამონაწილეთა განზრახვით⁴⁴. მაგრამ აქ საჭიროა კიდევ ერთი მომენტის დაზუსტება. ამსრულებელმა შესაძლოა გადააქარბოს თანამონაწილეთა ჩანაფიქრს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. ექნება თუ არა ადგილი ექსცესს განურჩევლად იმისა, განზრახ გასცდა ამსრულებელი თანამონაწილეთა ჩანაფიქრს თუ გაუფრთხილებლობით? როგორც ცნობილია, ამსრულებლის ექსცესისათვის თანამონაწილე პასუხს არ აგებს. ამიტომ თუ ექსცესის ცნებაში თანამონაწილეთა მიერ გაუთვალისწინებელიმ შედეგსაც ვიგულისხმებთ, რომელიც ამსრულებლის გაუფრთხილებლობით იყო გამოწვეული, მაშინ ამ შედეგისთვისაც პასუხისმგებლობა მხოლოდ ამსრულებელს უნდა დაეკისროს. საბჭოური იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ავტორთა დიდი ნაწილი გაუფრთხილებლობითი ექსცესის წინააღმდეგია. აქედან გამომდინარე მათ მიაჩნიათ, რომ თუ ამსრულებლის განზრახ მოქმედებას გაუფრთხილებლობითი შედეგიც მოჰყვა, ამ შედეგისათვის ამსრულებელთან ერთად პასუხისმგებლობა თანამონაწილესაც დაეკისრება⁴⁵. პირიქით იქცევა ა. პიონტკოვსკი. მისი აზრით, ამსრულებელი არა მარტო განზრახ შეიძლება გასცდეს თანამონაწილეთა ჩანაფიქრს, არამედ გაუფრთხილებლობითაც. „მსგავსი ექსცესი ამსრულებლისა (ე. ი. გაუფრთხილებლობითი, თ. გ.), — განაგრძობს იგი, — ასევე არ შეიძლება შეერაცხოს თანამონაწილეებს“⁴⁶. ეს შეხედულება არ უნდა იყოს სწორი. მართალია,

⁴⁴ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 175; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 199; Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 204.

⁴⁵ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 180; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 204.

⁴⁶ Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 485.

ექსცესი ნიშნავს გადაქარბებას, რაიმეს უკიდურესად გამოვლინებას, მაგრამ შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ექსცესად მივიჩნიოთ თანამონაწილეთა ჩანაფიქრიდან ამსრულებლის მოქმედების ყოველგვარი გადახრა. მხედველობაშია მისაღები, ჯერ ერთი, ის, რომ ამსრულებლის ექსცესი ეს არის ერთგვარი მოულოდნელობა სხვისათვის, კერძოდ, თანამონაწილისათვის, და არა თვითონ ამსრულებლისათვის. ამსრულებელი რომ ქურდობის ნაცვლად ყაჩაღობას ან მკვლელობას სჩადის, ეს ექსცესია არა მის მიმართ, არამედ თანამონაწილეთა მიმართ, რომლებიც ამსრულებლისაგან ამას არ მოელოდნენ. მაგრამ როდესაც ამსრულებლის განზრახ მოქმედებას გაუფრთხილებლობითი შედეგიც მოსდევს, ეს მოულოდნელია არა მარტო თანამონაწილისათვის, არამედ თვითონ ამსრულებლისთვისაც. ამიტომ ეს ამსრულებლის ექსცესი კი არა, ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობაა. მეორეც ის, რომ ამსრულებლის გაუფრთხილებლობით გამოწვეულ შედეგსა და თანამონაწილეთა მოქმედებებს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. მაშინ, როცა ამსრულებლის ექსცესის შემთხვევაში დანაშაულებრივ შედეგსა და თანამონაწილის მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი არ არის და ამის გამო გამორიცხულია ბრალეული კავშირიც⁴⁷. ამრიგად, თანამონაწილეთა საერთო გეგმიდან ამსრულებლის გაუფრთხილებლობითი გადახრა სულ სხვა იურიდიულ ბუნებას ამკლავნებს განზრახ, შეგნებულ გადახრასთან შედარებით. ამიტომ ამსრულებლის ექსცესად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი გადახრა, რომელიც მისი შეგნებული და ნებითი მოქმედების ნაყოფი იყო. „თუ გადახრა, —

⁴⁷ გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, მიზეზობრივი კავშირი არ არის მხოლოდ თვისობრივი ექსცესის შემთხვევაში. ეგრეთ წოდებული რაოდენობრივი ექსცესის დროს კი თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მოქმედებასთან. ამიტომ რაოდენობრივი ექსცესისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს ეს ავტორები თანამონაწილის მოქმედების სუბიექტურ მხარეში ეძებენ (იხ. А. Н. Т р а ф и н и н, Учение о соучастии, М., 1941, с. 154; М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. II, 178; Ф. Г. Б у р ч а к, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 208.). ჩემი აზრით, პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ყოველგვარი ექსცესისათვის საერთო საფუძველზე უნდა მოხდეს. რაოდენობრივი ექსცესის დროს, მართალია, თანამონაწილის მოქმედება ძირითადად კია მიზეზობრივ კავშირში ამსრულებლის მოქმედებასთან, მაგრამ, სახელობრ, ის ნაწილი ამსრულებლის მოქმედებისა, რომელიც ექსცესს ქმნის, ამ ობიექტური კავშირის გარეშე დგას. თუ ქურდობის ნაცვლად ამსრულებელმა ყაჩაღობა ჩაიდინა, მიზეზობრივი კავშირი არ არის წაქეზებასა და სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობას შორის, რაც ყაჩაღობის, როგორც შენადგენი დანაშაულის, ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ამ შემთხვევაში ექსცესს ქმნის.

ამბობს ნ. ტაგანცევი — ამსრულებლის შეგნებული და ნებითი მოქმედების პროდუქტი კი არ არის, არამედ მისი მოქმედების განვითარების შედეგად მოხდა, რომლის მიზეზია სხვადასხვაგვარი გარეგანი პირობები, მაშინ შეცვლილი დანაშაულებრივი მოქმედება წამქეზებელსაც შეერაცხება⁴⁸.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სასამართლო პრაქტიკაც სწორედ ამ გზით მიდის. საგულისხმოა ამ მხრივ მამა-შვილის გ. გ-ს და მ. გ-ს ზემოთ დასახელებული სისხლის სამართლის საქმე. გ. გ-მ ხელები გაუყავა თავის მეზობელ ს. გ-ს. ამ დროს მათთან მივიდა გ. გ-ს ვაჟი მ. გ., რომელმაც მუშტებით დაუწყო ცემა ს. გ.-ს მუცელში, რის გამოც მსხვერპლმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, გაუსკდა სწორი ნაწლავი და გარდაიცვალა. ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ, ფარდა იმისა, რომ ორივე ბრალდებული საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების თანამსრულებლად ცნო, გაუფრთხილებლობითი შედეგი—მსხვერპლის სიკვდილი ორივეს თანაბრად შეარაცხა ბრალად და მათი ქმედობები საქართველოს სსრ-ის სსკ 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით დააკვალიფიცირა.

ლიტერატურაში განსხვავებენ ამსრულებლის ექსცესის ორ სახეს: რაოდენობრივს და თვისობრივს.

რაოდენობრივი ექსცესის დროს ის დანაშაულები, რისთვისაც ამსრულებელს აქეზებდნენ და რაც მან ფაქტიურად ჩაიდინა, თვისობრივად ერთგვაროვანი არიან, განსხვავება მათ შორის მხოლოდ რაოდენობრივ მხარეშია. აქედან წარმოსდგა სახელწოდებაც — რაოდენობრივი ექსცესი. მაგალითად, ძარცვა და ყაჩაღობა ერთგვაროვანი დელიქტებია, მაგრამ ყაჩაღობა უფრო მძიმე დანაშაულია. ამიტომ თუ ამსრულებელი ძარცვის ნაცვლად, რომლისთვისაც მას აქეზებდნენ, ყაჩაღობას ჩაიდენს, წამქეზებელი პასუხს აგებს ძარცვისათვის. ეს იმიტომ, რომ „...ერთგვაროვან უფრო მძიმე დანაშაულში მოცემულია ამავე გვარის უფრო მსუბუქი დანაშაულის ნიშნები, რომელიც თანამონაწილის მიერ გათვალისწინებული იყო“⁴⁹.

თვისობრივი ექსცესის დროს კი ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ამსრულებელი თვისობრივად განსხვავებულ დანაშაულს სჩადის იმასთან შედარებით, რისთვისაც მას აქეზებდნენ.

⁴⁸ Н. С. Таганцев, Русское уголовное право, ч. II, т. I, С.-Петербург, 1902, с. 781.

⁴⁹ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 201—202.

თუ თანამონაწილე ამსრულებელს სხეულის დაზიანებისათვის აქეზებდა, მან კი ამის ნაცვლად მსხვერპლი გააუპატიურა, ამ შემთხვევაში ექსცესს თვისობრივი ხასიათი აქვს. გაუპატიურება და სხეულის დაზიანება თვისობრივად განსხვავებული დელიქტებია. ისევე როგორც რაოდენობრივი, თვისობრივი ექსცესიც ამსრულებლის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების ნაყოფია და ამიტომ ამ შედეგისთვისაც პასუხს მხოლოდ ამსრულებელი აგებს. სასამართლო პრაქტიკაში ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. დონეცკას საოლქო სასამართლოს განაჩენით როგოვსა და კორნიოვს მსჯავრი დაედოთ უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 138 მუხლას I ნაწილის „ა“ პუნქტით (მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით). სასამართლომ დაადგინა, რომ მსჯავრდებულებსა და გონჩაროვს შორის, რომლებიც ძლიერ მთვრალეები იყვნენ. ატყდა ჩხუბი. იმ მომენტში, როცა გონჩაროვმა და კორნიოვმა ერთმანეთს ხელი წაავლეს და ისე აგრძელებდნენ ჩხუბს, როგოვი შევარდა ოთახში, გამოიტანა დანა და ჩასცა გულში გონჩაროვს. სასამართლომ მკვლელობის თანამსრულებლად როგოვთან ერთად ჩათვალა აგრეთვე კორნიოვიც, რაც იმით დაასაბუთა, რომ იმ დროს, როცა როგოვი გონჩაროვს დანას ურტყამდა, კორნიოვი მსხვერპლს სცემდა და, მაშასადამე, მკვლელობის შემადგენლობის შესაბამის მოქმედებას ასრულებდა. უკრაინის სსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ საქმის მასალების მიხედვით გონჩაროვის მკვლელობა კორნიოვისათვის მოულოდნელი იყო და, რომ როგოვსა და კორნიოვს შორის რაიმე შეთანხმება გონჩაროვის მკვლელობის თაობაზე დადგენილი არ ყოფილა, განაჩენი კორნიოვის მიმართ მკვლელობას ნაწილში გააუქმა და საქმის წარმოება ამ ნაწილში შეწყვიტა⁵⁰. როგოვის მხრივ ადგილი ჰქონდა თვისობრივ ექსცესს.

6. თანამსრულებლობა ისევე, როგორც თანამონაწილეობა ვიწრო აზრით, რამდენიმე პირის მიერ ერთი დანაშაულის ჩადენას გულისხმობს. ეს გარემოება თანამსრულებელთა ქმედობების ერთნაირ კვალიფიკაციას განსაზღვრავს. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ყველა მონაწილის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის ერთი და იგივე მუხლით? ეს საკითხი წამოიჭრება იმ შემ-

⁵⁰ Сборник Постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1970, М., 1970, с. 440—441.

თხვევაში, როცა დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი მხოლოდ ერთი თანამსრულებლის მხარეზეა, მეორე თანამსრულებლის პიროვნებას ან მის ქმედობას კი იგი არ ახასიათებს. თუ ქურდობის მაკვალიფიცირებელ ნიშანს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით განმეორებითი ქურდობა წარმოადგენს, აუცილებელი არ არის, რომ ქურდობის ყველა თანამსრულებელი ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნით ხასიათდებოდეს. ასევე ითქმის მკვლელობის შემადგენლობის ისეთ ნიშნებზე, როგორცაა განზრახ მკვლელობა ანგარებით (საქართველოს სსრ სსკ 104 მ. I პ.) ან ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ (მ 104, პ. 9) და ა. შ. მკვლელობის ერთი თანამსრულებელი შეიძლება მოქმედებდეს ანგარებით, მეორე — შურისძიებით, რაც მკვლელობის მაკვალიფიცირებელ ნიშნად არ ითვლება. ერთი შეიძლება განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი იყოს, მეორე კი არა. თანაც მაკვალიფიცირებელი ნიშნები თავისი ბუნებით ზოგჯერ არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ზოგიერთი ობიექტური ხასიათის არის, ზოგი კი სუბიექტურისა. იბადება კითხვა: მოახდენს თუ არა ზეგავლენას თანამსრულებლის პასუხისმგებლობაზე ისეთი შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელიც მას კი არა, მხოლოდ მეორე თანამსრულებელს ახასიათებს? ეს საკითხი, რომლის კვლევას ას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ლიტერატურაში დღესაც დიდ დავას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთ ქვეყანაში იგი საკანონმდებლო წესითაც კია მოგვარებული. მაგალითად, გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის § 50 მე-2 პუნქტის თანახმად კანონით დადგენილ განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებებს ან გარემოებებს, რომლებიც ამძიმებენ, ამსუბუქებენ ან გამორიცხავენ დასჯადობას, მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ იმ თანამონაწილის ან ამსრულებლისათვის, ვისაც ისინი პირადად ახასიათებს. ამ ნორმის აღრინდელი კომენტატორები პიროვნულ თვისებებსა და გარემოებებში ისეთ მოვლენებს გულისხმობდნენ, რომლებსაც ასე თუ ისე ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ხასიათი აქვთ (ორსულობა, ქორწინების გარეშე დედობა, თანამდებობრივი მდგომარეობა და ა. შ.) და უპირისპირებდნენ მათ დ რ ო ე ბ ი თ ი ხასიათის მოვლენებს. მაგრამ ბოლო დროს ამ საკითხში ერთგვარი შემობრუნება მოხდა. ამჟამად ასხვავებენ პიროვნების და ქმედობის დამახასიათებელ გარემოებებს⁵¹.

⁵¹ R. M a u r a c h, Deutsches Strafrecht, Allg. Teil, Karlsruhe, 1965, S. 607;

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 50-ის მე-2 პუნქტის ანალოგიური ნორმა გვხვდება აგრეთვე შვეიცარიის 1937 წლის კოდექსის 26-ე მუხლში⁵². იგივე პრინციპი მოქმედებს ავსტრიის სისხლის სამართალში (იხ. ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის § 5-ის მე-2 ნაწ.)⁵³.

არგენტინის 1921 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლი, დასახელებული კოდექსებისაგან განსხვავებით, აწესებს, რომ დასჯადობის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი პირადი გარემოებები და თვისებები მოქმედებენ მხოლოდ იმ თანამონაწილის ან ამსრულებლის სასარგებლოდ, ვისაც ისინი პირადად ახასიათებს. სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები კი გავლენას ახდენენ სხვა თანამონაწილეთა დასჯადობაზეც, თუ მათ ამის შესახებ იცოდნენ⁵⁴.

საგანგებო დადგენილებებს ვხვდებით ამ საკითხზე აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობაშიც. ბულგარეთის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილში განსაზღვრულია, რომ განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ, ამსუბუქებენ ან ამძიმებენ სასჯელს რომელიმე თანამონაწილისათვის, არ მიიღებიან მხედველობაში სხვა თანამონაწილეთა მიმართ, თუ მათ ეს გარემოებები პირადად არ შეეხებათ. ანალოგიურ წესს ადგენს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლის კოდექსიც. თუ კანონი ადგენს, — ნათქვამია ამ კოდექსის § 22-ის მე-5 პუნქტში, — რომ განსაკუთრებული პირადი გარემოებები ამძიმებენ, ამსუბუქებენ ან გამორიცხავენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაშინ ეს დადგენილებები შეეხება მხოლოდ იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც ხსენებული გარემოებები პირადად ახასიათებს.

რუმინეთის 1937 წლის კოდექსი განასხვავებს პირად და რეალურ გარემოებებს. პირადი გარემოება, რომელიც ამსუბუქებს, ამძიმებს ან გამორიცხავს დასჯადობას, ვრცელდება მხოლოდ იმ თანამონაწილეზე, ვისაც იგი შეეხება: რეალური გარემოება კი ვრცელდება სხვა თანამონაწილეზეც, თუ მისთვის ის ცნობილი იყო (მ. 122).

საბჭოურ სისხლის სამართალში ეს საკითხი საკანონმდებლო

⁵² Современное зарубежное уголовное право, М., 1958, т. 2, с. 355.

⁵³ Современное зарубежное уголовное право, М., 1961, т. 3, с. 630, примеч. 24.

⁵⁴ Современное зарубежное уголовное право, М., 1957, т. I, с. 54.

წესით მოგვარებული არ არის, ლიტერატურაში კი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული.

თეორეტიკოსთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მთავარია არა ის, თუ რა ხასიათის გარემოებებთან გვაქვს საქმე, არამედ გადამწყვეტია შემადგენლობის ნიშნების გათვალისწინების მომენტი. თუ რომელიმე გარემოება, რომელიც ამსრულებლის მხარეზეა, მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს, მაშინ საკმარისია ამ ნიშნის გათვალისწინება თანამონაწილეების მიერ, რომ ის მათაც შეეცნოს. ერთი სიტყვით, ამ შეხედულების მომხრეებს არ მიაჩნიათ სწორად მაკვალიფიცირებელი ნიშნების დაყოფა მათი წარმოშობის ხასიათის მიხედვით⁵⁵. „არ შეიძლება, — ამბობს ა. ტრაინინი, — თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სხვადასხვა პრინციპის დადგენა მათ მიერ ერთნაირად შეცნობილი შემადგენლობის ელემენტების მიმართ. ამიტომ ობიექტურ გარემოებებზეა ლაპარაკი (დიდი ოდენობით დატაცება, თუ სუბიექტურზე (სამხედრო მსახური), პასუხი ერთია: თუ თანამონაწილე ითვალისწინებდა შემადგენლობის დამამძიმებელ ელემენტს, მას ამისათვის პასუხისმგებლობაც დაეკისრება, თუ არ ითვალისწინებდა, არ დაეკისრება. სხვა გზის არჩევა ნიშნავს ძირის გამოთხრას თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლისათვის, რადგან თანამონაწილე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა: ერთპიროვნულად მოქმედი პირი პასუხს აგებს შემადგენლობის ყველა იმ ელემენტისათვის, რომელიც მისი განზრახვით არის მოცული, ხოლო თანამონაწილე — ზოგიერთისათვის, „ინდივიდუალისათვის პასუხს არ აგებს“⁵⁶.

ამ თვალსაზრისის მცდარობა აშკარაა. ჯერ ერთი, ერთპიროვნულად მოქმედ პირთან შედარებით თანამონაწილის პრივილეგირებულ მდგომარეობაზე რომ ლაპარაკობს, ა. ტრაინინი მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ ერთპიროვნული ამსრულებლობის დროს შემადგენლობის ყველა ელემენტი ამ ერთი პირისათვის არის დამახასიათებელი, ეს ელემენტები, სუბიექტური იქნება ეს თუ ობიექტური, მის ქმედობასა და მის პიროვნებას შეეხება. სულ სხვაა

⁵⁵ А. Н. Т р а й н и н, Общее учение о составе преступления, М., 1957, с. 286; М. А. Ш н е й д е р, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, с. 75—76; М. И. К о в а л е в, Соучастие в преступлении, ч. II, с. 160; Советское уголовное право, ч. общая, М., 1964, с. 216; Ф. Б у р ч а к, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 211—212.

⁵⁶ А. Н. Т р а й н и н, Общее учение о составе преступления, М., 1957, с. 286.

თანამონაწილის მდგომარეობა. თანამონაწილე, როგორც ცნობილია შემადგენლობის ობიექტურ მხარეს თვითონ უშუალოდ არ ასრულებს, იგი მხოლოდ სხვის (ამსრულებლის) დანაშაულში მონაწილეობს. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ მას სხვა მოტივი ამოძრავებდეს, ამსრულებელს კი სხვა, ერთი მონაწილე სხვა მიზანს ოსაზვადეს, მეორე სხვას, თანამონაწილე პირველად სჩადიოდეს ამ დანაშაულს, ამსრულებელი კი განმეორებით და ა. შ. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში ერთპიროვნულად მოქმედი კვალიფიციური შემადგენლობისათვის რომ აგებს პასუხს, ეს სავსებით გასაგებია: მან პირადად გაიმეორა დანაშაული და არა სხვა ვინმემ. თანამონაწილეობის დროს კი ლაპარაკია თანამონაწილის პასუხისმგებლობაზე ამსრულებლის მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულისათვის.

მაგრამ რაც ყველაზე უფრო პარადოქსულია, ამ შეხედულების მომხრეთა უმრავლესობა არ იზიარებს თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას. ზემოთ, როცა თანამონაწილეობის ბუნებას ვიკვლევდი, აღვნიშნე, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხში აქცესორობის პრინციპის მოწინააღმდეგეები ისეთ უკიდურეს დასკვნებს აკეთებენ, რაც ამ პრინციპის თანამედროვე გაგებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს. მართლაც, თუ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით დამოუკიდებელია, მაშინ როგორ უნდა ვაგებინოთ პასუხი თანამონაწილეს შემადგენლობის იმ ელემენტისათვის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამსრულებლის პიროვნებას შეეხება (განმეორება და სხვ.)? თუ შემადგენლობის ყველა ის ელემენტი, რომელიც ამსრულებლის პიროვნებას და მის ქმედობას ახასიათებს, ყველა შემთხვევაში გადმოვა თანამონაწილეზე, მაშინ რაღა აზრი აქვს იმ საკითხის კვლევას, აქცესორულია თუ არა თანამონაწილეობა თავისი ბუნებით? უნდა ითქვას ისიც, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქ გადმოცემულ თვალსაზრისს აქცესორული თეორიის ისეთი თავგამოდებული დამცველიც იზიარებს, როგორცაა მ. კოვალიოვი. მართალია, მ. კოვალიოვს, როგორც აქცესორობის პრინციპის მომხრეს, ხსენებული თვალსაზრისის გაზიარების მეტი უფლება აქვს, ვიდრე ამ პრინციპის მოწინააღმდეგე კრიმინალისტებს, მაგრამ ასე ხელაღებით იმის მტკიცება, თითქოს ამსრულებლის პიროვნების და მისი ქმედობის დამაზასიათებელი მაკვალიფიციურებელი ნიშნები ყველა შემთხვევაში შეეჩაცხება თანამონაწილესაც, მაინც გაუმართლებლად

უნდა ჩაითვალოს⁵⁷. ეჭვი არ არის, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა აქცესორობის პრინციპს ემყარება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის უგულვებელყოფას. პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი საბჭოური სისხლის სამართლის ერთ-ერთი უაღრესად დემოკრატიული პრინციპია და იგი ერთნაირად მოქმედებს როგორც ერთპიროვნულად მოქმედის, ისე თანამონაწილის მიმართ. ერთი სიტყვით, ის თვალსაზრისით, რომელიც თვლის, რომ თანამონაწილის პასუხისმგებლობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამსრულებლის პიროვნებისა და ქმედობის დამახასიათებელი მაკვალიფიცირებელი ნიშნების გათვალისწინების ფაქტს, განვითარებული სისხლის სამართლისათვის სრულიად მიუღებელია.

ზოგიერთი კრიმინალისტი მაკვალიფიცირებელ ნიშნებს ყოფს ქმედობისა და პიროვნების დამახასიათებელ გარემოებებად. ქმედობასთან დაკავშირებული გარემოებები, მათი აზრით, ობიექტური ბუნებისაა, ისინი ზეგავლენას ახდენენ მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე, ამიტომ ყველა თანამონაწილის მიმართ მათ ერთნაირი იურიდიული მნიშვნელობა ენიჭებათ. საკმარისია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება ახასიათებდეს მხოლოდ ამსრულებლის მოქმედებას, რომ მას მნიშვნელობა მიეცეს აგრეთვე თანამონაწილის ქმედობის კვალიფიკაციისათვისაც.

პირადი სახის გარემოებები, თავის მხრივ, კიდევ ორ ჯგუფად იყოფა. ზოგიერთი პირადი გარემოება ახასიათებს როგორც პიროვნებას, ისე ქმედობას. ამის საილუსტრაციოდ მიუთითებენ მოტივსა და მიზანზე, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც პიროვნების, ისე მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე. ამიტომ დამხმარემ და წამქეზებელმა პასუხი უნდა აგონ ანგარებით მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის მაშინაც კი, როცა, მართალია, მათ ეს მოტივი არ ამოძრავებდათ, მაგრამ იცოდნენ, რომ ამსრულებელი ანგარებით მკვლელობას სჩადიოდა. მაგრამ თანამონაწილეებს არ შეეცაცხებათ ისეთი სახის პირადი გარემოება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამსრულებლის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი. ასეთია, მაგალითად, დანაშაულის განმეორება, სისტემატურობა, განსაკუთრებით საშიში რეციდივი და სხვ⁵⁸.

⁵⁷ შეად. თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 216—217.

⁵⁸ Уголовное право, общая часть, М., 1939, с. 243—244; Советское уголовное право, часть общая, М., 1952, с. 304—305; В. Солнарж, Соучастие по уго-

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ თვალსაზრისმა ბოლო დროს სასამართლო პრაქტიკაშიც გაიღვა ფესვები. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორ მაგალითს რსფსრ-ის სასამართლო პრაქტიკიდან. პირველი იმ დებულების პრაქტიკაში დანერგვის ნიმუშს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ამსრულებლის პიროვნებისა და ქმედობის დამახასიათებელი პირადი გარემოება ყველა შემთხვევაში შეეჩვენება თანამონაწილეს, თუ მას ეს გარემოება გათვალისწინებული ჰქონდა. მოტირიოვმა მიატოვა ცოლი და საცხოვრებლად ტიტოვასთან გადავიდა. ცოლმა გადაწყვიტა შური ეძია. მან ტიტოვას მოსაკლავად წააქეზა ერმოლაევი და არასრულწლოვანი ვერემეევი, რომლებსაც გასამრჯელოდ ფულს შეჰპირდა. მოსყიდულმა პირებმა ტიტოვა მოკლეს. ალტის სამხარეო სასამართლომ მკვლელობის თანამსრულებლების—ერმოლაევისა და ვერემეევის ქმედობები დააკვალიფიცირა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის „ა“ პუნქტით (განზრახ მკვლელობა ანგარებით), ხოლო მოტირიოვას ქმედობა 17 მ და 102 მუხლის „ა“ პუნქტით (თანამონაწილეობა ანგარებით მკვლელობაში). ადვოკატის საკასაციო საჩივარი, რომლითაც იგი მოითხოვდა მოტირიოვას ქმედობის რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17 მ და 102 მუხლის „ა“ პუნქტიდან 17—103 მუხლებზე გადაკვალიფიცირებას, რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა. კოლეგიამ უარი ასე დაასაბუთა: „...მოტირიოვას ქმედობის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მოტივით აქეზებდა იგი ერმოლაევს და ვერემეევს მკვლელობის ჩასადენად, რადგან ის, როგორც წამქეზებელი, პასუხს აგებს იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩასადენად ამსრულებლებს აქეზებდა, ე. ი. ანგარებითი მკვლელობისათვის“⁵⁹.

მეორე მაგალითი წარმოადგენს იმ დებულების პრაქტიკულად ხორცშესხმას, რომლის თანახმადაც თანამონაწილეებს არ შეეჩვენებათ ისეთი პირადი გარემოება, რომელიც შეეხება მხოლოდ ამსრულებლის პიროვნებას და არა მის ქმედობას. ნიკოლაევიმ მონაწილეობა მიიღო ჩუდინოვის მიერ ჩადენილ ძარცვაში. სვერდლოვსკის საოლქო სასამართლომ ნიკოლაევის ქმედობა დააკვალიფიცირ-

ловному праву Чехословацкой Социалистической Республики, М., 1962, с. 236—244; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 216—219
Курс советского уголовного права, часть общая, I, изд. ЛГУ, 1963, с. 621—630; Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 482.

⁵⁹ Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1970, № 2, с. 12—13.

რა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17 მ და 145 მუხლის მეორე ნაწილით (განმეორებითი ძარცვა) იმის გამო, რომ ასევე დაკვალიფიცირდა ამსრულებლის (ჩუდინოვის) ქმედობა, რომელმაც ძარცვა განმეორებით ჩაიღინა. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1967 წლის 16 დეკემბრის განჩინებით ნიკოლაევის ქმედობა გადააკვალიფიცირა 17 მ და 145 მუხლის პირველ ნაწილზე. განჩინებაში ვკითხულობთ, რომ „მაკვალიფიცირებელი გარემოება, რომელიც ამსრულებლის პიროვნებას ახასიათებს (დანაშაულის ჩადენა განმეორებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ), არ შეეარაცება თანამონაწილეს, თუნდაც ეს გარემოება მას გათვალისწინებულიც ჰქონოდა, რადგან ის მხოლოდ დამნაშავის პიროვნების საზოგადოებრივ საშიშროებას ახასიათებს და შეიძლება დაამძიმოს მხოლოდ ამსრულებლის პასუხისმგებლობა“⁶⁰.

ჩემი აზრით, არ უნდა იყოს მცდარი ის შეხედულება, რომელიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხში შემადგენლობის ნიშნების ობიექტურად და სუბიექტურად დაყოფას ემყარება. ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთმანეთისაგან გამოიჯვნის იდეა უთუოდ სწორად არის მიგნებული, მაგრამ იმის გამო, რომ ეს იდეა ბოლომდე გააზრებული ჯერ კიდევ არ არის, ადგილი აქვს ამ სწორი გზიდან გადახვევას პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის საზიანოდ. ჯერ ერთი, დღემდე გაუგებარია, თუ რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობენ ობიექტური და სუბიექტური გარემოებების გამოიჯვნისას. რატომ არის, მაგალითად, მიზანი და მოტივი ყველა შემთხვევაში ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების და არა ბრალის ნიშანი? ან კიდევ: აქვს თუ არა რაიმე კავშირი ამ საკითხთან აქცესორობის პრინციპს? როგორც ვიცით, ამ შეხედულების მომხრეთა შორის გვხვდებიან როგორც აქცესორობის მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეებიც. იბადება კითხვა: როგორ მონახეს საერთო ენა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხში იმ კრიმინალისტებმა, რომლებიც თანამონაწილეობის ბუნების საკითხში საწინააღმდეგო პოზიციებზე დგანან? აი ის კითხვები, რომლებიც ამ თვალსაზრისის გაცნობისას წამოიჭრება.

ზემოთ, თანამონაწილეობის ბუნებას რომ ვიკვლევდი, იმ დასკვნამდე მივედი, რომ თანამონაწილეობა არ არის დამოუკიდებელი ფორმა დანაშაულის ჩადენისა, ის აქცესორულია, ე. ი. დამოკიდე-

⁶⁰ Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1968, № 6, с. 14.

ბულია ამსრულებლობაზე. ამიტომ ახლა, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის პრობლემას რომ ვიხილავთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვიკვლიოთ, ზომ არ ეწინააღმდეგება აქცესორობა თანამონაწილის პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს. ეს საკითხი აქცესორული თეორიის სასინჯი ქვაა, რომელმაც უნდა დაგვანახოს, არის თუ არა ბოლოს და ბოლოს აქცესორობა ის ურჩხული, რომლადაც მას ამ პრინციპის მოწინააღმდეგეები სახავენ. მაგრამ ვიდრე ამ საკითხზე უშუალოდ რამეს ვიტყვოდეთ, ჭერ გავერკვეთ, თუ რაში მდგომარეობს საზოგადოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს პირის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება⁶¹. 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის ძალით „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“. კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ბრალეულად ჩადენა ეს იგივეა, რაც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. „კანონით დადგენილი ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც ახასიათებენ ქმედობას როგორც საზოგადოებრივად საშიშს და დასჯადს, ეწოდება დანაშაულის შემადგენლობა“⁶². შემადგენლობის ძირითად მომენტს კანონით ზუსტად განსაზღვრული გარეგანი ქმედობა წარმოადგენს, რომლის გარშემო თავმოყრილია სხვა ნიშნები, მაგალითად, სუბიექტური მხარის და სუბიექტის დამახასიათებელი ნიშნები და სხვ. დანაშაულის შემადგენლობის შექმნით კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს დასჯადი მოქმედებების წრეს და ამით მოქალაქეთა პირადი თავისუფლების საიმედო გარანტიას იძლევა⁶³. გარდა ამისა, კონკრეტული შემადგენლობების შექმნა იმასაც ემსახურება, რომ

⁶¹ А. Н. Т р а п и н и н, Общее учение о составе преступления, М., 1957, с. 4; Курс советского уголовного права ч. общая, I, ЛГУ, 1968, с. 231—232; თ. წ ე რ ე თ ე ლ ო გ. ტ ყ ე შ ე ლ ი ა ძ ე, მოძღვრება დანაშაულზე, გვ. 90; Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 87 და სხვა.

⁶² თ. წ ე რ ე თ ე ლ ო გ. ტ ყ ე შ ე ლ ი ა ძ ე, მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969, გვ. 89.

⁶³ ი ქ ვ ე.

ერთი დანაშაული ზუსტად იქნეს გამიჯნული მეორე დანაშაულისაგან⁶⁴.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ კანონმდებელი ერთი დანაშაულის რამდენიმე შემადგენლობას ქმნის. ლიტერატურაში ცნობილია შემადგენლობათა დაყოფა: ძირითად, პრივილეგიურულ და კვალიფიციურ შემადგენლობებად. ამის ნიმუშად გამოდგება მკველელობის შემადგენლობები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105 მუხლში (მკველელობის ძირითადი შემადგენლობა), 104 მუხლში (კვალიფიციური შემადგენლობა), 106 მუხლში (პრივილეგიური შემადგენლობა). 104 და 105 მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობათა შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, მათ მაინც აქვთ ისეთი არსებითი ხასიათის საერთო ნიშანი, რომელიც შეუძლებელია აკავშირებდეს, მაგალითად; 105, 110 ან 67 მუხლებს. 104, 105 და 106 მუხლებისათვის საერთოა უმართლობის ტიპი, სახელდობრ, მკველელობა, სამივე შემთხვევაში განზრახ მკველელობასთან გვაქვს საქმე. 110-ე მუხლის შემადგენლობას საფუძვლად უდევს უკვე უმართლობის სხვა, სრულიად განსხვავებული ტიპი — სხეულის დაზიანება, 67 მუხლის შემადგენლობას — ტერორისტული აქტი და ა. შ. როგორც ვხედავთ, შინაარსის მიხედვით შემადგენლობები ორ ჯგუფად იყოფიან: 1. ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული შემადგენლობები ანუ შემადგენლობები, რომლებიც განსხვავებული ტიპის უმართლობებზე არიან აგებული (მაგალითად, მკველელობა და სხეულის დაზიანება) და 2. ტიპიური უმართლობის შემადგენლობები (განზრახ მკველელობა დამამძიმებელ გარემოებებში (მ. 104), განზრახ მკველელობა (მ. 105) და ა. შ.). შეინიშნება კიდევ ერთი კანონზომიერება, რომელიც საერთოა ორივე აქ დასახელებული ჯგუფის შემადგენლობებისათვის. საქმე ეხება შემადგენლობის ნიშნების კლასიფიკაციას მათი წარმოშობის ხასიათის მიხედვით. შემადგენლობის ნიშნები ამ თვალსაზრისით უნდა დაიყოს პერსონალურ და არაპერსონალურ (ობიექტურ) ნიშნებად. პერსონალურ ნიშნებში შევა ბრალისა და სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო ობიექტური იქნება უმართლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ამ ნაშრომის წინა თავში, შუალობითი ამსრულებლობის პრობლემასთან დაკავშირებით მე გამოვიკვლიე უმართლობისა და ბრალის ცნებების დამოკიდებულე-

⁶⁴ თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მითით. ნაშრომი, გვ. 90.

ბის საკითხი. ამ გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბრალი არც სისხლისსამართლებრივ უმართლობას აფუძნებს და არც მის ხარისხზე მოქმედებს, რომ ბრალი პერსონალური კატეგორიაა, უმართლობა კი არაპერსონალური (ობიექტური) ხასიათის არის. უმართლობას მართო ობიექტური (გარეგანი) მომენტები როდი აფუძნებენ. გვხვდება აგრეთვე უმართლობის სუბიექტური ელემენტებიც. ასეთ სუბიექტურ ელემენტს წარმოადგენს, მაგალითად, მიზანი. მიზანი უმართლობის დამაფუძნებელ ელემენტად ჩაითვლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, კერძოდ მაშინ, როცა იგი ქმედობას ახალ შინაარსს აძლევს. თუ მიზანი ან მოტივი ქმედობის შინაარსს არ ცვლის, მაშინ ის ბრალის ხარისხზე მოქმედებს და, მაშასადამე, ბრალის ელემენტია. ის დებულება, რომ ბრალი არც აფუძნებს უმართლობას და არც მის ხარისხზე ახდენს ზეგავლენას და რომ შეიძლება წარმოვიდგინოთ (თუ ყოველთვის ფაქტიურად არა, ლოგიკურად მაინც) უმართლობა ბრალის გარეშე, არ ნიშნავს, თითქოს ასევე შესაძლებელი იყოს ბრალის წარმოდგენა უმართლობის გარეშე. სისხლისსამართლებრივი ბრალი ყოველთვის უმართლობაზეა აგებული. თუ ინდივიდს უმართლობა არ ჩაუდენია, ბრალის საკითხიც არ დაისმება. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბრალის ხარისხი, უპირველეს ყოვლისა, უმართლობის ხარისხზეა დამოკიდებული. მაგრამ რადგანაც ბრალი და მართლწინააღმდეგობა (საზოგადოებრივი საშიშროება) დანაშაულის ცნების დამოუკიდებელ ნიშნებს წარმოადგენენ და ერთმანეთს ყოველთვის არ განსაზღვრავენ, არ არის გამორიცხული, რომ ბრალის ხარისხი შეიცვალოს დამოუკიდებლად, უმართლობის ხარისხის შეუცვლელად.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მივმართოთ კონკრეტულ მაგალითს. როგორც ვიცით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105 მუხლი ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას. ამ მუხლით გათვალისწინებულია ერთი ადამიანის მკვლელობა, რადგან ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა უკვე 104 მუხლით (პ. 4) ისჯება. ორი ადამიანის მკვლელობა უფრო მეტი ხარისხის უმართლობაა, ვიდრე ერთი ადამიანის მკვლელობა. ამიტომ აქ უმართლობის ხარისხის შესაბამისად გაიზრდება ბრალის ხარისხიც. ორი ადამიანის მკვლელის ბრალის ხარისხი უფრო დიდია, ვიდრე ერთი ადამიანის მკვლელის.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, არის შემთხვევები, როცა უმართლობის ხარისხი იგივე რჩება, ბრალის ხარისხი კი იცვლება. მაგალითად, ანგარებითი მკვლელობა ისჯება 104 მუხლით (პ. I) რო-

გორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა. ანგარე-
ბის მოტივი უმართლობის ელემენტი არ არის, რადგან იგი არც
მკვლელობის ბუნებას განსაზღვრავს და არც მის ხარისხზე მოქმე-
დებს. მკვლელობა შესაძლებელია როგორც ანგარებით, ისე ამ მო-
ტივის გარეშეც. ამიტომ ანგარება აქ უკვე ბრალის ელემენტია. მა-
შასადამე, ბრალის ხარისხი გაიზარდა. უმართლობის ხარისხი კი
იგივე დარჩა.

უნდა ითქვას ისიც, რომ, მსგავსად ბრალის ელემენტებისა,
სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც უმთავრესად პერსო-
ნალური, არაობიექტური ბუნების არიან. მაგრამ აქაც გვხვდება
ისეთი ნიშანი, რომელიც უმართლობის დამაფუძნებელ ელემენტს
წარმოადგენს. ასეთია სპეციალური სუბიექტის ნიშანი, მაგალითად,
სამხედრო მოვალეობა, თანამდებობრივი მოვალეობა და ა. შ. მო-
ვალეობა ამ შემთხვევაში ობიექტური ბუნებისაა და იგი უმართ-
ლობის ტიპს აფუძნებს. ამის ნიმუშად გამოდგება, მაგალითად, სა-
ქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 284 მუხლი, რო-
მელიც ითვალისწინებს მაროდერობას. მაროდერობა ამ მუხლის მი-
ხედვით, არის ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ნივთე-
ბის გატაცება. ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ნივ-
თების გატაცება მაროდერობად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ
მას ჩაიდენს სამხედრო მსახური, ე. ი. ვისაც აკისრია სამხედრო
მოვალეობა, ხოლო თუ ამ ნივთებს გაიტაცებს სამოქალაქო პირი,
მაშინ გვექნება ძარცვა ან ქურდობა, რომელიც დაისჯება საქართ-
ველოს სსრ სსკ 150—151 მმ-ის შესაბამისად. მაშასადამე, ერთსა
და იმავე ფაქტიურ გარემოებას, სახელდობრ, ნივთის გატაცებას
ბრძოლის ველზე სხვადასხვაგვარი შინაარსი ეძლევა იმის მიხედ-
ვით, ჩაიდენს მას სამხედრო მსახური თუ სამოქალაქო პირი. ქურ-
დობა და მაროდერობა თავისი ბუნებით განსხვავებული დელიქტე-
ბია და ეს განსხვავება გამოწვეულია სპეციალური სუბიექტის ნიშ-
ნით. ამრიგად, ეს ნიშანი უმართლობის დამაფუძნებელი ელემენტი
ყოფილა. მაგრამ უმართლობას ვერ დააფუძნებს სუბიექტისათვის
დამახასიათებელი ისეთი ელემენტი, როგორცაა განმეორება ან
განსაკუთრებით საშიში რეციდივი და სხვა.

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი
მკვლელობა (სსკ 104 მ, პ. 9) თავისი საზოგადოებრივი საშიშრო-
ებით არ განსხვავდება იმ მკვლელობისაგან, რომლის სუბიექტსაც
მანამდე არათუ რაიმე დანაშაული არ ჩაუდენია, არამედ მაღალი
მორალური თვისებებითაც გამოირჩეოდა.

ყოველივე იმას, რაც აქ შემადგენლობისა და უმართლობის ირგვლივ ითქვა, არსებითი მნიშვნელობა აქვს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის პრობლემის გადაწყვეტისათვის. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიკვევს, ხომ არ ეწინააღმდეგება აქცესორობა თანამონაწილის პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს. ზემოთ გავაკრიტიკეთ ის ავტორები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს ამსრულებლის პიროვნებისა და მისი ქმედობის დამახასიათებელი ყველა მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიხედვით, თუ იგი ამ ნიშნებს ითვალისწინებდა. ეს არის აქცესორობის უკიდურესი გამოვლინება, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს. მაინც რა ელემენტებზე ვრცელდება აქცესორობა? აქცესორობა იმას ნიშნავს, რომ არსებობს რაღაც ნიშანი თუ ნიშანთა ჯგუფი, რომელიც საერთოა ყველა თანამონაწილისათვის. ასეთი საერთო ყველა თანამონაწილისათვის უნდა იყოს უმართლობა როგორც ობიექტური, არაპერსონალური კატეგორია. ყველა პერსონალური ნიშანი ან ბრალის ელემენტი ანდა სუბიექტს ახასიათებს, ხოლო არაპერსონალური ნიშნები, სუბიექტური იქნებიან ისინი თუ ობიექტური (გარეგანი) თავისი წარმოშობით, უპირველეს ყოვლისა, უმართლობას აფუძნებენ ან მის ხარისხზე მოქმედებენ. რახან უმართლობა არაპერსონალური, ობიექტური კატეგორიაა, ხოლო ბრალი კი პირიქით, პერსონალურ კატეგორიას წარმოადგენს, რაც ობიექტური უმართლობისადმი სუბიექტის პერსონალურ დამოკიდებულებას გულისხმობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა თანამონაწილეს ამ საერთო უმართლობისადმი თავისი პერსონალური დამოკიდებულება ექნება. რაკი ბრალის ხარისხი ყოველთვის არ არის დამოკიდებული უმართლობის ხარისხზე, ამიტომ ერთი და იმავე ხარისხის უმართლობაში ერთ თანამონაწილეს შეიძლება მეტი ბრალი მიუძღოდეს, მეორეს კი ნაკლები და ა. შ., ერთი თანამონაწილე შეიძლება განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი იყოს ან განმეორებით სჩადიოდეს ამ დანაშაულს, მეორე კი—არა. ერთი სიტყვით, ის, რაც პერსონალურია, იქნება ეს ბრალის ელემენტი, თუ დამნაშავეს პიროვნების დამახასიათებელი ნიშანი, ამსრულებლიდან თანამონაწილეზე არ გადმოვა. ამსრულებლიდან თანამონაწილეზე გადმოვა მხოლოდ უმართლობის ელემენტები. დანაშაულში თანამონაწილეობა გულისხმობს ყველა თანამონაწილის მიერ ერთი და იმავე ტიპის უმართლობის განხორციელებას. აქცესორობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს იმ უმართლობისათვის, რასაც ამსრულებელი ახორციელებს. აქედან ცხადია, რომ სწო-

რად გაგებული აქცესობა არ ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, შემადგენლობები თავისი შინა-არსის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფიან: 1. სხვადასხვა უმართლობიანი შემადგენლობები და 2. ტიპური უმართლობის შემადგენლობები. თანამონაწილეობა არ გვექნება იმ შემთხვევაში, თუ თვითვეული მონაწილის მოქმედება სხვადასხვა მუხლებით დაკვალიფიციირდება და ეს მუხლები სხვადასხვა უმართლობიან შემადგენლობებს ითვალისწინებენ. მაგალითად. ერთი მონაწილის მოქმედება დაკვალიფიციირდა 105 მუხლით, ხოლო მეორესი კი 110 ან 67 მმ-ით. ეს მუხლები არა მარტო სხვადასხვა შემადგენლობებს ითვალისწინებენ, არამედ ამ შემადგენლობებს საფუძვლად უდევთ უმართლობის სრულიად განსხვავებული ტიპები. მაგრამ თანამონაწილეობის ბუნებას არ ცვლის და, მაშასადამე, აქცესობასაც არ ეწინააღმდეგება სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაცია ტიპური უმართლობის შემადგენლობებში. ამიტომ არის, რომ სავსებით დასაშვებია და აქცესობის პრინციპს არ არღვევს ამსრულებლის ქმედობის კვალიფიკაცია სსკ 104 მუხლით, ხოლო თანამონაწილისა—105 მუხლით. 104 მუხლით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები უმართლობის ბუნებას არ ცვლიან. ორივე მუხლის შემადგენლობას ერთი ტიპის უმართლობა — მკვლევლობა უდევს საფუძვლად. აქედან მტკიცდება, რომ საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც შემადგენლობის ნიშნები უნდა დაიყოს ქმედობისა და პიროვნების დამახასიათებელ გარემოებებად, პრინციპულად სწორია. მაგრამ პრაქტიკაში ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ამ სწორი გზიდან გადახვევას პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის საზიანოდ. ამის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ მკვლევლობის დროს ანგარების მოტივის შერაცხვა იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც ეს მოტივი არ ამოძრავებდა. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაში გავრცელებული ეს აზრი უკვე აისახა სასამართლო პრაქტიკაში. ზემოთ მოტანილი მოტირიოვას საქმე ამის ნათელი დადასტურებაა. მკვლევლობის წამქეზებელი მოტირიოვა მოქმედებდა შურისძიებით, ამსრულებლები — ერმოლაევი და ვერემეევი კი ანგარებით. ალტაის სამხარეო სასამართლომ მოტივი უმართლობის (ქმედობის) ნიშნად მიიჩნია და მოტირიოვას ქმედობა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—102 მუხლის „ა“ პუნქტით (ანგარებით მკვლევლობაში თანამონაწილეობა) დააკვალიფი-

ცირა, ვინაიდან 102 მუხლის „ა“ პუნქტით დაკვალიფიცირდა ამსრულებელთა მოქმედებები. ადვოკატი სამართლიანად მოითხოვდა მოტირიოვას ქმედობის რსფსრ სსკ 17—103 მუხლებზე გადაკვალიფიცირებას, რაზედაც რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, ჩემი ღრმა რწმენით, არასწორი პასუხი გასცა. პირველად კოლეგიამ სწორი დებულება წამოაყენა, რომ წამქეზებელი პასუხს აგებს იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩასადენადაც იგი ამსრულებელს აქეზებდა. მაგრამ შემდეგ ამ სწორი დებულებიდან არასწორი დასკვნა გააკეთა. კოლეგიამ რატომღაც მიიჩნია, რომ ანგარებითი მკვლელობა სხვა დანაშაულია, შურისძიებით მკვლელობა კი — სხვა დანაშაული. მაგრამ ეს პრინციპულად მცდარი დასკვნაა. ანგარებით იქნება ჩადენილი თუ შურისძიებით, მკვლელობა მაინც მკვლელობაა. როგორც ანგარება, ისე შურისძიება ბრალის ელემენტებია, ხოლო ბრალი პერსონალური კატეგორიაა. ამიტომ ანგარების მოტივი, რომლითაც მკვლელობის ამსრულებლები — ერმოლაევი და ვერემეევი მოქმედებდნენ, თანამონაწილეს არ უნდა შერაცხოდა. ჩემი აზრით, მკვლელობის წამქეზებლის მოტირიოვას ქმედობა რსფსრ-ის სსკ 17—103 მმ უნდა დაკვალიფიცირებულიყო.

თ ა ვ ი 1. ა მ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ა და თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა	3
§ 1. თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს ბ უ ნ ე ბ ა	3
§ 2. თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს და ა მ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს ბ უ რ ე უ ა ზ ი უ ლ ი თ ე ო რ ი ე ბ ი	23
§ 3. ა მ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ა და თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა სა ბ კ ო უ რ ს ი ს ხ ლ ი ს სა მ ა რ თ ა ლ შ ი	43
თ ა ვ ი 2. შ უ ა ლ ო ბ ი თ ი ა მ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ა	50
§ 1. შ უ ა ლ ო ბ ი თ ი ა მ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს ც ნ ე ბ ა	50
§ 2. და ნ ა შ ა უ ლ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ნ ი, რ ო მ ე ლ თ ა შ უ ა ლ ო ბ ი თ ი გ ა ნ ხ ო რ ც ი ე - ლ ე ბ ა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ა	59
§ 3. „ი ა რ ა ლ ი“ მ ო ქ მ ე დ ე ბ ს ბ რ ა ლ ი ს გ ა რ ე შ ე	68
§ 4. „ი ა რ ა ლ ი“ მ ო ქ მ ე დ ე ბ ს ბ რ ა ლ ე უ ლ ა დ	76
§ 5. შ უ ა ლ ო ბ ი თ ი ა მ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ა უ ფ რ ო ს ი ს ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს დ რ ო ს	89
§ 6. შ უ ა ლ ო ბ ი თ ი ა მ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ა „ი ა რ ა ლ ი ს“ მ ა რ თ ლ ო მ ი ე რ ი მ ო ქ მ ე დ ე - ბ ი ს დ რ ო ს	99
თ ა ვ ი 3. თ ა ნ ა ა მ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ა	108
§ 1. თ ა ნ ა ა მ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს ც ნ ე ბ ა	108
§ 2. თ ა ნ ა ა მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ თ ა პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა	148

Гамкрелидзе Отар Каленикович

Посредственное исполнительство и соисполнительство
преступления

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
ტექნორედაქტორი ლ. ქვებეცავა
კორექტორი მ. ჩუბინიძე

გადაეცა წარმოებას 22.1.1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.V.1974
ქალაქის ზომა 60×90^{1/16}; ქალაქის № 2, ნაბეჭდი თაბახი
11; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.83;
უე 00918; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 232
ფასი 95 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060 კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. მეც. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის 19.
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19